

**ქართველ ექსპერტთა მიერ შემუშავებული
ანგარიშები & რეკომენდაციები
2009 - 2013**

შინაარსი:

მობილობის განხორციელების შესაძლებლობები	2
ხარისხის მართვის სისტემები	6
ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის სადოქტორო განათლების საბჭოს ყოველწლიური შეხვედრა	9
მომავლის კომპეტენციები	31
სადოქტორო პროგრამების სტრუქტურირება	36
ბოლონის მინისტრიალი – საიუბილეო კონფერენცია.....	46
კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩო	53
აღიარება უმაღლეს განათლებაში	56
უმაღლესი განათლების სოციალური განზომილება	61
სასწავლო მობილობის ხელშეწყობა	64
კურიკულუმის მოდერნიზაცია.....	68
კრეატიულობის ხელშეწყობა – კვლევითი მენტალიტეტის ფორმირება	77
ინტერნაციონალიზაციის გზით ხარისხის ამაღლება	86
სემინარი სადოქტორო განათლების შესახებ	89
JOI.CON: ერთობლივი პროგრამების მენეჯმენტი	94
ბუქარესტის რეკომენდაციების განხორციელება.....	102
დოქტორანტურის დაფინანსება და ხარისხის უზრუნველყოფა	105
უნივერსიტეტისა და ბიზნესის კოოპერაცია	108
კვლევაზე დაფუძნებული განათლება: სტრატეგია და იმპლემენტაცია	120
სტუდენტთა მხარდამჭერი სამსახურები	135
ტრანსნაციონალური უმაღლესი განათლება	144
სტუდენტიდან მკვლევარამდე	148
ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ფორუმი	162

მობილობის განხორციელების შესაძლებლობები

ღალი ბაქრაძე

30-31 მარტი 2009, რომი, იტალია

1. სემინარის პროგრამა

ორშაბათი, 30 მარტი 2009

1. Seminar programme

1st Day (Monday, 30 March 2009)

08.30 – 09.30 Registration and Coffee

09.30 - 10.00 Welcome by the Hosting University and Faculty - Luigi Frati, Rector University of Rome
La Sapienza Benedetto Todaro, Dean Faculty of Architecture

10.00 - 10.15 Introduction to the seminar and its intended learning outcomes on behalf of the
UNICA-Brussels Education Services Consortium - Arthur Mettinger, Vice-Rector University of Vienna

10.15 - 10.45 the Higher Education Reform Project by Ruud Wallis De Vries & Lene Oftedal,
European Commission and Katia de Sousa, Education Audiovisual and Culture Executive Agency

10.45 - 11.30 1st Keynote speech by Guy Haug, European expert on university cooperation,
Valencia University of Technology

11.30 – 12.00 Coffee break

12.00 – 12.45 2nd Keynote by Jannecke Wiers Janssen, NIFU STEP, Norwegian Institute for
Studies in Innovation, Research and Education

12.45 – 14.15 Lunch (buffet)

14.15 – 17.00 Parallel Workshops (1st Round)

Room 13 - Mobility and Motivation, Room 14 - Mobility and Recognition Room 17 - Full Cycle
Mobility Room 18 - Mobility and the Language Experience

17.00 Closure 1st day

სამშაბათი, 31 მარტი 2009

2nd Day (Tuesday, 31 March 2009)

09.15 – 12.00 Parallel Workshops (2nd Round)

Room 13 - Mobility and Motivation, Room 14 - Mobility and Recognition, Room 17 - Full Cycle
Mobility, Room 18 - Mobility and the Language Experience

12.00 - 13.00 Concluding Discussion based on the results of the Workshops and closing
remarks - Plenary: Aula Magna Bruno Zevi

2. სემინარის მონაწილეები

სემინარზე მონაწილეობას ღებულობდა ბოლონიის პროცესის წევრი 37 ქვეყანის 126 წარმომადგენელი; ასევე 17 წარმომადგენელი შემდეგი ქვეყნებიდან: ეგვიპტე, ისრაელი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ლიბანი, მაროკო, სირია, ტუნისი, უზბეკეთი და ასევე კოსოვო.. სემინარის მუშაობაში მონაწილეობდა ასევე 17 წარმომადგენელი შემდეგი ორგანიზაციებიდან: ევროკომისია, რომის უნივერსიტეტი, ვენის უნივერსიტეტი, ვარშავის უნივერსიტეტი, UNICA, Brussels Education Services, Education Audiovisual and Culture Executive Agency.

3. სემინარის მთავარი იდეა

ბოლონიის პროცესის გავლენა მობილობის სხვადასხვა ასპექტებზე. სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილების გაზიარება მობილობასთან მიმართებაში.

მობილობის ხელშეწყობა მობილობის შინაარსობრივი მხარის სწორად გაგებისა და განსაზღვრისმეშვეობით. ზემოაღნიშნულისათვის აუცილებელია: მობილობისათვის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავება; მობილობის ინტეგრირება საგანმანათლებლო პროგრამაში (მობილობის ფანჯარა) და კრედიტების დოკუმენტების სწორად გამოყენება; სასწავლო ხელშეკრულებაში პირობების დეტალური გაწერა; ასევე ძალიან მნიშვნელოვანია სტუდენტისათვის სწორი ინფორმაციის მიწოდება.

4. სემინარის მასალების რელევანტურობა საქართველოსთვის

ვორკშოპი „მობილობა და აღიარება“ მიემდგვნა მობილობის პროცესში ლისაბონის კონვენციით გათვალისწინებულ აღიარების საკითხებს. სადაც განხილულ იქნა ორი მაგალითი: ბელგიის ფლანდრიული ნაწილის და თურქეთის. ვორკშოპზე დისკუსია გაიმართა ისეთ საკითხებზე როგორცაა: ბოლონიის პროცესის ისეთ მექანიზმებს, როგორცაა კრედიტები და სასწავლო ხელშეკრულება. მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო ხელშეკრულება უნდა ითვალისწინებდეს მობილური სტუდენტის მიერ მასპინძელ უნივერსიტეტში შესასწავლი მოდულების დეტალებს, არც თუ იშვიათად, მობილური სტუდენტის სასწავლო პერიოდის აღიარებასთან დაკავშირებით გარკვეული პრობლემები იქმნება და სტუდენტის მიერ მიღებული კრედიტების სრული აღიარება ვერ ხერხდება.

ბოლონის პროცესში, მობილობასთან დაკავშირებული გარკვეული პრობლემების არსებობის გამოსწორების მიზნით, გარკვეული ცვლილებები შევიდა ასევე ECTS-ის გზამკვლევაში. მაგალითად, ცვლილებები შეეხებო რანჟირების სისტემას. მნიშვნელოვანია ინფორმაცია ECTS-ის ახალ გზამკვლევთან დაკავშირებით.

ვორკშოპი „სრული ციკლის მობილობა“ მიემდგნა ერთობლივ ხარისხებს. ქართული უნივერსიტეტებისათვის მნიშვნელოვანია ექვსი ქვეყნის მიერ ერთობლივად განხორციელებული პროექტი ტრანსნაციონალურ მობილობასთან დაკავშირებით (MOCCA – DAAD). ისევე, როგორც ინფორმაციამიმდინარე პროექტზე “Joiman”, რომელიც ფოკუსირებულია ერთობლივი ხარისხები მართვაში საუკეთესო გამოცდილების შესწავლაზე. ამ ვორკშოპზეც დაისვა პროგრამების ერთობლივად დაგეგმვის აუცილებლობა და სტუდენტებისათვის ინფორმაციის სრულად მიწოდების აუცილებლობა.

5. მობილობასთან მიმართებაში საქართველოში გასატარებელი ღონისძიებები:

1 პირველ რიგში ორგანიზებული მობილობისათვის მნიშვნელოვანია ECTS-ის დოკუმენტების სწორი გამოყენების შესახებ ინფორმაციის მიწოდება. ორგანიზებული მობილობის დროს უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს სტუდენტისათვის ხელსაყრელი სასწავლო ხელშეკრულების გაფორმება. მნიშვნელოვანია, რომ მასპინძელ უნივერსიტეტში შესწავლილი მოდულები, თავისი სწავლის შედეგებით შეესაბამებოდეს და თავსებადი იყოს მის ძირითად საგანმანათლებლო პროგრამასთან.

2. მნიშვნელოვანია ECTS-ის ახალი გზამკვლევის თარგმნა და მისი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ამ მიმართულებით უკვე გადაიდგა ნაბიჯები. სამინისტროს ხელმძღვანელობას ეთხოვა პროგრამაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელება ახალი გზამკვლევის მოსამზადებლად.

3. მნიშვნელოვანია ერთობლივი პროგრამების სწორი დაგეგმვა და განხორციელება.

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად საგანმანათლებლო პროგრამები (საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო) შეიძლება ერთობლივად განხორციელოს რამდენიმე საქართველოს აკრედიტებულმა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ ან/და უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულმა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ. ერთობლივი პროგრამების განხორციელების წესი განისაზღვრება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით დადგენილი წესით

(მუხლი 49). ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტების წესდებაში სწორად აისახოს ერთობლივი პროგრამების განხორციელების წესები და პირობები. ამ მიმართულებით შესასწავლია სსიპ აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლის წესდებები.

4. ერთობლივი პროგრამა აღიარებული უნდა იქნეს ორივე უმაღლესი სასწავლებლის მიერ. უმაღლეს სასწავლებლებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება ერთობლივი პროგრამის განხორციელების შესახებ უნდა ითვალისწინებდეს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების წესებს:

- საგანმანათლებლო პროგრამის დეტალები (მოდულები მისაღწევი სწავლის შედეგებითა და მისანიჭებელი კრედიტებით, ასევე შეფასების სისტემა და ა. შ.) წინასწარ შეთანხმებულია და დამტკიცებულია პარტნიორი უნივერსიტეტების მიერ;
- საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის ის ნაწილი (მოდულები), რომლის განხორციელებაც ხდება პარტნიორ უნივერსიტეტში;
- ერთობლივი პროგრამის სტუდენტი ვალდებულია შესაბამისი პერიოდი ისწავლოს პარტნიორ უნივერსიტეტში;
- პარტნიორ უნივერსიტეტში წინასწარ შეთანხმებულ მოდულებზე მინიჭებული კრედიტები ავტომატურად აღიარებულია. წინასწარ განისაზღვრება კრედიტების ტრანსფერის წესი და ნიშნების შესაბამისობა;
- შესაძლებელია ერთ დიპლომზე ორმა რექტორმა მოაწეროს ხელი (ეს მოლაპარაკების საგანია). ნებისმიერ შემთხვევაში დიპლომის დანართში (პუნქტი 2.4) აუცილებლად უნდა აღინიშნოს პარტნიორი უნივერსიტეტი.

6. სემინარის პრეზენტაციები

ინფორმაცია რომის სემინარზე იხილეთ შემდეგ მისამართზე - <http://rome.bolognaexperts.net>

ხარისხის მართვის სისტემები

ქეთევან გურჩიანი

28.04.2009, კასელი, გერმანია

1. სემინარის პროგრამა

10:00-10:10 Begrüßung Dr. Jutta Fedrowitz, Projektleiterin, CHE Gemeinnütziges Centrum für Hochschulentwicklung, Gütersloh

10:10-10:40 **Qualitätsmanagement als ganzheitlicher Ansatz** Das Zusammenwirken der Hochschulmitglieder als Erfolgsfaktor von QM-Systemen - Theorie und Praxis im Überblick
Dr. Sigrun Nickel, Projektleiterin, CHE Gemeinnütziges Centrum für Hochschulentwicklung

10:40-11:10 Qualitätsentwicklung als partizipativer Prozess Dr. Sandra Mittag, Technische Universität Darmstadt

11:10-12:00 Erfahrungsaustausch der Tagungsteilnehmer/-innen

Gemeinschaftsleistung 1: Qualität der Forschung

13:00-13:20 Rahmenbedingungen für gute Forschung schaffen Qualität von Leitungshandeln am Beispiel der Universität Konstanz - Prof. Dr. Gerhart von Graevenitz, Rektor, Universität Konstanz

13:20-13:40 "Sie forschen - wir machen den Rest" Qualität von Forschungsservice am Beispiel der Universität Duisburg-Essen Oliver Locker-Grütjen, Leiter, Science Support Centre (SSC), Universität Duisburg-Essen

13:40-14:00 Was Wissenschaftler/-innen für gute Forschung brauchen Erkenntnisse einer Professorin und Evaluatorin Prof. Dr. Eva Barlösius, Institut für Soziologie und Sozialpsychologie, Universität Hannover

14:00-14:45 Plenumsdiskussion Moderation: Dr. Sigrun Nickel

Gemeinschaftsleistung 2: Qualität der Lehre

15:15-15:35 Rahmenbedingungen für gute Lehre schaffen Qualität von Leitungshandeln am Beispiel der Fachhochschule Münster Prof. Dr. Ute von Lojewski, Präsidentin, Fachhochschule Münster

15:35-15:55 "Ohne Organisations- und Personalentwicklung geht es nicht"

Qualität von Dienstleistungen für Studium und Lehre am Beispiel der Universität Heidelberg
Dr. Andreas Barz, Dezernent, Zentrum für Studienberatung und Weiterbildung (ZSW), Universität Heidelberg

15:55-16:15 Was Wissenschaftler/-innen für gute Lehre brauchen

Prof. Dr. Sigrid Metz-Göckel, Hochschuldidaktisches Zentrum der TU Dortmund

16:15-17:00 Plenumsdiskussion; Moderation: Dr. Sigrun Nickel

17:00-17:00 Ende der Veranstaltung.

2. სემინარის მონაწილეები

სემინარში მონაწილეობდა გერმანული უმაღლესი სასწავლებლების 200 წარმომადგენელი, მათ შორის რექტორები, პროფესორები და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერები. ქეთევან გურჩიანი გახლდათ სემინარის ერთადერთი უცხოელი მონაწილე.

3. მთავარი იდეა

სემინარის მთავარი თემა იყო გერმანიაში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შექმნა და ფუნქციონირება. ყურადღება გამახვილდა მისიაზე დაფუძნებულ და კონკრეტულ შეფასებებს შორის განსხვავებებზე. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო კვლევის ხარისხის მონიტორინგის თემას.

განხილული იყო წარმატებული გერმანული უნივერსიტეტების – კონსტანცისა და დუისბურგ –ესენის მაგალითები. მათ მიიღეს საგრძნობი შედეგები სამეცნიერო კვლევის ხარისხის უზრუნველყოფის სფეროში. კონსტანცის უნივერსიტეტს გააჩნია ეფექტური სტრუქტურა, კონკურენტული კვლევის დაფინანსების მოდელი და კვლევის ხარისხის მონიტორინგის საშუალებები. სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განხილვისას ჰეიდელბერგის უნივერსიტეტის მაგალითი იყო წარმოდგენილი. საერთო ჯამში კი ციურიხის უნივერსიტეტი იყო განხილული, როგორც ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებისა და შეფასების პროცესის ყველაზე კარგი მაგალითი.

4. სემინარის მნიშვნელობა საქართველოსათვის

საქართველოსთვის სემინარზე განხილული საკითხებიდან ყველაზე რელევანტურად შეიძლება ჩაითვალოს კვლევის ხარისხის უზრუნველყოფის თემატიკა. ამ თემის გარშემო რამოდენიმე საინტერესო ასპექტი გამოიკვეთა: კვლევის ხარისხის მონიტორინგის შემთხვევაში ძირითადად ბიბლიომეტრული მეთოდები გამოიყენება სხვა ისეთ პარამეტრებთან ერთად, როგორებიცაა პატენტები, პროექტები, ბონუსები და ა.შ. ბიბლიომეტრული ანალიზი ხორციელდება ტომპსონის ბაზაზე დაყრდნობით. საქართველოსთვის საინტერესო იქნებოდა მისიაზე დაფუძნებული ხარისხის მონიტორინგის სტრუქტურის შემუშავება, ასევე ხარისხის მონიტორინგის და ზოგადად გაუმჯობესების სტრატეგიების გადახედვა. სხვადასხვა დისკუსიებში გამოიკვეთა, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელებული მრავალი აქტივობა შეესაბამება ევროპის უნივერსიტეტებში მიმდინარე პროცესებს. ამასთან

ჩვენ ვაღიარებთ კვლევის ხარისხის შეფასების პროცესში (მიზნები განსაზღვრულია მისიის მიხედვით და შეთანხმებები ხელმოწერილია ფაკულტეტებთან), სხვადასხვა საშუალებების (ბიბლიომეტრული) და დამატებით სტრუქტურებისა და მოტივაციის გასაზრდელად სხვადასხვა ღონისძიებების მნიშვნელობას.

5. საქართველოში განსახორციელებელი ღონისძიებები კვლევის ხარისხის ასამაღლებლად

1. კვლევის ხარისხის უზრუნველსაყოფად საჭიროა განისაზღვროს უნივერსიტეტის შესაძლებლობები კვლევის სფეროში და ის, თუ რამდენად შეესაბამება უნივერსიტეტების მისიები (და ამბიციები, იყოს კვლევითი უნივერსიტეტი) რეალობას.
2. აკრედიტაციის პროცესმა უნდა განსაზღვროს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი: კვლევითი თუ სასწავლო უნივერსიტეტი. აკრედიტაცია უნდა იყოს დაფუძნებული მისიაზე, უნივერსიტეტის სტატუსის განსასაზღვრად უნდა იყოს შემუშავებული შესაბამისი კრიტერიუმები.
3. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდა. იმ უნივერსიტეტებს, რომელთაც გააჩნიათ გამოცდილება კვლევის ხარისხის მონიტორინგის სფეროში, შეუძლიათ განახორციელონ საინფორმაციო შეხვედრები ხარისხის უზრუნველყოფის თემატიკაზე ყველა დაინტერესებულ პარტნიორთან. ასევე შესაძლოა კვლევის სიტუაციური ანალიზის შესწავლა. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხელშეწყობით კვლების ხარისხის შეფასების ინსტრუმენტების შესახებ ინფორმაცია უფრო ღია და ხელმისაწვდომი უნდა გახდეს.
4. ზოგადად კვლევის ხარისხის გასაუმჯობესებლად: სახელმწიფოს ხელშეწყობის საფუძველზე, სამეცნიერო ინსტიტუტები უნდა იყვნენ დაკავშირებული უნივერსიტეტებთან. უნდა გაიზარდოს მეცნიერების დაფინანსება. ამასთან ერთდ უნდა განხორციელდეს სტრუქტურული და საკანონმდებლო ცვლილებები კვლევითი უნივერსიტეტების სტატუსის განსასაზღვრად და საერთო სიტუაციის განსაუმჯობესებლად, როგორც კვლევითი ინსტიტუტებისათვის, ასევე უნივერსიტეტებისათვისაც.

6. სემინარის პრეზენტაციები

დეტალური ინფორმაცია მოცემულია აქ:

<http://www.che->

[concept.de/cms/?getObject=250&getLang=de&strAction=programm&PK_Veranstaltungen=189](http://www.che-concept.de/cms/?getObject=250&getLang=de&strAction=programm&PK_Veranstaltungen=189)

ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის სადოქტორო განათლების საბჭოს

ყოველწლიური შეხვედრა

ორინე დარჩია

4–5 ივნისი 2009, ლოზანა, შვეიცარია

1. ღონისძიების ორგანიზატორი. ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის სადოქტორო განათლების საბჭო (EUA-CDE), ლოზანის უნივერსიტეტი (შვეიცარია).

2. ღონისძიების პროგრამა.

4 ივნისი 2009

10.00 – 10.30 Opening Session

Welcome address: Dominique Arlettaz, Rector, University of Lausanne

Introductory speech: Jean-Marc Rapp, EUA President

10.30 – 12.30 Plenary Session I: European Doctoral Education in the World

Chair: Mary Ritter, Pro Rector for Postgraduate and International Affairs, Imperial College London, UK and EUA-CDE Steering Committee Vice Chair Alexandre Quintanilha, Director for the Institute for Molecular and Cell Biology, Porto, Portugal, Barbara Evans, Dean at the Faculty of Graduate Studies, University of British Columbia, Canada

14.00 – 15.30 Parallel Working Group Session I

WG 1: Supervision in structured programmes

Chair: Martina van de Sand, Managing Director, Dahlem Research School, Freie Universität Berlin, Germany; Rapporteur: Therese Zhang, Project Officer, EUA

WG 2: Research careers

Chair: Melita Kovacevic, Vice-Rector, University of Zagreb, Croatia; Rapporteur: Sandra Bitusikova, Senior Adviser, EUA

WG 3: Internationalisation

Chair: Johnny Laursen, Vice-Dean for Research, Aarhus University, Denmark

Rapporteur: Mary Ritter, EUA - CDE Steering Committee vice Chair

WG 4: Research assessment and doctoral education

Chair: Nigel Vincent, Associate Vice-President for Graduate Education, University of Manchester, United Kingdom; Rapporteur: Jean Chambaz, EUA-CDE Steering Committee Chair

WG 5: Collecting data on doctoral programmes

Chair: Josep Manel Torres Solà, Coordinator of Quality Evaluation, AQU Catalunya, Spain;

Rapporteur: Andreas Frijdal, EUA-CDE Steering Committee Member

WG 6: The role of networks in European doctoral education

Chair: Thomas Ekman Jørgensen, Senior Programme Manager, EUA Rapporteur: Reka Sipos, Events Manager, EUA

16.00 – 17.00 **Parallel Working Group Session II – Priorities for the future**

WG 7: Supervision in structured programmes

Chair: Martina van de Sand, Managing Director, Dahlem Research School, Freie Universität Berlin, Germany; Rapporteur: Therese Zhang, Project Officer, EUA

WG 8: Research careers

Chair: Melita Kovacevic, Vice-Rector, University of Zagreb, Croatia

Rapporteur: Sandra Bitusikova, Senior Adviser, EUA

WG 9: Internationalisation

Chair: Johnny Laursen, Vice-Dean for Research, Aarhus University, Denmark

Rapporteur: Mary Ritter, EUA - CDE Steering Committee Vice Chair

WG 10: Research assessment and doctoral education

Chair: Nigel Vincent, Associate Vice-President for Graduate Education, University of Manchester, United Kingdom

Rapporteur: Jean Chambaz, EUA-CDE Steering Committee Chair

WG 11: Collecting data on doctoral programmes

Chair: Josep Manel Torres Solà, Coordinator of Quality Evaluation, AQU Catalunya, Spain

Rapporteur: Andreas Frijdal, EUA-CDE Steering Committee Member

WG 12: The role of networks in European doctoral education

Chair: Thomas Ekman Jørgensen, Senior Programme Manager, EUA

Rapporteur: Reka Sipos, Events Manager, EUA

17.00 – 18.00 Collaborative Doctoral Education: University-Industry Partnerships for Enhance Knowledge Exchange

Friday, 5 June 2009

8.30 – 9.30 **Business meeting on the CDE in 2009-2010 (members only)**

9:30 – 11.00 **Plenary Session II: Input from stakeholders**

Chair: Arthur Mettinger, Vice Rector for Educational Program Development and Internationalisation, University of Vienna, Austria

John Wood, Principal of the Faculty of Engineering, Imperial College London/European Research Advisory Board, UK

Gonzalo Hennequet, Head of Energy Management & Energy Storage Group Advanced Automotive Technologies, Research & Advanced Engineering Division, Renault, France

Karoline Holländer, outgoing President EURODOC, Germany and Nicola Macharová, incoming President EURODOC, Slovakia

11.30 – 12.30 **Speakers' Corner**

12.30 – 13.30 **Priorities for the future**

Chair: Jean Chambaz, EUA-CDE Steering Committee Chair

Thomas Ekman Jørgensen, Senior Programme Manager, EUA

3. ღონისძიების მონაწილეები. ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის სადოქტორო განათლების საბჭოს ყოველწლიურ შეხვედრაში მონაწილეობდა 38 ქვეყნის 200-ზე მეტი წარმომადგენელი.

ტემპუსის ეროვნული ოფისის დაფინანსებით, ღონისძიებაში საქართველოდან მონაწილეობა მიიღო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, რომელიც მაშინ აღნიშნული საბჭოს წევრობის კანდიდატი იყო. 2009 წლის ივლისიდან იგი უკვე ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის სადოქტორო განათლების საბჭოს სრულუფლებიანი, ერთადერთი ქართველი წევრია.

ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის სადოქტორო განათლების საბჭოს წევრობა საშუალებას გვაძლევს:

- გავიზიაროთ ჩვენი ევროპელი კოლეგების გამოცდილება ამ სფეროში;
- მონაწილეობა მივიღოთ სადოქტორო სწავლების აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებულ ვორკშოპებში, სემინარებსა და შეხვედრებში სარეგისტრაციო შეღავათებით;
- მონაწილეობა მივიღოთ ყოველწლიურ თემატურ კონფერენციასა და საბჭოს წევრთა შეხვედრაში;
- რეგულარულად მივიღოთ ინფორმაცია დოქტორანტურასთან დაკავშირებულ ახალ ტენდენციებზე ევროპასა და მსოფლიოში (პუბლიკაციები, კონფერენციის მასალები, სიახლეები და სხვ.);

და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია,

- მონაწილეობა მივიღოთ ერთობლივ კვლევით პროექტებში.

4. ღონისძიების მიზნები, ამოცანები და შედეგები. ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის სადოქტორო განათლების საბჭოს ყოველწლიური შეხვედრა მიზნად ისახავდა: ბოლონის

პროცესის მონაწილე ქვეყნებში სადოქტორო განათლების რეფორმირების პროცესში წამოჭრილი აქტუალური პრობლემების მიმოხილვას და მათი გადაჭრის გზების ძიებას, ევროპაში დოქტორანტურის სამომავლო განვითარებისათვის პრიორიტეტების დასახვას, გამოცდილების გაზიარებასა და საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებას.

პლენარულ სხდომებზე მსჯელობა და დისკუსია შემდეგი ძირითადი მიმართულებებით წარიმართა(იხ. დანართი 1):

- დოქტორანტურის ფილოსოფიური განზომილება;
- ევროპული სადოქტორო განათლების ძირითადი მახასიათებლები „უცხოელის თვალთ“;
- ბიზნესის სექტორისა და უნივერსიტეტების თანამშრომლობა სადოქტორო განათლების სფეროში;
- პატარა ქვეყნებისა და „პატარა ევროპის“ როლი გლობალური მეცნიერების განვითარების პროცესში;
- დოქტორანტებისა და ახალგაზრდა მეცნიერების როლი ევროპული სადოქტორო განათლების განვითარების საქმეში.

გარდა პლენარული სხდომებისა, ფუნქციონირებდა 6 პარალელური სამუშაო ჯგუფი:

1. ხელმძღვანელობა სტრუქტურირებულ პროგრამებში;
2. სამეცნიერო-კვლევითი კარიერა;
3. ინტერნაციონალიზაცია;
4. კვლევის შეფასება და სადოქტორო განათლება;
5. მონაცემების შეგროვება სადოქტორო პროგრამების შესახებ;
6. ქსელების მნიშვნელობა ევროპული სადოქტორო განათლებისთვის.

შეხვედრის თითოეულ მონაწილეს საშუალება ჰქონდა, მონაწილეობა მიეღო ორი სამუშაო ჯგუფის მუშაობაში. ბოლო სექციაზე წარმოდგენილი იქნა პარალელური სამუშაო ჯგუფების დასკვნები და რეკომენდაციები თითოეული ჯგუფის ძირითადი სამუშაო პრობლემის ირგვლივ (იხ. დანართი 2).

შეხვედრის დასასრულს, კონკურსის გზით წინასწარ შერჩეულ მონაწილეებს საშუალება მიეცათ მოკლე მოხსენებებით გამოსულიყვნენ სპეციალურ სექციაზე, რომელსაც ეწოდებოდა: Speakers' Corner („სპიკერის კუთხე“). აღნიშნულ სექციაში სულ 9 გამომსვლელმა მიიღო მონაწილეობა, მათ შორის საქართველოს წარმომადგენელმა (ი. დარჩიას მოხსენების რეზიუმესათვის იხ. დანართი 3).

5. ღონისძიების რელევანტურობა საქართველოსთვის. ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის

სადოქტორო განათლების საბჭოს შეხვედრაზე დასმული და განხილული საკითხების აბსოლუტური უმრავლესობა სავსებით ეხმიანება იმ სტრუქტურული, შინაარსობრივი და ეკონომიკური ხასიათის პრობლემებს, რომელთა წინაშეც საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები დგანან, რასაც მოწმობს ლოზანის შეხვედრის მასალების საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები (დანართების სახით წარმოდგენილია თითოეული სამუშაო ჯგუფის მუშაობის, პლენარულ სხდომებზე გამომსვლელთა მოხსენებების დასკვნები და რეკომენდაციები, ი. დარჩიას გამოსვლის რეზიუმე).

როდესაც საქართველოში სადოქტორო განათლებაზე და ევროპულ დოქტორანტურასთან მის მიმართებაზე ვსაუბრობთ, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას შემდეგი:

ევროპული დოქტორანტურის უპირატესობა:

- სადოქტორო განათლების დაფინანსების მდგრადი სისტემა (სხვადასხვა სისტემა: უნივერსიტეტის, კვლევის, დოქტორანტის დაფინანსება);
- დოქტორანტების სოციალური გარანტიები (დამოკიდებულია ქვეყანაზე...);
- დაფინანსებულ კვლევებზე დაფუძნებული სადოქტორო პროგრამები;
- თანამედროვე, მუდმივად განახლებადი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (ლაბორატორიები, ბიბლიოთეკები, ელექტრონული რესურსები და სხვ.);
- სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის ფართომასშტაბიანი მობილობა;
- a priori ნდობისა და პრესტიჟის არსებობა „ძველი ევროპის“ უნივერსიტეტების მიმართ.

ევროპული და ქართული დოქტორანტურის მსგავსი პრობლემები:

- ახალი ტიპის, ბოლონიის მოთხოვნების შესაბამისი, ე. წ. სტრუქტურირებული სადოქტორო პროგრამები ფორმირების პროცესში;
- მრავალი პასუხგაუცემელი კითხვა დოქტორანტურის სტრუქტურისა და შინაარსის შესახებ;
- დოქტორანტურის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული პრობლემები;
- სამეცნიერო კვლევების შეფასების სისტემა ფორმირების პროცესში;
- სადოქტორო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ფორმირების პროცესში;
- დაბრკოლებები სადოქტორო განათლების ეროვნული და საერთაშორისო ქსელების შექმნის პროცესში;
- ერთობლივი ხარისხების გაცემასთან დაკავშირებული კითხვები და იურიდიული პრობლემები და სხვ.

7. ღონისძიების საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც დაეფუძნა პლენარული სხდომების პრეზენტაციებსა და დისკუსიებს, სამუშაო ჯგუფების დასკვნებსა და რეკომენდაციებს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

- საქართველოში სადოქტორო განათლების განვითარების სახელმწიფო სტრატეგიის შექმნა და დამტკიცება (თუ ძალიან დაგვიანებული არ არის...);
- სადოქტორო განათლების (განსაკუთრებით ფუნდამენტური და ჰუმანიტარული დარგების) თუნდაც ნაწილობრივი დაფინანსება სახელმწიფოს მხრიდან საქართველოში სადოქტორო განათლებისა და მეცნიერული კვლევების მდგრადობისათვის;
- საფრანგეთის „ტექნოლოგიური კვლევის ნაციონალური ასოციაციის“ მსგავსი ასოციაციის თუ ფონდის შექმნა თუნდაც შორეულ მომავალში (ქვეყნის ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე);
- სახელმწიფოს მხრიდან ერთობლივი საერთაშორისო სადოქტორო პროგრამების აღიარება პრიორიტეტად, რაც ტემპუსის და სხვა მსგავსი საერთაშორისო გრანტების მოზიდვას შეუწყობს ხელს;
- ერთობლივი საერთაშორისო სადოქტორო პროგრამებისათვის სპეციალური საგრანტო თანხების გამოყოფა მიზნობრივად, რომლებიც განაწილდება ღია, ობიექტური და გამჭვირვალე კონკურსის საფუძველზე;
- გარკვეული ზომების მიღება სადოქტორო განათლების დაფინანსების შემთხვევაში ბიზნესის (კერძო) სექტორისთვის დამატებითი მოტივაციის შესაქმნელად, მაგალითად, გარკვეული საგადასახადო შეღავათები და სხვ. (ქვეყნის ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე);
- ერთობლივი პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებული იურიდიული პრობლემების (თუ საკითხების) მოგვარება საკანონმდებლო დონეზე – მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის/აქტების მომზადება (მაგალითად, უცხოეთის უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით საქართველოს უნივერსიტეტების მიერ გაცემული, ერთობლივი (joint) თუ ორმაგი (double) ხარისხის მინიჭებასთან დაკავშირებული რეგულაციები და სხვ.);
- სადოქტორო განათლების ეროვნული დარგობრივი ქსელის (ქსელების) შექმნის, ერთობლივი პროგრამების, ერთობლივი კურსების განხორციელების ხელშეწყობა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხრიდან (საგანგებო ზომების მიღება, რათა უნივერსიტეტებს და კვლევით ცენტრებს გაუჩნდეთ ამგვარი ქსელის (ქსელების) შექმნის მოტივაცია. მაგალითად: ერთობლივი სადოქტორო პროგრამების (კურსების) სპეციალური, საგრანტო დაფინანსება, ერთობლივი სადოქტორო პროგრამების სტუდენტებისთვის სპეციალური სტიპენდიების გამოყოფა, ერთობლივი სადოქტორო პროგრამებისთვის სპეციალური თანხების გამოყოფა ინფრასტრუქტურით, მატერიალურ-ტექნიკური ბაზით ერთობლივად სარგებლობის მოთხოვნით და სხვ.);

- ევროპაში ერთობლივი სადოქტორო პროგრამების რეგულაციებთან დაკავშირებული სარეკომენდაციო დოკუმენტების, „მეთოდური მითითებების“ (guidelines) თარგმნა და გამოცემა;

სსიპ განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი

- პროგრამული აკრედიტაციის დაწყებამდე, ინსტიტუციური აკრედიტაციის ახალ დებულებაში ინსტიტუციური აკრედიტაციის ე. წ. „პროგრამულ ნაწილში“ დოქტორანტურის ინსტიტუციური აკრედიტაციის მოთხოვნების გამკაცრება (ანალოგად შეიძლება გამოვიყენოთ „პროფესიული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ინსტიტუციური აკრედიტაცია“. აკრედიტაციამ უნდა დაადგინოს, აქვს თუ არა უნივერსიტეტს სამეცნიერო პოტენციალი სადოქტორო პროგრამების განსახორციელებლად);
- დოქტორანტურის შესახებ სტატისტიკური მონაცემების სისტემატური შეგროვება და ანალიზი სსიპ განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის მიერ;

საქართველოს სამეცნიერო ფონდები

- ცვლილება საქართველოს სამეცნიერო ფონდების მიერ სამეცნიერო გრანტების გაცემის წესში (საგრანტო პროექტის განაცხადში სადოქტორო პროგრამის განხორციელების ასახვა; უპირატესობის მინიჭება იმ საგრანტო პროექტებისათვის, რომელთა ბაზაზეც სადოქტორო პროგრამების განხორციელება იგეგმება და სხვ.);

**საქართველოს აკრედიტებული
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები¹**

- სადოქტორო განათლების საუნივერსიტეტო სტრატეგიის შექმნა და დამტკიცება (თუ ძალიან დაგვიანებული არ არის...);
- სადოქტორო განათლების (განსაკუთრებით ფუნდამენტური და ჰუმანიტარული დარგების) დაფინანსება უნივერსიტეტების ბიუჯეტიდან სადოქტორო განათლებისა და მეცნიერული კვლევების მდგრადობისათვის;
- უნივერსიტეტების მხრიდან სისტემატური ზრუნვა სამეცნიერო-კვლევითი გარემოს – ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად; (თსუ პირველი კორპუსის რეკონსტრუქცია მთავრდება; გათვალისწინებულია მეორე და მალღივიკორპუსების რეკონსტრუქციაც; სამეცნიერო გრანტების ფარგლებში სისტემატურად ხდება სამეცნიერო-კვლევითი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება).
- დოქტორანტურაში მიღების პროცედურების და სწავლის ქცევა ღია და გამჭვირვალე პროცესად; (იხ. თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება # 171, II, 3).
- ყველა სადოქტორო პროგრამის ანოტაციის, დოქტორანტების რაოდენობის შესახებ ინფორმაციისა და სხვ. განთავსება უნივერსიტეტების ვებ-გვერდზე; (იხ. www.tsu.edu.ge).
- დოქტორანტების შესახებ ინფორმაციის სისტემატური განახლება აკრედიტაციის სტუდენტურ ბაზაში;
- დოქტორანტურის (სადოქტორო პროგრამების) ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის (პირების) და/ან ადმინისტრაციული (საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო) ერთეულის განსაზღვრა (სადოქტორო პროგრამების ადმინისტრირება – დისერტაციის დაცვის პროცედურები);
- დოქტორანტებთან ინდივიდუალური მიდგომა, მათი პრობლემების მოგვარებაზე ზრუნვა როგორც აკადემიური, ისე ადმინისტრაციული პერსონალის მხრიდან;
- დოქტორანტის ჩარიცხვისთანავე უნივერსიტეტის მხრიდან ხელშეკრულების გაფორმების უზრუნველყოფა, სადაც გაწერილი იქნება თითოეული მხარის (დოქტორანტი, ხელმძღვანელი, უნივერსიტეტი) უფლება-მოვალეობები, ვალდებულებები და პასუხისმგებლობები; (შდრ. „Supervision and training charter for early stage researchers, EURODOC“); (იხ. თსუ დოქტორანტებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ნიმუშები).

¹დახრილი შრიფტით მოცემულია ინფორმაცია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უკვე არსებული გამოცდილების შესახებ.

- სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელისა და დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის ფუნქციების განსაზღვრა, მათი პასუხისმგებლობის ზრდა და უფრო აქტიური ჩართვა სადოქტორო პროგრამის განხორციელების პროცესში; (იხ. თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება # 172, მუხლი 4).
- საუნივერსიტეტო (საფაკულტეტო) რეგულაციებით დოქტორანტების მაქსიმალური რაოდენობის განსაზღვრა, რომელთა ხელმძღვანელობის უფლება აქვს თითოეულ პროფესორს; (იხ. თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება # 171, 4.2).
- შიდასაუნივერსიტეტო (საფაკულტეტო) რეგულაციების ჩამოყალიბება თანახელმძღვანელის ინსტიტუტთან დაკავშირებით, რათა კონკრეტული დისერტანტი, მისი სადისერტაციო ნაშრომის სპეციფიკიდან გამომდინარე, უზრუნველყოფილ იქნას კვალიფიციური ხელმძღვანელობით;
- შემოქმედებითი და კოლეგიალური ატმოსფეროს შექმნა, რაც შეიძლება მიღწეულ იქნას ე. წ. სადოქტორო სემინარებისა და კოლოკვიუმების ამოქმედებით (სამეცნიერო ხელმძღვანელისა და დოქტორანტის სისტემატური შეხვედრების, სისტემატური საჯარო დისკუსიების უზრუნველყოფა, აქტუალური სამეცნიერო პრობლემატიკის ერთობლივი განხილვა დოქტორანტებისა და პროფესორების მიერ და სხვ.); (იხ. თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება # 171, დანართი 2).
- დოქტორანტის სწავლისა და კვლევის გრაფიკის არსებობა და მისი შესრულების მონიტორინგი პასუხისმგებელი პირის (პირების) და/ან სტრუქტურული ერთეულის (ერთეულების) მიერ; (იხ. თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება # 171, ფორმა 1, 2, 3).
- პირობების შექმნა სამეცნიერო ხელმძღვანელთა განვითარებისთვის (იგულისხმება მათი დროული ინფორმირება საუნივერსიტეტო რეგულაციების, მათი ცვლილებების შესახებ; საგანგებო მუშაობა, რათა ხელმძღვანელმა უკეთ გაიაზროს თავისი უფლება–მოვალეობები და სხვ.);
- სტუდენტთა დასაქმების სამსახურების შექმნა, უკვე არსებული სტრუქტურების მუშაობის გააქტიურება; (იხ. თსუ საკარიერო სერვისის საქმიანობა).
- უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა ქსელის, ასოციაციის, ფონდის, ოფისის და სხვ. გამოყენება დოქტორანტების დასაქმების, კარიერული წინსვლის მონიტორინგის მიზნით (არ იგულისხმება უნივერსიტეტის მხოლოდ წარჩინებულ და წარმატებულ კურსდამთავრებულებთან ურთიერთობა. უნივერსიტეტისთვის ყოველი სტუდენტი, მისი მომავალი, წარმატება თუ წარუმატებლობა უნდა იყოს მნიშვნელოვანი);
- უნივერსიტეტების გაწევრიანება სადოქტორო განათლებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციაში, ქსელში; (თსუ EUA CDE-ს წევრია).

- ელექტრონული კვლევის დანერგვა, GRID-ის ქსელში გაწვევრიანება და მისი შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენება; (თსუ უახლოეს ხანებში შეუერთდება GRID-ის ქსელს).
- ინტერნაციონალიზაციის მნიშვნელობის განსაზღვრა სადოქტორო განათლების საუნივერსიტეტო (საფაკულტეტო) რეგულაციებში (საკანონმდებლო დონეზე ეს უკვე გაკეთებულია); მაგალითად, სადოქტორო განათლების საუნივერსიტეტო (საფაკულტეტო) რეგულაციებში ინტერნაციონალიზაცია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოპოვების სავალდებულო წინაპირობა და სხვ.; (იხ. თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება # 171, I. 2; II. 10. 4).
- აკადემიური პერსონალისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ერთობლივი ძალისხმევა სადოქტორო განათლების ჭეშმარიტი ინტერნაციონალიზაციისათვის (ადმინისტრაციის მხრიდან: საორგანიზაციო საკითხების დროული მოგვარება, ხელშეკრულების გაფორმების უზრუნველყოფა, საჭიროების შემთხვევაში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, თანხების გამოყოფა ხელფასებისა და მგზავრობისათვის და სხვ.);
- დოქტორანტების და აკადემიური პერსონალის საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობა (დამატებითი თანხების მოძიება, სტუდენტის და პროფესორის აკადემიურ შვებულებასთან, მივლინებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო და იურიდიული საკითხების მოგვარება, კრედიტების აღიარების გამჭვირვალე პროცედურების შემუშავება და ამოქმედება, უცხოელი სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის სწავლისა და მუშაობისთვის კომფორტული გარემოს შექმნა და სხვ.);
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხრიდან მიზნობრივად თანხების გამოყოფა საერთაშორისო სადოქტორო პროგრამებისათვის;
- სწავლებისა და კვლევის პროცესის დაახლოება – სამეცნიერო გრანტების უფრო აქტიური, მიზანმიმართული გამოყენება სადოქტორო განათლების პროცესში;
- დაფინანსებული კვლევის ბაზაზე განხორციელებული სადოქტორო პროგრამების ხელშეწყობა;
- საუნივერსიტეტო (საფაკულტეტო) რეგულაციების შემუშავება დაფინანსებული კვლევის ბაზაზე განხორციელებული სადოქტორო პროგრამების ხელშეწყობის, მათი წახალისების მიზნით (მაგალითად, დოქტორანტის განთავისუფლება სწავლის გადასახადისგან, ვიწრო დარგობრივ პრობლემაზე ორიენტირებული სადოქტორო პროგრამის ამოქმედება, სახელფასო დანამატი ამ ტიპის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელს და სხვ.); (იხ. თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება # 172, მუხლი 3.

4).

- უნივერსიტეტების საქმიანობის გააქტიურება სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან და ბიზნესის სექტორთან თანამშრომლობით სადოქტორო პროგრამების განხორციელების მიზნით;
- ინტერფაკულტატური თანამშრომლობის გაღრმავება სადოქტორო პროგრამების განხორციელების პროცესში (ინტერფაკულტატური სადოქტორო პროგრამები, საერთო კურსების შეთავაზება და სხვ.);
- ევროპაში ერთობლივი სადოქტორო პროგრამების რეგულაციებთან დაკავშირებული სარეკომენდაციო დოკუმენტების, „მეთოდური მითითებების“ (guidelines) თარგმნა და გამოცემა უნივერსიტეტების ძალისხმევით;
- საუნივერსიტეტო (საფაკულტეტო) რეგულაციებში ერთობლივი, ეროვნული და საერთაშორისო პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხების დარეგულირება; (იხ. თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება # 172, მუხლი 3, 4-6).
- ბიზნესის სექტორთან დიალოგის დაწყება და ერთობლივი სადოქტორო პროგრამების განხორციელებისთვის დამატებითი თანხების მოძიება (პირადი კონტაქტები, კონფერენციები, ვორკშოპები, სამუშაო შეხვედრები და სხვ.);
- საქართველოს ბაზრის შესწავლა და იმ საწარმოთა და კომპანიათა იდენტიფიკაცია, რომლებთან თანამშრომლობითაც შესაძლებელია ანალოგიური ერთობლივი, კონკრეტულ მეცნიერულ პრობლემაზე ორიენტირებული სადოქტორო პროგრამების განხორციელება, სახელმწიფო თანხების სიმცირის გამო თავდაპირველად საწარმოსა და უნივერსიტეტის თანადაფინანსებით;
- საუნივერსიტეტო პოტენციალის შესწავლა და იმ სამეცნიერო-კვლევით მიმართულებათა იდენტიფიკაცია, რომლებსაც აქვთ სათანადო პოტენციური ბიზნესს პარტნიორობა გაუწიონ კონკრეტული პრობლემის მეცნიერული გადაწყვეტისათვის;
- საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტთან და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან, ცენტრთან თანამშრომლობით საქართველოს სადოქტორო განათლების დარგობრივი ქსელის (ქსელების) შექმნა (ერთობლივი სადოქტორო პროგრამების განხორციელება, საერთო კურსების შეთავაზება, „კრედიტების გაცვლა“, საერთო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სარგებლობა და სხვ.);

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები

- დოქტორანტურის ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთ ინდიკატორად უნივერსიტეტისა და ხელმძღვანელის მიერ დოქტორანტისათვის გაწეული „მომსახურების“ გამოყენება, რის შესახებაც ინფორმაციას სტუდენტთა გამოკითხვის

კითხვარის საშუალებით მოვიღებთ (მაგალითად, რამდენად უზრუნველყოფილია დოქტორანტი კვალიფიციური ხელმძღვანელით (თანახელმძღვანელით), რამდენად სისტემატური და ნაყოფიერია მათი შეხვედრები, რამდენად ინფორმირებულია დოქტორანტი უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების შესახებ, რამდენად დროულად და კვალიფიციურად იღებს საჭირო ინფორმაციას, რამდენად აკმაყოფილებს კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ელექტრონული რესურსები, ბიბლიოთეკა და სხვ.); (იხ. თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება).

- კვლევის ხარისხის შეფასებისა და სადოქტორო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გამიჯვნა (კვლევის ხარისხი – ფორმისა და პროცედურის ხარისხი);
- იმპაქტ-ფაქტორის მქონე და რეფერირებად ჟურნალებში დასტამბული სტატიების მნიშვნელობის განსაზღვრა კვლევის შეფასების პროცესში დარგების სპეციფიკის გათვალისწინებით (მედიცინა vs სხვა დარგები; იმპაქტ-ფაქტორი, რეფერირება/ინტერნაციონალიზაცია); (იხ. თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება # 171, II. 10. 4).
- დოქტორანტურაში სწავლის პერიოდში დოქტორანტების მიერ სამეცნიერო ნაშრომების/სტატიების გამოქვეყნების საჭიროების, როლისა და მნიშვნელობის განსაზღვრა დარგების სპეციფიკის გათვალისწინებით (მედიცინა vs სხვა დარგები; საბჭოური ტრადიცია vs დასავლური გამოცდილება); Measures as peer review systems and citation indices have to be used with care, if implemented as measures for quality of doctoral research (EURODOC). (იხ. თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება # 171, II. 10. 4).
- საფუძვლების (რეგულაციების) მომზადება ერთობლივი, ეროვნული და საერთაშორისო პროგრამების მომზადებისათვის;
- საქართველოს მასშტაბით ერთობლივი პროგრამების განხორციელებისათვის სადოქტორო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის ერთიანი პლატფორმის (სადოქტორო პროგრამების და კვლევების შეფასების ერთიანი სისტემის), დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების მსგავსი წინაპირობების შემუშავება;

აკადემიური პერსონალი

- დოქტორანტებთან ინდივიდუალური მიდგომა, მათი პრობლემების მოგვარებაზე ზრუნვა;
- სადოქტორო პროგრამების მიზნების, შედეგების, დასაქმების სფეროების გააზრებულად განსაზღვრა: თავად პროგრამის შინაარსში დასაქმების პერსპექტივის გათვალისწინება,

შრომის ბაზარზე კონკურენტული კადრების მომზადების მიზნით. (იხ. თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება # 172, მუხლი 6).

- დოქტორანტურის სასწავლო კომპონენტის ადეკვატური გააზრება (საბაკალავრო და სამაგისტრო კურსებისგან არსებითად განსხვავებული საათობრივი ბადა, სტრუქტურა და შინაარსი); (იხ. თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება # 171, II. 7, დანართი 2, # 172, მუხლი 6).
- დოქტორანტურის სასწავლო კომპონენტში ე. წ. ტრანსფერული უნარების გათვალისწინება (მაგალითად, აკადემიური წერა, მენეჯმენტი, პროექტის წერა, კომპიუტერული წიგნიერება და სხვ.); (იხ. თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება # 171, II. 7, დანართი 2).
- აკადემიური პერსონალისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ერთობლივი ძალისხმევა სადოქტორო განათლების ჭეშმარიტი ინტერნაციონალიზაციისათვის (აკადემიური პერსონალის მხრიდან: პირადი კონტაქტების, საერთაშორისო მივლინებების, უკვე არსებული საერთაშორისო თანამშრომლობის გამოყენება და სხვ.);

საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და ცენტრები

- სამეცნიერო-კვლევითი ცენტრებისა და ინსტიტუტების მიერ მათი სამეცნიერო გრანტების ბაზაზე ერთობლივი სადოქტორო პროგრამების განხორციელება უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით;

ბიზნესის სექტორი

- სადოქტორო განათლების დაფინანსება ბიზნესის მხრიდან სადოქტორო განათლებისა და სამეცნიერო კვლევების მდგრადობისათვის, თავად ბიზნესის სექტორის განვითარებისთვის.
- მონაწილეობა სადოქტორო პროგრამების განხორციელების პროცესში.

8. დამატებითი ინფორმაცია ღონისძიების შესახებ – ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის სადოქტორო განათლების საბჭოს 2009 წლის ლოზანის შეხვედრის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხ.: <http://www.eua.be/events/eua-cde-annual-meeting/programme>

ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის
სადოქტორო განათლების საბჭოს ლოზანის შეხვედრის
ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები

პლენარულ სხდომებზე გამომსვლელთა ძირითადი
დასკვნები/რეკომენდაციები/“გზავნილები“:

1. დოქტორანტურის ფილოსოფიური განზომილება

ალექსანდრე კვინტილინა, მოლექულური და უჯრედის ბიოლოგიის ინსტიტუტის
დირექტორი (პორტო, პორტუგალია)

- დოქტორანტურა არ არის მხოლოდ რეგულაციები, დოკუმენტები, რეცენზიები და ციფრები;
- დოქტორანტურა არის ძიების, დინამიური, შემოქმედებითი პროცესი;
- სამუშაო, შემოქმედებითი და კოლეგიალური ატმოსფერო;
- სამეცნიერო ხელმძღვანელისა და დოქტორანტის სისტემატური შეხვედრები, აქტუალური სამეცნიერო პრობლემატიკის ერთობლივი განხილვა დოქტორანტებისა და პროფესორების მიერ;
- სისტემატური დისკუსიები;

2. ევროპული დოქტორანტურა („გარედან დანახული“)

ბარბარა ევანსი, დიპლომისშემდგომი სწავლების ფაკულტეტის დეკანი,
ბრიტანული კოლუმბიის უნივერსიტეტი (კანადა)

- ღრმა და ვიწრო;
- შესაძლებელია იყოს ძალიან ხანმოკლეც;
- უფრო მეტად ჰგავს ავსტრალიურ დოქტორანტურას;
- უფრო ნაკლებად ჰგავს ამერიკულ და კანადურ დოქტორანტურას;
- არასაკმარისი „საკლასო სამუშაო“ (სტუდენტები არ არიან „სათანადოდ მომზადებული“);
- დიდი მრავალფეროვნება;

- ბოლონის პროცესის რეფორმების მიმდინარეობა სხვადასხვა დონეზე;
- კარგად დაფინანსებული (ქვეყნების ერთ ნაწილში მაინც...).

**3. თანამშრომლობითი (კოლაბორაციული) სადოქტორო განათლება:
უნივერსიტეტისა და ინდუსტრიის პარტნიორობა ცოდნის გენერირებისათვის
(ე. წ. DOC კარიერის პროექტი)**

ლიდია ბორელ–დამიანი, პროგრამის მთავარი მენეჯერი,
ევროპის უნივერსიტეტების ასოციაცია

**თორმეტი „მესიჯი“ თანამშრომლობითი (კოლაბორაციული) სადოქტორო პროგრამებისთვის –
ზოგადი პუნქტები ყველა პარტნიორისათვის.**

1. იმ ცოდნის/ტექნოლოგიების საჭიროებათა და გამოწვევათა განსაზღვრა, რომლებსაც სჭირდებათ კვლევისა და განვითარების დახმარება;
2. ცოდნის/ტექნოლოგიების გამოწვევების შესახებ მოსაზრებათა გაზიარება უნივერსიტეტის/ინდუსტრიისთვის;
3. კვლევისა და განვითარების, ასე ვთქვათ, საშუალო ხანგრძლივობის სტრატეგიის შემუშავება (მაგალითად, ხუთწლიანი);
4. მაღალი ხარისხის კვლევითი პროექტების მომზადება;
5. კვლევის ღირებულების დადგენა (კვლევის განფასება) და დაფინანსების წყაროების განსაზღვრა;
6. იმ სამეცნიერო-კვლევითი გარემოს შესახებ ინფორმაციის მოძიება, სადაც შესაძლებელია თანამშრომლობა (უნივერსიტეტი, ინდუსტრია);
7. სტუდენტებს, მკვლევარებსა და ბიზნესის ექსპერტებს შორის თანამშრომლობის დამყარებაში მონაწილეობა (კონფერენციები, ბაზრობა, და სხვ.);
8. მცირემასშტაბიანი ვიწრო სპეციალიზაციის ვორკშოპების/შეხვედრების ორგანიზება სხვადასხვა დარგისა და სექტორის ექსპერტების დაახლოების მიზნით;
9. სწორი (კვალიფიციური) საექსპერტო მომსახურების მოძიება;
10. დოქტორანტურის ფარგლებში თანამშრომლობის ფორმალიზება სტრუქტურისა და მოქნილობის კომბინირებით;
11. პირადი ურთიერთობების მიჩნევა აქტივად ორმხრივი ნდობის ჩამოსაყალიბებლად – უშუალო დიალოგის წარმოება;
12. მაღალი ხარისხის მიღწევა სადოქტორო განათლებაში, კვლევასა და მენეჯმენტში.

4. სადოქტორო პროგრამები ბიზნესთან თანამშრომლობით.
ინჟინერია და ტექნოლოგია („რენოსთან“ თანამშრომლობის მაგალითი)
გონზალო ჰენეკე, „რენოს“ კვლევისა და მოწინავე ტექნოლოგიების
განყოფილების უფროსი

- ANRT (Association Nationale Recherche Technologie, www.anrt.asso.fr) – საფრანგეთის „ტექნოლოგიური კვლევის ნაციონალური ასოციაცია“საშუალებას აძლევს ბიზნესის სექტორს (ინდუსტრიას) და სტუდენტებს, რომ მოიპოვონ ინფორმაცია მიმდინარე თანამშრომლობითი (კოლაბორაციული) სადოქტორო თემების შესახებ;
- საწარმოები სადოქტორო თემებს წარუდგენენ ANRT-ის აღმასრულებელ კომიტეტს. თითოეული კომპანია იბრძვის თავისი „კვოტისათვის“ ყოველ წელს;
- საწარმოს მიერ შევსებული აპლიკაცია მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: საკვლევი პრობლემის დეტალური, საფუძვლიანი აღწერა და კომპანიისათვის მისი მნიშვნელობის განსაზღვრა; კვლევის „სამეცნიერო ხელმძღვანელი“ საუნივერსიტეტო ლაბორატორია, რომელიც პასუხისმგებელია სადოქტორო დისერტაციის კვლევითი ნაწილის განხორციელებაზე;
- აღნიშნულ „ერთობლივ“ სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტების შერჩევა ხდება საწარმოსა და უნივერსიტეტის მიერ ერთობლივად;
- სპეციალური ხელშეკრულება იდება უნივერსიტეტსა და საწარმოს შორის;
- შერჩეულ დოქტორანტებს საწარმო ქირაობს სამი წლის ვადით და მათ უხდის მომავალი აკადემიური ხარისხის შესაბამისი ხელფასის 80 %-ს.

5. ევროპული მეცნიერება 2030 წელს.

ჯონ ვუდი, ევროპული სამეცნიერო-კვლევითი სივრცის
ბორდის (ERAB) თავმჯდომარე

ევროპული სამეცნიერო-კვლევითი სივრცის ბორდის (ERAB) მანდატი და როლი

- ევროპული უნივერსიტეტების მოდერნიზაცია – რამდენმა უნივერსიტეტმა შეიძლება მოიპოვოს მხარდაჭერა საერთაშორისო დონეზე?
- სახელმწიფო და კერძო სექტორის მიერ დაფინანსებული კვლევების თანაფარდობის ოპტიმიზაცია – „ღია ინოვაცია“;
- ცოდნის თავისუფლება;
- მოქალაქეთა ინფორმირება კვლევების მიზნების შესახებ – კვლევების მნიშვნელობის

დასაბუთება გადასახადების გადამხდელთათვის;

- ევროპის სამეცნიერო-კვლევითი სივრცის (ERA) როლი გლობალურ გარემოში.

მომავალი არ არის ის, რაც უნდა იყოს! მივცეთ საშუალება ახალგაზრდა ხალხს, თავად მართონ თავიანთი მომავალი.

- კვლევა არის გლობალური – რისი გაკეთება შეუძლია პატარა ევროპას?
- დიადი გამოწვევების წინაშე ვდგევართ – როგორია მცირემასშტაბიანი კვლევის როლი?
- ძალიან ბევრი უნივერსიტეტია კრიტიკულ მდგომარეობაში. რამდენმა მათგანმა შეიძლება მოიპოვოს მხარდაჭერა საერთაშორისო დონეზე?

„სილაში თავის ჩარგვა“ – status quo მიუღებელია!

- კვლევების სამყარო იცვლება;
- ჯერ კიდევ საჭიროა მიდგომა „ქვემოდან ზემოთ“ (bottom up), მაგრამ...
- სამყაროს წინაშე არსებული გამოწვევები იმდენად გლობალურია, რომ ჩვენ უნდა ვაკონტროლოთ, როგორ ვზრდით (ვწვრთნით) ხალხს, რათა მოერგონ დიდ გუნდს ისე, რომ შეინარჩუნონ თავიანთი ინდივიდუალობა და იდენტობა, რათა არსებობდეს სივრცე თითოეული ინდივიდის კრეატიულობისთვის.

აქტუალური პრობლემები.

- კვლევის გლობალიზაცია;
- ელექტრონული კვლევის (e-research) რეალური გავლენა;
- დიდი (ვრცელი) კვლევითი ინფრასტრუქტურის გავლენა;
- რა დონემდე უნდა მივიჩნიოთ სტუდენტი/მკვლევარი დიდი მანქანის ერთ ჭანჭიკად?
- სად არის აქ კრეატიულობა?

მეტი აღარ გვინდა „ერთი ტექნიკა ერთ ადგილას!“

- მრავალი კვლევითი სივრცე მოითხოვს მულტი-ტექნიკურ მიდგომას;
- არ არის აუცილებელი, რომ მომხმარებელი ამ ტექნიკის ექსპერტი იყოს (მაგალითად, ბიოლოგები აგზავნიან ნიმუშებს და იღებენ მონაცემებს შორიდან);
- GRID-ი საშუალებას მისცემს ცალკეულ მეცნიერებს, რომ რეალურ დროში აკონტროლონ ექსპერიმენტი.

ევროპული სადოქტორო განათლება მომავალში.

- სტუდენტებმა საკმაოდ დიდი დრო უნდა გაატარონ ბოლონიის პროცესის მონაწილე სხვა ქვეყანაში;
- კვლევის მნიშვნელობა გლობალური გამოწვევებისათვის უნდა იქნას გააზრებული;
- არსებითია, რომ მკვლევარებმა გაიაზრონ კავშირი მტკიცებულებას – პოლიტიკას – რეგულაციას – იმპლემენტაციას შორის;

- აკმაყოფილებს თუ არა აკადემიური პერსონალი მოთხოვნებს?

დანართი 2

სამუშაო ჯგუფი # 1.

ხელმძღვანელობა სტრუქტურირებულ პროგრამებში.

არსებობს ხელმძღვანელობის სხვადასხვა მოდელები: ტრანსპარენტული და ინკლუზიური.

- არა აქვს მნიშვნელობა რამდენი ადამიანი არის ჩართული, მთავარია გათვალისწინებული იქნას ხარისხიანი დისერტაციის შექმნის საჭიროებანი და მოთხოვნები;
- თანახელმძღვანელების გამოყენება სამეცნიერო-კვლევითი გარემოსათვის შესაფერისი გზით;
- ე. წ. „პოსტ-დოკების“ მნიშვნელობის გაძლიერება და კვალიფიკაციის ზრდა ხელმძღვანელობისათვის საჭირო გამოცდილების გაზიარების მიზნით.

შეთანხმება ხელმძღვანელობაზე.

- სამივე მხრიდან (იგულისხმება: დოქტორანტი, ხელმძღვანელი, უნივერსიტეტი) არსებული მოლოდინების გათვალისწინება;
- როგორ ვიპოვოთ კომპრომისი რეგულაციასა და შთაგონებას შორის.

წახალისება-დაჯილდოება vs. რეგულაცია/სანქცია.

- ადეკვატური წახალისების ფორმების მოძიება.

ხელმძღვანელობის კულტურის ჩამოყალიბება.

- ხელმძღვანელთა პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა;
- ახალგაზრდა კადრების კვალიფიკაციის ამაღლება.

სამუშაო ჯგუფი # 2.

სამეცნიერო-კვლევითი კარიერა (დასაქმება).

კარიერა და პიროვნული განვითარება.

- უნივერსიტეტისა და მკვლევრის ერთობლივი პასუხისმგებლობა, რომ დოქტორანტი უზრუნველყოფილ იქნას მხარდაჭერით, კონსულტაციით, ხელმძღვანელობით და მენტორობით.

ტრანსფერული უნარები.

- არა მხოლოდ არა-აკადემიური კარიერისთვის, არამედ ზოგადი უნარები საუნივერსიტეტო კარიერისთვისაც.

დოქტორანტების „კვალში ჩადგომა“.

- ინფორმაციის შეგროვება, თუ სად მიდიან, რას აკეთებენ, არიან თუ არა ბედნიერი და ა. შ. – ეს ეხება იმათაც, ვინც სწავლას თავი დაანება და დისერტაცია არ დაუსრულებია.
- უნივერსიტეტებმა ამ საქმეში უნდა ჩადონ ინვესტიცია ადამიანური და მატერიალური რესურსების სახით.

ტერმინოლოგია დღემდე პრობლემატურია – „ლექსიკონი“ გვჭირდება.

სამუშაო ჯგუფი # 3.

ინტერნაციონალიზაცია.

რა არის ინტერნაციონალიზაცია?

- ინტერნაციონალიზაცია განუყოფელია კვლევისაგან, მისი დარგობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით;
- ფოკუსირება პარტნიორობაზე.

როგორ ახდენთ საერთაშორისო თანამშრომლობის ინიცირებას.

- მიდგომა ქვემოდან ზემოთ (bottom up);
- ზემოდან ქვემოთ (top down), სტრატეგიული მიდგომა;
- რატომ – ფული, კვლევა, ალტრუიზმი?
- ვისთან ერთად?
- თქვენ უნდა დაუმატოთ „მესამე ინგრედიენტი“: ფინანსები.

შემდგომი ნაბიჯი.

- ნუ ჩქარობთ!

დაფინანსება.

- პირდაპირი ხარჯები – ხელფასები, მგზავრობა და სხვ.;
- არაპირდაპირი ხარჯები – ადმინისტრირება და მხარდაჭერა.

პარტნიორობის ბუნება.

- მოქნილობა;
- მას მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ინდივიდუალური დოქტორანტისთვის – უნდა წავახალისოთ, მაგრამ სავალდებულო არაა;

დისკუსიის ნაკლებობა საერთაშორისო პროგრამების ხელმძღვანელებს (ლიდერებს) შორის.

- უწყვეტობა მნიშვნელოვანია;
- საჭიროა სახელმძღვანელო, მეთოდური მითითებანი – კარგი მაგალითების შერჩევა (როგორ შევაფასოთ აპლიკაციები?) და იურიდიული ასპექტის გააზრება – სადოქტორო განათლების საბჭოს ახალი ინიციატივა;
- უახლესი ინფორმაციის გაცვლა.

სამუშაო ჯგუფი # 4.

კვლევის შეფასება და სადოქტორო განათლება.

კვლევის შეფასება უკავშირდება შინაარსს: შედეგებს, გარემოს, გავლენას (ზემოქმედებას) და დაფასებას.

- ეს უპირისპირდება ხარისხის უზრუნველყოფას, რაც უკავშირდება პროცესებს;
- სადოქტორო განათლების მიზანი არის აიძულოს დოქტორანტები ისწავლონ ორიგინალური კვლევის პროცესში, რათა განავითარონ თავიანთი კრეატიულობა, ინოვაციური პრაქტიკა, დამოუკიდებლობა და მოემზადონ სხვადასხვა კარიერისთვის.

სადოქტორო განათლების შეფასება ჩართულ უნდა იქნას კვლევის რეგულარული შეფასების პროცესში.

- ანგარიშვალდებულება და კავშირი სადოქტორო პროგრამების მდგრადობასთან.

სამეცნიერო-კვლევითი გარემოს, გავრცელების, დანიშნულების მნიშვნელობა.

- მაღალი ხარისხის სამეცნიერო-კვლევითი გარემოს შექმნა;
- კვლევის შედეგები;
- კარიერის განვითარება.

სამუშაო ჯგუფი # 5.

მონაცემების შეგროვება სადოქტორო პროგრამების შესახებ.

მონაცემების შეგროვება მნიშვნელოვანია ანგარიშვალდებულებისათვის.

- კონსენსუსის მიღწევა ამის საჭიროებაზე.

დიდი განსხვავებები ქვეყნებს შორის.

- ერთი მხრივ: „არ არის ფული, არ არის მონაცემები“, მეორე მხრივ, მიიღება გარკვეული ზომები, რომ მოხდეს გარკვეული ინფორმაციის შეგროვება;
- მონაცემთა შეგროვების პრაქტიკა სწრაფად ვრცელდება.

ტერმინოლოგია.

- რა არის სტრუქტურირებული პროგრამა?

რეგულაციისა და სტატისტიკის მიმართება.

- მაგალითად, დოქტორანტების მაქსიმალური რაოდენობა, რომლის ხელმძღვანელობაც შეუძლია პროფესორს.

სამუშაო ჯგუფი # 6.

ქსელების მნიშვნელობა ევროპული სადოქტორო განათლებისთვის.

როგორ და რატომ უნდა ჩაერთონ უნივერსიტეტები ქსელებში.

- მიზანი – დამატებითი ღირებულება (არამატერიალური) – ქსელი არის ინსტრუმენტი და არა მიზანი;
- როგორ დავიწყეთ – საერთო საფუძველი;
- როგორ მუშაობენ – ინსტრუმენტები, სტრუქტურები, პოლიტიკის როლი.

უნივერსიტეტები მოქმედებენ ბევრ სხვადასხვა დონეზე ქსელების გამოყენებით.

- ინსტიტუციურ დონეზე (თავად უნივერსიტეტის შიგნით, მაგალითად, იქმნება დოქტორანტების ქსელები);
- ეროვნული;
- საერთაშორისო.

დარგობრივი ქსელები.

- კრიტიკული მასა;
- საერთო (ერთობლივი) კურსების შეთავაზება.
- საერთო მეთოდური სახელმძღვანელოების შექმნა – იურიდიული დაბრკოლებების თავიდან ასაცილებლად.

ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის სადოქტორო განათლების საბჭოს როლი.

- ერთობლივი პროგრამების „მეთოდური მითითებანი“ (guidelines) შექმნა;
- ქსელების შექმნა;
- დაფინანსების მოზიდვაში საუკეთესო გამოცდილების გაზიარება;
- სადოქტორო განათლების საბჭოს ქსელის ახალი ამბები.

ზოგადი დასკვნები

მესამე საფეხურის განათლების სპეციფიკის საერთო მახასიათებლები.

- მოქნილობა და თითოეული დოქტორანტის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება (დასაქმებით დაწყებული ინტერნაციონალიზაციით დამთავრებული);
- სწავლებისა და კვლევის ორმაგი ასპექტი გავლენას ახდენს ინსტიტუციურ სტრუქტურებსა და სტრატეგიებზე;
- უფრო მკაფიო ტერმინოლოგიის საჭიროება, რომელიც უფრო შეესაბამება სადოქტორო განათლების ბუნებას.

... რაც უფრო წინ მივდივართ, ჰორიზონტი მით უფრო გვშორდება.

მომავლის კომპეტენციები

თინათინ ზურაბიშვილი & აბდულ კახიძე

23-24 ოქტომბერი 2009, ვარშავა, პოლონეთი

1. სემინარის პროგრამა

Thursday, 22 October 2009

18.30 – 19.30 Welcome Reception

1st Day (Friday, 23 October 2009)

09.30 - 09.45 Welcome by the Hosting University

Prof. Marta Kicińska-Habior, Vice-rector for Student Affairs, University of Warsaw

09.45 - 10.00 Introduction to the seminar and its intended learning outcomes on behalf of the UNICA-Brussels Education Services Consortium Jolanta Urbanikowa, University of Warsaw

10.00 - 10.45 Welcome and Latest information on the Higher Education Reform Project by Lene Oftedal and Ruurd Wallis de Vries, European Commission and Klaus Haupt, Education, Audiovisual and Culture Executive Agency, incl.

- Tempus involvement by Klaus Haupt
- ECTS and DS labels by Ruurd Wallis de Vries
- Green Paper on Learning Mobility by Lene Oftedal

10.45 - 11.30 1st Keynote speech followed by a Q&A session: University Strategies in the field of Competences for the Future Melita Kovacevic, University of Zagreb

11.30 – 12.00 Coffee break and poster session

12.00 – 13.00 2nd Keynote speech followed by a Q&A session: Enterprises and Competences for the Future

Diem Ho, Manager of University Relations for IBM Europe, Middle East and Africa

13.00 – 14.15 Lunch and poster session

14.15 – 17.30 Group discussions: 5 parallel groups on the following topics:

1. Work Placements: session chaired by Jolanta Urbanikowa, with the contribution of Els van der Werf, Hanze University Groningen.
2. The Dialogue with the Stakeholders: session chaired by Diem Ho, with the contribution of Monika Domańska, Cracow University of Technology.
3. University Strategies – Shaping Policies: session chaired by Melita Kovacevic, University of Zagreb, with the contribution of David Coyne.

4. Skills Upgrading and Curriculum Development: session chaired by Fiona Hunter, Carlo Cattaneo University (Castellanza), with the contribution of Roland Sommer, Federation of Austrian Industries.

5. Mobility and Skills: session chaired by Torbjørn Grønner, University of Oslo, with the contribution of Marek Frankowicz, Jagiellonian University Krakow.

17.30 Closure 1st day

17.30 – 18.30 Poster session

2nd Day (Saturday, 24 October 2009)

09.00 – 10.30 Panel Discussion with representatives from labour market: The role of the Bologna and Higher Education Reform expert vis-a-vis the labour market and the Lisbon Agenda. With the participation of Mr. Krzysztof Chelpinski, Polish Federation of Employers, Mr. Bartłomiej Banaszak, Parliament of Polish Students and ESU Board Member, Mr. Wojciech Szewko, Business Centre Club, Mrs. Melita Kovacevic, University of Zagreb and Mr Roland Sommer, Federation of Austrian Industries.

10.30 – 11.00 Coffee break

11.00 – 12.00 ‘Your time slot’: this session will provide participants with an open opportunity to address the plenary with some burning issues related to Competences for the Future and the role of the Bologna / Higher Education Reform experts (new constructive ideas and proposals, innovative practices, topics of interest, etc.)

12.00 - 12.30 concluding session

2. მონაწილეები:

სემინარს დაეწრო დაახლოებით 120 ბოლონიის ექპერტი და ამასთან წარმომადგენლები სხვადასხვა ქვეყნებიდან, რომლებიც ჯერ არ შეერთებიან ბოლონიის პროცესს. საქართველოს მხრიდან 2 მონაწილე ესწრებოდა სემინარს, აბდულ კახიძე (ბათუმი) და თინათინ ზურაბიშვილი (თელავი).

3. სემინარის ძირითადი გზავნილები:

უნივერსიტეტებმა უნდა უზრუნველყონ სტუდენტისთვის თანამედროვე საბაზრო მოთხოვნების შესამაბისი კვალიფიკაციების და ცოდნის მიწოდება.

დისკუსიები იმართებოდა ამ პრობლემატიკის აღმოსაფხვრელი გზების ძიების მიზნით. მნიშვნელოვანია, რომ ე.წ. “world of work” – ის წარმომადგენლებიც აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას ამ განხილვებში, ასევე წარმოდგენილი იქნა რამოდენიმე კვლევითი პროექტის დასკვნა ამ თემატიკის გარშემო.

4. სემინარის რელევანტურობა საქართველოსთვის

საქართველოსთვის, ისევე როგორც ბოლონის პროცესში გაწევრიანებული ყველა ქვეყნისთვის, მეტად აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს უმაღლეს დამთავრებულთა დასაქმება; საქართველოსთვის სავარაუდოდ მეტად პრობლემატურიც არის, ვიდრე ევროპის სხვა ქვეყნებისთვის. გამოსავალი, პოტენციური დამსაქმებლების და ბიზნეს სექტორის მეტი ჩართულობა უნივერსიტეტებში საგანმანათლებლო პროგრამების ფორმირებისას.

ამ სემინარის ძირითადი გზავნილი და რეკომენდაციაა სათანადო დიალოგის დაწყება:

- ✓ რადგან ზუსტად დასაქმებულთა რაოდენობის აღრიცხვა პრობლეტურია, უნივერსიტეტებს უნდა მიეცეთ უფლება განავრცონ განხილვებზე მიღებული შედეგები.
- ✓ ხშირად განახლებადი და თანამედროვე დაფინანსებადი სწავლების მიუხედავად უნდა გავიაზროთ, რომ ვერც ერთ სასწავლო პროგრამას ვერ შესწევს უნარი სტუდენტი მოამზადოს ყველა იმ მრავალმხრივი უნარჩვეთ, რაც მას სრულად უზრუნველყოფს პროფესიული კარიერის მანძილზე. ამისათვის იქმნება სპეციალური პროგრამული/პროფესიული გადამზადების ცენტრები და კურსები, რომლებიც დაეხმარებიან სტუდენტს/კურსდამთავრებულს მოერგონ თანამედროვე მოთხოვნებს.
- ✓ მთავარი როლი, რაც უნივერსიტეტს ეკისრება, არის საზოგადოებისთვის კრიტიკული აზროვნების მქონე აქტიური მოქალაქის აღზრდისა და ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

საქართველოსთან დაკავშირებით კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი აღმოჩნდა ხარისხის უზრუნველყოფის მოთხოვნების შეტანის შესაძლებლობა სამუშაო ხელშეკრულებაში. თუმცა ჩვენ ჯერ არ ვართ დაახლოებული ამ კონცეფციასთან, მაგრამ ეს პროცესი მალე დაიწყება და განვითარებას პოვებს ბოლონის პროცესში გაწევრიანებულ ქვეყნებს შორის.

5. საქართველოზე საუბრისას საწყის წერტილად უნდა ჩავთვალოთ შემდეგი:

უნივერსიტეტებმა უნდა შექმნან სტუდენტების საინფორმაციო ბაზა, რითაც მუდმივად შეძლებენ თვალყურის ადევნონ მათი სტუდენტების პროფესიული განვითარების გზას. განსაკუთრებით საინტერესოა, თუ როგორ იყენებენ სტუდენტები უნივერსიტეტის მიერ მიწოდებულ ცოდნას და რამდენად ხარისხიან და გამოსადეგ განათლებას ღებულობენ ისინი.

ჯერჯერობით ამგვარი ინფორმაცია მიუწვდომელია ქართული უნივერსიტეტებისთვის, რამოდენიმე კერძო უმაღლესი სასწავლებლის გამოკლებით. სტუდენტების პროფესიული განვითარების ისტორიის შეგროვებასთან ერთად უნივერსიტეტები უნდა იყვნენ დაინტერესებულნი ასევე უნივერსიტეტის შემდგომი საგანმანათლებლო პროგრამების

(მოკლევადიანი კურსები, ტრენინგები და ა.შ.) შექმნითა და განახლებით, რომელიც შესაძლებელია საკუთარი კურსდამთავრებულ-თათვისაც საინტერესო აღმოჩნდეს.

მეორე მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება მუდმივი დიალოგი და კავშირები აკადემიური პროგრამების წარმომადგენლებსა და დამსაქმებლებს შორის, რათა განუწყვეტელ რეჟიმში მოხდეს ინფორმაციის გაცვლა პოტენციური დამქირავებლებსა და უნივერსიტეტებს შორის, თუ რა კრიტერიუმებით ხდება დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის შეფასება.

- აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კურიკულუმის შემუშავებისას უმჯობესი იქნება პროგრამა არ იყოს ძალიან ვიწროდ სპეციალიზირებული, არამედ მისცეს სტუდენტს განვითარების საშუალება.
- წინასწარ შეუძლებელია იმის გარკვევა, თუ სად (რომელ ორგანიზაციაში) ცდის ბედს კურსდამთავრებული, თუმცა მათ უნდა მიეცეთ თვითგამოვლენის მაქსიმალური საშუალება.

წინა საკითხთან კავშირშია ასევე – უმაღლესი განათლების შესახებ კანონის მოთხოვნებიც, რომლებიც ითხოვენ დოქტორის აკადემიური ხარისხის ქონას, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ლექციების წასაკითხად. საქართველოში არის ისეთი სპეციფიკური განხრები, რომლებიც უმჯობესია პრაქტიკული გამოცდილების მქონე ლექტორებმა წაიკითხონ, ვიდრე აკადემიურმა საზოგადოებამ, ასეთებია (მეღვინეობა, ტურიზმი, ჟურნალისტიკა და ა.შ.).

საჭიროა მეტი ყურადღება დაეთმოს სწავლის შედეგებზე ორიენტირებას, როგორც სასწავლო კურსების, ასევე აკადემიური პროგრამების განხრით.

ასევე უნივერსიტეტებისთვის რეკომენდირებულია ზრდასრულთა განათლების პროგრამების შემუშავება, იმ სფეროებში, რომელიც მაღალი მოთხოვნით გამოირჩევიან – ამ პროგრამებს შესაძლოა შევუსაბამოთ კრედიტებიც.

და ბოლოს, მნიშვნელოვანია მოიძებნოს გამოსავალი სტაჟირების/პრაქტიკის პრობლემების გადასაწყვეტად, როგორც ორგანიზაციულ საკითხებთან დაკავშირებით, თუ სად განთავსდებიან სტუდენტები სტაჟირებაზე/პრაქტიკაზე. ასევე მნიშვნელოვანია პირობები, რომელშიც უნდა იმყოფებოდნენ სტუდენტები სტაჟირების/პრაქტიკის პერიოდში.

დღესაც, სხვადასხვა უნივერსიტეტები უხდიან ორგანიზაციებსა თუ დაწესებულებებს, რათა მათი სტუდენტები განთავსდნენ მათ ბაზაზე სტაჟირებისა და პრაქტიკის გასავლელად. მაგალითად – სკოლებში, პედაგოგიკის სტუდენტთათვის, ამასთან დამატებით უხდიან კონკრეტულ ლექტორებს სტაჟირების და პრაქტიკის ხელმძღვანელობისთვის. შწორი იქნებოდა, რომ უნივერსიტეტი უხდიდეს მხოლოდ ხელმძღვანელს, და არა ორგანიზაციას სადაც სტუდენტები გადიან სტაჟირება/პრაქტიკას, რადგან თვით ორგანიზაციების თავის მხრივ დაინტერესებულნი უნდა იყონ პრაქტიკანტი სტუდენტების მიღებით, მათი სახით ისინი უფასო ან მინიმალური ანაზღაურების მქონე დამხმარე მუშა ხელს იღებენ. ამგვარი სისტემა სტუდენტთა მომავალი დასაქმების წინაპირობადაც შეიძლება ჩაითვალოს.

6. სემინარის მსვლელობისას შემდგარი პრეზენტაციები

ამ სემინარის შესახებ დეტალური ინფორმაციისა და პრეზენტაციების მოსაძიებლად იხილეთ ბმული <http://warsaw2009.bolognaexperts.net/>

სადოქტორო პროგრამების სტრუქტურირება

ორინე დარჩია

10–11 დეკემბერი 2009, ზაგრები, ხორვატია

1. ლონისძიების ორგანიზატორი. ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის სადოქტორო განათლების საბჭო (EUA-CDE), ზაგრების უნივერსიტეტი (ხორვატია).

2. ლონისძიების პროგრამა.

Thursday, 10 December 2009

9:00 – 10:30 **Welcome address and Keynote speech**

Melita Kovacevic, Vice-Rector for Science and Technology, University of Zagreb, Croatia and EUA-CDE Steering Committee Member

Chair: Jean Chambaz, Vice President for Research, Pierre et Marie Curie Faculty of Medicine, France and EUA-CDE Steering Committee Chair

Daniel Denecke, Director of Best Practices at the Council of Graduate Schools (CGS), United States

11:00 – 13:30 **Working Group Session I**

WG 1: How and why to attain critical mass?

Chair: Jean Chambaz, Vice President for Research, Pierre et Marie Curie Faculty of Medicine, France and EUA-CDE Steering Committee Chair

Hans Lindquist, Vice Dean of the Faculty of Humanities and Social Sciences, Växjö University, Sweden

WG 2: How to balance the tasks of doctoral candidates?

Chair: Thomas Ekman Jørgensen, Head of Unit, Council for Doctoral Education, EUA

Verity Elston, Deputy Dean, Ecole Polytechnique Fédérale de Lausanne, Switzerland

WG 3: What needs to be structured?

Chair: Melita Kovacevic, Vice-Rector for Science and Technology University of Zagreb, Croatia and EUA-CDE Steering Committee Member

Helmut Brentel, Executive Director, Johann-Wolfgang-Goethe-Universität Frankfurt-am-Main, Germany

14:30– 17:00 **Working Groups Session II**

WG 4: The role of structured programmes at different institutional levels

Chair: María Morrás Ruiz-Falcó, Vice Rector for International Relations, Universitat Pompeu Fabra, Spain and EUA-CDE Steering Committee Member

Katja Breskvar, Head of Doctoral School, University of Ljubljana, Slovenia

WG 5: How to balance creativity and structure?

Chair: Berit Rokne, Professor, Section for Nursing Science, University of Bergen, Norway and EUA-CDE Steering Committee Member

Christiane Wüllner, Central Coordination, Officer, Ruhr-Universität Bochum, Germany

WG 6: Building a research community

Chair: Amélie Mummendey, Professor of Social Psychology Friedrich Schiller University Jena, Germany and EUA-CDE Steering Committee Member

Gerold Baier, Lecturer in System Biology, University of Manchester, United Kingdom

Friday, 11 December 2009

9:00 - 10:30 **Working Groups Reports**

Chair: Alexandra Bitusikova, Senior Adviser, Council for Doctoral Education, EUA

11:00– 12:30 Plenary discussion of recommendation and follow-up

12:30 **Closure and lunch**

3. ღონისძიების მონაწილეები.

ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის სადოქტორო განათლების საბჭოს მეორე სემინარში მონაწილეობის უფლება ჰქონდათ მხოლოდ აღნიშნული საბჭოს წევრი ორგანიზაციების წარმომადგენლებს, რის გამოც მონაწილეთა რაოდენობა შეზღუდული იყო. სემინარში მონაწილეობდა 28 ქვეყნის მხოლოდ 70 წარმომადგენელი.

ტემპუსის ეროვნული ოფისის დაფინანსებით, ღონისძიებაში საქართველოდან მონაწილეობა მიიღო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, როგორც აღნიშნული საბჭოს სრულუფლებიანმა და ერთადერთმა წევრმა საქართველოდან.

4. ღონისძიების მიზნები, ამოცანები და შედეგები.

ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის სადოქტორო განათლების საბჭოს ზაგრების სემინარი მიზნად ისახავდა: ბოლონის პროცესის მონაწილე ქვეყნებში სადოქტორო პროგრამების სტრუქტურირების პროცესში წამოჭრილი აქტუალური პრობლემების მიმოხილვას და მათი გადაჭრის გზების ძიებას, წარმატებული უნივერსიტეტების გამოცდილების გაზიარებას და მის საფუძველზე გარკვეული დასკვნებისა და რეკომენდაციების შემოთავაზებას.

პლენარულ სხდომებზე მსჯელობა და დისკუსია შემდეგი ძირითადი მიმართულებებით წარიმართა (პლენარული სხდომების მასალები იხ.: <http://www.eua.be/events/second-eua-cde-workshop/presentations/>):

- ამერიკის სამაგისტრო და სადოქტორო განათლების სკოლების საბჭოს (council of graduate schools) გამოცდილების გაზიარება;
- საუკეთესო სტუდენტების მოზიდვის მნიშვნელობა სადოქტორო განათლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის;
- სადოქტორო ნაშრომების დროულად დაცვის, ანუ სადოქტორო განათლების სტრუქტურირებულად წარმართვის მნიშვნელობა;
- დოქტორანტებისათვის კარგი სასწავლო და კვლევითი გარემოს შექმნის მნიშვნელობა;
- „ცვლილებათა კულტურის ფორმირება“ (building culture for change).

გარდა პლენარული სხდომებისა, ფუნქციონირებდა 6 პარალელური სამუშაო ჯგუფი:

- როგორ და რატომ უნდა მივაღწიოთ კრიტიკულ მასას;
- როგორ დავაბალანსოთ დოქტორანტების ამოცანები;
- რისი სტრუქტურირება უნდა მოხდეს;
- სტრუქტურირებული პროგრამების როლი სხვადასხვა ინსტიტუციურ დონეზე;
- როგორ დავაბალანსოთ შემოქმედებითი მიდგომა და სტრუქტურა;
- სამეცნიერო–კვლევითი საზოგადოების ფორმირება.

შეხვედრის თითოეულ მონაწილეს საშუალება ჰქონდა, მონაწილეობა მიეღო ორი სამუშაო ჯგუფის მუშაობაში (სამუშაო ჯგუფების მასალები იხ.: <http://www.eua.be/events/second-eua-cde-workshop/presentations/>): ბოლო სექციაზე წარმოდგენილი იქნა პარალელური სამუშაო ჯგუფების დასკვნები და რეკომენდაციები თითოეული ჯგუფის ძირითადი სამუშაო პრობლემის ირგვლივ (იხ.: http://www.eua.be/fileadmin/user_upload/files/Newsletter_new/Structuring_Doctoral_Education_conclusions_ppt.pdf; ქართული თარგმანისთვის იხ.: დანართი 1).

5. ღონისძიების რელევანტურობა საქართველოსთვის.

ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის სადოქტორო განათლების საბჭოს ზაგრების სემინარზე დასმული და განხილული საკითხების აბსოლუტური უმრავლესობა სავსებით ეხმიანება იმ სტრუქტურული, შინაარსობრივი და ეკონომიკური ხასიათის პრობლემებს, რომელთა წინაშეც საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები დგანან სტრუქტურირებული სადოქტორო პროგრამების ფორმირების პროცესში, რასაც მოწმობს ზაგრების სემინარის საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები.

როდესაც საქართველოში სადოქტორო განათლებაზე და ევროპულ დოქტორანტურასთან მის

მიმართებაზე ვსაუბრობთ, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას შემდეგი:²

ევროპული დოქტორანტურის უპირატესობა:

- სადოქტორო განათლების დაფინანსების მდგრადი სისტემა (სხვადასხვა სისტემა: უნივერსიტეტის, კვლევის, დოქტორანტის დაფინანსება);
- დოქტორანტების სოციალური გარანტიები (დამოკიდებულია ქვეყანაზე...);
- დაფინანსებულ კვლევებზე დაფუძნებული სადოქტორო პროგრამები;
- თანამედროვე, მუდმივად განახლებადი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (ლაბორატორიები, ბიბლიოთეკები, ელექტრონული რესურსები და სხვ.);
- სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის ფართომასშტაბიანი მობილობა;
- a priori ნდობისა და პრესტიჟის არსებობა „ძველი ევროპის“ უნივერსიტეტების მიმართ.

ევროპული და ქართული დოქტორანტურის მსგავსი პრობლემები:

- ახალი ტიპის, ბოლონის მოთხოვნების შესაბამისი, ე. წ. სტრუქტურირებული სადოქტორო პროგრამები ფორმირების პროცესში;
- მრავალი პასუხგაუცემელი კითხვა დოქტორანტურის სტრუქტურისა და შინაარსის შესახებ;
- დოქტორანტურის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული პრობლემები;
- სამეცნიერო კვლევების შეფასების სისტემა ფორმირების პროცესში;
- სადოქტორო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ფორმირების პროცესში;
- დაბრკოლებები სადოქტორო განათლების ეროვნული და საერთაშორისო ქსელების შექმნის პროცესში;
- ერთობლივი ხარისხების გაცემასთან დაკავშირებული კითხვები და იურიდიული პრობლემები და სხვ.

7. ღონისძიების საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც დაეფუძნა პლენარული სხდომების პრეზენტაციებსა და დისკუსიებს, სამუშაო ჯგუფების საბოლოო დასკვნებსა და რეკომენდაციებს.³

²ვიმეორებ ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის სადოქტორო განათლების საბჭოს ლოზანის შეხვედრის მასალებისა და რეკომენდაციების საფუძველზე შემუშავებული ანგარიშის დასკვნას (ივნისი, 2009 წ.), რომელიც დღემდე აქტუალურია.

³ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის სადოქტორო განათლების საბჭოს ლოზანის შეხვედრის საფუძველზე შემუშავებულ რეკომენდაციებს დღემდე არ დაუკარგავთ აქტუალობა (დეტალურად იხ.: <http://www.tempus.ge/ge/news6.html>), მაგრამ ზაგრების სემინარის საფუძველზე წარმოვადგენ მხოლოდ იმ რეკომენდაციებს, რომლებიც ეხება სტრუქტურირებულ სადოქტორო პროგრამებთან დაკავშირებულ პრობლემებს და მათი მოგვარების გზებს.

ზოგადი რეკომენდაციები ინსტიტუციებს და სახელმწიფო სტრუქტურებს

1. სადოქტორო განათლების დაფინანსება საფაკულტეტო, ინსტიტუციურ და ეროვნულ დონეზე, სადოქტორო განათლების მაღალი ხარისხის და მისი მდგრადობის უზრუნველსაყოფად;
2. ინსტიტუციური, რეგიონული, ეროვნული და საერთაშორისო სტრატეგიის შემუშავება მთელი ევროპის მასშტაბით სტრუქტურირებული სადოქტორო პროგრამების შემდგომი განვითარების მიზნით;
3. სადოქტორო განათლების საუნივერსიტეტო სტანდარტის შემუშავება, რომელიც დაეფუძნება სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ მინიმალურ მოთხოვნებს მაინც;
4. სამეცნიერო საზოგადოების შიგნით არსებული ფორმალური თუ არაფორმალური კომუნიკაციის გაუმჯობესება ინსტიტუციურ და ეროვნულ დონეზე;
5. შიდა საუნივერსიტეტო სადოქტორო პროგრამების, ფაკულტეტაშორისი და უნივერსიტეტებშორისი ქსელების შექმნა და მათი ეფექტური ამოქმედება;

კონკრეტული რეკომენდაციები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს

6. კვლევითი პრიორიტეტების განსაზღვრა უსდ–ს ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე;
7. კვლევით ჯგუფებში წარმოებული კვლევების მხარდაჭერა (**განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ამ მკვლევითი პროექტის ბაზაზე გათვალისწინებულია სადოქტორო პროგრამის განხორციელება და დოქტორანტების მომზადება**);
8. სადოქტორო პროგრამების შემუშავების და მათი განხორციელების დროს კვლევითი კომპონენტის მნიშვნელობის გათვალისწინება (იგულისხმება: კვლევით ჯგუფში მუშაობა, მის ფარგლებში ინდივიდუალური კვლევის წარმოება, სამეცნიერო ხელმძღვანელთან დოქტორანტის სისტემატური კონტაქტი, კვლევის წინასწარი დაგეგმვა და ამ გეგმის განხორციელების მუდმივი მონიტორინგი);
9. სასწავლო კომპონენტში ისეთი კურსების შეთავაზება, რომლებიც მიზნად ისახავს დოქტორანტს ცოდნის გაღრმავებას, სწავლებისა და კვლევის თანამედროვე მეთოდების დაუფლებას, იმ ტრანსფერული (ზოგადი) უნარების შეძენას, რაც მას მომავალ პროფესიულ საქმიანობაში გამოადგება;
10. სადისერტაციო ნაშრომების დაგეგმილ ვადებში დასრულების ხელშეწყობა და

დოქტორანტების სასწავლო და კვლევითი პროცესის სისტემატური მონიტორინგი, თვითშეფასების პროცესის საფუძველზე;

11. დოქტორანტების კრიტიკული მასის მიღწევა ინტერდისციპლინურ გარემოში სწავლებითა და კვლევით;
12. ისეთი სადისერტაციო საკვლევი თემატიკის (კვლევითი პროექტების) შეთავაზება დოქტორანტებისთვის, რომელიც იძლევა დამოუკიდებელი კვლევის წარმოების საშუალებას;
13. დოქტორანტურაში სწავლის პერიოდში დოქტორანტების აქტიური ჩართვა სამეცნიერო დისკუსიებში;
14. დოქტორანტის მიერ პროფესორის ასისტენტობა როგორც სწავლების, ისე კვლევის პროცესში, როგორც დოქტორანტის პროფესიული განვითარების საშუალება, მისი სადისერტაციო ნაშრომის კვლევითი ინტერესებიდან გამომდინარე;
15. დოქტორანტის უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრა სპეციალური საუნივერსიტეტო რეგულაციებით/ხელშეკრულებით და სხვ.;
16. ზრუნვა სადოქტორო პროგრამების განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, სამეცნიერო ხელმძღვანელების უკეთ ინფორმირებაზე ევროპულ სადოქტორო განათლებაში მიმდინარე პროცესების შესახებ, სამეცნიერო ხელმძღვანელების პასუხისმგებლობის, მათი უფლებების და მოვალეობის განსაზღვრაზე.

8. დამატებითი ინფორმაცია ღონისძიების შესახებ – ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის სადოქტორო განათლების საბჭოს 2009 წლის ზაგრების სემინარის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხ.: <http://www.eua.be/events/second-eua-cde-workshop>.

დანართი 1.

ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის
სადოქტორო განათლების საბჭოს ზაგრების სემინარის
ძირითადი დასკვნები:

სამუშაო ჯგუფი 1: როგორ და რატომ უნდა მივაღწიოთ კრიტიკულ მასას

რატომ?

- დამოუკიდებლად მომუშავე მკვლევარი უკვე წარსულია;
- ჩვენ გვჭირდება დოქტორანტებისა და დოქტორების ისეთი საზოგადოების ფორმირება, რომელიც დაეფუძნება კვლევაში ინსტიტუციურ პრიორიტეტებს და, ამდენად, იქნება ძლიერი;
- კრიტიკულ მასას აქვს მაღალი ხარისხის კვლევის მიღწევის მეტი პოტენციალი;
- იზრდება დოქტორანტების მოტივაცია;
- იზრდება შრომის ნაყოფიერება (პროდუქტიულობა);
- იზრდება ანგარიშ-ვალდებულების შეგრძნება;
- უმჯობესდება დაფინანსების შესაძლებლობები;
- იზრდება ცალკეული პირის მიერ წარმოებული კვლევის სიღრმე;

როგორ?

- კრიტიკული მასა და კვლევის ინტენსიურობა შეიძლება მიღწეულ იქნას სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებით;
- ქსელებისა და ე. წ. „კლასტერების“ შექმნა;
- ინტერ- და ინტრა-დისციპლინური თანამშრომლობა;
- რეგიონული, ეროვნული და საერთაშორისო სტრატეგიის შემუშავება.

სამუშაო ჯგუფი 2: როგორ დავაბალანსოთ დოქტორანტების ამოცანები

სადოქტორო განათლების ძირითადი კომპონენტი არის კვლევა

- კვლევითი დატვირთვა მნიშვნელოვნად უნდა აღემატებოდეს სასწავლო დატვირთვას;
- კვლევითი პროექტი უნდა იძლეოდეს დამოუკიდებელი კვლევის წარმოების საშუალებას;
- დოქტორანტის მიერ წარმოებული ორიგინალური კვლევა უნდა შეესაბამებოდეს და უნდა ითვალისწინებდეს დისციპლინის სპეციფიკას;

სასწავლო კომპონენტი

- აღრმავებს ცოდნას, ავითარებს კვლევის მეთოდოლოგიას და ეხმარება სამეცნიერო-კვლევითი დისკუსიის წარმართვას;
- იძლევა კარიერული წინსვლის შესაძლებლობას;
- ეხმარება ინდივიდუალური კვლევის წარმოების პროცესს;
- უნდა არსებობდეს მინიმალური და მაქსიმალური მოთხოვნები;

სწავლების/კვლევის ასისტირება

- უნდა არსებობდეს მკაფიო, დაბალანსებული მოთხოვნები, რომელთა დარეგულირებაც

მოხდება ხელშეკრულების საფუძველზე;

- დოქტორანტის, როგორც პროფესორის ასისტენტის საქმიანობა უნდა იყოს მისი პროფესიული განვითარების საფუძველი და არ უნდა იყოს განპირობებული გარკვეული ფინანსური ვალდებულებებით ან იმ კვლევებით, რომლებიც არ უკავშირდება დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომს;
- უნდა იყოს მაღალი დონის აკადემიური განათლების საფუძველი;

დოქტორანტის სტატუსი

- დოქტორანტი უნდა მივიჩნიოთ დამწყებ მკვლევრად;
- უნდა განისაზღვროს დოქტორანტის უფლებები და მოვალეობები.

სამუშაო ჯგუფი 3: რისი სტრუქტურირება უნდა მოხდეს

აკადემიური პერსონალის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

- დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელების ინფორმირებულობის ზრდა;
- აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარება;

შედეგების მონიტორინგი

- სტრუქტურირება სადისერტაციო ნაშრომების დაცვის პროცესის სრულყოფის მიზნით;
- ფინანსური მხარდაჭერის ზრდა;
- ნახევარ–განაკვეთიანი სამსახურის შეთავაზება;
- კვლევის პროცესში მრავალფეროვანი კომპეტენციების გამომუშავება;

ინფორმაციის შეგროვება

- მონიტორინგის პროცესი;

სტრუქტურირება კვლევის კულტურის ჩამოყალიბების მიზნით

ყველა დარგის ინფრასტრუქტურის, კვლევითი შესაძლებლობების გაუმჯობესება;

თვითშეფასების პროცესის განვითარება;

სამუშაო ჯგუფი 4: სტრუქტურირებული პროგრამების როლი სხვადასხვა ინსტიტუციურ დონეზე

ვინ და სად იღებს გადაწყვეტილებას

სამთავრობო რეგულაციები – აღიარებულ უნდა იქნას უნივერსიტეტის ავტონომიურობა;

უნივერსიტეტებმა დამოუკიდებლად უნდა შეიმუშავონ სტრატეგია და სადოქტორო

განათლების სტანდარტი საკუთარი კვლევითი სტრატეგიის საფუძველზე;
უნივერსიტეტმა თავად უნდა გადაწყვიტოს კრედიტების სისტემის შემოღების მიზანშეწონილობა;
სხვადასხვა დოქტორანტების რაოდენობის შეზღუდვა;
დაუშვებელია ზერეგულაცია ზემოდან, და რეგულაციების უგულვებელყოფა ქვემოდან;
მოდელის მრავალფეროვნება უნივერსიტეტის კულტურიდან გამომდინარე
გამჭვირვალე დამხმარე სტრუქტურების არსებობა;
გადაწყვეტილების მიღების გამჭვირვალე პროცედურების არსებობა;
უნივერსიტეტები უნდა იყვნენ ანგარიშვალდებული თვითშეფასების პროცესის საფუძველზე.

სამუშაო ჯგუფი 5: როგორ დავაბალანსოთ შემოქმედებითი მიდგომა და სტრუქტურა

- არ არსებობს წინააღმდეგობა შემოქმედებით მიდგომასა და სტრუქტურას შორის;
- სტრუქტურები უნდა იყოს მოქნილი, რათა ხელი შეუწყონ შემოქმედებით მიდგომას;
- დოქტორანტების მიღების დროს გათვალისწინებული უნდა იქნას მათი შემოქმედებითი უნარები;
- უნდა მოხდეს დაბალანსება კვლევით და სასწავლო კომპონენტს შორის.

სამუშაო ჯგუფი 6: სამეცნიერო-კვლევითი საზოგადოების ფორმირება

უნდა მოხდეს სამეცნიერო-კვლევითი საზოგადოების თვითორგანიზება

- რომელიც იქნება ღია საზოგადოებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის;

საზოგადოების სტრუქტურირება

- სივრცე არაფორმალური ურთიერთობებისთვის;
- ღონისძიებების ორგანიზება;
- ხიდების გადება სამაგისტრო განათლებასთან და სადოქტორო განათლების შემდგომ კვლევებთან (postdoc level);
- პრობლემაზე დაფუძნებული მიდგომა ინტერდისციპლინური საზოგადოებისათვის;

კოლექტიურობის განცდის გამომუშავება, საზოგადოების აღიარება და დოქტორანტების ორგანიზაცია

- ინსტიტუციური სტრატეგიის და თვითშეფასების პროცესის ნაწილი;

მდგრადი დაფინანსებასამეცნიერო-კვლევითი საზოგადოების ფორმირებასთვის.

„სპიკერის კუთხე“

ი. დარჩიას გამოსვლის რეზიუმე

სასწავლო კომპონენტი სადოქტორო პროგრამებში:

- სჭირდებათ თუ არა დოქტორანტებს სასწავლო კომპონენტი, გარდა იმ კურსებისა, რომლებიც ზოგადი (ტრანსფერული) უნარების განვითარებას ისახავს მიზნად?
- თუ სასწავლო კომპონენტი აუცილებელია, რა და როგორ ვასწავლოთ?
- როგორი სასწავლო კურსები უნდა შევთავაზოთ სტუდენტებს დოქტორანტურაში?
- რამდენად „სპეციფიკური“ უნდა იყოს ეს კურსები?
- სასწავლო კურსები უფრო ზოგადი უნდა იყოს, თუ უფრო კონკრეტული, ამა თუ იმ სადისერტაციო ნაშრომის ვიწრო პრობლემატიკაზე ორიენტირებული?
- თუ სასწავლო კურსი უფრო ზოგადია, განა შეიძლება იმ დოქტორანტისთვის სასარგებლო იყოს, ვისაც სწავლების მესამე საფეხურზე სპეციალობა არ შეუცვლია?
- თუ კურსი უფრო კონკრეტულია, შევძლებთ დოქტორანტების იმ „კრიტიკული მასის“ მოგროვებას, რომ უნივერსიტეტმა ფინანსურად უზრუნველყოს ამ საგნის სწავლება?
- თუ სტუდენტი დოქტორანტურაში იცვლის თავის სპეციალობას, შესაძლებელია, რომ მან მისთვის საჭირო კურსები შესაბამისი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ფარგლებში მოისმინოს?
- სადოქტორო განათლების ეროვნული და საერთაშორისო ქსელები სწორედ დოქტორანტურის სასწავლო კომპონენტის „გასაიაფებლად“ ხომ არ გამოგვეყენებინა?
- სწავლების რა მეთოდები უნდა გამოვიყენოთ დოქტორანტურაში?

დასკვნა: აღნიშნულ კითხვებზე პასუხის გაცემას შეეცდება ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის სადოქტორო განათლების საბჭოს კონფერენცია, რომელიც 2009 წლის დეკემბერში ხორვატიის ქალაქ ზაგრებში გაიმართება.

ბოლონის მინისტრიალი – საიუბილეო კონფერენცია

ლალი ბაქრაძე

ბუდაპეშტი - ვენა 2010

1. კონფერენციის პროგრამა

Thursday 11 March 2010

10.00-12.00 Registration / Budapest Parliament

11.30 Press briefing

13.00 Ministerial Conference - First Session Part One / Budapest Parliament

OFFICIAL OPENING

István Hiller, Minister of Education and Culture, Hungary

Màrius Rubiralta, Secretary General of Universities, Ministry of Education, Spain

Androulla Vassiliou, EU Commissioner for Education, Culture, Multilingualism & Youth

THE EUROPEAN HIGHER EDUCATION AREA: ACHIEVEMENTS, CHALLENGES AND PERSPECTIVES

Degree and Curriculum Reform

Cooperation in Quality Assurance

Don F. Westerheijden, Researchers' Consortium Gerhard Riemer, BUSINESSEUROPE

Sjur Bergan, Council of Europe Jens Vraa-Jensen, Education International

Achim Hopbach, European Association for Quality Assurance in Higher Education

Lars Nielsen, European Association of Institutions in Higher Education

Ligia Deca, European Students' Union Jean-Marc Rapp, European University Association

David Crosier, Eurydice

Ministerial discussion

15.00 Ministerial Conference - First Session Part Two / Budapest Parliament

THE EUROPEAN HIGHER EDUCATION AREA: ACHIEVEMENTS, CHALLENGES AND PERSPECTIVES

Mobility and Recognition - Don F. Westerheijden, Researchers' Consortium

Sjur Bergan, Council of Europe

Jens Vraa-Jensen, Education International

Lars Nielsen, European Association of Institutions in Higher Education

Ligia Deca, European Students' Union

Jean-Marc Rapp, European University Association

David Crosier, Eurydice

Stamenka Uvalic-Trumbic, UNESCO

Ministerial discussion

Closing: István Hiller Minister of Education and Culture, Hungary thereafter

Transfer to Vienna (Austria)

Friday 12 March 2010

09.00 Ministerial Conference – Second Session Part One

THE EUROPEAN HIGHER EDUCATION AREA: ACHIEVEMENTS, CHALLENGES AND PERSPECTIVES

Social Dimension - Don F. Westerheijden, Researchers' Consortium

Ligia Deca, European Students' Union

Jean-Marc Rapp, European University Association

David Crosier, Eurydice

Ministerial discussion

11.00 Ministerial Conference – Second Session Part Two

The European Higher Education Area:

Achievements, Challenges and Perspectives Essence and Impact

Lars Nielsen, European Association of Institutions in Higher Education

Ligia Deca, European Students' Union

Jean-Marc Rapp, European University Association

13.00 Press conference

14.30 Bologna Policy Forum – Part One / Hofburg Imperial Palace

Key note by Juan Ramon de la Fuente

President of the International Association of Universities

Parallel working groups on:

- The role of higher education in the global knowledge society: How do systems and institutions of higher education deal with the challenges of responding to multiple expectations?
- Brain drain – brain gain – brain circulation: a matter of perspective or different realities? What does it mean for societies in general and for higher education systems?
- Cooperation and competition – which is winning out or can they coexist in international higher education?

17.30 Bologna Policy Forum - Part Two / Hofburg Imperial Palace

2. კონფერენციის მონაწილეები

კონფერენციაზე მონაწილეობას ღებულობდა ბოლონიის პროცესის წევრი 47⁴ ქვეყანის დელეგაცია 253 წარმომადგენლით, ასევე და ბოლონიის პროცესში მონაწილე საერთაშორისო ორგანიზაციების (ევროკომისია, ევროსაბჭო, ევროპის სტუდენტთა ასოციაცია, ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაცია, ევროპის უმაღლეს სასწავლებელთა ასოციაცია, ბიზნესევროპა, Education international, OECD, ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ქსელი-ENQA, იუნესკო, ბოლონიის სამდივნო, განათლების ექსპერტები) 60 წარმომადგენელი. გარდა აღნიშნულისა კონფერენციის მეორე დღეს ბოლონიის მეორე „პოლისი ფორუმზე“ მონაწილეობდნენ ასევე წარმომადგენლები შემდეგი 23 ქვეყნიდან: არგენტინა, ბრაზილია, კანადა, ჩინეთი, კოლუმბია, ეგვიპტე, განა, ისრაელი, იაპონია, იორდანია, ყირგიზეთი, მალაიზია, მალი, მექსიკა, მაროკო, ახალი ზელანდია, ფილიპინები, საუდის არაბეთი, სენეგალი, სამხრეთ აფრიკა, ტაილანდი, ტუნისი, აშშ.

3. კონფერენციის მთავარი მესიჯი

კონფერენციის მთავარი მესიჯი მოცემულია **ბუდაპეშტი-ვენის დეკლარაციის „უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის შესახებ“** პირველ პუნქტში: „ჩვენ, ბოლონიის პროცესში მონაწილე ქვეყნების უმაღლეს განათლებაზე პასუხისმგებელი მინისტრები, შევხვდით ბუდაპეშტსა და ვენაში 11 და 12 მარტს, რათა დაგვეწყო უმაღლესი განათლების ევროპული სივრცე, როგორც გათვალისწინებულია 1999 წლის ბოლონიის დეკლარაციით“.

მეორე მესიჯი შეეხება ახალი წევრის მიღებას ბოლონიის პროცესში. ეს თავისთავად ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია. უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის არსებობის დეკლარირების წინ, პროცესს დაემატა ახალი წევრი. რაც ირიბად კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ბოლონიის პროცესის წევრობა არ ნიშნავს უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის სრულყოფილებიან წევრობას. ამდენად, გამოცხადდა ევროპული სივრცის არსებობა, რომელიც დაფუძნებულია ბოლონიის კომუნიკებითა და დეკლარაციებით გაცხადებულ პრინციპებსა და კიდევ 2005 წლის ბერგენის კომუნიკეში მითითებულ სამ ძირითად მახასიათებელზე:

- ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული სტანდარტი
- კვალიფიკაციების ჩარჩო
- ლისაბონის აღიარების კონვენცია.

დეკლარაციაში, ბოლონიის პროცესი და ევროპული სივრცე გამოცხადდა, როგორც უმაღლესი განათლების სფეროში რეგიონული თანამშრომლობის უპრეცედენტო მაგალითი. ამასთან,

⁴ამ კონფერენციაზე ბოლონიის პროცესის წევრი გახდა ყაზახეთი.

მიუხედავად ამ მიღწევებისა და სივრცის არსებობის ოფიციალური აღიარებისა დეკლარაციაში მითითებულია: „მიუხედავად იმისა, რომ ბოლონის რეფორმების განხორციელებაში ძალიან ბევრი იქნა მიღწეული, ანგარიშები აჩვენებენ, რომ უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ისეთი ძირითადი მიმართულებები, როგორცაა აკადემიური ხარისხებისა და კურიკულუმის რეფორმა, ხარისხის უზრუნველყოფა, აღიარება, მობილობა და სოციალური განზომილება განხორციელებულია სხვადასხვა დონით. ზოგიერთ ქვეყანაში სულ ახლახან განხორციელებულმა პროტესტმა, რაც გარკვეულწილად მიმართული იყო იმ განვითარებებსა და ღონისძიებების საწინააღმდეგოდ, რომლებიც არ იყო დაკავშირებული ბოლონის პროცესთან, შეგვახსენა, რომ ბოლონის პროცესის ზოგიერთი მიზნები და რეფორმები არ იქნა შესაბამისად განხორციელებული და განმარტებული“.

ამდენად, სივრცე არსებობს ვირტუალურად, მაგრამ მისი რეალობად ქცევა დამოკიდებულია ბოლონის პროცესის შეთანხმებული ამოცანების განხორციელებაზე. დეკლარაციაში მითითებულია, რომ უნდა განხორციელდეს ყველა დასახული ამოცანა და კიდევ 2009 წელს ლუვენის კომუნიკეთი მიღებული სამუშაო გეგმა. აღნიშნული მოიცავს უმაღლესი განათლების პრიორიტეტებს 2020 წლისათვის:

- სოციალური განზომილება
- სწავლა მთელი ცხოვრების მანძილზე
- დასაქმებადობა
- სტუდენტზე ორიენტირებული განათლება და უმაღლესი განათლების სასწავლო მისია
- განათლება, კვლევა და ინოვაცია
- საერთაშორისო გახსნილობა
- მობილობა
- მონაცემთა შეგროვება
- გამჭვირვალობის მრავალგანზომილებიანი ინსტრუმენტები
- დაფინანსება.

ბოლონის პროცესის 10 წლის თავზე კიდევ ერთხელ დაფიქსირდა, რომ აღნიშნულ პროცესზე არ არსებობს სწორი ინფორმაცია ან არ განხორციელებულა შესაბამისი კომუნიკაცია დაინტერესებულ პირებთან: „ჩვენ ასევე ძალისხმევა არ უნდა დავიშუროთ ეროვნულ დონეზე, რათა გაუმჯობესდეს კომუნიკაცია ბოლონის პროცესზე და მის გაგება ყველა დაინტერესებულ მხარის, ისევე როგორც მთელს საზოგადოების მიერ“.

„ბოლონიის ფორუმი“ (Bologna Policy Forum) ჩატარდა მეორედ. პირველად ჩატარდა 2009 წელს ლუვენის სამიტზე. ფორუმზე მოწვეულნი იყვნენ ბოლონიის არაწევრი ქვეყნებიც. ფორუმის მიზანია ბოლონიის პროცესის შესახებ დიალოგი მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ვენაში მეორე ფორუმზე მონაწილეობდა ბოლონიის პროცესის წევრი 47 და არაწევრი 23 ქვეყანა.

ფორუმის ფარგლებში გაიმართა დიალოგი თემაზე: უმაღლესი განათლების სისტემური და ინსტიტუციური ცვლილება გლობალური, ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების განვითარებისათვის. ამ კონტექსტში განხილულ იქნა 3 საკითხი:

- უმაღლესი განათლების სისტემებისა და ინსტიტუციების პასუხი მზარდ მოთხოვნასა და მრავალფეროვან მოლოდინებზე
- სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მობილობა, მ.შ. გამოწვევა „ტვინების გადინების“ საკითხი;
- ბალანსი კოოპერაციასა და კონკურენციას შორის უმაღლეს განათლებაში.

აღნიშნულმა საკითხებმა თავისი ასახვა პოვა ფორუმის განაცხადში, რომელიც ერთხმად მიიღეს 70 ქვეყნის წარმომადგენლებმა. ფორუმის განაცხადის ძირითადი მესიჯია, რომ აუცილებელია თანამშრომლობა უმაღლესი განათლებისა და კვლევების სისტემებისა მთელი მსოფლიოს მასშტაბით, რათა პასუხი გავცეთ საზოგადოებაში დღეს არსებულ გამოწვევებს.

ასევე, დებეტების მხარდაჭერისა და უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცესა და ფორუმში მონაწილე სხვა ქვეყნებს შორის იდეებისა და გამოცდილების გაზიარებისათვის ფორუმის მონაწილე ქვეყნები 2010 წლის 31 მაისამდე ბოლონიის სამდივნოს წარუდგენენ საკონრაქტო პირებს.

მთავრობებს, უსდ-ებს, სტუდენტებსა და პერსონალს შორის არსებული კოოპერაცია არის უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცის ძირითადი ბირთვი და ეს კოოპერაცია უნდა აისახოს შემდეგ, 2012 წლის ბოლონიის ფორუმის ორგანიზებაშიც.

4. კონფერენციისმასალების რელევანტურობა საქართველოსთვის

საქართველო არის ბოლონიის პროცესის წევრი, ის ასევე მიისწრაფვის ევროინტეგრაციისაკენ და შესაბამისად დიდი მნიშვნელობა აქვს ამ პროცესის ყველა მიღწევისა და ნაკლოვანების სერიოზულ შესწავლასა და გაანალიზებას.

კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშები 46 ქვეყანაში განხორციელებული რეფორმების შესახებ. ევროპულ დონეზე აფიქსირებენ, რომ გაკეთდა ძალიან ბევრი სტუქტურის შესაცვლელად, მაგრამ ძალიან ცოტა შინაარსობრივი

ცვლილებისათვის. როგორც სტუდენტების მიერ, აღნიშნული კონფერენციისათვის, მომზადებულ პუბლიკაციაში⁵ მითითებული: „ჩვენ ზუსტად შეგვიძლია ვთქვათ, რომ უმაღლესი განათლების საერთო ევროპული სივრცის შექმნის ამბიცია არ ეთანადებოდა მისი განხორციელების ამბიციას“. აღნიშნული დასკვნა გაკეთებულია 46 ქვეყანაში ჩატარებული კვლევის საფუძველზე. სხვა კვლევების შედეგების მიხედვითაც ისევ პრობლემურია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა კრედიტების კავშირი სწავლის შედეგებთან, განათლების ხარისხის უზრუნველყოფა, მობილობა და ა.შ. კვალიფიკაციების ჩარჩო თვითსერტიფიცირებულია მხოლოდ 6 ქვეყნის მიერ. ამ სივრცეში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია კვალიფიკაციის ხარისხი „თუ თქვენ არ შეგიძლიათ დაადასტუროთ, რომ კვალიფიკაცია არის „საკმარისად კარგი“ დიკუსია ჩერდება მაშინვე და იქვე“ -აღნიშნა ევროსაბჭოს წარმომადგენელმა. კვალიფიკაციების ჩარჩოების განვითარებასთან მიმართებაში აღინიშნა, რომ ყველაზე რთული კონცეფციის პრაქტიკაში გატარებაა.

5. ბოლონის პროცესთან მიმართებაში საქართველოში გასატარებელი ღონისძიებები:

პირველ რიგში საქართველოში კიდევ ერთხელ უნდა გადავხედოთ ბოლონის პრინციპების განხორციელების საკითხს. ამაში შესაძლებელია გამოვიყენოთ ბოლონის პროცესისათვის ჩატარებული კვლევები.

1. კვალიფიკაციების აღიარების პრაქტიკის გაუმჯობესება
2. კრედიტების სწორად განხორციელების ხელშეწყობა
3. ერთობლივი პროგრამებისა და ხარისხების სტიმულირება, საერთაშორისო დონეზე აღიარებული დოკუმენტების გამოყენებით (აღნიშნული ხელს ეუწყობს ორგანიზებულ მობილობას)
4. კურიკულუმის დაგეგმვისას სოციალური საჭიროებების შესწავლისა და კურიკულუმის სწავლის შედეგების საფუძველზე შემუშავების შემდგომი ხელშეწყობის გაძლიერება.
5. სოციალური განზომილების პრინციპის განხორციელების ხელშეწყობა
6. ბოლონის პრინციპების განხორციელების მიზნით ეროვნულ და ინსტიტუციურ დონეზე თანამშრომლობის გაძლიერება მთავარ „სტეიკჰოლდერებთან“, მ.შ. დამსაქმებლების ჩართულობა კურიკულუმის შემუშავებაში, სტუდენტების ჩართულობა ხარისხის უზრუნველყოფაში, აკადემიური პერსონალის სტიმულირება კურიკულუმის რეფორმირების საკითხებში.

⁵ Bologna at the finish line. An account of ten years of European Higher Education Reform. ESU, 2010. p.3.

გარდა აღნიშნულისა ბუდაპეშტი-ვენის დეკლარაცია უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის შესახებ, უკვე ითარგმნა ქართულად და განთავსდება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებგვერდზე - www.mes.gov.ge

6. კონფერენციის პრეზენტაციები

დამატებითი ინფორმაცია კონფერენციის შესახებ იხილეთ შემდეგ მისამართზე -

http://www.ond.vlaanderen.be/hogeronderwijs/bologna/2010_conference/

კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩო

ქეთევან გურჩიანი

15 აპრილი 2010, დუბლინი, ირლანდია

1. სემინარის პროგრამა

9.00 Opening addresses: Facilitator – Pat Leahy, Political Editor, Sunday Business Post – Sean Haughey, T.D., Minister for Lifelong Learning – Michael Kelly, Chair of Higher Education Authority – Paul Haran, Chair of the National Qualifications Authority of Ireland – Gordon Clark, Head of Unit 1, Coordination of Lifelong Learning Policies at Directorate for Education and Culture, European Commission

9.40 Overview of Conference Themes – Bryan Maguire, Higher Education and Training Awards Council (HETAC)

11.15 Reactions to issues: Why two meta-frameworks? – Mike Coles, Senior Researcher, Qualifications and Curriculum Development Agency, England Edwin Mernagh, Independent Consultant Reactions from Irish National Team of Bologna Experts

12.00 Reactions to issues: Role of qualifications frameworks in relation to recognition and mobility Wilfried Boomgaert, Flemish Ministry of Education and Training (Belgium) – Bartley Rock, Bologna Expert and former USI Education Officer – Elisabeth Sonnenschein, Central Office for Foreign Education in the Secretariat of the Standing Conference of the Ministers of Education and Cultural Affairs of the Lander in the Federal Republic of Germany

12.40 Reactions to issues: European Directives and qualifications frameworks – Stan Lester, Independent Consultant – Anne-Marie Ryan, Chair of the Working Group Education Training & Competencies (WG ETC) of the European Council of Nursing Regulators (FEPI) and Chief Education Officer, An Bord Altranais

14.50 Reactions to issues: Sectoral qualifications and the links with national and meta-frameworks Pre-recorded reactions from Brian Joyce, Irish Aviation Authority and Frank Mockler, ECDL Foundation – Jens Bjornavold, European Centre for the Development of Vocational Training (Cedefop) – Sjur Bergan, Council of Europe

15.30 Reactions to issues: Global frameworks, the international perspective, issues and opportunities/challenges – Arjen Deij, European Training Foundation – John Dawkins, Chair of Australian Qualifications Framework Council – Meredith Edwards, University of Canberra – Cliff Adelman, Institute for Higher Education Policy

16.10 Short plenary and closing address

საინფორმაციო დაფები დამსწრეებს აწვდიდა ინფორმაციას ძირითადი ტენდენციებისა და პროექტების შესახებ:

- General EQF stand (hosted by National Qualifications Authority of Ireland);
- General Bologna stand (hosted by the National Academy for Integration of Research, Teaching and Learning [NAIRTL]);
- The compatibility of Qualifications in Ireland and New Zealand project (represented by Prue Wilson, Senior Policy Analyst, Strategic and Corporate Policy, New Zealand Qualifications Authority);
- SECCOMPAT project: EQF AND COMPATIBILITY OF SECTORAL QUALIFICATIONS BETWEEN COUNTRIES (No. 137852-LLP-2007-LT-KA1EQF) (represented by Vidmantas Tutlys, Centre for Vocational Education and Research, Vytautas Magnus University, Lithuania);
- Tuning Project - Nursing (represented by Inger-Margrethe Jensen, VIA University College Faculty of Health Sciences, Denmark);
- National Europass Centre and Qualifications Recognition (National Qualifications Authority of Ireland);
- Publications stand.

2. კონფერენციის მონაწილეები

კონფერენციაში მონაწილეობდნენ სხვადასხვა ქვეყნის განათლების სამინისტროს, აკრედიტაციის სააგენტოების, უნივერსიტეტის ოფიციალური წარმომადგენლები, ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოების შემმუშავებელი ჯგუფების წევრები.

3. კონფერენციის მთავარი თემა

კონფერენციის მთავარი თემა იყო, რამდენად არის შესაძლებელი, რომ კვალიფიკაციის ორმა ჩარჩომ უზრუნველყოს მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლა, ხარისხების აღიარება და ხელი შეუწყოს მობილობას. კვალიფიკაციის ჩარჩოები გვთავაზობენ ამის პოტენციალს. ჩარჩოები აქტიურად უნდა გამოვიყენოთ მობილობის/აღიარების პროცესში.

იმისდა მიუხედავად, ქვეყნები რომელ კვალიფიკაციის ჩარჩოს განიხილავენ ამოსავალ წერტილად (და კოორდინირებული თვით-სერტიფიცირების პროცესით ორივესთან დაცული უნდა იყოს შედარებითობა), კვალიფიკაციის ჩარჩოს ეფექტურობისთვის აუცილებელია, რომ ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩო პასუხობდეს ეროვნულ პრიორიტეტებს, პრობლემებს.

4. სემინარის მასალების რელევანტურობა საქართველოსთვის

კვალიფიკაციების ჩარჩოსთან დაკავშირებული პრობლემების, ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს ეფექტური გამოყენების შესახებ მასალა ეხმარება ჩართულ მხარეებს, უკეთ გაიაზრონ იმგვარი პრობლემები და კითხვები როგორცაა, როგორ შეგვიძლია კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩოს გამოყენება თვით-სერტიფიცირების პროცესამდე და პროცესის შემდეგ, რა უნდა იყოს ამოსავალი ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთვის, როგორ ავიცილოთ სისტემის ბრმა ნასესხობა.

კვალიფიკაციების ჩარჩოების ეფექტური გამოყენება გააადვილებს იმგვარი მიზნების მიღწევას როგორცაა:

- მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლა
- ხარისხების აღიარება
- მობილობა
- დასაქმება

5. საქართველოში გასატარებელი ღონისძიებები:

საკითხი, რომელიც პირველ რიგში უნდა გადაიჭრას, არის კვალიფიკაციების ჩარჩოს შემუშავებული ვერსიის მიღება. 2010 წლის მარტში სამუშაო ჯგუფმა დადო კვალიფიკაციების ჩარჩოს ბოლო ვერსია, თუმცა ის ჯერ კიდევ არ არის დამტკიცებული და კონსულტაციები შეწყდა. საზოგადოებისთვის, ისევე როგორც სამუშაო ჯგუფისთვის, სრულიად უცნობია, როდის და რა სახით მოხდება ამ დოკუმენტის მიღება.

კვალიფიკაციების ჩარჩო, რომელიც პრინციპში აღწერთია, ბევრ ევროპულ ქვეყანაში ბიძგის მიმცემი აღმოჩნდა სწავლისა და კვლევის უკეთესი ხარისხის უზრუნველყოფისთვის. მისი სწორედ ამ ფუნქციით გამოყენება იქნება საქართველოში ყველაზე მნიშვნელოვანი.

6. სემინარის პრეზენტაციები

ინფორმაცია ჩატარებული კონფერენციის შესახებ იხილეთ შემდეგ მისამართზე -

<http://www.nqai.ie/QualificationsFrameworksConference2010.html>

ადიარება უმაღლეს განათლებაში
მიხეილ ბასილაია
7-9 ივნისი 2010, ტალინი, ესტონეთი

1. Programme

Monday, 7 June 2010

9.30 - 12.00 HEREs-EACEA roundtable

9.30 - 12.00 Seminar for NA representatives dealing with National Teams of Bologna Experts

9.30 - 13.00 Registration for Bologna and Tempus Higher Education Reform Experts

13.00 - 15.00 Recognition: Principles and Tools

- Lisbon Convention Post 2010 - Carita Blomqvist, Finnish National Board of Education and President of the Bureau of the Lisbon Recognition Convention
- ECTS as a Tool for Recognition - Vera Stastna, Charles University Prague
- What are Learning Outcomes and What are not? - Bologna Expert Anthony Vickers
- Diploma Supplement - Leonard Van der Hout, Bologna Expert and Head International Affairs at Hogeschool van Amsterdam
- The aim of the 'Principles and Tools' Session is to refresh memories and upgrade the knowledge level of the audience consisting of both Bologna and Tempus Higher Education Reform Experts.

15.30 - 16-15 Opening Plenary with contributions by Arthur Mettinger (Seminar Chair), Rein Raud (Rector Tallinn University), Lene Oftedal (EAC), Jacques Kemp (EACEA) and Andy Gibbs (on the buddy system novelties)

16.15 - 16.45 Information Session on the Virtual Community for Bologna and Tempus Higher Education Reform Experts (state of the art, new developments for 2010-2011, helpdesk during the Tallinn seminar, etc.) - by Anthony Vickers, Bologna Expert and Antonio De Marco, Creative Director Youth Agora

A helpdesk will be provided at certain time slots during the Tallinn seminar for Experts who wish to learn more about the Virtual Community features, update their profiles, upload their pictures, exchange views and comments etc.

16.45 - 17.45 Keynote 1 followed by Q&A

- Keynote 1: 'Recognition: General Overview and Latest Developments' by Gunnar Vaht, Head of the Estonian ENIC-NARIC

09.00 - 11.00 Keynotes 2 - 4 followed by Q&A

- Keynote 2: ‘The ESN PRIME Project - The Students’ Perspective’ by Marketa Tokova, ESN President
- Keynote 3: ‘Recognition in Higher Education in Lebanon’ by Chafic Mokbel, HER Expert Lebanon
- Keynote 4: ‘Recognition and Recruitment: The viewpoint of Industry/Enterprise’ by Toomas Tamsar, Pärnu Konverentsid, Estonia
- Report on the ECTS/DS Label Applications by Ruard Wallis de Vries, EAC

Location: Tallinn Hall, M-218

11.00 - 11.30 Poster session

11.30 - 13.30 Workshops 1 - 4

- Workshop 1: Lisbon Convention and Global Recognition (foreign degrees) -Trainers:
 - Group A: Luciano Saso, La Sapienza University, Roma and Aleksandr Hakobyan, TEMPUS HER Expert, Yerevan State University, Armenia
 - Group B: Jessica Stannard, NUFFIC International Recognition Department and Marketa Tokova, ESN President
- Workshop 2: Access from Bachelor to Master (Vertical Mobility) Trainers:
 - Group A: Arthur Mettinger, University of Vienna and David Baldinger, Austrian Bologna Service Point,
 - Group B: Maria Kelo, Higher Education Expert and Jean-Luc Lamboley, Bologna Expert
- Workshop 3: Applying for the ECTS/DS Label – Trainer(s): Ruard Wallis de Vries, EAC, Misia Coghlan, EAC, Sven Arild Pedersen, Bologna Expert, Norway and Ekaterini Galanaki, Bologna Expert, Greece
- Workshop 4: Linking ECTS&Learning Outcomes - Trainer(s): Anthony Vickers, Bologna Expert and Anna Muraveva, Deputy Director NTO Russia. Due to the number of participants workshops 1 and 2 will be doubled and held by two different teams of trainers.

Workshop number 4 will run with a special focus on the tools offered through the Virtual Community.

14.00 - 14.30 Poster session

14.30 - 16.30 Workshops 1 - 4

16.30 - 17.00 Poster session

17.00 - 18.30 Optional Visit and Info Session on HER at Tallinn University or City Tour

09.00 - 11.00 Workshops 1 - 4

11.00 - 11.30 Poster session

11.30 - 13.30 Workshops 1 - 4

14.30 - 15.30 Closing Plenary and 'Your Time Slot'.

2. სემინარის მონაწილეები

სემინარის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა 56 ქვეყნის 180 წარმომადგენელი, მათ შორის იყვნენ მონაწილეები პალესტინის ოკუპირებული ტერიტორიებიდან და კოსოვოდან. ემინარისორგანიზებაში მონაწილეობა მიიღეს წარმომადგენლებმა შემდეგი ინსტიტუტებიდან: ვენისუნივერსიტეტი, European Commission DG EAC, European Commission EACEA, UNICA, Brussels Education Services, ტალინის უნივერსიტეტი, ტალინის ექნოლოგიური უნივერსიტეტი.

3. სემინარის ძირითადი იდეა

სემინარზე განხილულ იქნა უმაღლესი განათლების აღიარებასთან დაკავშირებული დოკუმენტები. წარმოდგენილ იქნა კვლევა, რომელიც ეხებოდა დღესდღეობთ არსებულ აღიარებასთან დაკავშირებულ პრობლემებს, მათ შორის ინსტიტუციონალურ საკითხებს (კვლევის ფარგლებში გამოკითხეს სტუდენტები ევროპის მასშტაბით და შეადარეს უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუტების მოთხოვნები აღიარებასთან დაკავშირებით).

დღეს არსებული დოკუმენტები და ევროპული ინსტიტუტები/სააგენტოები საკმარისია უმაღლესი განათლების აღიარების პრობლემის მოსახსნელად. რეალური პრობლემა მდგომარეობს არა მათ ნაკლებობაში, არამედ არსებული შეთანხმებების შეუსრულობლობასა (რომელიშიც იგულისხმება იძულებითი მექანიზმების არარსებობა) და უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუტების მიერ შექმნილ ბარიერებშია. ამ მხრივ განხილულ იქნა კარგი (უნივერსიტეტი საკუთარ თავზე იღებს სტუდენტის სასწავლო დოკუმენტების გადამოწმებას) და ცუდი (უნივერსიტეტი ითხოვს დოკუმენტების ნოტარიულად ან აპოსტილით დამოწმებას) მაგალითები. სემინარზე ხაზი გაესვა აღიარების პრობლემების აღმოსაფხვრისთვის შემდეგი საკითხების მნიშვნელობას: ESTC სისტემის დანერგვა, დიპლომის დანართის შემუშავება საერთო მიღებული წესის მიხედვით, LOLA (Learning Outcomes – Learning and Assessment), უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუტების წახალისება ECTS და DS სერტიფიკატების მოსაპოვებლად.

4. სემინარის მნიშვნელობა საქართველოსათვის

ვორკშოპი 3: Applying for the ECTS/DS Label – ვორკშოპზე განხილულ იქნა ECTS/DS

სერტიფიკატების მოპოვების მნიშვნელობა დასარგებლიანობა უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუტებისათვის. საჭირო დოკუმენტაცია და მასთან დაკავშირებული პრობლემები.

ყველაზე მნიშვნელოვანი (და რთულიც) არის უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუტების მიერ ყველა პროგრამის შემადგენელი კურსის აღწერილობის თარგმნა ინგლისურ ენაზე. ECTS/DS სერტიფიკატი მფლობელი უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის აადვილებს განათლების აღიარებას. მიზეზი არის ის, რომ პროგრამებსა და კურსებთან დაკავშირებული მასალები (კურსის აღწერილობა, დატვირთვა, სწავლის შედეგი, შეფასება) თარგმნილია ინგლისურ ენაზე და სხვა ინსტიტუტებს უმარტივებს სტუდენტის სასწავლო დოკუმენტების გადამოწმებას.

ვორკშოპი 4: Linking ECTS & Learning Outcomes – ვორკშოპი ეხებოდა კურსის სასწავლო შედეგებს (Learning Outcomes). განხილულ იქნა სასწავლო შედეგის დაწერის წესები, გამოსაყენებელი ზმნები. შედეგების დაწერის დროს მხედველობაში მისაღები კრიტერიუმები. სასწავლო შედეგებზე არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება შეფასების კრიტერიუმის სწორად განსაზღვრას (წერიტი ტესტი, ზეპირი ტესტი, ჯგუფში მუშაობა. . .). რადგანაც უმაღლესი განათლების აღიარების საკითხში LOLA–ს (Learning Outcomes – Learning and Assessment) მნიშვნელობას ხაზი გაესვა, ის საყურადღებო უნდა იყოს ქართული უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუტებისთვისაც.

სემინარზე წარმოადგინეს ახალი ვებ–გვერდი <http://www.bolognaexperts.net/> .

გახსნილია ფორუმები და სადისკუსიო ჯგუფები, რომლებიც ეხება უმაღლესი განათლების სხვადასხვა პრობლემებს, შესაძლებელია თემატური მასალების მოძიება.

ვებ–გვერდი წარმოადგენს ერთგვარ სოციალურ ქსელს, აადვილებს სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან დაკავშირებას და სასურველი ინფორმაციის სწრაფად მოძიებას.

5. საქართველოს განათლების სისტემისთვის საყურადღებო ასპექტები

სემინარზე მიმოხილული სხვადასხვა საკითხებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია LOLA (Learning Outcomes – Learning and Assessment), რომელიც სიახლეს წარმოადგენს არა მარტოსაქართველოსთვის, არამედ ევროპის მრავალი ქვეყნისთვისაც. LOLA გულისხმობს უმაღლეს საგანმანათლებლო ინსტიტუტებში მოცემული სასწავლო კურსის სასწავლო შედეგის განსაზღვრა. სასწავლო შედეგებთან ერთად მითითებული უნდა იყოს შეფასების კრიტერიუმებიც (როგორ შეიძლება შეფასდეს სასწავლო შედეგი – წერიტი ტესტი, ზეპირი გამოცდა, რაიმე სახის პრაქტიკული მუშაობა. დამოკიდებულია ცალკეული კურსების შინაარსზე. სასწავლო შეფასების კრიტერიუმები შეიძლება იყოს რამდენიმე). სასურველია ყოველი პროგრამის კურიკულუმი შეიცავდეს მასში შემავალი კურსების სასწავლო შედეგებს. სასწავლო შედეგების ჩართვა როგორც პროგრამის, ისე ცალკეული პროგრამების

დონეზე შესაძლებელია დიპლომის დანართშიც. სასწავლო შედეგების შედგენა არც თუ მარტივი პროცესია და როგორც მთლიანად სემინარზე, ისე შესაბამის ვორკშოპზეც შედგენის პროცესზე იყო გამახვილებული ყურადღება. სასწავლო შედეგის შედგენა გულისხმობს შესაბამისი ზმნების შერჩევას, რომლებიც უნდა შეირჩეს სხვადასხვა კრიტერიუმების გათვალისწინებით: სწავლის რომელ წელს ისწავლება კურსი; კურსის ხანგრძლივობა; კურსის დატვირთვა; კურსის სხვა სპეციფიკური მონაცემები; რადგანაც სემინარზე აქცენტი გაკეთდა უმაღლესი განათლების აღიარების ინსტიტუციურ ასპექტებზე (უმაღლეს საგანმანათლებლო ინსტიტუტებს უნდა ჰქონდეს საშუალება დამოუკიდებლად შეძლონ სტუდენტის უმაღლესი განათლების აღიარება, რაც გულისხმობს ECTS სისტემაზე გადასვლას, დიპლომის დანართის გაცემას და სასწავლო შედეგების სწორად განსაზღვრას) LOLA საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუტებისთვის მნიშვნელოვანია.

დღეს არსებული მასალები (მათ შორის შესაბამისი ზმნები და მათი განმარტებანი) არსებობს ინგლისურ ენაზე. საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო ინსტიტუტებს დასჭირდებათ სასწავლო შედეგის შედგენა ინგლისურ ენაზე. მაგრამ სასურველია თუნდაც ძირითადი მასალების (მათ შორის ზმნების) თარგმნა ქართულ ენაზე.

6. სემინარის პრეზენტაციები შეგიძლიათ ნახოთ აქ:

<http://tallinn2010.bolognaexperts.net/content/programme-and-seminar-documents>

უმაღლესი განათლების სოციალური განზომილება

თინათინ ზურაბიშვილი და აბდულ კახიძე

22-24 ნოემბერი, 2010, ნიქოზია, კვიპროსი

1. პროგრამა 22 ნოემბერი 2010

Monday, 22 November 2010

10:30 - 11:30 Registration, Coffee & Networking

12:15 - 12:45 'Social Dimension of the Youth on the Move initiative'

13:45 - 14:15 Introduction to Open Space Groups and update on Experts communication tools

14:15 - 14:45 'Counteracting Social Exclusion. A role for Higher Education?'

14:45 - 15:15 'Implementing the European Universities' Charter on Lifelong learning: shaping inclusive and responsive university strategies'

15:15 - 15:45 'The Goals and Achievements of the Bologna Working Group on Social Dimension'

16:15 - 17:45 Discussion Groups, 1st Round

Tuesday, 23 November 2010

09:00 - 09:30 Start-Up for Life. Education for Entrepreneurship as a key for Social Mobility among marginalized populations. The Israeli Case-Study

09:30 - 09:50 Presentation of the Open Space Groups Programme

09:50 - 10:00 Address by Jacques Kemp, EACEA

10:00 - 10:15 Address by Mónica Holik, EACEA

10:15 - 10:30 ECTS and DS labels - presentation of brochure

11:00 - 12:30 Discussion Groups, 2nd

13:30 - 15:00 Join the Open Space Groups

Wednesday, 24 November 2010

09:00 - 10:30 Discussion Groups, 3rd Round

10:30 - 12:00 Discussion Groups, 4th Round

12:30 - 13:15 Wrap-up session and closing

1. მონაწილეები

სემინარის სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობდნენ ბოლონიის ექსპერტები 134 ქვეყნიდან, მათ შორის საქართველოდან აბდულ კახიმე (ბათუმი) და თინათინ ზურაბიშვილი (თბილისი).

2. სემინარის მთავარი გზავნილი შეიძლება შევაჯამოდ შემდეგ ნაირად:

საჭიროა უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა, განსაკუთრებით საზოგადოების სოციალურად დაუცველი ფენებისათვის. არსებობს მრავალი გზა ამის განსახორციელებლად და ყველა ქვეყანას შესაძლოა ჰქონდეს საკუთარი კონკრეტული ხედვა ამ საკითხის მიმართ, თუმცა პრობლემის გადაჭრის საჭიროება დგას ყველგან და ბოლონიის პროცესის ექსპერტები სათანადოდ უნდა ჩაერთონ ამ პროცესში.

3. სემინარის მნიშვნელობა საქართველოსათვის

უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია საქართველოსათვის, და თუმცა ეს საკითხი განიხილება ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, ჩვენ ჯერ არ გავაჩნია კონკრეტული პასუხები. არსებული მონაცემების მიხედვით პრივილეგირებული ფენის წარმომადგენლებს კვლავაც უფრო მეტი შანსი აქვთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხვისა და სახელმწიფო დაფინანსების მიღების. პარადოქსია, მაგრამ ვინც განსაკუთრებულად დამოკიდებულია გარე (სახელმწიფო დაფინანსებაზე), მათი უნივერსიტეტში ჩარიცხვა ნაკლებად რეალური ხდება.

საქართველოში სტუდენტისთვის დაფინანსების მისაღებად და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოხვედრისათვის ერთადერთი კრიტერიუმია ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება. არა პრივილეგირებული ფენიდან წამოსულ აპლიკანტებს, რომლებიც ძირითადად წარმომადგენენ სოციალურად დაუცველ ფენას და მოდიან პროვინციული დასახლებებიდან (შესაბამისად მათ ერგოთ - უარესი სკოლები, ნაკლები კომფორტი და ხელშეწყობა და ხშირად, ხელმოკლე ოჯახები), ძალიან უძნელდებათ კონკურენცია გაუწიონ მათ ქალაქელ თანატოლებს. მათ აქვთ გაცილებით ნაკლები საშუალება და პირობები ეროვნული გამოცდებისთვის მოსამზადებლად არა მარტო ფინანსური თვალსაზრისით, არამედ კვალიფიციური მასწავლებლების ნაკლებობის გამოც მათ დასახლებებში და ა.შ.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის მიუხედავადაც ისინი ხშირად ახალ და ახალ ფინანსურ პრობლემებს ხვდებიან, სწავლის გადასახადს ხშირად ემატება საცხოვრებელი ხარჯებიც და მათ უწევთ განათლებაში მეტი ინვესტირება.

4. საქართველოში გასატარებელი ღონისძიებებისა და აქტივობების ჩამონათვალი, სემინარზე განხილული თემის შესაბამისად

განათლების ხელმისაწვდომობა არის პრობლემა, რომელიც შესაძლებელია გადაიჭრას მხოლოდ ინსტიტუციონალურ ან სახელმწიფო დონეზე. ეროვნულ დონეზე სტიპენდიების გაცემის სისტემაში შესაძლოა გათვალისწინებული იყოს კონკრეტულად სოციალურად დაუცველი ფენების წარმომადგენლების უფლებები და გამოიყოს სტიპენდიები. ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება აღარ უნდა განიხილებოდეს როგორც ერთადერთი კრიტერიუმი დაფინანსების მისაღებად. ერთ ერთი კარგი საშუალება ასევე იქნება სახელმწიფო დაფინანსების არა 4 წელზე (ანუ მთლიან საბაკალავრო პროგრამის პერიოდზე) გაცემა, არამედ პირველ სასწავლო წელზე, რითაც სტუდენტები მოტივირებული იქნებიან ყოველ წლიურად

მიიღონ მაღალი ქულები და შესაბამისად მომდევნო წლის დაფინანსებაც, რაც გაზრდის დაფინანსების მქონე სტუდენტების რაოდენობას.

უნივერსიტეტებსაც აქვთ საშუალება იმუშაონ ამ მიმართულებით, და შეიმუშაონ შიდა დაფინანსების სისტემები საკუთარი სტუდენტებისვის (მაგ. სტიპენდიები).

ამასთან ერთად, მე ვფიქრობ რომ განათლების ხელმისაწვდომობის პრობლემის გადაჭრისას არ უნდა დაკნინდეს უმაღლესი განათლების ხარისხი.

5. სემინარის პრეზენტაციები

დეტალური ინფორმაცია იხილეთ აქ: <http://www.bolognaexperts.net/nicosia2010/dashboard>

სასწავლო მობილობის ხელშეწყობა
აბდულ კახიძე და გიორგი ჩანტლაძე
21-23 მარტი, 2011, ბრიუსელი, ბელგია

1. სემინარის პროგრამა

1. Introduction by Mr Klaus Haupt, Head of Unit, Tempus and bilateral cooperation With industrialised countries, Education, Audiovisual and Culture executive Agency (EACEA)
2. Welcome addresses by Mrs Helene Skikos, Policy Officer, Cooperation and International programmes, Directorate General Education and Culture, European Commission
3. The EU Higher Education Modernisation agenda, by a representative of Directorate General Education and Culture, European Commission
4. Presentation and debate on ECTS implementation – the concept of students' workload and learning outcome by Mrs Raimonda Markeviciene, Head of International Programmes and Relations Office, Vilnius University, Lithuania and Mr Tim Birtwistle, Professor Emeritus at Leeds Law School, Leeds Metropolitan University, United Kingdom
5. Conclusions

სემინარის მიზანი:

- ევროპის უნივერსიტეტებში სტუდენტთა მობილობის შესახებ ინფორმაციისა და მობილობის სამომავლო პერსპექტივების განხილვა;
- უმაღლესი განათლების ექსპერტებისა და სტუდენტთა ერთობლივი მუშაობა მცირე სადისკუსიო ჯგუფებში მობილობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებზე, კონკრეტულ გამოცდილებაზე დაყრდნობით.

სემინარი გაიხსნა 21 მარტს ბელგიის განათლების სამინისტროს ფლამანდიული საზოგადოების შენობაში. მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ:

1. კლაუს ჰაუპტი (Klaus Haupt) - განათლებისა და კულტურის სფეროში ინდუსტრიალურ ქვეყნებთან ორმხრივი თანამშრომლობის აღმასრულებელი სააგენტოს და ტემპუსის ხელმძღვანელი;
2. ჰელენ სკიკოსი (Helene Skikos) - თანამშრომლობისა და საერთაშორისო პროგრამების, ზოგადი განათლებისა და კულტურის დირექტორატის, ევროპის კომისის პოლიტიკის საკითხების თანამშრომელი;

ვილნიუსის უნივერსიტეტის საერთაშორისო პროგრამებისა და ურთიერთობების ოფისის ხელმძღვანელმა ქალბატონმა რაიმონდა მარკვეიჩიენემ (Raimonda Markeviciene) და ლიდისის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის პროფესორის ტიმ ბირთვისთლმა (Tim Birtwistle) წარმოადგინეს პრეზენტაცია თემაზე: „ECTS-ის დანერგვა - სტუდენტთა დატვირთვის კონცეფცია და სწავლის შედეგები“. პრეზენტაციაში ქალბატონმა რაიმონდამ გაამახვილა ყურადღება კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის ევროპული სისტემის - ECTS-ის სხვადასხვა განზომილებებზე და იმ მენტალურ ცვლილებებზე, რომელიც ამ სისტემის იმპლემენტაციამ გამოიწვია ლიტვის უმაღლესი განათლების სისტემაში.

დღის მეორე ნახევარი დაეთმო პრეზენტაციებს:

1. აკადემიური თანამშრომლობის ასოციაციის დირექტორმა ბერნდ ვახტერმა (Bernd Wächter) თავის პრეზენტაციაში წარმოადგინა სტუდენტთა მობილობის კლასიფიკაცია და არსებულ სტატისტიკური მონაცემებზე დაყრდნობით აჩვენა მობილობის გეოგრაფია და პრიორიტეტები ევროკავშირის ქვეყნების მასშტაბით;
2. ბოლონიის ჰოლანდიელმა ექსპერტმა ელს ვან დერ ვერფმა (Els van der Werf) სწავლის პერიოდში საწარმოოში ან ფირმებში სამუშაო პრაქტიკის გავლა განიხილა, როგორც მობილობის ერთერთი უმნიშვნელოვანესი სახე. მან აღნიშნა რომ ამ ტიპის მობილობა მკვეთრად ზრდის სტუდენტთა დიპლომირების შემდგომ დასაქმების პროცესს და ხელს უწყობს დასაქმების ბაზრის ინტერნაციონალიზაციას. მან მიმართა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებს მოახდინონ კურიკულუმების მოდერნიზაცია და მოახდინონ საწარმოო პრაქტიკის, როგორც აუცილებელი ელემენტის ჩართვა კურიკულუმში;
3. ბოლონიის დიდ ბრიტანელმა ექსპერტმა ენდი გიბსმა (Andy Gibbs) ისაუბრა ბოლონიის ექსპერტთა ვირტუალური საზოგადოების ბოლოდროინდელი მიღწევების შესახებ.

22 მარტს სემინარი გაგრძელდა ერაზმუსის უმაღლესი სკოლის კამპუსში, ექვს სადისკუსიო ჯგუფში, რომლებშიც განიხილებოდა საკითხები:

1. პროფესიული პრაქტიკა (placements);
2. ცნობადობა და ერთობლივი ხარისხები (Recognition & Joint Degrees);
3. ინტერნაციონალიზების სტრატეგიები და მობილობა (Internationalization Strategies & Learning Mobility);

4. მობილობის გაზრდა (Multipliers of Mobility (incl. admin. & academic staff mobility, incentives, networks));
5. მობილობა და ექსპერტების როლი (Learning Mobility & the role of the experts);
6. ECTS-ის გზამკვლევი (The ECTS Users Guide).

მე საშუალება მქონდა დავსწრებოდი სამი (1, 2 და 5) სადისკუსიო ჯგუფის მუშაობას.

პირველ სადისკუსიო ჯგუფში პრეზენტაცია წარმოადგინა ერაზმუსის სტუდენტური კავშირის პრეზიდენტმა ევა ნტოვოლუმ. ევროპაში და მსოფლიოში განვითარებული ფინანსური კრიზისის და აქედან გამომდინარე სამუშაო ადგილების შემცირების გამო, შრომის ბაზარმა საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან მოითხოვა სტუდენტთა მომზადებისა და სწავლების შედეგად მინიჭებული კომპეტენციების უფრო მეტი ორიენტირება დასაქმებაზე. გარდა საგანმანათლებლო პროგრამების მოდერნიზირებისა ამ მიზნის ყველაზე კარგ გზას წარმოადგენს სწავლის პერიოდშივე სტუდენტთა მივლინება სამუშაოდ წარმოებაში, პროფესიული გამოცდილების მისაღებად. სადისკუსიო ჯგუფმა იმსჯელა პრობლემების შესახებ და იმ საკითხებზე, რომლებიც საჭიროა განხილულ იქნას უნივერსიტეტებისა და დამსაქმებლების მიერ ამ პროცესის ხელშეწყობად.

მეორე სადისკუსიო ჯგუფში პრეზენტაცია წარმოადგინა ვილნიუსის უნივერსიტეტის საერთაშორისო პროგრამებისა და ურთიერთობების ოფისის ხელმძღვანელმა ქალბატონმა რაიმონდა მარკვეიჩიენემ. მან საზოგადოებას გააცნო ერთობლივი ხარისხების გაცემის სტატისტიკა ევროკავშირის მასშტაბით და ისაუბრა იმ საკანონმდებლო და ინტიტუციურ საკითხებზე, რომლებიც საჭიროა განხილულ იქნას რათა ხელი შეეწყოს ერთობლივი ხარისხების გაცემის გავრცელებასა და განვითარებას. სადისკუსიო ჯგუფის მსჯელობა წარიმართა ქალბატონი რაიმონდას მიერ წარმოდგენილი პრობლემების გარშემო.

მეხუთე სადისკუსიო ჯგუფში რომელსაც მოდერირებდნენ ბოლონიის ჰოლანდიელი ექსპერტი ლეონარდ ვან დერ ჰუტი (Leonard van der Hout) და უმაღლესი განათლების ექსპერტი სომხეთიდან ნვარდ მანასიანი (Nvard Manasian), კამათი გაიმართა ექსპერტების როლის შესახებ მობილობის პროცესში. დისკუსიის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ბოლონიისა და უმაღლესი განათლების რეფორმების ექსპერტებს შეუძლიათ მრავალმხრივი და სასარგებლო ფუნქციები აიღონ თავის თავზე აკადემიური მობილობის უკეთ ორგანიზებისა და განვითარების საქმეში.

23 მარტს, სემინარის მესამე დღეს გაიმართა სადისკუსიო ჯგუფების მოდერატორების შემაჯამებელი პრეზენტაციები და დასასრულს სემინარის მონაწილეებს შეხვდა ევროკავშირის პირველი ასტრონავტი, ბელგიის მოქალაქე ფრანკ დე ვინი (Frank De Winne), რომელმაც საზოგადოებას გააცნო თავისი გამოცდილება და შთაბეჭდილებები. მან აღნიშნა რომ მისი გაფრენა დედამიწის მახლობელ ორბიტალურ სადგურზე საერთაშორისო ექსპედიციის ერთერთ წევრად შეიძლება განხილულ იქნას, როგორც მობილობა კოსმოსში.

მიზანშეწონილად მიმაჩნია სემინარზე განხილული რიგი რეკომენდაციების გათვალისწინება საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ:

1. სასურველია შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად ხელი შევუწყოთ საქართველოს უსდ-ების სტუდენტებისა და პროფესორის მობილობის პროცესის განვითარებას როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ევროკავშირის ქვეყნებში. ეს ხელს შეუწყობს სხვა უმაღლესი სასწავლებლებისა და უცხო ქვეყნების უმაღლესი განათლების სისტემების გამოცდილების გაცნობას, რაც თავის მხრივ სასიკეთოდ იმოქმედებს, როგორც სწავლის დონის ამაღლებაზე, ასევე კვალიფიკაციების ურთიერთ ცნობაზე;
2. სასურველია ყურადღება მიექცეს მობილობის ისეთ მნიშვნელოვან სფეროს როგორცაა, სტუდენტთა პროფესიული პრაქტიკის გავლა წარმატებულ საწარმოებში/ფირმებში. ამ პროცესის ხელშესაწყობად უნდა განხორციელდეს საგანმანათლებლო პროგრამების სათანადო მოდერნიზაცია და დასაქმების სფეროს წარმომადგენლების აქტიური ჩართვა, როგორც საგანმანათლებლო პროგრამების შედგენისას ასევე, სტუდენტების მომზადებისა და შეფასების პროცესში.

ინფორმაცია სემინარზე იხილეთ შემდეგ მისამართზე

<http://brussels2011.bolognaexperts.net/programme>

კურიკულუმის მოდერნიზაცია

ღალი ბაქრაძე

08.06.11, ოსლო, ნორვეგია

1. პროგრამა

Monday, 6 June 2011

09:30 - 10:15 Opening Plenary

10:15 - 11:00 Keynote by Robert Wagenaar followed by Debate: 'Tuning Revisited'

11:30 - 12:15 Keynote by Allan Päll followed by Q&A: 'Student Centred Learning - Toolkit for Students, Staff & HEIs'

12:15 - 12:45 Keynote by Jenneke Lokhof followed by Q&A: 'The Core2 Project'

14:00 - 15:45 Discussion Groups, 1st Round

16:15 - 18:00 Discussion Groups, 2nd Round

Tuesday, 7 June 2011

09:00 - 11:00 Open Space

11:30 - 13:15 Discussion Groups, 3rd Round

14:30 - 15:15 Closing Plenary

15:15 - 16:00 Closing Address

16:00 - 17:00 Wrap-Up Session, Final Remarks and Announcement Lisbon Seminar

1.2. HEREs Roundtable

HEREs Roundtable - Oslo, Wednesday 8th June 2011, 9:30-12:30

Draft Agenda

9.30-9.40

1. Introduction by Mr Klaus Haupt, Head of Unit, Tempus & Bilateral Cooperation with Industrialised Countries; Education, Audiovisual and Culture Executive Agency (EACEA)

2. Presentation and debate on HEREs 2010 activities

9.40-9.55 - HIGHER EDUCATION REFORM EXPERTS: Overview of the Activity Report 2010 by Mr Jacques Kemp, Tempus & Bilateral Cooperation with Industrialised Countries unit; Education, Audiovisual and Culture Executive Agency (EACEA)

9.55-10.45 - The organisation of local activities: events, training, seminars – by Mr Andriy Stavvitsky – Associate Professor, Economic Cybernetics Department, National Taras Shevchenko

University of Kyiv, Ukraine and Professor - Vadym Zakharchenko, Vice-Rector on Pedagogical Affairs, Odessa National Maritime Academy, Ukraine

11.00-11.45 - The development of HEREs support to the authorities by Prof. Chafic Mokbel, Balamand University, Lebanon

11.45-12.30 - Outreach activities: communication, dissemination strategies.

By Prof. Vera Dondur, University of Belgrade; Head of the HEREs team of Serbia; President of National Council for Science and Technological Development

2. სემინარის მონაწილეები

2.1. 6-7 ივნისის სემინარზე მონაწილეობას ღებულობდა ბოლონიის პროცესის წევრი 47 ქვეყანის 148 წარმომადგენელი; ასევე 21 წარმომადგენელი შემდეგი ქვეყნებიდან: ალჟირი, ისრაელი, ყირგიზეთი, ლიბანი, მაროკო, სირია, უზბეკეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი. სემინარის მუშაობაში მონაწილეობდა ასევე 14 წარმომადგენელი შემდეგი ორგანიზაციური ორგანიზაციებიდან: ევროკომისია, ტემპუსის პროგრამა, ოსლოს უნივერსიტეტი, ვენის უნივერსიტეტი, UNICA, EACEA.

2.2. 8 ივნისს გაიმართა მრგვალი მაგიდა ტემპუსის პროგრამის მიერ, სადაც მონაწილეობას ღებულობდნენ წარმომადგენლები მხოლოდ ტემპუსის პროგრამის ქვეყნებიდან.

3. სემინარის მთავარი მესიჯი

3.1. ბოლონიის პროცესის განხორციელება, უმაღლესი განათლები ერთიანი ევროპული სივრცის რეალური ფუნქციონირება, კვალიფიკაციების აღიარება და ხარისხის ამაღლება შეუძლებელია სტუდენტზე ორიენტირებული სისტემის გარეშე. სტუდენტზე ორიენტაცია კი პირველ რიგში კურიკულუმის სწავლის შედეგებზე დაფუძნებას მოითხოვს. სწავლის შედეგების კონცეფცია არაა სიახლე ბოლონიის პროცესისათვის, თუმცა კურიკულუმის მოდერნიზაცია დიდ ძალისხმევას მოითხოვს.

3.2. 8 ივნისს გამართულ მრგვალ მაგიდა მიემდვნა ტემპუსის პროგრამის 2010 წლის ანგარიშის გაცნობასა და დამატებით რამდენიმე ქვეყანაში (უკრაინა, სერბეთი და ლიბანი) ტემპუსის დახმარებით განხორციელებული საქმიანობის პრეზენტაციას. ტემპუსის პროგრამის უმაღლესი განათლების ექსპერტების 2010 წლის ანგარიშში საქართველოს მიერ გაწეული საქმიანობა მოხსენიებულია რამდენჯერმე (იხ. დოკუმენტი: 2010_HEREEs Activity Report.pdf).

4. სემინარის რელევანტურობა საქართველოსათვის

სემინარი ორგანიზებული იყო არატრადიციული ფორმით. კერძოდ, საერთო პელნარულ სესიებსა და ვორკშოპებს დაემატა ე.წ. „ღია სივრცე“, რომლის თემებიც წინასწარ გამოცხადდა ინტერნეტის მეშვეობით და დასწრება იყო თავისუფალი (ვორკშოპებისაგან განსხვავებით). თუმცა, როგორც ვორკშოპების, ასევე „ღია სივრცის“ დისკუსიების დიდი რაოდენობა ყველა მათგანში მონაწილეობის საშუალებას არ იძლეოდა.

საერთო სესიის ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვა იყო რობერტ ვაგენარის პრეზენტაციის სათაურში გამოტანილი კითხვა. „თუნინგის გადახედვა: კურიკულუმის მოდერნიზაცია ევროპასა და მის ფარგლებს გარეთ: დავმარცხდით თუ წარმატებას ვერ ვაღწევთ?“

ბოლონის პროცესის ბოლო ანგარიშების მიხედვით (2009 და 2010 წლები) სერიოზული წარმატებას მივაღწიეთ და თუ ეს მართალია, მაშინ რატომ ვხედავთ ძალიან მცირე მიღწევებს ყოველდღიურ ცხოვრებაში. კიდევ ერთხელ, მოკლედ იქნა განხილული თუნინგის პროექტი, როგორც შინაარსობრივი მხარე, ასევე გავრცელების გეოგრაფიული მასშტაბები. ისევ ხაზგასმულ იქნა სტუდენტზე ორიენტირებული სისტემის შექმნის აუცილებლობა და ამ მიზნის მისაღწევად და მხარდასაჭერად

პრეზენტაციაში ყურადღება გამახვილდა „ხარისხის პროფილის“ როგორც პროგრამის გამჭვირვალობობისათვის აუცილებელ, დოკუმენტზე. აღნიშნული დოკუმენტი არის სიახლე და შემუშავდა თუნინგისა და ENIC/NARIC-ის ერთობლივი მუშაობით CoRe 2 პროექტის ფარგლებში.

ამ პროექტს მიეძღვნა ცალკე პრეზენტაცია: „პროექტი CoRe 2 - „კომპეტენციები აღიარებასა და განათლებაში 2“. ამდენად, ეს ორი პრეზენტაცია მეტ-ნაკლებად ურთიერთგადამკვეთი იყო (იხ. პრეზენტაციები:

[pp_tuning_revisited_wagenaar-oslo_6_june_2011.pdf](#);

[pp_tuning_revisited_wagenaar-oslo_6_june_2011.pdf](#)).

კურიკულუმის მოდერნიზაციასა და სასწავლო პროცესის დემოკრატიზაციასთან დაკავშირებით ევროპის სტუდენტთა კავშირის წარმომადგენლმა ალან პალმა ვრცელი პრეზენტაცია ძალიან მოკლე დასკვნაში შემდეგნაირად ჩამოაყალიბა:

- მსოფლიო შეიცვალა - საჭიროა ახალი საინფორმაციო კომპეტენციები
- ფორმალურ განათლებამ უნდა უზრუნველყოს დემოკრატიის სწავლება (დღეს, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია განათლების სისტემის საზოგადოების მიზნებზე ორიენტირება)
- თვითოეულ ჩვენთაგანს თავისი როლი აქვს შესასრულებელი.

იხ. პრეზენტაცია: [A toolkit for students, staff and HEI allan_pall.pdf](#)

ვორკშოპი „როგორ გამოვიყენოთ სწავლის შედეგები სწავლებასა და შეფასებში“

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებით აღწერასთან დაკავშირებით პრეზენტაცია გააკეთა კორკის უნივერსიტეტის განათლების პროფესორის დილკან კენედიმ. მან ხაზი გაუსვა ამ პროცესის ორ მნიშვნელოვან ეტაპს: ა) სწავლის შედეგების ჩამოყალიბება, ბ) სწავლის შედეგების დაკავშირება სასწავლო აქტივობებსა და შეფასებასთან. სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისათვის ის იყენებს ბლუმის ტაქსონომიას.

ვორკშოპზე დაისვა საკითხი რამდენად აუცილებელია კომპეტენციებისა და სწავლის შედეგების ცალ-ცალკე ჩამოყალიბება კურიკულუმში. დილკან კენედის აზრით კურიკულუმი უნდა იძლეოდეს მკაფიო და გაზომვად სწავლის შედეგებს, ხოლო საგანმანათლებლო პროგრამაში კი კომპეტენციების კონცეფციის გამოყენება, გარკვეულწილად სარისკოა, მით უმეტეს, რომ ევროპაში ერთიანი მიდგომა კომპეტენციებისადმი არ არსებობს.

იხ. პრეზენტაცია: Using Learning Outcomes in Teaching, Learning and Assessment
d_kennedy_oslo.ppt

ვორკშოპი „პრაქტიკული მიდგომები თუნინგის „ხარისხის პროფილის“ ჩამოსაყალიბებლად“

ვორკშოპი მიზნად ისახავდა მონაწილეებისათვის „ხარისხის პროფილის“ გაცნობას და ასევე სწავლის შედეგების სწორად ფორმულირებას CoRe2 პროექტის მიერ შემოთავაზებული კრიტერიუმებით. „ხარისხის პროფილი“ ჩამოყალიბებულია თუნინგის ახალ ბროშურაში. იხ. შესაბამისი დოკუმენტი ინგლისურად: tuning formulating degree profiles.pdf. წიგნი, ამ სემინარის მიზნებისათვის, ასევე ითარგმნა ქართულად. იხ: თუნინგი - ხარისხის პროფილები. pdf

- რა არის „ხარისხის პროფილის“ დოკუმენტი და რისთვისაა საჭირო

სტუდენტზე ორიენტირებულ კონტექსტში სასწავლო პროცესის გამჭვირვალობა ძალიან მნიშვნელოვანია. სტუდენტებმა წინასწარ უნდა იცოდნენ თუ რას მოიცავს ესა თუ ის პროგრამა და რა შედეგების მიღწევას უნდა ელოდონ ისინი თითოეული მათგანიდან. „ხარისხის პროფილის“ დოკუმენტის ავტორების აზრით ის უზრუნველყოფს მოკლე, მკაფიო და ფოკუსირებულ გზას საგანმანათლებლო პროგრამის შედეგების აღწერისათვის. ის არის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი კომუნიკაციის, გამჭვირვალობისა და აღიარებისათვის.

პროფილი შედგება შვიდი ნაწილისაგან:

- ზოგადი

- მიზანი
- მახასიათებლები
- დასაქმება და სწავლის გაგრძელება
- განათლების სტილი
- პროგრამის კომპეტენციები
- პროგრამის სწავლის შედეგები

დოკუმენტი ძალიან საინტერესოა, თუმცა ის ქმნის გარკვეულ პრობლემებს. მასში ცალ-ცალკეა გამოყოფილი კომპეტენციები და სწავლის შედეგები. თუნინგის პროექტით კომპეტენციები და სწავლის შედეგები ერთი მედლის ორი მხარეა. სწავლის შედეგებს აყალიბებს აკადემიური პერსონალი და სასწავლო პროცესში ამ შედეგების მიღწევით ხდება კომპეტენციების ფორმირება სტუდენტების მიერ(ამდენად, კომპეტენცია არამატერიალური პროდუქტია და ის არ არსებობს ადამიანისაგან დამოუკიდებლად). თუნინგის განმარტებით კომპეტენცია: „კოგნიტური და მეტაკოგნიტური უნარების, ცოდნის დემონსტრირებისა და გაცნობიერების, ინტერპერსონალური, ინტერკულტურული და პრაქტიკული უნარებისა და ეთიკური ღირებულებების დინამიური კომბინაციაა“. ეს დინამიური კომბინაცია, გარკვეულწილად ყოველთვის სხვადასხვა იქნება სხვადასხვა სტუდენტისათვის და ამ კომბინაციისა და ეთიკური ღირებულებების ობიექტური გაზომვა/შეფასება პრაქტიკულად შეუძლებელია. ამ აზრზე არიან CoRe2 პროექტის ავტორებიც და კომპეტენციებთან ერთად გვთავაზობენ სწავლის შედეგებსაც. თუმცა, აბსოლუტურად გაურკვეველია რატომაა საჭირო ერთდროულად კომპეტენციებისა და სწავლის შედეგების ჩამოყალიბება. მითუმეტეს, რომ წიგნში მოყვანილ მთელ რიგ მაგალითებში კომპეტენცია და მისი შესაბამისი სწავლის შედეგი თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებს ერთმანეთს (მაგ., იხილეთ ისტორიის სადოქტორო პროგრამის პროფილში ინდივიდუალურ კვლევასთან დაკავშირებული კომპეტენცია და სწავლის შედეგი).

სასწავლო პროცესში ის რაც გაზომვადია და რაც საშუალებას გვაძლევს სისტემა ორიენტირებული იყოს სტუდენტზე არის სწავლის შედეგები ანუ „ის თუ რა უნდა იცოდეს და რისი გაკეთება უნდა შეეძლოს სტუდენტს სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ.“ აღნიშნულ ვორკშოპზე, რომელიც ატარებდა პრაქტიკულ ხასიათს, მთელი აქცენტი გადატანილი იყო მოდულის/კურსის ერთეულის სწავლის შედეგების სწორ ფორმულირებაზე. შესაბამისად, ვორკშოპმაც დაადასტურა, რომ პროგრამის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი არის სწავლის შედეგი. 4 ნაწილად გაყოფილმა მონაწილეებმა გააანალიზეს ისტორიის

პროგრამის სწავლის შედეგების ცუდი მაგალითები (core2 პროექტის მონაწილე უნივერსიტეტებიდან) და შემდეგ თავად ჩამოაყალიბეს ახალი სწავლის შედეგები.

ამ პროექტის ფარგლებში შემუშავებული შემდეგი კომპონენტის მიხედვით:

1. **აქტიური ზმნის** ფორმები
2. სწავლის შედეგის **ტიპის** ჩვენება: ცოდნა, გაცნობიერება, უნარი ან სხვა კომპეტენცია
3. სწავლის შედეგების **თემა/სფერო**: ეს შეიძლება იყოს სპეციფიური ან ზოგადი და შეეხება საგნის საკითხებს, ცოდნის სფეროს ან გარკვეულ უნარებს
4. **სტანდარტის** ან **დონის** მითითება, რომელიც განზრახულია/მიიღწევა სწავლის შედეგებით

სწავლის შედეგის **თვალსაწიერი** და/ან **კონტექსტი**.

ვორკშოპი „სტრატეგიული მიდგომა კურიკულუმის მოდერნიზაციისათვის“

მიემდვნა კურიკულუმის მოდერნიზებისადმი სტრატეგიული მიდგომის საკითხებს ბოსნია-ჰერცეგოვინის მაგალითზე. რეალურად ბოსნია -ჰერცეგოვინას არ გააჩნია სტრატეგიული მიდგომა ქვეყნის მასშტაბით კურიკულუმის შინაარსობრივი ცვლილებისათვის. უმაღლეს სასწავლებლებს თავად უწევთ გარკვეული ცვლილებების თავისი შეხედულებისამებრ გატარება (იხ. პრეზენტაცია: the_strategic_approach_to_curriculum_modernisation_oslo.ppt).

„ღია სივრცის“ დისკუსია მობილობის სახეების შესახებ

ძალიან საყურადღებო პრეზენტაცია წარმოადგინა დოქ. იოხენ ჰელმანმა, რომელმაც განახორციელა მობილობის კლასიფიცირება და ჩამოაყალიბა მისი 8 სახე. ამასთან, გააანალიზა თითოეული სახის დადებითი და უარყოფითი მხარეები. ვფიქრობ, ეს დაეხმარება ყველა დაინტერესებულ პირს ზუსტად გაიაზროს თუ რასთან აქვს საქმე.

1. აკადემიური ხარისხის ანუ სრული მობილობა (მიგრაციის ასპექტებით)

- ენის საფუძვლიანი ცოდნა („ჩამირვა“)/ღრმა ინტეგრაცია
- სარგებლობს მიმღები ქვეყანა

მაგრამ „ გონების გადინება“

2. ინტერციკლური მობილობა

- ორი აკადემიური სისტემის ღრმა წვდომა
- კონკურენციის ამაღლება
- ორგანიზებისათვის შედარებით იოლი მაგრამ „ბაკალავრების გარეშე“

3. არასტრუქტურული, თვითორგანიზებული მობილობა (ჩვეულებრივად ბოლონიაშდელი გრძლი და ერთსაფეხურიანი პროგრამების დროს)

- სპეციალური, ინდივიდუალური სასწავლო გამოცდილება
- ინდივიდუალური დამოუკიდებლობა და პერსონალური ზრდა.

მაგრამ სოციალური სელექციის შესაძლებლობა, ხშირად აღიარების პრობლემები და სხვა ზოგადი წინააღმდეგობები

4. მოკლევადიანი, ორგანიზებული ჯგუფური მობილობა (საზაფხულო სკოლები)

- „მადის აღმძვრელი“ უფრო გრძელვადიანი მობილობისათვის
- იოლად თავსებადი ინდივიდუალურ პრეფერენციებთან

არ მიაქვს დიდი დრო, მაგრამ აკადემიური გავლენა ძალიან მცირეა.

5. ნახევრად ორგანიზებული ინდივიდუალური მობილობა (ერაზმუსის ტიპის)

- ინდივიდუალური არჩევანისა და ინსტიტუციური მხარდაჭერის კარგი ნაკრები

მაგრამ შიძლება წარმოშვას „გეტოები“ და აკადემიური ღირებულება ყოველთვის არაა უდაო.

6. მობილობის ფანჯრის სქემები (სავალდებულო მობილობის გარეშე)

- ინსტიტუციისათვის აადვილებს რიგ საკითხებს და იძლევა არცევანის საშუალებასა და ინდივიდუალურ გამოცდილებას.

მაგრამ მობილობის დაბალი პროცენტი

7. მობილობის ფანჯრის სქემები (სავალდებულო მობილობით)

- შედარებით კომფორტული სტუდენტის თვალთახედვიდან
- 100%-იანი მობილობა

მაგრამ ინსტიტუციისათვის არც თუ ადვილი პასუხისმგებლობაა; ფინანსური მოსაზრებების გამო არსებობს სტუდენტების დაკარგვის რისკი.

8. ინტეგრირებული მობილობა (ორმაგი/ერთობლივი ხარისხი)

- ორი აკადემიური სისტემის ღრმა გააზრება
- მაღალი აკადემიური ხარისხის და ღირებულება
- მოწონებულია დამსაქმებლების მიერ მაგრამ საჭიროა წლები მომზადებისათვის; მთელი რიგი სამართლებრივი და ადმინისტრაციული წინააღმდეგობები.

იხ. პრეზენტაცია: [vortrag-types-of-student-mobility-oslo.pdf](#)

„ღია სივრცის“ დისკუსია კრედიტების შესახებ

დისკუსიას ხელმძღვანელობდა ევროკომისიის წარმომადგენელი რუარდ უოლის დე ვრიესი. გაიმართა მწვავე დისკუსია კრედიტების სწორად დანერგვასთან დაკავშირებით. ხშირად კრედიტი არაა დაკავშირებული სწავლის შედეგთან და სტუდენტები მხოლოდ კრედიტების

შეგროვებით (რაოდენობით) არიან დაკავებულნი. ამან გამოიწვია ის რომ ზოგიერთ უმაღლეს სასწავლებელს (კერძოდ, გაერთიანებულ სამეფოში) გაუჩნდა სურვილი ბაკალავრიატის 180 კრედიტის ათვისება 2 აკადემიურ წელიწადში გაეხადა შესაძლებელი. შედეგად, ინგლისში გაცემული ბაკალავრიატი, 180 კრედიტი - 2 წელიწადში, არ აღიარა დანიაში.

გერმანიის ბოლონის ექსპერტმა მოიყვანა მაგალითი, როდესაც ერთმა კერძო უსდ-მ 240 კრედიტიანი საბაკალავრო პროგრამა გაწერა 3 აკადემიურ წელიწადზე. რასაც მოყვა სერიოზული დისკუსია და საბოლოოდ აღნიშნული უსდ გადავიდა 3 წლიან, 180 კრედიტიან საბაკალავრო პროგრამაზე.

დასკვნის სახით აღნიშნულ იქნა შემდეგი:

1. კრედიტი არის მორგებული სტუდენტის ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე. შეიძლება ერთ სტუდენტს, მისი მიღწევებისა და შესაძლებლობებიდან გამომდინარე დასჭირდეს სხვებთან შედარებით ნაკლები დრო, მაგრამ ფორმალური საგანმანათლებლო პროგრამა უნდა აიგოს ისე რომ ერთი აკადემიური წელი ითვალისწინებდეს 60 კრედიტს. ეს ნიშნავს, რომ 180 კრედიტიანი ფორმალური საგანმანათლებლო პროგრამა უნდა გაიწეროს 3 წელიწადზე.
2. კრედიტებთან დაკავშირებულმა პრობლემებმა გამოიწვია მისი თავიდან გადამუშავების საჭიროება. ევროკომისიაში ამჟამად მიმდინარეობს მუშობა მის შემდგომ დახვეწაზე.

5. კურიკულუმის მოდერნიზაციასთან მიმართებაში საქართველოში გასატარებელი ღონისძიებები:

1 მნიშვნელოვანია „სწავლის შედეგების“ ჩამოსაყალიბებლად სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება. ასევე კარგი იქნება დიკლან კენედის ბროშურის: Writing and Using Learning Outcomes: practical guide, თარგმნა.

2. მუდმივად უნდა მიმდინარეობდეს სემინარები სწავლის შედეგების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით. სწავლის შედეგები უნდა იყოს მკაფიო და გაზომვადი. ეს ნიშნავს, რომ ღირებულებების ელემენტის დამატება სწავლის შედეგებში ართულებს სიტუაციას. ამ ელემენტის არსებობა ხელს შეუშლის ერთობლივი პროგრამების შემუშავებისა და ზოგადად აღიარების პროცესს.

3. აუცილებელია უმაღლესი განათლების ლექსიკონის შექმნა, რომელშიც შევა ბოლონის პროცესის, ასევე ევროკავშირის სხვადასხვა დოკუმენტებსა და ჩრდილო ამერიკაში

გამოყენებული ტერმინები. ეს ტერმინები ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო შინაარსისა ან სხვადასხვა დატვირთვის ატარებს. არსებობს შემთხვევები, როდესაც ამერიკულ და ევროპულ კრედიტებს შედარება ხდება გამარტივებულად, მხოლოდ მისი რაოდენობის საფუძველზე და არ ხდება ამ ორი სხვადასხვა კრედიტის არსის გაცნობიერება. ამასთან, შეუძლებელია მთელი რიგი ტერმინების თარგმნა სიტყვასიტყვით, ასევე რამდენიმე, სხვადასხვა ტერმინი (მაგ., skills, ability) თავისი კონტექსტიდან გამომდინარე, ხშირად, ქართულად ერთი და იგივე სიტყვით ითარგმნება, რაც ქმნის პრობლემებს. ტერმინების ერთნაირად გაგების გარეშე შეუძლებელია პროგრამების სწორი გაგება, სამართლიანი აღიარების განხორციელება.

4. ასევე საინტერესო და სასარგებლო იქნება მობილობის არსის სწორი განსაზღვრა და ქვენორმატიულ აქტში ტერმინების სახით ჩამოყალიბება. განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიმაჩნია ისეთი ტერმინის დანერგვა, როგორცაა „მობილობის ფანჯარა“.

5. მნიშვნელოვანია, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენელი ბოლონის სამუშაოს ჯგუფში ჩაერთოს კრედიტების სახელმძღვანელოში დაგეგმილი ცვლილებების პროცესში (რამდენადაც ეს შესაძლებელია ბოლონის სამუშაო ჯგუფის ფარგლებში). სულ მცირე დროულად მიიღოს ინფორმაცია მიმდინარე ცვლილებების შესახებ, რათა ქვეყანამ დროულად მოახდინოს მასზე რეაგირება.

6. კონფერენციის სხვა პრეზენტაციები

კონფერენციის ორგანიზება არ იძლეოდა ყველა სემინარში მონაწილეობის საშუალებას. ამდენად, ქვემოთ მოცემულია კონფერენციის სხვა პრეზენტაციებიც:

- Different Approaches to Learning & New Profiles of Learners.ppt
- How to Individualize Mass Teaching Programmes.pdf

ოსლოს უნივერსიტეტის პრორექტორის პრეზენტაცია კონფერენციის გახსნასთან დაკავშირებით:

- bolgna_presentation_uio_doris_jorde.pdf

კრეატიულობის ხელშეწყობა – კვლევითი მენტალიტეტის ფორმირება

ორინე დარჩია

9–10 ივნისი, 2011, მადრიდი, ესპანეთი

ლონისძიების პროგრამა.

Preliminary Programme as of 27 May 2011

Thursday, 9 June 2011

10.00 - 10.30 Welcome Address

- Daniel Peña Sánchez de Rivera, Rector, Carlos III University of Madrid, Spain
- Lucía Figar de Lacalle, Education Counsellor of the Community of Madrid, Spain
- Lesley Wilson, Secretary General, European University Association (EUA)
- Carmen Vázquez García, Vice-Chancellor for Postgraduate Studies and Quality, Carlos III University of Madrid, Spain

10.30 -12.00 Plenary I - What is Creativity in Research? - Aula Magna, Rectorado Building, Chair:

María Morrás Ruiz-Falco, EUA-CDE Steering Committee Member and Delegate for the Internationalisation of Doctoral Studies, Pompeu Fabra University, Spain

- Yehuda Elkana, President and Rector Emeritus, Central European University (CEU), Hungary and Visiting Scholar, Max-Planck-Institute for the History of Science, Germany
- Kevin Byron, Enterprise Education Co-ordinator, The Learning Institute, Queen Mary, University of London, United Kingdom

13.30 – 14.30 Parallel Paper Session I

Participants will be invited to attend one of six parallel paper sessions, for further information please visit the above link

14.30 – 15.30 Plenary II – EUA-CDE Project Work in Doctoral Education (ARDE and CODOC)

Aula Magna, Rectorado Building - Chair: Berit Rokne, EUA-CDE Steering Committee Member and Deputy Rector, University of Bergen, Norway. Joanne Byrne, Project Officer, European University Association (EUA)

16.00 – 17.00 Parallel Paper Session II - Participants will be invited to attend one of six parallel paper sessions, further information please visit the above link

17.00 – 17.30 Business Meeting - (CDE members only) - Aula Magna, Rectorado Building

Friday, 10 June 2011

9:00 - 10:30 Plenary III – Research, creativity and practice - Aula Magna, Rectorado Building

Chair: Amelie Mummendey, Vice-Rector of the Jena Graduate Academy, Friedrich Schiller University Jena, Germany and EUA-CDE Steering Committee Members

- Andreas Spiegl, Vice-Rector for Education and Research, Academy of Fine Arts, Austria
- Gülsün Saglam, Former Rector, Istanbul Technical University, Turkey
- Colin Pilbeam, Director PhD Programme, Cranfield School of Management, United Kingdom
- Hannele Niemi, Professor of Education and former Vice-Rector for Academic Affairs, University of Helsinki, Finland

11:00– 12:30 Speakers' Corner- Aula Magna, Rectorado Building

Chair: Melita Kovacevic, EUA-CDE Steering Committee Member and Vice-Rector for Science and Technology, University of Zagreb, Croatia

14:00 – 14:30 Plenary IV - The European Research Area and the Innovation Union Aula Magna, Rectorado Building

Chair: Lesley Wilson, Secretary General, European University Association (EUA)

- Octavio Quintana-Trias, Director, Directorate B – European Research Area, Directorate-General for Research and Innovation, European Commission.

14:30 – 15:30 Stakeholder panel - Aula Magna, Rectorado Building Chair: Lesley Wilson, Secretary General, European University Association (EUA)

- Georges Bingen, Head of Unit, C3 Marie Curie Actions, Directorate-General for Education and Culture, European Commission .
- Stina Vrang Elias, Managing Director, Danish Business Academy (DEA), Denmark
- Ludovic Garattini, President, European Council of Doctoral Candidates and Junior Researchers (Eurodoc)

15.30 – 16.15 Closing Plenary - Aula Magna, Rectorado Building

- Outcomes from paper sessions -Alexandra Bitusikova, EUA-CDE Senior Advisor and Vice-President for Research, University Matej-Bel, Banska Bystrica, Slovakia
- Jean Chambaz, Vice-President for Research, Pierre and Marie Curie University, France and EUA-CDE Steering Committee Chair

3. ღონისძიების მონაწილეები.

ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის სადოქტორო განათლების საბჭოს მეოთხე

ყოველწლიურ შეხვედრაში მონაწილეობდა 34 ქვეყნის 180-ზე წარმომადგენელი, უნივერსიტეტების და სადოქტორო სკოლების ადმინისტრაციის წარმომადგენლები, განათლების ექსპერტები.

ტემპუსის ეროვნული ოფისის დაფინანსებით, ღონისძიებაში საქართველოდან მონაწილეობა მიიღო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, როგორც აღნიშნული საბჭოს ერთადერთმა წევრმა საქართველოდან.

4. ღონისძიების მიზნები, ამოცანები და შედეგები.

ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის სადოქტორო განათლების საბჭოს მიერ მადრიდში ორგანიზებული ყოველწლიური შეხვედრა მიეძღვნა სადოქტორო განათლების სფეროში არსებული არა მხოლოდ ფორმალური და სტრუქტურული, არამედ თავისი არსით გაცილებით უფრო ფართო პრობლემატიკის ანალიზს. კერძოდ, განხილულ იქნა დოქტორანტების კრეატიულობასთან დაკავშირებული და სამეცნიერო-კვლევითი მენტალიტეტის ფორმირების პროცესში წამოჭრილი პრობლემები და მათი გადაჭრის გზები; წარმოდგენილ იქნა წარმატებული ევროპული უნივერსიტეტების გამოცდილება და მათ საფუძველზე მომზადდა გარკვეული დასკვნები და რეკომენდაციები.

მადრიდში დოქტორანტურა განხილულ იქნა როგორც დოქტორანტების პროფესიულ და პიროვნულ განვითარებაზე, მათთვის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გარემოსა და ატმოსფეროს ფორმირებაზე, დოქტორანტებისთვის მკვლევრის მენტალიტიტეტის ჩამოყალიბებაზე ორიენტირებული პროცესი.

პლენარულ სხდომებზე მსჯელობა და დისკუსია შემდეგი ძირითადი მიმართულებებით წარიმართა: კრეატიულობის სხვადასხვა განზომილებანი სადოქტორო განათლებაში; ორი ახალი ევროპული პროექტი: „ანგარიშვალდებული სამეცნიერო-კვლევითი გარემო სადოქტორო განათლებისთვის“ (Accountable Research Environment for doctoral education – ARDE, 2010-2013), „თანამშრომლობა სადოქტორო განათლების სფეროში აფრიკას, აზიას, ლათინურ ამერიკასა და ევროპას შორის“ (Cooperation on Doctoral Education between Africa, Asia, Latin America and Europe – CODOC, 2010-2012); დაინტერესებულ მხარეებთან (ე.წ. სტეიკჰოლდერებთან) კომუნიკაციის მნიშვნელობა; მარი კიურის პროგრამა და სადოქტორო განათლება; ე.წ. ინდუსტრიული დოქტორანტურის ძლიერი მხარეები და გამოწვევები; ახალგაზრდების როლი და მნიშვნელობა სადოქტორო განათლების შემდგომი განვითარებისთვის და სხვ.

შეხვედრის თითოეულ მონაწილეს საშუალება ჰქონდა, მონაწილეობა მიეღო ექვსიდან ორი პარალელური სექციის მუშაობაში. ისინი მიეძღვნა შემდეგ პრობლემებს/თემებს:

1. სტრუქტურები კრეატიულობის მხარდასაჭერად;
2. პიროვნული თავისუფლება სამეცნიერო ხელმძღვანელობის ფარგლებში;
3. ინსტიტუციური ანგარიშ-ვალდებულება და პიროვნული დამოუკიდებლობა;
4. საკანონმდებლო ჩარჩო – შემზღუდავი თუ მხარდამჭერი?
5. ფოკუსი პიროვნების კარიერულ წინსვლაზე;
6. სადოქტორო პროგრამების მრავალფეროვანი პორტფოლიოს ფორმირება უსდ-ში.

თითოეული სექციის ფარგლებში წარმოდგენილ და განხილულ იქნა წარმატებული სადოქტორო პროგრამები და სადოქტორო სკოლები. კერძოდ:

1. ინჟინერიის ფაკულტეტი, სამხრეთ დანიის უნივერსიტეტი (დანია); ფრანკფურტის გოეთეს უნივერსიტეტის სადოქტორო სკოლა (გერმანია);
2. სადოქტორო განათლების ინსტიტუტი, პიერ და მარი კიურის უნივერსიტეტი (საფრანგეთი); ნიუქასლის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი);
3. მიუნხენის ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტის სადოქტორო განათლების ცენტრი (გერმანია); ქოვენორის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი);
4. კლუჟ-ნაპოკას უნივერსიტეტი (რუმინეთი);
5. ჰალის უნივერსიტეტი, აღმოსავლეთ იორკშირი (დიდი ბრიტანეთი); მილანის კათოლიკური უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის სადოქტორო სკოლა (იტალია);
6. დუბლინის რეგიონის უმაღლესი განათლების ალიანსი სადოქტორო განათლების სფეროში (ირლანდია); დუბლინის ტექნოლოგიური ინსტიტუტი (ირლანდია).

ბოლო პლენარულ სხდომაზე წარმოდგენილი იქნა პარალელური სექციების დასკვნები და რეკომენდაციები ძირითადი პრობლემების/თემების ირგვლივ.

5. ღონისძიების რელევანტურობა საქართველოსთვის.

ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის სადოქტორო განათლების საბჭოს მადრიდის შეხვედრაზე დასმული და განხილული საკითხების აბსოლუტური უმრავლესობა სავსებით ეხმიანება იმ სტრუქტურული და შინაარსობრივი (კონცეპტუალური) ხასიათის პრობლემებს, რომელთა წინაშეც საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები დგანან სადოქტორო განათლების რეფორმირების პროცესში, რასაც მოწმობს ღონისძიების დასკვნები (იხ. ანგარიშის დანართი) და მადრიდის შეხვედრის საფუძველზე საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის შემუშავებული რეკომენდაციები.

6. ღონისძიების საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები

1. დოქტორანტებისთვის კარგი სამეცნიერო-კვლევითი გარემოს შექმნა ინტელექტუალური ატმოსფეროს, მიზანმიმართული სასწავლო და კვლევითი ხასიათის აქტივობების, შესაბამისი ინფრასტრუქტურის დახმარებით (მაგალითად, სისტემატური სემინარები, ვორკშოპები, კონფერენციები, შეხვედრები, პუბლიკაციები, მივლინებები და სხვ.);
2. სამეცნიერო ხელმძღვანელის ინსტიტუტის გაძლიერება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში (მაგალითად, სამეცნიერო ხელმძღვანელების ანგარიშ-ვალდებულების ზრდა დოქტორანტისა და ინსტიტუტის წინაშე; სამეცნიერო ხელმძღვანელის ფუნქციების იდენტიფიკაცია სათანადო მარეგულირებელ დოკუმენტში, ხელშეკრულებაში; სამეცნიერო ხელმძღვანელების საგანგებოდ მომზადება-გადამზადება, მათთვის სტრუქტურირებული სადოქტორო განათლების შესახებ მეტი ინფორმაციის მიწოდება; დოქტორანტების თანახელმძღვანელობის ინსტიტუტის შემოღება/წახალისება; სადოქტორო განათლების ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში სამეცნიერო ხელმძღვანელობის გათვალისწინება; იმ დოქტორანტების რიცხვის შეზღუდვა, რომელთა ხელმძღვანელობის უფლებაც აქვს ერთ პროფესორს და სხვ.);
3. სადოქტორო განათლების ფარგლებში სხვადასხვა დეპარტამენტებს, ფაკულტეტებსა და უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება და ერთობლივი ღონისძიებების განხორციელება (მაგალითად, ერთობლივი სემინარები, სასწავლო კურსები კრედიტების „გაცვლით“, თანახელმძღვანელობა, ერთობლივი კონფერენციები, შეხვედრები, მრგვალი მაგიდები, სამეცნიერო კვლევები, პუბლიკაციები, აკადემიური პროგრამები, ერთობლივი ხარისხები და სხვ.);
4. საქართველოს კანონმდებლობით, თუნდაც რომელიმე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით, სასურველია დაშვებულ იქნას ერთობლივი აკადემიური ხარისხის მინიჭების შესაძლებლობა და მინიმალური მოთხოვნები (რათა თავიდან იქნას აცილებული შესაძლო ბიუროკრატიული დაბრკოლებები ამა თუ იმ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციის მხრიდან);
5. დოქტორანტებისთვის ზოგადი (ტრანსფერული) უნარების სემინარების/კურსების შეთავაზება და მათთვის სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის ორგანიზება (აკადემიური და/ან პროფესიული კარიერისათვის დოქტორანტების მომზადების მიზნით);
8. დამატებითი ინფორმაცია ღონისძიების შესახებ – ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის სადოქტორო განათლების საბჭოს 2011 წლის მადრიდის ღონისძიების შესახებ დეტალური ინფორმაცია იხ.: <http://www.eua.be/fourth-eua-cde-madrid.aspx>.

დანართი

ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის
სადოქტორო განათლების საბჭოს მადრიდის შეხვედრის
ძირითადი დასკვნები:

სექცია 1. სტრუქტურები კრეატიულობის მხარდასაჭერად

სტრუქტურულმა სადოქტორო განათლებამ უნდა/შეიძლება შეუწყოს ხელი კრეატიულობას შემდეგი გზებით:

ინსპირაციის, შთაგონების მომნიჭებელი ინტელექტუალური გარემოს შექმნით კრიტიკული აზროვნებისათვის, ცნობისმოყვარეობისათვის, კომუნიკაციისათვის...

თითოეული დოქტორანტის პიროვნული განვითარების მხარდამჭერი გარემოს ფორმირებით, რაც შეიძლება განხორციელდეს პროგრამის სხვადასხვა ელემენტითა და აქტივობით (მაგალითად, დოქტორანტურის სამუშაო ჯგუფები, ე.წ. „კვლევის დღეები“, მეთოდოლოგიური ვორკშოპები, ზოგადი (ტრანსფერული) უნარების სემინარები, მენტორობის პროგრამები და სხვ.);

კრეატიულობის მისაღწევად სადოქტორო პროგრამები არ უნდა იყოს მეტისმეტად რეგულირებული და დოქტორანტები არ უნდა იყვნენ მეტისმეტად დატვირთულები (მათ საკმარისი დრო უნდა ჰქონდეთ ორიგინალური კვლევითი პროექტისათვის);

სადოქტორო სკოლის სტაბილური დაფინანსება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ცალკეული ინდივიდისა.

სექცია 2. პიროვნული თავისუფლება სამეცნიერო ხელმძღვანელობის ფარგლებში სამეცნიერო ხელმძღვანელობის მნიშვნელობა ხარისხიანი სადოქტორო განათლებისთვის;

კრეატიულობა სადოქტორო განათლების განუყოფელი ნაწილია, მაგრამ რა ტიპის კრეატიულობაზე ვლაპარაკობთ? (ორიგინალურ კვლევით პროექტში, დოქტორის ხარისხის მოპოვების პროცესში, სადოქტორო განათლების მართვის პროცესში?) ყველაზე მნიშვნელოვანი არის შედეგი – ახალგაზრდა მკვლევარი;

დარგობრივი განსხვავებანი უნდა იქნას გათვალისწინებული;

როგორ უნდა მოხდეს დოქტორანტის პიროვნული/ინდივიდუალური თავისუფლების მხარდაჭერა სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ?

განსაზღვრულ უნდა იქნას ორივე მხარის, დოქტორანტისა და მისი ხელმძღვანელის პასუხისმგებლობანი: მკაფიო სამუშაო გეგმა, მიზნები, დროის გრაფიკი, კონსტრუქციული თანამშრომლობის გზები, ერთი მხრივ, თავისუფლების მხარდაჭერა, ხოლო, მეორე მხრივ, ისეთი გზების გამონახვა, რომელიც დოქტორანტს საკუთარი გზის პოვნაში დაეხმარება;

დროის, რესურსებისა და თავისუფლების ბალანსი არის მნიშვნელოვანი: მეტისმეტად ბევრმა ან ცოტა დრომ, რესურსმა და თავისუფლებამ შეიძლება კრეატიულობის საწინააღმდეგოდ იმოქმედოს;

სამეცნიერო ხელმძღვანელს შეუძლია დოქტორანტის დახმარება პოზიტიური და ღია კვლევითი გარემოს შექმნით, კონსტრუქციული ფორმალური და არაფორმალური კომუნიკაციით, ახალი კითხვებისა და იდეების პროვოცირებით, შეცდომების გააზრებით;

ახალი ტიპის სამეცნიერო ხელმძღვანელობის დანერგვა, როგორცაა ჯგუფური/გუნდური ხელმძღვანელობა (თანახელმძღვანელობა) არის საფუძველი უკეთესი, უფრო წარმატებული შედეგებისა. ის ეხმარება დისციპლინებს შორის კავშირების დამყარებას, დოქტორანტების კრეატიული და კრიტიკული აზროვნების განვითარებას.

სექცია 3. ინსტიტუციური ანგარიშ-ვალდებულება და პიროვნული დამოუკიდებლობა

ინსტიტუციური ანგარიშ-ვალდებულება vs აკადემიური თავისუფლება (პიროვნული დამოუკიდებლობა) სულ უფრო და უფრო ხშირად ხდება საჯარო განხილვის საგანი (უნივერსიტეტების მიმართ ნდობა დაცემულია, მეტია კონტროლი სახელმწიფო თანხების ხარჯვაზე, მრავალი კითხვა ჩნდება იმ დოქტორანტების რაოდენობასთან დაკავშირებით, რომლებიც ახერხებენ სწავლის დასრულებას, ხშირია დაფინანსების შემცირება);

პიროვნულ დამოუკიდებლობას ზოგჯერ ხელს უშლის კანონმდებლობა, მეტისმეტად ხისტი რეგულაციები და წესები, ისევე როგორც დროისა და ფინანსების მხრივ არსებული შეზღუდვები;

სადოქტორო განათლების რეგულაციები (სახელმძღვანელო პრინციპები) უნდა ითვალისწინებდეს საერთაშორისო სტანდარტს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, უნდა იყოს მოქნილი (უნდა ითვალისწინებდეს ინსტიტუციურ, დარგობრივ კონტექსტს);

რამდენიმე გზა, თუ როგორ უნდა დავიცვათ პიროვნული დამოუკიდებლობა ისე, რომ პატივი მივაგოთ ინსტიტუციურ ანგარიშ-ვალდებულებას:

- „ზემოდან ქვემოთ“ (bottom up) მიდგომის მხარდაჭერა (მჭიდრო თანამშრომლობა სამეცნიერო ხელმძღვანელებს, დოქტორანტებსა და პროგრამის კოორდინატორებს შორის; დოქტორანტურაში ჩარიცხვის მკაცრი კონტროლიდან აქცენტის გადატანა დოქტორანტის წინსვლის მონიტორინგზე);
- სხვადასხვა დეპარტამენტებს, უნივერსიტეტებს, სფეროებსა და ქვეყნებს შორის გამჭვირვალე თანამშრომლობის ხელშეწყობა და დოქტორანტების ჩართვა ამ პროცესში;
- ინსტიტუციური ავტონომიის დაცვა და მისთვის „ბრძოლა“ იმავდროულად პასუხისმგებლობისა და ანგარიშ-ვალდებულების გაზრდით.

სექცია 4. საკანონმდებლო ჩარჩო – შემზღუდავი თუ მხარდამჭერი?

განათლებლასა და კვლევასთან დაკავშირებული კანონმდებლობა ევროკავშირის თითოეული ქვეყნის კომპეტენციაა. უნივერსიტეტებმა უნდა შექმნან თავიანთი პროგრამები ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩოს ფარგლებში, იმავდროულად ევროპული პოლიტიკისა და ბოლონიის პროცესის რეკომენდაციების გათვალისწინებით;

ეროვნული და ევროპული საკანონმდებლო ჩარჩო ერთმანეთს ყოველთვის არ თანხვდება. უნდა გადაიხედოს სადოქტორო განათლების მარეგულირებელი კანონმდებლობა (მათ შორის თანამშრომლობით, ერთობლივ პროგრამებთან დაკავშირებით) და მიღწეულ უნდა იქნას ერთობლივი და ორმაგი აკადემიური ხარისხების მინიჭების გამჭვირვალობა;

საგანგებო ყურადღება უნდა დაეთმოს იმ ინიციატივებსა და პროექტებს, რომლებიც ფინანსდება ევროკავშირის სტრუქტურული ღონისძიებების ფონდიდან, რათა მათ უარყოფითად არ იმოქმედონ ინდივიდისა და ინსტიტუციის ავტონომიურობაზე;

ვინ არის პასუხისმგებელი სადოქტორო პროგრამების შეფასებასა და ხარისხზე? სამინისტრო თუ პროგრამის კოორდინატორი?

სახელმწიფო დონეზე არსებული სტრატეგიული კვლევითი პრიორიტეტები იწვევს შესაბამისი დარგების გაძლიერებას, თუმცა ხშირად ეს ხდება სხვა სფეროების, ძირითადად, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ხარჯზე.

სექცია 5. ფოკუსი პიროვნების კარიერულ წინსვლაზე

საყოველთაოდ ცნობილია, რომ დოქტორანტურის კურსდამთავრებულთა მხოლოდ მცირე ნაწილი აგრძელებს აკადემიურ კარიერას (ნახევარზე მეტი მიდის ინდუსტრიაში და სხვა სფეროებში); უნივერსიტეტებმა დოქტორანტებს უნდა გააცნონ და უნდა ჩამოუყალიბონ პასუხისმგებლობის გრძნობა როგორც აკადემიური სფეროს, ისე მის ფარგლებს გარეთ არსებული სამყაროს მიმართ; პიროვნების (დოქტორანტის) შემდგომ კარიერულ წინსვლას ხელს უწყობს: ზოგადი (ტრანსფერული) უნარების განმავითარებელი სემინარები, მოდულები, ვორკშოპები, საზაფხულო სკოლები (ამ ტიპის ტრენინგი არის კარგი ხიდი პროფესიული მომწიფებისა და კარიერისათვის). საკმაოდ დიდი დრო, ფაქტობრივი მონაცემები და არგუმენტებია საჭირო იმისათვის, რომ დოქტორანტები ამ ტიპის აქტივობების მნიშვნელობაში დავარწმუნოთ; მენტორობის/წვრთნის პროგრამები ეხმარება დოქტორანტებს, რომ მათ უკეთ გაიაზრონ თავიანთი უნარები და ისინი შემოქმედებითად გამოიყენონ; მნიშვნელოვანია დოქტორანტებისთვის სამოგზაურო გრანტების შეთავაზება საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის მისაღებად, რაც მათ კონტაქტების დამყარებაში დაეხმარება; კვლევითი და ზოგადი (ტრანსფერული) უნარების სემინარებში მნიშვნელოვანია სხვადასხვა ხალხის ჩართვა

(მაგალითად, მრეწველობის და ვაჭრობის სფეროდან, არასამთავრობო ორგანიზაციებიდან, უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულებიდან: ბიბლიოთეკა, ინფორმაციული ტექნოლოგიები, ეთიკა, ფსიქოლოგია და სხვ.); კორპორატიული ცოდნის შექმნას და ბიზნესის სულისკვეთების ჩამოყალიბებას ხელს უწყობს დოქტორანტების სასწავლო-საწარმოო პრაქტიკა სხვადასხვა ორგანიზაციაში; ძირითადი შედეგი: სადოქტორო დისერტაციის დაცვა თავისთავად არის ზოგადი (ტრანსფერული) უნარი, რომელიც დოქტორანტს ამზადებს აკადემიური და/ან პროფესიული კარიერისთვის.

6. სადოქტორო პროგრამების მრავალფეროვანი პორტფოლიოს ფორმირება უსდ-ში (იგულისხმება ე.წ. თანამშრომლობითი, ერთობლივი პროგრამები)

სადოქტორო პროგრამების ახალი და მრავალფეროვანი პორტფოლიოს ფორმირება – მესამე საფეხურის განათლების რეფორმის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მახასიათებელი;

სადოქტორო პროგრამების მრავალფეროვანი პორტფოლიოსთვის აუცილებელია:

- ზოგადი (ტრანსფერული) უნარების სწავლება, რასაც კრეატიულ და კრიტიკულ აზროვნებამდე მივყვართ;
- სხვადასხვა დისციპლინას, ინსტიტუციას, სფეროს შორის კომუნიკაციის და თანამშრომლობის განვითარება;
- სხვადასხვა პარტნიორების ჩართვა პორტფოლიოს დიზაინსა და მისი იმპლემენტაციის პროცესში;
- უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისა და ადმინისტრაციის დარწმუნება სადოქტორო პროგრამების მრავალფეროვანი პორტფოლიოს მნიშვნელობაში;
- ახალი პორტფოლიოს დიზაინსა და შეფასების პროცესში დოქტორანტების ჩართვა;
- გამოწვევები: ღირებულება, კანონმდებლობა, ხარისხის უზრუნველყოფის სხვადასხვა სისტემები, კონკურენცია ნაცვლად თანამშრომლობისა და ნდობის ნაცვლად;
- სარგებლობა;
- მრავალფეროვანი პორტფოლიო საშუალებას აძლევს უფრო პატარა უნივერსიტეტებს, რომ მოახდინონ ფოკუსირება და განავითარონ თავიანთი ძლიერი მხარეები;
- კრიტიკული მასის მიღწევა;
- კვლევითი კულტურის, ინტერდისციპლინურობის და კრეატიულობის განვითარება;
- თითოეულ დოქტორანტს აქვს საშუალება, რომ თითოეული ინსტიტუციიდან მიიღოს საუკეთესო მომსახურება.

ინტერნაციონალიზაციის გზით ხარისხის ამაღლება

ქეთევან გურჩიანი

5-7 ოქტომბერი 2011, ლისაბონი, პორტუგალია

სემინარის პროგრამა

Introduction by **Mr Klaus Haupt**, Head of Unit, Tempus and Bilateral Cooperation with Industrialised Countries - Education, Audiovisual and Culture Executive Agency (EACEA)

Schedule

The conference had a separate meeting for HERE's on the first day, 5th of October.

Introduction by Mr Klaus Haupt, Head of Unit, Tempus and Bilateral Cooperation with Industrialized Countries - Education, Audiovisual and Culture Executive Agency (EACEA)

- Presentation, training and Q&A on National Qualification Framework

Chair: Mr Frank Mc Mahon, Bologna Expert & Former Director of Academic Affairs at Dublin Institute of Technology (Ireland).

Presentation by Prof. Elizabeta Bahtovska, National Bologna expert, full professor at the Faculty of Technical Sciences - University St Kliment Ohridski, former Yugoslav republic of Macedonia; and

- Internationalisation in Armenia: Bologna Process related reforms at national, institutional and program level By Dr Samvel Karabekyan, Yerevan University, Armenian HERE

- Conclusions

2. კონფერენციის მონაწილეები

კონფერენციას ესწრებოდნენ სხვადასხვა ქვეყნის განათლების სამინისტროს, აკრედიტაციის ცენტრების და უნივერსიტეტების წარმომადგენლები, როგორც ექსპერტები ასევე ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის წევრები. მათ შორის იყვნენ წადმომადგენელი სომხეთიდან – ნვარდ მანასიანი, მოჰამედ აბდელ-კარიმ სალჰეენი ეგვიპტე, კოლმ მერფი ირლანდია, ამი შალით მი და მოსე ამირი ისრაელიდან.

3. კონფერენციის თემატიკა

კონფერენციის ძირითადი თემა იყო ინტერნაციონალიზაციის თემატიკა უმაღლეს განათლებაში, მათ შორის განიხილებოდა ძირითადი მიღწევები ამ მიმართულებით. სხვადასხვა პუნქტებიდან გამოირჩეოდა რამოდენიმე კონკრეტული თემატიკა – განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ინტერნაციონალიზაციის თემას სადოქტორო დონეზე. ამ მიმართულებით გაკეთებული პრეზენტაციები ძალიან რელევანტურია და საინტერესო ქართული მხარისთვის. მეორეს მხრივ მნიშვნელოვანია უნივერსიტეტების მოლოდინი ამ პროცესისადმი და თუ როგორ ეხამება ის თითოეულის მიზნებს და გეგმას.

საბოლოო შედეგებიდან რამოდენიმე ჩამოთვლილია ქვემოთ.

ინსტიტუციონალური ინტერნაციონალიზაციის გავლენა სასწავლო პროგრამების ხარისხზე.

დისკუსიის მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ ბოლონის ექსპერტებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლის თამაში შემდეგი მიმართულებებით:

- ა) EHEA / ბოლონის მიზნების და ინსტიტუციური განვითარებისა და სტრატეგიების თანხვედრის ხელშეწყობა (სწავლის შედეგების, კვალიფიკაციების ჩარჩოს, კრედიტების, სადოქტორო პროგრამების ... მიმართულებით)
- ბ) ტერმინოლოგიის გააზრება და საერთაშორისო სტრატეგიებსა და ინსტიტუციონალურ მიზნებს შორის კავშირების მოძიება.

ექსპერტების საადისკუსიო ჯგუფის შედეგები შემდეგია:

- ა) პოტენციური დადებითი შედეგების და რისკების შესახებ შემცნების დონის ამაღლება ინსტიტუციონალურ დონეზე
- ბ) პერსონალი უნდა იყოს ჩართული საერთო ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიაში
- გ) შედეგები დაგავლენა უნდა დაიყოს დონეების მიხედვით (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) ასევე სასწავლო – კვლევითის პირისპირ.
- დ) პრაქტიკაში, პერსონალის მართვის სტრატეგია მოითხოვს ტერმინოლოგიის ზუსტ გამოყენებას, კონკრეტულ მეთოდოლოგიასა და მასალების შემუშავებას.

მესამე საადისკუსიო ჯგუფის შედეგები:

ექსპერტები შეთანხმდნენ, რომ ინდიკატორები უნდა იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებულები რათა ემსახურებოდნენ ერთ მიზანს: განათლების ხარისხის ამაღლებას. თუ რომელიმე ვერ ეთავსება ინდიკატორებს როგორგავიგოთ რამდენად პროგრესულია ხარისხის ამაღლების პროცესი?

ამ შემთხვევისთვის ექსპერტები გვირჩევენ შეირჩეს დაახლოებითი ინდიკატორი

ა) სხვასთან შედარება,

ბ) ინტერნაციონალიზმის ხარისხის შეფასება საკუთარ უნივერსიტეტში.

მეოთხე სადისკუსიო ჯგუფი: მესამე ქვეყნებთან ერთობლივი სადოქტორო პროგრამების მიმართ გაზრდილი ინტერესი.

ა) მრავალფეოვნებისათვის საჭირო გზების მონახვა

ბ) ადმინისტრაციული რესურსის ნაკლებობის შესამსუბუქებლად საჭირო აქტივობების შესრულება

გ) მრავალმხრივი კომუნიკაციების ჩამოყალიბების მიზნები ევროკავშირის ფარგლებს გარეთ.

4. სემინარის რელევანტურობა საქართველოსთვის და ჩვენთან ჩასატარებელი აქტივობები

როგორც საჭიროება, ხარისხის ამაღლების საკითხში ჩვენთან უფრო მაღალია ვიდრე ევროპის ქვეყნებში ჩვენ არ გვაქვს იმის ფუფუნება, რომ ფული და ძალისხმევა დავხარჯოთ ცუდად ორგანიზებულ სასწავლო პროგრამებში. ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრიორიტეტები იქნება ინტერნაციონალიზაციის პროგრამა სადოქტორო დონეზე განხორციელდეს. ხარისხი სწავლების მესამე დონეზე ნამდვილად იქნება მიღწეული. ევროკავშირის პროგრამებში სასურველია იყოს გათვალისწინებული სადოქტორო პროგრამებზე სტუდენტთა მობილობა, როგორც ეს ტემპუსის პროექტებში აქვთ სტუდენტებს მინიმუმ 2 კვირიანი მობილობის შესაძლებლობა.

6. სემინარის პრეზენტაციები

<http://lisbon2011.bolognaexperts.net/>

სემინარი სადოქტორო განათლების შესახებ
ევროკავშირის სამეზობლოს და დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებში
ორინა დარჩია
21 ოქტომბერი, 2011, ბრიუსელი (ბელგია)

1. ღონისძიების ორგანიზატორი. ევროკომისიის განათლებისა და კულტურის გენერალური დირექტორატი (DG EAC).

2. ღონისძიების პროგრამა.

Friday 21 October 2011

Objectives: Present and discuss the findings of DG EAC study on doctoral studies, present the EU's and the Partner countries' vision and discuss how to improve future support to doctoral programmes in Neighbouring countries and the Western Balkans

Participants: 46 participants from the 23 countries involved in the study + 20 participants from EU universities, university associations + Commission and EACEA

9:30- 9:45 Welcoming words, objectives of the seminar, **Jordi Curell**, Director, DG EAC

9:45-10:30 Major trends and challenges in doctoral studies at EU level

EU policies and actions

The Salzburg principles

Peter van der Hijden, European Commission and **Thomas Jorgensen**, European University Association Council for Doctoral Education

Followed by discussions

11:00 – 11:45 Presentation of the study on the organisation of doctoral programmes in EU Neighbouring countries and the Western Balkans, **Elisabeth Zaparucha**, Technopolis and **Claire Morel**, European Commission

Followed by discussions

11:45 – 12:30 Cooperation at doctoral level in the framework of Tempus and Erasmus Mundus, **Philippe Ruffio**, Executive Agency for Education, Audiovisual and Culture

Doctoral training under the Marie Curie Actions, **Alessandra Luchetti**, European Commission

Followed by discussions

14:00 – 14:30 The views of a Member State on international cooperation at doctoral level, **Béatrice Khaiat**, CampusFrance

14:30 – 15:30 Discussions in three regional groupings: Western Balkans, Eastern Europe, South Mediterranean: discussion on the study's findings and identification of priorities for further cooperation

15:45 – 16:15 Feedback from the three working groups

16:15 – 17:15 Discussions, vision for the future and conclusions, **Jordi Curell**, European Commission

3. ღონისძიების მონაწილეები.

სემინარში მონაწილეობდნენ ევროკავშირის სამეზობლოს და დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნების უნივერსიტეტების წარმომადგენლები, სადოქტორო განათლების შესახებ ევროკომისიის მიერ ჩატარებული კვლევის მონაწილენი.

ღონისძიებაში საქართველოდან მონაწილეობა მიიღეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და თავისუფალმა უნივერსიტეტმა, როგორც აღნიშნული კვლევის მონაწილე სახელმწიფო და კერძო უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა.

4. ღონისძიების მიზნები, ამოცანები და შედეგები.

სემინარი მიზნად ისახავდა ევროკომისიის განათლებისა და კულტურის გენერალური დირექტორატის მიერ სადოქტორო განათლების შესახებ ჩატარებული კვლევის შედეგების პრეზენტაციას კვლევაში მონაწილე ქვეყნებისათვის, პარტნიორი ქვეყნების პოზიციისა და ხედვის გაცნობას, ევროკავშირის სამეზობლოს და დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებში სადოქტორო განათლების მხარდაჭერის გასაძლიერებლად საჭირო ღონისძიებების იდენტიფიკაციას.

სემინარის მონაწილეებს ევროკომისიის წარმომადგენლებმა გააცნეს: სადოქტორო განათლების სფეროში ევროკავშირის პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები; ე.წ. ზალცბურგის პრინციპები; ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის სადოქტორო განათლების საბჭოს საქმიანობა; ტემპუსის, ერაზმუს მუნდუსის, მარი კიურის ევროპული პროგრამების შესაძლებლობები სადოქტორო განათლების კუთხით. სემინარზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ევროკავშირის სამეზობლოსა და დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებში სადოქტორო განათლების შესახებ ევროკომისიის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებს. კერძოდ, წარმოდგენილ იქნა:

ევროკომისიის დაკვეთით, ფრანგული ორგანიზაცია „ტექნოპოლისის“ მიერ ჩატარებული კვლევის მიზნები და მეთოდოლოგია; ევროკავშირის სამეზობლოს ქვეყნების და დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნების სტატისტიკური მონაცემები ეკონომიკისა და განათლების სფეროებში; აღნიშნულ რეგიონებში სადოქტორო პროგრამების ორგანიზება და მათი “მოქმედი პირები”; სადოქტორო პროგრამების შინაარსი და შედეგები; კვლევის შედეგად მიღებული ძირითადი დასკვნები (კვლევის სრული და საბოლოო ანგარიში იხ. დანართი 1–ის სახით).

5. ღონისძიების რელევანტურობა საქართველოსთვის. ვინაიდან საქართველო და მისი უნივერსიტეტები სადოქტორო განათლების შესახებ ევროკომისიის მიერ ჩატარებული კვლევის ერთ–ერთი მონაწილეა, აღნიშნული სემინარი საქართველოსთვის განათლების სფეროსთან დაკავშირებულ 2011 წლის ერთ–ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საერთაშორისო ღონისძიებად უნდა ჩაითვალოს. სემინარზე წარმოდგენილ იქნა კვლევის საბოლოო (განზოგადებული) შედეგები, ხოლო სემინარის თითოეულ მონაწილეს პირადად გადაეცა მის ქვეყანაში წარმოებული კვლევის ანგარიში (იხ. ანგარიშის დანართები 1, 2. აღნიშნული ინფორმაცია ხელმისაწვდომია სემინარის ვებ–გვერდზე: <http://doctoralstudies.teamwork.fr/>).

საქართველოში გამოკითხულ იქნა ორი სახელმწიფო და ორი კერძო უსდ–ს, განათლების სამინისტროს, ტემპუსის ეროვნული ოფისის წარმომადგენლები და დოქტორანტები (ლიკა ლლონტი, ნოდარ სურგულაძე, ბორის ლეჟავა, ირინე დარჩია, ქეთევან გურჩიანი, მარინა ქარჩავა, სოფო ბახტაძე).

საქართველოში ჩატარებული კვლევის ანგარიშში სტრუქტურირებულად არის წარმოდგენილი შემდეგი ინფორმაცია:

1. **დოქტორანტურასთან დაკავშირებული მაჩვენებლები** (2010 წლის მონაცემებით): 2 856 დოქტორანტი; მათი 59% ქალი; დოქტორანტურის განმახორციელებელი 43 უსდ., დოქტორანტები სფეროების მიხედვით (ხელოვნება და ჰუმანიტარული მეცნიერებები – 27%, სოციალური მეცნიერებები – 15%, ბიზნესის ადმინისტრირება – 15%, ინჟინერია და ტექნოლოგიები – 14 %, სამართალი – 9%, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები – 8%, მათემატიკა და ინფორმაციული ტექნოლოგიები – 6%, განათლება – 3%, აგრარული მეცნიერებები და ვეტერინარია – 2%, მედიცინა – 15%);
2. **სადოქტორო პროგრამების ორგანიზებასთან დაკავშირებული ინფორმაცია:** საკანონმდებლო მოთხოვნები, შიდა საუნივერსიტეტო რეგულაციები; უმაღლესი და მათ შორის სადოქტორო განათლების სფეროში არსებული სახელმწიფო პოლიტიკა; სადოქტორო პროგრამების სტრუქტურა, დეფინიცია, ხანგრძლივობა, დაფინანსების

სისტემა, დოქტორანტების სტატუსი, დოქტორანტების უფლებები, სადოქტორო პროგრამების ორგანიზება;

3. **სადოქტორო პროგრამების შინაარსი:** სასწავლო და კვლევითი კომპონენტი; სწავლება კვლევის პარალელურად; დოქტორანტურაში მიღების პროცედურები; დოქტორანტების უზრუნველყოფა სამეცნიერო ხელმძღვანელებით; დისერტაციის დაცვის პროცედურა; ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე სისტემები; კურსდამთავრებულთა საქმიანობა დისერტაციის დაცვის შემდეგ;
4. **საერთაშორისო თანამშრომლობა, მობილობა და ერთობლივი ხარისხები:** საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ არსებული მონაცემები; უცხოელი დოქტორანტები ქართულ უსდ-ებში;
5. **გამოწვევები და შესაძლო სამომავლო აქტივობანი:** არასაკმარისი დაფინანსება; სადოქტორო პროგრამების ხარისხის ამაღლების აუცილებლობა; ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის გაძლიერების აუცილებლობა; სახელმწიფო დონეზე ხარისხის უზრუნველყოფის გარე (დამოუკიდებელი) მექანიზმების ფორმირება; არასაკმარისი საერთაშორისო თანამშრომლობა;
6. **ევროკავშირის მიერ საქართველოში დოქტორანტურის მხარდაჭერის მიზნით გასატარებელი შესაძლო ღონისძიებები:** ერთობლივი პროგრამების/ერთობლივი ხარისხების მხარდაჭერა; მობილობის გრანტების, სტიპენდიების რაოდენობის გაზრდა; მხარდაჭერა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის სრულყოფის პროცესში მატერიალური და ადამიანური რესურსების განვითარებით, გამოცდილების გაზიარებით; ევროპული კვლევითი რესურსების ხელმისაწვდომობის ზრდა ქართველი მკვლევრებისთვის (პუბლიკაციები, ბიბლიოთეკები, სემინარები), რასაც შედეგად უნდა მოჰყვეს კოლეგიალური შეფასების პროცესის განვითარება (peer review) და ევროპულ სტანდარტებთან მიახლოება (benchmarking);

აღნიშნულ ანგარიშში დაშველ იქნა ორი უზუსტობა. კერძოდ, მასში აღნიშნულია, რომ საქართველოში დოქტორანტები ფინანსდებიან სახელმწიფო ვაუჩერებით, რაც ჯერ კიდევ სამომავლო პერსპექტივაა. გარდა ამისა, ნათქვამია, რომ ფუნქციონირებს ერაზმუს მუნდუსის ერთობლივი სადოქტორო პროგრამა „ევროპული ლიტერატურა“, მაშინ როცა აღნიშნული პროგრამა წარდგენილი იყო გრანტის მოსაპოვებლად, მაგრამ არ დაფინანსდა.

აღსანიშნავია, რომ ანგარიშში თსუ რამდენჯერმე არის მოხსენიებული როგორც საქართველოში დოქტორანტურის განვითარების კარგი მაგალითი. კერძოდ, აღნიშნულია, რომ ძალიან ცოტა უსდ-ს აქვს სადისერტაციო ნაშრომის ხარისხის უზრუნველყოფის მკაცრი პროცედურა (აქ

თსუ–სთან ერთად ილიას უნივერსიტეტიც არის ნახსენები) და ნათქვამია რომ მხოლოდ თსუ–ს აქვს „ინტერნაციონალიზაცია“ დისერტაციის დაცვის წინაპირობად. გარდა ამისა, თსუ წარმოდგენილია როგორც „დოქტორანტურის ხარისხის უზრუნველყოფის ყოვლისმომცველი სისტემის მქონე“ უსდ. (იხ.: დანართი 2, საქართველოში ჩატარებული კვლევის შედეგები, გვ. 7–8)

7. დონისძიების საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები.

1. კვლევის/სადოქტორო განათლების სფეროში პრიორიტეტების განსაზღვრა და სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება;
2. დოქტორანტების/სადოქტორო პროგრამების სახელმწიფო დაფინანსების სისტემის შემოღება (მაგალითად, ერთობლივი პროგრამების/ერთობლივი ხარისხების ფინანსური მხარდაჭერა სახელმწიფოს მხრიდან);
3. კვლევითი პროექტის ფარგლებში განხორციელებული სადოქტორო პროგრამების მხარდაჭერა/დოქტორანტების აქტიური ჩართვა კვლევით პროექტებში;
4. დოქტორანტურაში ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემების ფორმირება/გამლიერება (სადოქტორო ნაშრომების კოლეგიალური შეფასება უცხოელი ექსპერტების მიერ, საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში პუბლიკაციების ხელშეწყობა, უცხოელი თანახელმძღვანელების მოზიდვა, ინტერნაციონალიზაციის ელემენტების ჩართვა სადოქტორო პროგრამებში და სხვ.);
5. სადოქტორო პროგრამების აკრედიტაციისთვის განსხვავებული სტანდარტისა და ინდიკატორების შემუშავება, სადოქტორო პროგრამების აკრედიტაციის პროცესის ინტერნაციონალიზაცია.

აღნიშნული რეკომენდაციები ეფუძნება ევროკომისიის მიერ საქართველოში ჩატარებული კვლევის შედეგებსა და ევროპელი ექსპერტების მიერ იდენტიფიცირებულ გამოწვევებს.

ინფორმაცია სემინარზე იხილეთ შემდეგ მისამართზე <http://doctoralstudies.teamwork.fr/>

JOI.CON: ერთობლივი პროგრამების მენეჯმენტი

ღალი ბაქრაძე

2012 წლის 18 იანვარი ლაიპციგი, გერმანია, 13 ივნისი ბოლონია, იტალია

წინასიტორია

JOIMAN - JOI.CON-ი არის ერთობლივი ხარისხების მენეჯმენტისა და ადმინისტრირების ქსელი. JOIMAN-ის ქსელი დაფინანსდა ევროკომისიის მიერ 2008-2010 წლებში და მის გაგრძელებას წარმოადგენს JOI.CON-ი. ეს უკანასკნელი 2011 შეიქმნა ევროკომისიის მიერ, როგორც ერაზმუსის თანმხლები ღონისძიება. ქსელის მიზანია დაეხმაროს ერთობლივი პროგრამების მომავალ კოორდინატორებს აღნიშნული პროგრამების ადმინისტრირების საკითხებში. ქსელმა 2012 წელს ლაიპციგსა და ბოლონიაში ჩაატარა 2 საერთაშორისო კონფერენცია, ასევე ერთობლივი პროგრამების შემუშავების სიმულირება 4 ჯგუფის მეშვეობით.

1. პროგრამა

1.1. First Seminar (Leipzig)

10.30 a.m. Opening - International Programmes at the University of Leipzig Prof. Dr. med. Beate A. Schücking, Rector of the University of Leipzig

10.45 a.m Brussels Perspective – Next Generation of European Programmes Vito Borelli, tbc

11.15 a.m Internationalisation of Higher Education – The German Approach Claudia Wolf/Nina Salden, German Academic Exchange Service (DAAD)

11.45 a.m. How to Manage Joint Programmes – Obstacles and Solutions Francesco Girotti, University of Bologna, Coordinator of JOIMAN Gry Kibsgaard, University of Bergen

2 p.m. Successful Joint Master Programmes – An Example tbc

2.30 p.m. Successful Joint Doctoral Programmes – An Example European Neuroscience Campus Network,

3 p.m. Discussion

4 p.m. Introducing JOI.CON – A New Training Approach Dr. Svend Poller, Director of the International Centre of the University of Leipzig and Coordinator of JOI.CON

5 p.m. End of the Conference

1.2. Second Seminar (Bologna)

9.30 a.m. Opening - Carla Salvaterra Vice Rector of International Relations at the University of Bologna

9.45 a.m JOI.CON – Tackling Joint Programmes through an Innovative Training Approach

Tabea Mager, JOI.CON Project Coordinator, International Centre of Leipzig University

10.15 a.m. Success and Obstacles in Curriculum Development Projects Gilles Gervais, Erasmus Project Manager, Education, Audiovisual and Culture Executive Agency (EACEA)

11 a.m. JOI.CON Training Corners Trainers and trainees are at your disposal to discuss the project and their experience

11.30 a.m. Joint Research Cooperation within Marie Curie Actions – Current Situation and Future Perspectives - Przemyslaw Jankowski, Policy Officer, European Commission - Education and Culture (EAC), People Programme - Marie Curie Actions

12 a.m. Joining Forces with Non-European Partners – The Aspect of Employability Giancarlo Spinelli, Rector's Delegate for International Networks, Politecnico di Milano

12.30 a.m. Recognition of Joint Qualifications in the EHEA – Problems and Good Practices Luca Lantero, Vice Director of CIMEA, NARIC Centre and EM National Structure Italy

2 p.m.(parallel sessions)

Workshop Master Track

Challenges and Solutions in Setting up a Joint Master Programme - Chair - Sabine Pendl, University of Graz, JOI.CON trainer Presenters Wim Coudenys, Lessius Antwerp/University of Leuven, JOI.CON trainee Muriel Helbig, Bauhaus-Universität Weimar, JOI.CON trainee Raimonda Iskauskaite, Vilnius University, JOI.CON trainee Ian Jones, University of Nottingham, JOI.CON trainee Arne van Overloop, University of Antwerp, JOI.CON trainee

Workshop Doctoral Track

Challenges and Solutions in Setting up a Joint Doctorate Programme Chair Gry Kibsgaard, University of Bergen, JOI.CON trainer Pär Svensson, Lund University, JOI.CON trainer Presenters Mara Caputo, University of Bologna, JOI.CON trainee Paola Pittia, University of Teramo, JOI.CON trainee

4 p.m. - Reports from the Afternoon Workshops For the Master Track Anne Vorpagel, Project Manager Internationalisation of Degree Programmes at Leipzig University For the Doctoral Track Unni Kvernhusvik Sagberg, Higher Executive Officer at the University of Bergen

2. კონფერენციის მონაწილეები

18 იანვრის კონფერენციაზე მონაწილეობას ღებულობდა 32 ქვეყანის 171 წარმომადგენელი; ასევე ევროკომისიისა და DAAD-ის წარმომადგენლები. 13 ივნისს ბოლონიაში 32 ქვეყანის მონაწილეობდა 150-მდე წარმომადგენელი და ტრადიციულად ევროკომისიის და EACEA ორგანიზაციის წარმომადგენლები.

3. კონფერენციების მთავარი მესიჯი

JOI.CON -ის და შესაბამისად კონფერენციების სლოგანია **ერთობრივი პროგრამები - მოითხოვენ ერთობლივ ძალისხმევას.**

JOI.CON-ის საქმიანობა ეფუძნება JOIMAN-ის შედეგებს, შესაბამისად თავდაპირველად ყურადღება დაეთმო JOIMAN-ს, რომლის საქმიანობის მთავარი ამოცანა იყო ერთობლივი პროგრამების მართვის საკითხების შესწავლა, არსებული წინააღმდეგობების გამოვლენა და მათი დაძლევის გზების ძიება. აღნიშნულის გადასაწყვეტად ჩატარდა შესაბამისი კვლევები სამაგისტრო და სადოქტორო დონეზე. პროცესის ერთიანი გაგებისათვის ჩამოყალიბდა ტერმინთა ლექსიკონი და შეიქმნა ერთობლივი პროგრამების შემუშავების გზამკვლევი.

ლაიპციგის კონფერენციის ძირითადი პრეზენტაციები დაეფუძნა ზემოაღნიშნული გზამკვლევის შედეგებს. როგორც JOIMAN-ის კოორდინატორმა (ფრანჩესკო ჯიროტი, ბოლონია) აღნიშნა, კვლევის შედეგად გამოიკვეთა ინტეგრაციის სხვადასხვა მოდელი და ინტეგრაციის დონე დამოკიდებულია და უსდ-ს სტრატეგიასა და მიზნებზე. დაბალი დონის ინტეგრაცია ეფუძნება ბილატერალურ ხელშეკრულებებსა და უსდ-ში უკვე არსებულ მოდულებს/კურსებს, ხოლო მაღალი დონის ინტეგრაცია ეფუძნება ერთობლივად შემუშავებულ კურიკულუმს, ერთობლივ ადმინისტრირებას, საერთო ბიუჯეტსა და სწავლის საფასურს.

ინსტიტუციურ დონეზე ერთობლივი პროგრამების შემუშავების ერთ-ერთი დაბრკოლებას წარმოადგენს ამტიპის პროგრამების უმცირესობაში ყოფნა და შესაბამისი მხარდაჭერის ნაკლებობა, ხოლო პროგრამულ დონეზე საჭიროებათა ანალიზის დროს სათანადო ყურადღება არ ეთმობა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა - ინფორმაცია პარტნიორი უსდ-ს საგანმანათლებლო სისტემის შესახებ; შესაბამისი პირების ჩართულობა და კომუნიკაცია; ტერმინოლოგია; პროგრამის მდგრადობა; ორგანიზაციული საკითხები (დოკუმენტები, საგამოცდო პროცედურებისა და კულტურის ჰარმონიზაცია). ამდენად, აუცილებელია ერთობლივი პროგრამის შემუშავების პროცესის ცოდნა, რაც ხელს უწყობს მის სწორ დაგეგმვასა და განხორციელებას. გზამკვლევი „როგორ ვმართოთ ერთობლივი პროგრამები“ შედგება 3 განყოფილებისაგან: ერთობლივი პროგრამების მენეჯმენტისა და ადმინისტრირების

საუკეთესო მაგალითები; ერთობლივი პროგრამების შემუშავება და მართვა არა-ევროკავშირის ქვეყნებთან ერთად და ერთობლივი სადოქტორო პროგრამები; ასევე დანართებისაგან: თანამშრომლობის ხელშეკრულება, ლექსიკონი, ინსტიტუციური სტრატეგიის გზამკვლევის მაგალითები, ეროვნული კანონმდებლობა სწავლის საფასურზე (შესაბამისი დოკუმენტები იხ. www.joimen.eu).

კონფერენციაზე დამოუკიდებელი პრეზენტაცია მიემდგნა ერთობლივ სადოქტორო პროგრამებს, რომელთაც თავისი სპეციფიკა ახასიათებს. კვლევამ აჩვენა სხვადასხვა ტიპის ერთობლივი სადოქტორო პროგრამების არსებობა:

- საერთაშორისო თანამშრომლობა: ნაკლებად სტრუქტურირებული სამეცნიერო თანამშრომლობა და გაცვლა,
- ინდივიდუალური სადოქტორო პროგრამა: ე.წ. „კოტუტელე“, შეეხება თანამშრომლობის ფორმალიზებას ერთ ან რამდენიმე დოქტორანტისათვის; ასევე გამოიყენება კონსორციუმის ხელშეკრულებებიც;
- ერთობლივი სადოქტორო პროგრამა: პროგრამა, რომელიც შემუშავებულია ერთობლივად და/ან უზრუნველყოფილია ორი ან მეტი უნივერსიტეტის მიერ და სრულდება ორმაგი (multiple) ან ერთობლივი ხარისხით;
- ერთობლივი სადოქტორო ხარისხი: პროგრამა შემუშავებულია ერთობლივად და/ან უზრუნველყოფილია ორი ან მეტი უნივერსიტეტის მიერ და ხარისხი გაიცემა ერთობლივად.

პარტნიორების შერჩევისას განხილული უნდა იქნეს შემდეგი საკითხები: პარტნიორების სამეცნიერო ინტერესების თავსებადობა (ან დამატებითი ღირებულება); აკადემიური და ასევე ადმინისტრაციული პირები დაინტერესებულობა; ფინანსური სიტუაცია; მკაფიო როლები და პასუხისმგებლობები - მომავალი ორგანიზაციული სტრუქტურა; უწყვეტი კომუნიკაცია; ასოცირებული პარტნიორების ჩართულობა

ერთობლივი სადოქტორო პროგრამების მომზადებისას ცხადია გასათვალისწინებელია უშუალოდ კვლევის/სწავლების ასპექტები:

- ნაწილობრივი ავტონომია თუ მეტი ერთობა
- ერთობლივი საქმიანობა მხოლოდ კვლევის ან + ტრენინგის გარშემო
- კვლევითი პროექტი წინასწარ განსაზღვრული თუ ინდივიდუალური
- ტრენინგი (ლექციები, საზაფხულო სკოლები, კონფერენციები) - რომელი პარტნიორი იღებს პასუხისმგებლობას

- კრედიტები (ასევე გასარკვევია)

ხარისხის მინიჭება და შესაბამისი სერტიფიკატი /დიპლომის გაცემა გახდა განხილვის საკითხი, რაც ტერმინების გაგების პრობლემას წარმოადგენს (ამის შესახებ იხ. ქვევით, ტერმინოლოგიური პრობლემა).

ლაიფციგის კონფერენციაზე ასევე ყურადღება გამახვილდა „კოტუტელე“ ხელშეკრულების საჭიროებაზეც. ამ საკითხზე დისკუსია გაიმართა ასევე ბოლონიის კონფერენციაზეც. რა არის ეს - ახალი დამაბნეველი სიტყვა თუ ხელსაყრელი ინსტრუმენტი ინდივიდუალური ერთობლივი სადოქტოროებისათვის? კოტუტელე ხელშეკრულება ახდენს ინდივიდუალური დოქტორანტისთვის რამდენიმე ხელმძღვანელის მიერ ერთობლივი ხელმძღვანელობის ფორმალიზებას. მართალია, კოტუტელე ხელშეკრულება მხოლოდ ერთობლივ ხელმძღვანელობას შეეხება, მაგრამ ამ ხელშეკრულებით ასევე შეიძლება დარეგულირდეს სადოქტორო განათლების სხვა ელემენტებიც.

შემოთავაზებულ იქნა ის საკითხები, რომელთა გათვალისწინებაც შესაძლებელია კოტუტელე ხელშეკრულების ფარგლებში:

მუხლი 1. მიღება და რეგისტრაცია

მუხლი 2. სადოქტორო პროგრამა

- სწავლის ხანგრძლივობა
- დისერტაცია/თეზისი
- ხელმძღვანელობა
- პროგრესია
- დისერტაციის/თეზისის წარდგენა და შეფასება
- ხარისხის მინიჭება და დიპლომის გაცემა

მუხლი 3. დაფინანსება

მუხლი 4. სოციალური დაცვა და სამოქალაქო პასუხისმგებლობა

მუხლი 5. პუბლიკაცია

მუხლი 6. ინდივიდუალური საკუთრების უფლება

მუხლი 7. ხელშეკრულების დამთავრება/ვადები

მუხლი 8. ინფორმაციის გაცვლა

ტერმინოლოგიური პრობლემა

ორივე კონფერენციაზე გამოიკვთა ტერმინებთან დაკავშირებული პრობლემა. დიდი ალბათობით, კონფერენციის ორგანიზატორთა მიდგომებზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ერაზმუს-მუნდუსის ტერმინთა განმარტებამ. გასაგებია, რომ ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტები ერაზმუსის ტერმინებს იყენებენ, თუმცა გაუგებარია ლისაბონის კონვენციის 2004 წლის რეკომენდაციების უგულვებელყოფა. ტერმინმა ერთობლივი ხარისხი - გამოიწვია დიდი დისკუსია და ორივე კონფერენციაზე გაკრიტიკებულ იქნა მიდგომა, რომლის თანახმადაც შინაარსობრივი განსხვავება ერთობლივ ხარისხსა და ორმაგ ხარისხს შორის არაა მკაფიო და განსხვავება მთლიანად დაიყვანება ტექნიკურ დეტალზე⁶ - ერთობლივი დიპლომის გაცემის შესაძლებლობაზე, რაც ნიშნავს შემდეგს:

- თუ ერთობლივად შემუშავებული და განხორციელებული პროგრამის საფუძველზე პარტნიორებმა მოახერხეს ერთი დიპლომის გაცემა - ესაა ერთობლივი ხარისხი და
- თუ პარტნიორმა უნივერსიტეტებმა გასცეს ცალ-ცალკე დიპლომები ეს არის ორმაგი ხარისხი.

აქცენტები არასწორადაა დასმული. ყურადღება უნდა გამახვილდეს არა დიპლომების რაოდენობაზე, რომელიც სტუდენტმა მიიღო ერთი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად, არამედ სწავლის შედეგებზე. პასუხი უნდა გაცეს კითხვას რა განსხვავებაა ერთობლივი პროგრამით, 2 უსდ-ს მიერ გაცემული კვალიფიკაციის/ ხარისხის სწავლის შედეგებს შორის? ერთობლივად შემუშავებული, შეთანხმებული და განხორციელებული პროგრამის შემთხვევაში ალბათ რთული იქნება ასეთი განსხვავების დანახვა. ერაზმუს მუნდუსის ლექსიკონის განმარტებით ერთობლივი ხარისხი პირდაპირ დაკავშირებულია მხოლოდ და მხოლოდ ერთ დიპლომთან: Joint degree – a single diploma issued by at least two higher education institutions offering an integrated programme and recognised officially in the countries where the degree-awarding institutions are located⁷.

უნდა აღინშნოს, რომ კონფერენციის ორგანიზატორების მიდგომა წინააღმდეგობაში მოდის ლისაბონის კონვენციის 2004 წლის რეკომენდაციებთან, რომლის თანახმადაც:

„ამ რეკომენდაციების მიზნებისათვის, ერთობლივი ხარისხი უნდა გავიგოთ, როგორც უმაღლესი განათლების კვალიფიკაცია, რომელიც მინიჭებულია ერთობლივად სულ მცირე ორი ან მეტი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ან ერთობლივად ერთი ან

⁶ იხ. პრეზენტაცია: How to Manage Joint Programmes – Obstacles and Solutions. Gry Kibsgaard, Leipzig, January 18, 2012;

⁷ Erasmus Mundus Glossary. http://eacea.ec.europa.eu/erasmus_mundus/tools/glossary_en.php

მეტი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და სხვა (აკადემიური) ხარისხის მიმნიჭებელი ორგანოს მიერ, საგანმანათლებლო პროგრამის საფუძველზე, რომელიც შემუშავებულია და/ან გახორციელებულია ერთობლივად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ, შესაძლებელია ასევე სხვა ინსტიტუციებთან კოოპერაციით. ერთობლივი ხარისხის მინიჭება, შეიძლება:

- ა) ერთობლივი დიპლომის სახით ერთ ან მეტ ეროვნულ დიპლომთან ერთად,
- ბ) საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ გაცემული ერთობლივი დიპლომით, რომელსაც თან არ ერთვის ეროვნული დიპლომები,
- გ) ოფიციალურად გაცემული ერთი ან მეტი ეროვნული დიპლომი, რომელიც ადასტურებს ერთობლივი კვალიფიკაციის მინიჭებას.“

ლაიპციგის კონფერენციაზე ორი პრეზენტაცია მიემდგნა არსებულ ერთობლივ პროგრამებს (სამაგისტრო და სადოქტორო), თუმცა ორივე გამომსვლელმა განსაკუთრებით აღნიშნა პროგრამების მდგრადობის საკითხი. ერაზმუსის დაფინანსების დამთავრება ყოფნა-არყოფნის წინაშე აყენებს ამ პროგრამებს და ძალიან მნიშვნელოვანია თავიდანვე დაფინანსების საკითხებისადმი შესაბამისი ყურადღების გამოჩენა.

ბოლონის კონფერენციაზე ცალ-ცალკე ჯგუფებში იქნა წარმოდგენილი 4 სამაგისტრო და 2 სადოქტორო სიმულაციური ერთობლივი პროგრამის ორგანიზების გეგმა. აღნიშნულ საკითხებზე მუშაობდა 6 ჯგუფი, რომელიც შეიქმნა ლაიპციგის კონფერენციაზე. შერცეულმა პირებმა გაიარეს შესაბამისი ტრენინგი და რამდენიმე თვე ერთობლივად იმუშავეს ერთობლივ რეჟიმში.

4. სემინარის მასალების რელევანტურობა საქართველოსათვის

საქართველოს კანონმდებლობით დაშვებულია ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება. ევროპელ პარტნიორებთან ერთად ამ ტიპის პროგრამის შემუშავებისათვის მნიშვნელოვანია ერაზმუსის პროგრამებში მონაწილეობა და შესაბამისად მნიშვნელოვანია ზემოაღნიშნული გზამკვლევის გათვალისწინებაც. JOIMAN-ის მიერ მომზადებულია დოკუმენტების ნიმუშები, რაც გააადვილებს ერთობლივი პროგრამების შემუშავებისა და მართვის პროცესს.

5. ერთობლივი პროგრამების მიმართებაში საქართველოში გასატარებელი ღონისძიებები:

ბუქარესტის სამიტისთვის მომზადებული დოკუმენტში, „უმაღლესი განათლების ევროპული სივრცე 2012: ბოლონის პროცესის განხორციელების აგარიში“, მითითებულია, რომ საქართველოს უსდ-ის 10-25 % ახორციელებს ერთობლივ პროგრამებს, ხოლო 5-10 პროცენტი კი ანიჭებს ერთობლივ ხარისხებს⁸. აღნიშნული დოკუმენტის გარდა არ მოიპოვება დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებს ამ ციფრებს. არცერთი უსდ-ს ვებგვერდზე არ დევს ინფორმაცია ერობლივი ხარისხის მინიჭებაზე. შესაბამისად, საქართველოშიც არსებობს გარკვეული ტერმინოლოგიური გაუგებრობა. ამდენად, აუცილებელია სემინარების ჩატარება უსდ-ს აკადემიური და ადმინისტრაციულმა პერსონალის, ასევე და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაბამისმა განყოფილებებისა და უწყებების წარმომადგენლებისათვის ერთობლივი პროგრამებისა და ერთობლივი ხარისხების საკითხებზე. სემინარის ჩასატარებლად სასურველია JOI.CON - ის წარმომადგენლების მოწვევა.

შესაძლებელია დიპლომების გაცემის 2011 წლის 22 ივლისის [N126/5](#) ბრძანებაში დაემატოს შესაბამისი ჩანაწერი, რაც საშუალებას მისცემს ერთობლივ პროგრამის განმახორციელებელ უსდ-ს პარტნიორებთან ერთად გასცეს ერთობლივი დიპლომი

ასევე უფრო მეტად მოქნილი უნდა იყოს აკრედიტაციის სტანდარტი, რათა ხელი არ შეეშალოს ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას, რაც გულისხმობს ერთობლივ შემუშავებასა და ერთობლივ განხორციელებას, სავალდებულო მობილობას და ყველა იმ ასპექტს რაც აუცილებელია მაღალი დონის ინტეგრაციისათვის.

6. კონფერენციის პრეზენტაციები

<https://www.joiman.eu>

⁸ The European Higher Education Area in 2012: Bologna Process Implementation Report. p.43
<http://www.ehea.info/Uploads/%281%29/Bologna%20Process%20Implementation%20Report.pdf>

ბუქარესტის რეკომენდაციების განხორციელება

თინათინ ზურაბიშვილი, ქეთი გურჩიანი

ივნისი 4-6, 2012, ვილნიუსი, ლიტვა

1. პროგრამა

Monday, 4 June 2012

- 14:30 - 15:15 Opening Plenary, chaired by Arthur Mettinger with the contribution of Benediktas Juodka (Rector, University of Vilnius), Frank Petrikowski (EC, DGEAC), Klaus Haupt (EACEA) and Maria Luisa Garcia Minguez (EACEA)
- 15:15 - 15:45 Keynote by Jacob Fuchs (Co-Chair Bologna Follow Up Group) : 'Priorities of the 2012 Bucharest Communiqué: How do we proceed?'
- 15:45 - 16:15 Keynote by Andrejs Rauhvargers (Chair Recognition Working Group - BFUG): 'The 2012 Bologna Process Implementation report: progress in the period between 2009 and 2012'
- 16:15 - 16:30 Questions and Answers for both speakers
- 17:00 - 18:00 'Opening the Experts' Tool-box for Higher Education Reforms' chaired by Arthur Mettinger, with the contribution of Rana Dajani (HERE, Jordan), Juan C. Duque (Spanish Bologna Expert) and Arūnas Mark (Lithuanian Academy of Music and Theatre)
- 18:00 - 18:15 Practical announcements, Open Space & Virtual Community updates

Tuesday, 5 June 2012

- 09:00 - 11:00 Discussion Groups – 1st Round
- 11:30 - 13:00 Open Space and National buddy experts activity
- 14:30 - 16:30 Discussion Groups – 2nd Rounds
- 16:30 - 17:30 Interim evaluation discussion groups, chaired by Arthur Mettinger

Wednesday, 6 June 2012

- 09:00 - 09:30 tackling the Bucharest Conclusions, interviews with Rein Raud (Former Rector University of Tallinn) and Maria Sticchi Damiani (Italian Bologna Expert) and chaired by Arthur Mettinger
- 09:30 - 11:30 Discussion Groups – 3rd Rounds
- 12:00 - 13:00 Closing Plenary

2. მონაწილეები

სემინარში მონაწილეობდნენ უმაღლესი განათლების ექსპერტები ბოლონიის პროცესის გამზიარებელი უმეტესი ქვეყნებიდან, ასევე ესწრებოდნენ ბოლონიის არა წევრი ქვეყნების წარმომადგენლები (მაროკო, სირია, ისრაელი, ლიბანი)

3. სემინარის მთავარი მიზანი

სემინარი ეძღვნებოდა მინისტრიალის კონფერენციის ბუქარესტის კომუნიკეს რომელიც 27 აპრილს მიიღეს “Making the most of our potential: Consolidating the European Higher Education Area ბმული იხილეთ აქ

<http://www.ehea.info/Uploads/%281%29/Bucharest%20Communique%202012%281%29.pdf>

სადისკუსიო ჯგუფები დაყოფილი იყო 5 სამუშაო ჯგუფად

- 1.კვალიფიკაციების ჩარჩო, ხარისხის უზრუნველყოფა, აღიარებისა დაგამჭვირვალების საშუალებები
- 2.მობილობა
- 3.სოციალური განზომილება
- 4.საერთაშორისო მზაობა;
- 5.ECTS/DS კონსულტაციები

სამუშაო ჯგუფებში მუშაობა

პირველ სამუშაო ჯგუფში არ განხილულა ბუქარესტის სამიტის შედეგები, იქ მოყვანილი იყო ზოგადი მაგალითები და გაზიარებული იქნა სხვადასხვა სიტუაციები სტუდენტთა მობილობის დოკუმენტაციებთან დაკავშირებით.

რაც შეეხება მეორე სამუშაო ჯგუფს, კასლინ ორდუნგის პრეზენტაციით (გერმანია) დეტალურად იქნა გავლილი ბუქარესტის კომუნიკეს შედეგები. მცირე სამუშაო ჯგუფების ფარგლებში არსებითი აზრობრივი შეჯერება ვერ მოხერხდა. ამ ჯგუფებში მონაწილეობა საინტერესოა გამოცდილების გაზიარებისა და კითხვების დასმის შესაძლებლობის კუთხით.

შეხვედრებზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ექსპერტების როლს და მნიშვნელობას რეფორმის წარმოების პროცესში.

4. რელევანტურობა საქართველოსთვის

პირველად, საქართველოს ბოლონიის პროცესში ჩართვის შემდეგ ყველა უმაღლესი განათლების დაწესებულებამ უნდა გაითავისოთ ბუქარესტის კომუნიკე რომელიც ყველაზე

მნიშვნელოვანი დოკუმენტია და ეხება ბოლონის პროცესის განვითარებასა და მიზნებს 2015 წლის ერევნის კონფერენციამდე.

ბოლონის პროცესის შესრულების ანგარიში წაიკითხა ანდრეს რაუჰვარგერმა 4 ივნისი, რომელიც ასევე მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს და სასურველია საქართველოს ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება გაეცნოს მას. ანგარიში ასახავს ბოლონის რეფორმების განხორციელების დონეებს სხვადასხვა ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში.

2020 წლისათვის დამატებითი გამოწვევა იქნება – სტუდენტებისა და აკადემიური ნაწილის მობილობა და კურსდამთავრებულთა 20 % ის თვის საერთაშორისო დონის განათლების მიღება. ხოლო საქართველოს მხრიდან ამ გამოწვევების დროული და წარმატებული შესრულებისათვის საჭიროა დღესვე დავიწყოთ ამ თემებზე მუშაობა.

მეხუთე სამუშაო ჯგუფის ფარგლებში გავლილი ტრენინგი ძალზედ მნიშვნელოვანი იქნებოდა ქართული უნივერსიტეტების უმრავლესობისთვის, რადგან უმეტესობისთვის დღემდე პრობლემას წარმოადგენს დიპლომის დანართის გაცემა.

5. საქართველოში გასატარებელი აქტივობები

1. ბუქარესტის კომუნიკე უნდა ითარგმნოს ქართულად, (როგორცწესი განათლების სამინისტრო იღებს ვალდებულებას ამგვარი დოკუმენტების თარგმნისა, გამონაკლისის შემთხვევაში ექსპერტებს შეუძლიათ ამ საკითხის მოგვარება)

2. 2012 წლის ბოლონის პროცესის სიახლეები უნდა იქნეს გამოქვეყნებული ანგარიშად ქართულ ენაზე.

3. კურიკულუმის მიმართულებით კვლავ არის კონკრეტული სამუშაოები ჩასატარებელი სასწავლო შედეგებან მიმართებაში. პრ. დიკლან კენედის პრეზენტაციის თარგმნა ან მის მიერ პირადად ჩატარებული პრეზენტაცია ხელს შეგვიწყობს ამაში.

6. სემინარის პრეზენტაციები

<http://vilnius2012.bolognaexperts.net/page/seminars-presentations>

In addition, video recordings of the major presentations can be accessed at:

<http://vilnius2012.bolognaexperts.net/page/video-seminar>

Reader of the seminar is also available, at:

<http://vilnius2012.bolognaexperts.net/page/seminars-reader>

დოქტორანტურის დაფინანსება და ხარისხის უზრუნველყოფა

ქეთევან გურჩიანი

25-26 სექტემბერი 2012, სტოკჰოლმი, შვედეთი

1. პროგრამა

Tuesday 25 September

13:00 – 13:30 Welcome address - Harriet Wallberg-Henriksson, Karolinska Institutet, Sweden - Maria Helena Nazaré, European University Association - Anders Gustafsson, Karolinska Institutet, Sweden

13:30 – 15: 30 Plenary I – Funding and costing doctoral education - Maria Nilsson, NordForsk, Sweden - Jim Port, J M Consulting, United Kingdom

16:00 – 18:00 Case study presentations I National Funding Schemes -Leen Cuypers and Katleen Vercammen, Catholic University of Leuven, Belgium - Martina Susankova, University of Economics, Prague, Czech Republic Structural Funds- Rob Brook, Bryn Jones and Penny Dowdney, Bangor University, United Kingdom - Simona Dragan, University of Medicine and Pharmacy, Victor Babes Timisoara, Romania - Industry Collaboration- Jacqueline Labbe, Warwick University, United Kingdom - Johnny Laursen, Michael Mulvany and Lise Wogensen, Aarhus University, Denmark

Wednesday 26 September

09:00 – 10:30 Plenary II – Collaborative doctoral education for enhanced career opportunities - Lidia Borrell-Damian, European University Association

11:00 – 13:00 Case study presentations II Scholarships and social rights -Jean-Dominique Polack, University Pierre and Marie Curie, France - Åke Forsberg, Umea University, Sweden Investment and allocation of funds - Soumodip Sarkar, University of Évora, Portugal -Michel Petit, French Evaluation Agency For Research and Higher Education Industry Collaboration II - Alison Mitchell, VITAE, United Kingdom - Christiane Wüllner, Ruhr University Bochum, Germany

14:00 – 15:00 Speakers' corner

15:00 – 16:00 Plenary III – Stakeholder Session: Investing in future researchers

- Przemyslaw Jankowski, Marie Skłodowska-Curie Actions, European Commission
- Aurélie Gommenginger, Joint Research Centre, European Commission

16:00 – 16:30 Plenary IV – Closure

- Thomas Jørgensen, European University Association

2. კონფერენციის მონაწილეები

კონფერენციას ესწრებოდნენ ევროპული ქვეყნების წარმომადგენლები ასევე აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი ავსტრალიიდან და სამხრეთ აფრიკიდან.

3. კონფერენციის მთავარი გზავნილი

კონფერენციაზე ყურადღება გამახვილდა სადოქტორო განათლების მიღწევებსა და გამოწვევებზე. განსაკუთრებულად აქცენტი დაისვა სწავლის დაფინანსების საკითხზე. განხილული იქნა არსებული წარმატებული და შედარებით წარუმატებელი მაგალითებიც. სესიებზე წარმომადგენლებმა ისაუბრეს სტრუქტურირებულ დაფინანსების სქემებზეც. ამ მიმართულებით საჭიროა მეტი ერთობლივი სამუშაოები და მეტი ნდობა.

ერთ ერთ სესიაზე წამოაყენეს საკითხი სადოქტორო განათლება სამსახურია თუ განათლება?

ამასთან ერთად განიხილებოდა სადოქტორო განათლებისა და დამსაქმებლების კოლაბორაციის საკითხები. მონაწილეებმა წარმოადგინეს დაფინანსების სხვადასხვა მეთოდები და თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეს ასპექტი.

4 ვორკშოპების რელევანტურობა საქართველოსთვის

ამ სემინარში შემავალი სხვადასხვა პუნქტები ეხებოდა საქართველოს. ამათგან ერთერთი ეხებოდა გაზრდილ მოთხოვნას ინდიკატორების არსებობაზე. ამასთან დოქტორანტებისთვის დახმარების გაწევას ამ ინდიკატორების მისაღებად. შემდეგი საინტერესო იდეა შეეხებოდა ნორდ ფორკის მსგავსი ქსელის შექმნას, მაღალი ხარისხის სადოქტორო განათლების მისაღებად გაზიარების საფუძველზე დაყრდნობით. უფრო დიდი რეგიონული ქსელი შეუძლებელი იქნება პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე. თუმცა ამ გვარი ქსელის არსებობა ნამდვილად წაადგება საქართველოს.

ნებისმიერი ცვლილება უნდა გაკეთდეს სხვა ასპექტების გათვალისწინებითაც, რათა თანმიმდევრული სისტემა შემუშავდეს. თანხვედრის ნაკლებობა რეფორმების ერთ მთავარ პრობლემად რჩება საქართველოში.

მონაწილე ქვეყნების უმეტესობას წარმოდგენილი ჰქონდათ დაფინანსების სხვადასხვა სქემები სადოქტორო პროგრამების მიმართულებით, საქართველოში ეს მიმართულება არ გვაქვს.

დასასრულს აღიღნიშნა რომ ფული და დაფინანსება არ არის მთავარი კრიტერიუმი პროგრამის შესაფასებლად, ნაკლები დაფინანსებითაც არის შესაძლებელი კარგი და სასურველი ხარისხის პროგრამის მიღება. საქართველოს შემთხვევაში სასურველი იქნებოდა უნივერსიტეტებს მიეღოთ რაც შეიძლება მეტი დოქტორანტი სტუდენტი. სადოქტორო განათლება უნდა იყოს სტუდენტის ძირითადი საქმიანობა და ინტერესი და არა დამატებითი სამსახურის ნაირსახეობა.

5. სემინარის პრეზენტაციები

იხილეთ ბმული:

http://www.eua.be/events/past/2012/Doctoral_Week_2012/Presentations.aspx

უნივერსიტეტისა და ბიზნესის კოოპერაცია

სასწავლო ვიზიტი

ღალი ბაქრაძე

2-3 ოქტომბერი 2012, ბრიუსელი, ბელგია

1. პროგრამა

Tuesday, 2 October 2012

Chair: Jean Pierre De Greve, former Vice-rector International Policy, VUB

09.30 – 09.40 - Opening by Jean-Pierre De Greve, former Vice-rector International Policy, Vrije Universiteit Brussel

09.40 – 09.50 - Welcome by Klaus Haupt, Head of Unit Tempus and Bilateral Cooperation with Industrialised Countries – EACEA

09.50 – 10.20 - General aspects of university-business cooperation at the VUB Jan Cornelis, former Academic Coordinator for Knowledge, Innovation and Technology Transfer, Vice-rector International Policy

10:40 –11.10 - Technology transfer at the Vrije Universiteit Brussel Sonja Haesen, Head Technology Transfer Interface VUB

11.10 – 12.25 -Examples of University-Business partnerships:

- Introduction to the VUB Career Center, Arthur Skenazi, Researcher
- at the International Relations and Mobility Office(IRMO) of the Vrije Universiteit Brussel
- Your fitness ... our business. “Get Set, Ready? Steady ... Go!” the way to a healthier life in 4 steps, Dirk Van De Wiele, Head sport facilities
- Short walk across the campus & visit of the Health City Sport Centre

12.25 – 12.40 - Visit to the ICAB Business & Technology Incubator. Business Incubation in the Brussels Region. Jean Vereecken, Managing Director ICAB Business & Technology Incubator Marnix Housen, Manager ICAB Business & Technology Incubator

12.40 – 12.50 - Testimonial start-up companies D-Sight Hugo Pereira, Marketing Manager D-Sight

12.50 – 13.00 - Testimonial of a VUB Spin-off company Roger Vouncx from Eqcologic, spin-off company of the VUB

13.00 – 14.15 - Q&A

14.15 – 14.45- Short walk across the campus

14.45 – 15. 0 - Visit of departments (3 groups)

- Group of Electrochemical and Surface Engineering, Iris De Graeve, Room 4G112b
 - Industrial Food Biotechnology: From Ecosystem Analysis to
 - Functional Starter Culture Development, Faculty of Sciences and Bioengineering Sciences, Luc De Vuyst, Room 7G414
 - B-PHOT Photonics research team, Hugo Thienpont, Room 9F. f9.81
- 16.00 – 16.30 Research at the Brussels Photonics Team: impact and validation at the Flemish and European level, Hugo Thienpont, Chairman Innovation and Industrial Policy VUB, Managing Director B-PHOT Promotiezaal, building D.201
- 16.30 – 16.45 - Closing by Jean Pierre de Greve

Wednesday, 3 October 2012

Chair: Jean Pierre De Greve

- 09.00 – 09.30 How do we encourage students and academics to cooperate with the Business sector? Awareness raising and Training - Marc Goldchstein, Technology Transfer Officer/Entrepreneurship Education
- 09.30 – 10.00 ULB-TTO: How to connect research to business? Isabelle Lefebvre, Director of the TTO of the Université libre de Bruxelles
- 10.00 – 10.30 Presentation of the ULB Incubation Centre Jean Van Nuwenborg, consultant at European Business & Innovation Center, Université libre de Bruxelles
- 10.30 – 10.40 Questions and Answers
- 11.00 – 11.30 Models of Business Partnerships within VUB University hospital – UZ Brussel Marc Noppen, Chief Executive Officer UZ Brussel, VUB
- 11.30 – 12.00 Overview of Public-Private Partnerships at the VUB Paul de Knop, Rector Vrije Universiteit Brussel
- 12.00 – 12.15 Q&A and Wrap-up by Jean Pierre De Greve

2. კონფერენციის მონაწილეები

სასწავლო ვიზიტის ორგანიზატორი და მასპინძელი იყო ბრიუსელის თავისუფალი უნივერსიტეტი (ფლანდრიული, შემდგომში VUB). მასში მონაწილეობას ღებულობდა 14 ქვეყნის 30 წარმომადგენელი, ასევე EACEA და UNICA -ს 14 წარმომადგენელი და ბრიუსელის ორი უნივერსიტეტის VUB და ბრიუსელის თავისუფალი უნივერსიტეტის (ფრანგული, შემდგომში ULB) წარმომადგენლები.

3. კონფერენციების მთავარი მესიჯი

თანამედროვე ეტაპზე უნივერსიტეტი-ბიზნესის კოოპერაცია მნიშვნელოვანია, როგორც სამეცნიერო-სასწავლო პროცესის განვითარებისათვის ასევე უნივერსიტეტის ფინანსური მდგრადობისათვის.

კოოპერაცია აკადემიურ სამყაროსა და ბიზნეს სექტორს შორის უნივერსიტეტში ორ მიმართულებაზეა კონცენტრირებული:

- ცოდნის/ტექნოლოგიების ტრანსფერი ინდუსტრიაში
- საჯარო-კერძო ურთიერთობები ინფრასტრუქტურულ პროექტებში (win-win situation)

3.1. ცოდნის/ტექნოლოგიების ტრანსფერი ინდუსტრიაში

3.1.1. კვლევის სახეები და დაფინანსება

განვითარებისა და დაფინანსების უწყვეტობისათვის მნიშვნელოვანია რომ კვლევითმა უნივერსიტეტებმა მოახდინონ კვლევითი შედეგების ტრანსფერი ინდუსტრიაში. თუმცა, იდეიდან -ბიზნეს გეგმამდე საკმაოდ გრძელი და რთული გზაა. აღნიშნულ საკითხებზე ორიენტაციამ გამოიწვია უნივერსიტეტების მისიის თავიდან გააზრება და შესაბამისად ჩამოყალიბება. თანამედროვე კვლევითი უნივერსიტეტის განვითარებისა და მდგრადობის მისაღწევად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინტერდისციპლინური კვლევებისა და ინსტიტუტებს, ცოდნის ცენტრებს, ინდუსტრიასა და აკადემიურ პარტნიორებს შორის თანამშრომლობის სტიმულირებას. VUB-ი ხელს უწყობს კვლევებისა და განვითარების პროცესის სხვადასხვა სახეებს. კერძოდ, ფუნდამენტურ, სტრატეგიულ და ინდუსტრიული/გამოყენებით კვლევებს.

კვლევითი უნივერსიტეტებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ფუნდამენტურ კვლებებს, თუმცა შეუძლებელია ყველა სამეცნიერო კვლევის შედეგების კომერციალიზაცია. VUB -ში კვლევები კლასიფიცირებულია მათი მართვის ტიპისა და მოქმედი პირების მიხედვით.

კვლევების მენეჯმენტის სახეები და შესაბამისი აქტორები⁹

კვლევის ტიპი	მართვა	ბიუჯეტი ერთ პროექტზე ან პროგრამაზე (a) პროექტების ან როგრამების	მოქმედი პირების ტიპი	შედეგები

⁹ იან კორნელისი. „ უნივერსიტეტი-ბიზნესის კოოპერაციის ზოგადი ასპექტები VUB-ში“ პრეზენტაცია სემინარზე, 2-3 .10.2012; ბრიუსელი

		რაოდენობა (b)		
ფუნდამენტური კვლევა	თემატურად არ იმართება/კონტროლდება. კონტროლდება მხოლოდ ხარისხი.	1 ევრო / 100	მკვლევარები	ადმოქმედები და ცოდნის გავრცობა, ახალი თეორიები
სტრატეგიული კვლევა	თემატიკის მართვა ეფუძნება უსდ-ს პოლიტიკას და მომგებიანი/არამომგებიანი სექტორის მოთხოვნას	10 ევრო / 5	გამომგონებლები	ინოვაციები და ცოდნის სტრუქტურირება
ინდუსტრიული და გამოყენებითი კვლევა	ეკონომიკისა და საზოგადოების კონტროლი	100 ევრო / 1	დეველოპერები	პროდუქტის, სერვისისა და ცოდნის კონსოლიდაცია

სემინარის ორგანიზატორი უნივერსიტეტების კვლევითი ბიუჯეტი საკმაოდ შთამბეჭდავია. მაგ., 2009 წელს VUB-ს კვლევითი ბიუჯეტი შეადგენდა 75 მლნ ევროს. აქედან კერძო სექტორთან თანამშრომლობით მიღებული შემოსავალი - 23,5%, საკუთარი კვლევითი საშუალებები -18%, ფლანდრიის მთავრობის 13% და პროექტების 45,5% დაფინანსებულია მთავრობების მიერ. ციფრები გვიჩვენებს, რომ დაფინანსების თითქმის 1/5 საკუთარი სახსრებია და ¼-ს კი კერძო სექტორთან თანამშრომლობა იძლევა. ბრიუსელის მეორე, ფრანგული უნივერსიტეტის(შემდგომში ULB) 2010 წლის კვლევისა და განვითარების ბიუჯეტი (მ.შ. გრანტები) 170 მლნ ევრო იყო. აქედან ეკონომიკაზე ორიენტირებული კვლევითი გრანტები კი 51,3 მლნ ევროს შეადგენდა.

ორივე უნივერსიტეტი (ULB და VUB) პატენტების სერიოზული პორტფოლიოს მფლობელია: ULB -168, VUB – 100 აქტიური პატენტი, აქედან 33 აქვს საკუთრებაში, ხოლო დანარჩენი კი თანამფლობელობაში. ULB-ის მონაცემებით მისი აქტიური პატენტების 41%-ზე გაცემულია ლიცენზია. ორივე უნივერსიტეტი ღებულობს შემოსავალს ლიცენზიებიდან. ფლანდრიულ უნივერსიტეტში 1992 წლიდან დღემდე შეიქმნა 25 სპინოფი. VUB -ში 1991 წლიდან დღემდე 37 სპინოფი შეიქმნა აქედა 12, ბოლო 5 წლის განმავლობაში. 27 ისევ მოქმედია. მათ შექმნეს 315 სამუშაო ადგილი და გაყიდვებმა შეადგინა 27,5 მლნ ევრო.

ამდენად, ტექნოლოგიების ინდუსტრიაში ტრანსფერი ხორციელდება სტრატეგიული და გამოყენებითი კვლევის შედეგების კომერციალიზაციის მეშვეობით. ინდუსტრიული კვლევების ხელშეწყობის მიზნით ბელგიაში შექმნილია როგორც სამთავრობო ასევე საუნივერსიტეტო ფონდები. სემინარზე განხილულ იქნა ორი ასეთი ფონდი: სპეციალური ინდუსტრიული კვლევების ფონდი (IOF) და უნივერსიტეტთაშორისი ფონდი QBIC. ორივე ხელს უწყობს ტექნოლოგიის ტრანსფერს, მაგრამ მათ შორის განსხვავება ისაა, რომ პირველი მათგანი კონცენტრირებულია უნივერსიტეტის შიგნით სტრატეგიული და გამოყენებითი კვლევების განვითარებას, მეორე კი ხელს უწყობს ამ კვლევის შედეგების საზოგადოებაში/ეკონომიკაში გამოტანას სპინოფების მხარდაჭერის გზით..

- სპეციალური სამთავრობო ფონდები ფლანდრიის უნივერსიტეტისათვის

ბელგიაში ფლანდრიული უნივერსიტეტების სამთავრობო დაფინანსება დიფერენცირებულია კვლევის სახეების მიხედვით. 2004 წელს ფლანდრიის მთავრობამ დაარსა სპეციალური ინდუსტრიული კვლევების ფონდი (IOF). ის შეიქმნა ე.წ. „ევროპულ ავადმყოფობისთვის“ პასუხის გასაცემად ანუ კვლევას და ინდუსტრიას შორის არსებული დიდი ინტერვალის დაძლევის მიზნით. ინდუსტრიული კვლევების ფონდი (IOF) ყოველწლიურად ნაწილდება ფლანდრიულ უნივერსიტეტებზე განაწილების სპეციალური ფორმულის საფუძველზე, რომელიც 2010 წლიდან ითვალისწინებს შემდეგ 6 კრიტერიუმს: სადოქტორო დისერტაციები, პუბლიკაციები და ციტირება, პატენტების რაოდენობა, შემოსავალი ინდუსტრიული კონტრაქტებიდან, შემოსავალი ევროკავშირის FP პროექტებდან და სპინოფების რაოდენობა.

თანხა სამეცნიერო კვლევებისათვის გადაეცემა უნივერსიტეტის ინდუსტრიული კვლევების ფონდს, რომელიც ახორციელებს ინოვაციური პროექტების შიდა შერჩევას. ფონდის მიზანია გამოყენებით მეცნიერებებში პორტფოლიოს შექმნით და უნივერსიტეტი-ინდუსტრიის კავშირების სტიმულირებით კვლევის შედეგების კომერციალიზაცია.

2011 წლიდან ბრიუსელის უნივერსიტეტში(VUB) ინდუსტრიული ფონდის თანხებით ფინანსდება ის კვლევითი ჯგუფი და დეპარტამენტი, რომელიც აღემატება უნივერსიტეტის სტანდარტული კვლევითი ჯგუფის საშუალო მასშტაბს. IOF-ის დაფინანსების მისაღებად ჯგუფმა უნდა წარადგინოს კომერციალიზაციის ეფექტური გეგმა. ჯგუფი ღებულობს 3 წლიან დაფინანსებას. ფინანსდება ორი ტიპის პროექტები: დონე 1: ბიუჯეტი 150000 ევრო წელიწადში და დონე 2: ბიუჯეტი 75 000 ევრო წელიწადში.

- უნივერსიტეტების მიერ დაარსებული QBIC - ფონდი

პირველი საუნივერსიტეტთაშორისო ფონდი ფლანდრიაში, ვენჩერული კაპიტალი. მისი მიზანია დააფინანსოს სამი საუნივერსიტეტო ასოციაციის (ბრიუსელი, ანტვერპენი, გენტი) ტექნოლოგიური სპინოფები. ამ ფონდის შექმნით უნივერსიტეტებმა გააძლიერეს თავისი ტექნოლოგიის ტრანსფერის ოფისების ძალისხმევა მაღალი რისკის შემცველი კომპანიების წარმატებულობის ხარისხი ამაღლების მიმართულებით. უნივერსიტეტებს შორის მყარი კავშირების ჩამოყალიბებით პირველი ეტაპის შემდეგვე გააორმაგეს კაპიტალი, რომელიც 30 მლნ ევროს შეადგენს

3.1.2. ტექნოლოგიის ტრანსფერის პროცესის მართვა

ტექნოლოგიის ტრანსფერი და კვლევის შედეგების კომერციალიზაცია უნივერსიტეტსა და საზოგადოებას შორის ინტერაქციის ფართო სპექტრს მოიცავს. უნივერსიტეტებში ტექნოლოგიის ტრანსფერისა და კვლევითი შედეგების ვალორიზაციის პროცესის მართვისათვის შექმნილია შესაბამისი სტრუქტურები, რომლებიც კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის ნაწილს შეადგენს:

- VUB - TTI (Technology Transfer Interface)
- ULB –TTO (Technology Transfer Office).

ტექნოლოგიის ტრანსფერის პროცესის მართვის ზოგადი სქემა ასეთია:

ინდუსტრიული კვლევების სტიმულირება/მხარდაჭერა - ინტელექტუალური საკუთრების პორტფოლიოს შექმნა და მართვა - ინტელექტუალური საკუთრების ლიცენზირება - სპინოფების შექმნა.

ორივე უნივერსიტეტის ტექნოლოგიის ტრანსფერის სტრუქტურები (TTI; TTO) არის დამაკავშირებელი რგოლი უნივერსიტეტსა და ინდუსტრიას შორის. ორივე უნივერსიტეტის შესაბამისი გუნდი ინტერდისციპლინურია და კონცენტრირებულია ისეთ საკითხებზე როგორცაა: სამართლებრივი მხარდაჭერა, ბიზნეს-კონსულტაციები, ინტელექტუალური საკუთრება(პატენტი, ნოუ-ჰაუ, კოპირაიტი), დაფინანსება და საინვესტიციო ფონდები, მეწარმეობის მხარაჭერა, კომუნიკაციები. ანუ მოიცავს სრულ ციკლს იდეიდან ბიზნესში რეალიზაციამდე.

ULB-TTO ემსახურება უნივერსიტეტსა და მის ჰოსპიტალს. მოიცავს 3 ინკუბატორს, სამეწარმე ცენტრსა და საინვესტიციო ფონდს „თეოდორუს“.

VUB -TTI ინტერდისციპლინური გუნდი ეხმარება მკვლევარებს ინდუსტრიასთან თანამშრომლობის ყველა ფაზაში. ოფისი მუშაობს შემდეგი მიმართულებებით:

- სამართლებრივი მხარდაჭერა
- ინტელექტუალური საკუთრების მენეჯმენტი

- კონტრაქტის მენეჯმენტი (ეხმარება მეცნიერებს ინდუსტრიასთან მოლაპარაკების პროცესში)
- დახმარება პროექტის შემუშავებასა და განაცხადის წარდგენაში
- მეწარმეობის სტიმულირება
- სპინოფების მენეჯმენტი
- VUB-იდუსტრიული კვლევების ფონდის საბჭოს კონსულტირება. დაფინანსებული პროექტების კონსულტირება. .
- უნივერსიტეტთაშორისი ფონდი - QBIC
- კვლევითი პარკები
- 2 ინკუბატორი „IICB- ICAB“
- ინდუსტრიული ქსელი „Crosstalks“
- დაფინანსების მოძიება „ფანდრაიზინგი“ და კვლევითი პროგრამები
- შიდა და გარე კომუნიკაცია

ტექნოლოგიის ტრანსფერის პროცესს მეცნიერებთან კოლაბორაციის დროს გარკვეული პრობლემებიც ახასიათებს. კერძოდ:

- უნივერსიტეტებში სადაც ჯერ არაა ტექნოლოგიის ტრანსფერის ტრადიცია აუცილებელია მკვლევარების დარწმუნება, რომ ჩაერთონ უნივერსიტეტი-ბეზნეს ურთიერთობებში;
- ტექნოლოგიის ტრანსფერის ტრადიციის მქონე უნივერსიტეტებში კი აუცილებელია ჩამოყალიბდეს კულტურა, სადაც მკვლევართა საზოგადოებისათვის მისაღები გახდება აზრი, რომ ყველა სამეცნიერო იდეა არ იქნება მხარდაჭერილი.

3.2 საჯარო-კერძო ურთიერთობები (PPP)

საჯარო-კერძო ურთიერთობები - ესაა გრძელვადიანი პარტნიორობა საჯარო და კერძო პირებს შორის დამატებითი ღირებულების მქონე პროექტების განხორციელების მიზნით. პარტნიორობა, საკითხებისა და რისკების გადანაწილებისას, ითვალისწინებს სტეიკჰოლდერების ძლიერი მხარეების ოპტიმიზაციას.

2002 წელს ინფრასტრუქტურულ საკითხებში უნივერსიტეტის წინაშე მდგარი პრობლემების გადასაწყვეტად VUB-მა მიმართა ბიზნესს. სპორტულ ინფრასტრუქტურასთან არსებობდა შემდეგი პრობლემები:

- სპორტულ ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ხარჯები მუდმივად იზრდებოდა;
- თანამედროვე სპორტული ინფრასტრუქტურის არარსებობა, რაც შეუძლებელს ხდიდა ლუვენისა და გენტის უნივერსიტეტებთან კონკურენციას;

- არსებობდა წინააღმდეგობა შემდეგ გარემოებებს შორის: სპორტული შედეგების მქონე სტუდენტების დიდი რაოდენობა და ჩამორჩენილი სპორტული ინფრასტრუქტურა.

პრობლემის გადაჭრისათვის არსებობდა რამდენიმე გზა:

არჩევანი 1. - არსებული პოლიტიკის შენარჩუნება, რაც ნიშნავდა ყოველწლიურად 223 000 ევროს დაკარგვას.

არჩევანი 2. - სპორტული ინფრასტრუქტურის დახურვა (ასე გააკეთა ULB)

არჩევანი 3 – ინვესტირება და საკლუბო ფორმულის შეთავაზება გარე მხარისათვის. ე.ი. გარე მონაწილეები თავისი წვლილს შეიტანენ საოპერაციო ხარჯების შემცირებაში.

უნივერსიტეტმა გადაწყვიტა საჯარო-კერძო ურთიერთობების განვითარება. უნივერსიტეტმა დანახარჯების მხოლოდ 3,3%-ად მოახდინა ინფრასტრუქტურის მოდერნიზება და თან შეინარჩუნა საკუთარი იდენტურობა. უნივერსიტეტი ახორციელებს სხვა ინფრასტრუქტურულ პროექტებსაც რაც მას საშუალებას აძლევს შექმნას „მოგება-მოგება“ სიტუაცია“(WIN-WIN).

ამ პრინციპის რეალიზაციის შედეგად უნივერსიტეტში შექმნა შემდეგი სტრუქტურები:

- ჯანმრთელი ქალაქი კამპუსში - სპორტული ცენტრი
- სპორტის სასტუმრო
- სტუდენტური ბინები
- ხელოვნური საფარი სპორტულ მოედნებზე
- კარიერის ცენტრი.

3.3. ჩართულობა კვლევის პროცესში

ბელგიის ფლანდრიული უნივერსიტეტები საუნივერსიტეტო ასოციაციის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ კვლევის პროცესს ხშირ შემთხვევაში საუნივერსიტეტო ასოციაციაა ჩართული, ანუ ხდება ძალების გაერთიანება.

სემინარზე ორგანიზატორებმა წარმოადგინეს რამდენიმე კარგი მაგალითი. მათ შორის უნივერსიტეტის ჰოსპიტალის ბიზნეს ურთიერთობები; სპინოფი -, Ecologic“, რომელიც ფუნდამენტური კვლევების საფუძველზე შეიქმნა; ინდუსტრიული კვლევები ფოტონიკის მიმართულებით; კარიერის ცენტრის, ასევე სპორტული ცენტრის განვითარება საჯარო-კერძო ურთიერთობის საფუძველზე და ბიზნეს ინკუბატორები (იხ. პრეზენტაციები)

4. სემინარის მასალების რელევანტურობა საქართველოსათვის

უნივერსიტეტებისათვის მნიშვნელოვანია არა მარტო ფინანსური მდგრადობის შენარჩუნება, არამედ კვლევით უნივერსიტეტებად ჩამოყალიბება, რომელიც თავისი კვლევითი შედეგებით

აღიარებული იქნება მსოფლიო დონეზე. შესაბამისად უნივერსიტეტი - ბიზნეს ურთიერთობების ორივე მიმართულება საქართველოსთვის საყურადღებოა:

1. ევროპის 21-ე საუკუნის გამოწვევა დაძლიოს სხვაობა/მანძილი ტექნოლოგიურ ცოდნასა და მეწარმეობას შორის აქტუალურია ასევე საქართველოსათვის.

2. უნივერსიტეტების ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარება შესაძლებელია საჯარო-კერძო

ურთიერთობების საფუძველზე.

ტექნოლოგიის ინდუსტრიაში ტრანსფერი და შემდგომ შემოსავლების მიღება ძალიან მნიშვნელოვანია. როგორც ბრიუსელის ორივე უნივერსიტეტის მაგალითი გვიჩვენებს ამ მიმართულებით მუშაობას სჭირდება დრო და ფინანსები. ორივე უნივერსიტეტს აქვს 20 წლიანი გამოცდილება და სერიოზული ფინანსები. სამთავრობო და ევროკავშირის ფონდებით ხდება გამოყენებითი კვლევების სტიმულირება. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ უნივერსიტეტებმა შეძლეს გაერთიანება და საკუთარი ფონდის შექმნა, რითაც ხელს უწყობენ კვლევის შედეგების ინდუსტრიაში დანერგვას და შესაბამის შემოსავალსაც ღებულობენ.

როგორც სემინარის ორგანიზატორებმა აღნიშნეს ამ მიმართულების პროექტებს აუცილებლად უნდა ქონდეთ კვლევის შედეგების ინდუსტრიაში დანერგვის დეტალური გეგმა - კომერციალიზაციის გეგმა. ტექნოლოგიის ინდუსტრიაში ტრანსფერის ტრადიციის მქონე უნივერსიტეტების მკვლევარებსაც კი სჭირდებათ დახმარება კომერციალიზაციის გეგმის შედგენაში.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ ტექნოლოგიის ტრანსფერის პროცესში მონაწილეობას ღებულობენ დოქტორანტებიც. მათი სადოქტორო კვლევა არის დიდი კვლევის ნაწილი და ისინი ჩართულები არიან ექსპერიმენტების ჩატარების პროცესში. როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნე ინდუსტრიული კვლევების ფონდის (IOF) დაფინანსების ერთ-ერთი კრიტერიუმი სწორედ ამ პროცესში დოქტორანტების არა მარტო ჩართულობა, არამედ შესაბამისად დაცული დისერტაციების რაოდენობაცაა.

ასევე საყურადღებოა კერძო-საჯარო ურთიერთობების განვითარება ინფრასტრუქტურულ პროექტების დაფინანსების მიზნით. სპორტული მოედნებისა და სტუდენტური ბინების საკითხი ჯერაც მოუწესრიგებელია საქართველოში. ამ მიმართულებით მუშაობა და შედეგების მიღება უახლოეს მომავალში ალბათ უფრო შესაძლებელია.

5. უნივერსიტეტი - ბიზნესის კოოპერაციის მიმართულებით საქართველოში გასატარებელი ღონისძიებები:

5.1. სამთავრობო დონე

დაფინანსება და სამეცნიერო კვლევების განვითარების სტრატეგია

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით ეროვნული სამეცნიერო ფონდის კვლევითი პროგრამებისა და გრანტებისათვის 2011 წელს გეგმა შეადგენდა 23,7 მლნ ლარს, 2012 წლის გეგმა კი 25 მლნ ლარს. ბრიუსელის უნივერსიტეტების წლიური კვლევითი ბიუჯეტი შეადგენდა VUB- 75 მლნ ევროს და VUB - 170 მლნ ევროს. მართალია საქართველოს უნივერსიტეტების აქვთ შემოსავალი სხვა კვლევითი გრანტებიდანაც(მირითადად ევროპული), მაგრამ ციფრების მარტივი შედარებაც კი საკმარისია, იმის დასაანახად, რომ მთლიანი სამთავრობო დაფინანსება კვლევების სტიმულირების მიზნით ძალიან მცირეა.

როგორც ცნობილია სამთავრობო დაფინანსება ხორციელდება შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის მიერ. ფონდმა გამოყენებითი კვლევების ცალკე დაფინანსება მხოლოდ 2011 წელს დაიწყო. თუმცა, დაფინანსებული პროექტების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ უმეტესობას საერთო არაფერი აქვთ ტექნოლოგიების ინდუსტრიაში ტრანსფერთან. ფონდის ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად გამოყენებითი კვლევების პროგრამით ფინანსდება ისეთი პროექტები როგორცაა სხვადასხვა ტიპის მასალების დიჯიტალიზაცია და მომაცემთა ბაზების შექმნა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ მათი ინდუსტრიულ პროექტებთან ერთ პროგრამაში ჩართვა არამართებულია.

ერთია კვლევაზე გამოყოფილი თანხების სიმცირე მთლიანად ქვეყნის მასშტაბით და მეორეა ამ მცირე თანხების გადანაწილება პროგრამების მიხედვით. არსებული სამთავრობო თანხები აშკარად არაა საკმარისი კვლევების ფართო სპექტრისათვის და ამ თანხების გაათმაგებაც კი აშკარად არარეალურია.

- ქვეყნის ეკონომიკური ზრდა დიდადაა დამოკიდებული ინოვაციებზე. ქვეყნის დონეზე უნდა ჩამოყალიბდეს სამეცნიერო კვლევებისა და ინოვაციების ხელშეწყობის სტრატეგია. სტრატეგიის შექმნას წინ უნდა უძღოდეს შესაბამისი კვლევა და არსებული სიტუაციის დეტალური ანალიზი. საკმაოდ შეზღუდული ფინანსური რესურსების პირობებში აუცილებელი იქნება პრიორიტეტების განსაზღვრა, სხვაგვარად საქართველო ვერ შეძლებს უპასუხოს 21-ე საუკუნის გამოწვევებს მეცნიერებაში;
- სტრატეგიის შემუშავებამდე უკეთესი იქნება თუ გამოყენებითი კვლევებიდან გაიმიჯნება ინდუსტრიული კვლევები და დაზუსტდება კრიტერიუმები. ერთ-ერთ კრიტერიუმად შეიძლება განხილულ იქნეს დოქტორანტების ჩართვა კვლევაში და მათი მონაწილეობის ეფექტური გეგმის წარდგენა, ისევე როგორც კომერციალიზაციის დეტალური გეგმა;
- ტექნოლოგიის ტრანსფერის სტიმულირების საკითხებზე საჭიროა პარტნიორობის გაგრძელება და გაფართოვება სხვა საერთაშორისო ფონდებთან.

5.2. საუნივერსიტეტო დონე

საქართველოში სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უნივერსიტეტების უმეტესობას ვებ გვერდზე საერთოდ არა აქვს გამოტანილი კვლევა. მხოლოდ რამდენიმეს აქვს კვლევებისათვის განკუთვნილი სტრუქტურა, სადაც უკეთეს შემთხვევაში დაფინანსებული და/ან განხორციელებული კვლევითი პროექტების სათაურებია მითითებული. არცერთი უნივერსიტეტის ვებგვერდი არ იძლევა იმის მინიშნებასაც კი, რომ უნივერსიტეტს გააჩნია სტრატეგია ზოგადად სამეცნიერო კვლევების მიმართულებით.

- კვლევითი უნივერსიტეტებმა უნდა შეიმუშაონ ინოვაციებისა და კვლევების განვითარების სტრატეგია. ფუნდამენტური კვლევები ძალიან მნიშვნელოვანია ნებისმიერი უნივერსიტეტისთვის, მაგრამ სტრატეგიაში თავისი ადგილი უნდა დაეთმოს ინვაციებისა და ტექნოლოგიების ტრანსფერის სტიმულირების საკითხებს.

- ტექნოლოგიების ინდუსტრიაში ტრანსფერის პროცესი რთული და მრავალწახნაგოვანია. ამ მიმართულებით წარმატების მიღწევა შესაბამისი სტრუქტურის არსებობის გარეშე შეუძლებელია. უნივერსიტეტებში ტექნოლოგიის ტრანსფერის ოფისების ჩამოყალიბება ერთი მხრივ ძალიან კარგი იდეაა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ამ ოფისის ფუნქციებს და მასშტაბს, მაშინ საკმაოდ რთული წარმოსადგენია, რომ საქართველოში უნივერსიტეტებმა დამოუკიდებლად შეძლონ ამ ტიპის სრულყოფილი სტრუქტურის ჩამოყალიბება და შენარჩუნება. ამ ოფისის ფუნქცია არაა მხოლოდ მეცნიერებისათვის ტრენინგების ჩატარება პროექტის შემუშავების ან კომერციალიზაციის გეგმის შედგენის შესახებ. მისი ერთ-ერთი ფუნქციაა ინტელექტუალური საკუთრების მართვა, კვლევის შედეგების დაპატენტება, პატენტებზე ლიცენზიების გაცემა და მართვა, რაც მოითხოვს არა მარტო საქართველოს მასშტაბით, არამედ საერთაშორისო დონეზე საქმიანობას და შესაბამის ინტერდისციპლინურ ჯგუფს (ასეთი ოფისების წლიური დაფინანსება ბრიუსელის უნივერსიტეტებში მილიონ ევროს აჭარბებს). ამ პრობლემის გადაჭრის რამდენიმე გზა არსებობს: 1. კვლევითი უნივერსიტეტები გაერთიანებული ძალებით შექმნიან ტექნოლოგიების ტრანსფერის ოფისს; 2. ტექნოლოგიების ტრანსფერის ოფისის შესაქმნელად საჯარო - კერძო ურთიერთობების გამოყენება 3. ეროვნული ოფისის დაარსება მთავრობის მიერ.¹⁰

- სადღეისოდ მნიშვნელოვანია რომ უნივერსიტეტებმა უზრუნველყონ მეცნიერთა დახმარება ინდუსტრიული პროექტების შემუშავების საწყის ეტაპზე, რათა გაიზარდოს ქართველ მეცნიერთა მონაწილეობა საერთაშორისო კვლევით პროექტებში. კერძოდ კონსულტაციებისა და ტრენინგების ჩატარება პროექტების შემუშავებისა და განსაკუთრებით კომერციალიზაციის გეგმის ჩამოყალიბებაში და ასევე მათი ინფორმირება ინოვაციების მენეჯმენტის შესახებ.

- სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უსდ-ის ინფრასტრუქტურა ჯერ კიდევ შორსაა სრულყოფილებისაგან. შესაბამისად, ინფრასტრუქტურულ პროექტებში საჯარო-კერძო ურთიერთობების განვითარებას გარკვეული პერსპექტივა გააჩნია.

5.3. ტემპუსის საქართველოს ოფისის დახმარება

- სასურველი იქნება ტემპუსის ოფისის მიერ საერთაშორისო ექსპერტების მოწვევა და მიზნობრივი ჯგუფებისათვის სემინარის ჩატარება ტექნოლოგიების ტრანსფერის საკითხებზე.

კვლევაზე დაფუძნებული განათლება: სტრატეგია და იმპლემენტაცია

ორინე დარჩია

5-7 ნოემბერი 2012, ბუდაპეშტი, უნგრეთი

1. **ღონისძიების ორგანიზატორი.** ევროკომისიის პროგრამები: მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლა, ტემპუსი, უნიკა, ბრიუსელის განათლების სამსახურები, ეოტვოს ლორანდის უნივერსიტეტი - ელტე (უნგრეთი).

Lifelong Learning, Tempus, UNICA, Brussels Education Services, Eötvös Loránd University

2. **ღონისძიების პროგრამა.**

Monday, 5 November 2012

14:00 - 14:45 Opening Plenary, chaired by Arthur Mettinger, with the participation of Barna Mezey Rector Eötvös Lorand University, Frank Petrikowski (DG EAC), Mónica Holik (EACEA) & Jacques Kemp (EACEA)

14:45 - 16:15 Research-based Education in different context: Keynote by Andrea Nolan, Senior Vice-Principal and Deputy Vice-Chancellor, University of Glasgow, followed by the interventions of Nadezhda Kamynina (HERE Russia) & Eva Skytt (BE Sweden)

16:45 - 18:00 Start of the Training Groups (1 - 3)

Tuesday, 6 November 2012

09:00 - 11:00 Training Groups - Continued

11:30 - 12:15 EIT's Higher Education approach for entrepreneurship and innovation, by Endika Bengoetxea, Senior Education Officer, European Institute of Technology

13:30 - 15:30 Training Groups - Continued

15:30 - 17:00 the Budapest Bologna Café

Wednesday, 7 November 2012

09:00 - 11:00 Training Groups - Continued

11:30 - 12:00 Feedback by the Training Group Presenters and Tim Birtwistle, Bologna Expert from UK

12:00 - 12:30 Evaluation of the National teams of Bologna Experts - presentation of the final report, by Frank Petrikowski (European Commission, DG EAC) and Axelle Devaux (ICF GHK)

12:30 - 13:00 Closing Plenary, with the contribution of Laszo Mero, research psychologist and popular science author.

13:00 - 13:15 Final words and Announcement of the next seminar

3. ღონისძიების მონაწილეები.

ბუდაპეშტის სემინარში მონაწილეობდა 43 ქვეყნის 120-ზე მეტი წარმომადგენელი, ბოლონიის და უმაღლესი განათლების რეფორმის ექსპერტები. კერძოდ, შემდეგი ქვეყნებიდან: ალბანეთი, სომხეთი, ავსტრია, აზერბაიჯანი, ბელგია, ბოსნია და ჰერცეგოვინა, ბულგარეთი, ჩეხეთი, დანია, ეგვიპტე, ფინეთი, საფრანგეთი, საქართველო, საბერძნეთი, უნგრეთი, ირლანდია, ისრაელი, იტალია, იორდანია, ყაზახეთი, კოსოვო, ყირგიზეთი, ლატვია, ლიბანი, ლიტვა, მოლდოვა, მონტენეგრო, მაროკო, პოლონეთი, რუმინეთი, რუსეთი, სერბეთი, სლოვაკია, ესპანეთი, შვედეთი, შვეიცარია, სირია, ტაჯიკეთი, თურქეთი, თურქმენეთი, უკრაინა, გაერთიანებული სამეფო, უზბეკეთი.

ტემპუსის ეროვნული ოფისის დაფინანსებით, ღონისძიებაში საქართველოდან მონაწილეობა მიიღო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა, უმაღლესი განათლების რეფორმის ექსპერტმა ირინე დარჩიამ.

4. ღონისძიების მიზნები, ამოცანები და შედეგები.

ბუდაპეშტის სემინარის ძირითადი ნაწილი დაეთმო კვლევაზე დაფუძნებული სწავლების სხვადასხვა თეორიული და პრაქტიკული ასპექტების ანალიზს; გარდა ამისა, პარალელურად ჩატარდა ორი ღონისძიება: უმაღლესი განათლების რეფორმის ექსპერტებისათვის გაიმართა მრგვალი მაგიდა/ტრენინგი თემაზე „დიპლომის დანართი“, ხოლო სემინარის ყველა მონაწილისთვის მოეწყო ე.წ. ბუდაპეშტის ბოლონიის კაფე, რომელზეც განხილულ იქნა ბოლონიის პროცესის აქტუალური საკითხები.

მრგვალი მაგიდა/ტრენინგი დიპლომის დანართის შესახებ დაეთმო აღნიშნულ დოკუმენტთან დაკავშირებულ თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებს.

ლიტველმა ექსპერტმა რაიმონდა მარკვესინემ წარმოაჩინა დიპლომის დანართის შემუშავებისა და იმპლემენტაციის ისტორია, მისი მნიშვნელობა სტუდენტებისა და დამსაქმებლებისათვის, ის ძირითადი შეცდომები, რომელსაც უსდ-ები უშვებენ დიპლომის დანართის შემუშავების პროცესში და ის რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებაც სასურველია ამ შეცდომების თავიდან ასაცილებლად.

ქართველმა ექსპერტმა ირინე დარჩიამ წარმოადგინა დიპლომის დანართი ხარისხის უზრუნველყოფის კონტექსტში, განიხილა ლისაბონის აღიარების კონვენციის კომიტეტის მიერ 2007 წელს მიღებული განმარტებები და წარმოადგინა შესაბამისი, პრაქტიკული ხასიათის რეკომენდაციები დიპლომის დანართის შინაარსთან და მისი შემუშავების პროცედურასთან დაკავშირებით. ირინე დარჩიას პრეზენტაცია დაეფუძნა თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და სასწავლო დეპარტამენტის მიერ ერთობლივად შემუშავებულ და აკადემიური

საბჭოს მიერ დამტკიცებულ „დიპლომის დანართის შემუშავების სახელმძღვანელოს“ (დიპლომის დანართთან დაკავშირებული რეკომენდაციებისათვის იხ. დანართი 1).

ბუდაპეშტის ბოლონიის კავეს ფარგლებში განხილულ იქნა ბოლონიის პროცესის აქტუალური საკითხები. კერძოდ, დისკუსია წარიმართა შემდეგ თემებზე: ინტერნაციონალიზაციის ათვლის წერტილები; ხარისხის უზრუნველყოფა; სწავლის შედეგების შეფასება; მასწავლებელი და სამსაფეხურიანი უმაღლესი განათლების სისტემა (LMD system): ბრმა რწმენასა და სკეპტიციზმს შორის; სტუდენტთა მონაწილეობა და სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება (SCL); სოციალური განზომილება, როგორც ბოლონიის პროცესის ერთ-ერთი ინიციატივა და ბოლონიის/უმაღლესი განათლების რეფორმის ექსპერტების როლი მისი იმპლემენტაციის პროცესში; კვლევაზე დაფუძნებული განათლება: ყველა საფეხური უნდა ჩავრთოთ? ხარისხი მობილობაში; საფრანგეთის სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაცია; მობილობა: ინტერნაციონალიზაცია, მობილობა და საერთო ევროპული საგანმანათლებლო სივრცე; თანამშრომლობა და ურთიერთკავშირები კვლევისა და განათლების ხარისხისათვის.

თითოეული თემა შეთავაზებულ იქნა ბუდაპეშტის სემინარის მონაწილე ექსპერტის/ექსპერტების მიერ, რომლებმაც შესაბამისი დისკუსიის მოდერატორობაც მოახდინეს. ხარისხის უზრუნველყოფა შეთავაზებულ და განხილულ იქნა ქართველი ექსპერტის, ირინე დარჩიას და სემინარის შვედი მონაწილის, კარინ იარპიდ ლინდეს მიერ (ხარისხის უზრუნველყოფის შესახებ დისკუსიის ძირითადი დასკვნებისათვის იხ. დანართი 2).

ბუდაპეშტის სემინარის ფარგლებში პლენარული მოხსენებების გარდა, ჩატარდა სამი ვორკშოპი სამ სხვადასხვა თემაზე (ვორკშოპების ანგარიშისა და დასკვნებისათვის იხ. დანართი 3).

თემა 1. განხორციელებადი სტრატეგია: როგორ შევქმნათ ჰორიზონტი კვლევაზე დაფუძნებული განათლებისათვის ინგლისელი ექსპერტის მიკ ჰელის პრეზენტაციაში წარმოდგენილი იყო თავად მის მიერ შემოთავაზებული სწავლა-სწავლების მოდელი (გრიფითი-ჰელის მოდელი) სტუდენტის ჩასართავად სამეცნიერო კვლევის პროცესში, შესაბამისი მაგალითებით და შემთხვევის ანალიზით (case study), კონკრეტული რჩევებითა და რეკომენდაციებით. კერძოდ, გაანალიზებულ იქნა ოთხი ეფექტური მიდგომა სამეცნიერო კვლევის პროცესში სტუდენტების ჩასართავად. სწავლება შეიძლება იყოს ოთხი სახის:

Research-led - სამეცნიერო-კვლევით წარმართული (ამა თუ იმ დისციპლინის კვლევის თანამედროვე მდგომარეობის გაცნობა): სტუდენტები იღებენ ინფორმაციას სამეცნიერო

ადმოჩენების შესახებ; კურიკულუმის შინაარსს ძირითადად განსაზღვრავს აკადემიური პერსონალის კვლევითი ინტერესები; ინფორმაციის გადაცემა სწავლების ძირითადი ხერხია.

Research-oriented - კვლევაზე ორიენტირებული (კვლევითი უნარებისა და ტექნიკის განვითარება): სტუდენტები იღებენ ინფორმაციას სამეცნიერო-კვლევითი პროცესების შესახებ; კურიკულუმში ხაზგასმულია ის პროცესი, რომლითაც მიღებულია ცოდნა; აკადემიური პერსონალი ცდილობს სწავლების პროცესში სამეცნიერო-კვლევითი ეთიკის დანერგვას;

Research-based - კვლევაზე დაფუძნებული (კვლევა-ძიების წარმართვა): სტუდენტები სწავლობენ როგორც მკვლევარები; კურიკულუმი იმგვარად არის აგებული, რომ ის ეფუძნება კვლევა-ძიებაზე დაფუძნებულ აქტივობებს; სტუდენტისა და ლექტორის როლები მინიმალურად არის ერთმანეთისგან გამოიჯნული;

Research-tutored - სამეცნიერო-კვლევითი ტუტორობა (სამეცნიერო-კვლევით დისკუსიაში ჩართვა): სტუდენტი ჩართულია სამეცნიერო-კვლევით დისკუსიაში.

თემა 2. რა არის კვლევაზე დაფუძნებული განათლების შემადგენელი ნაწილები და როგორ უნდა მოხდეს მათი იმპლემენტაცია?

წარმოდგენილ და ერთმანეთთან შეპირისპირებულ იქნა პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) და კვლევაზე დაფუძნებული განათლება (RBL), რომლებიც დანერგილია და წარმატებით ხორციელდება მასტრიხტის უნივერსიტეტში.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების (PBL) ძირითადი მახასიათებლებია: სამეცნიერო კვლევის პროცესის სიმულაცია; კვლევის პატარა ციკლი; უკვე არსებული ცოდნის რეპროდუცირება (ხელახლა შექმნა).

კვლევაზე დაფუძნებული განათლება (RBL) ხასიათდება შემდეგი ნიშნებით: სამეცნიერო-კვლევითი პროცესის წარმართვა; კვლევის წარმოება შედარებით ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში; ახალი ცოდნის შექმნა.

კვლევაზე დაფუძნებული განათლების წარმატებით დასაწერად აუცილებელია: ინსტიტუციურ დონეზე ინფორმაციის გავრცელება; შესაბამისი პედაგოგიკისა და კურიკულუმის შემუშავება; შესაბამისი პოლიტიკისა და სტრატეგიის ჩამოყალიბება; პერსონალისა და უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურების განვითარება.

თემა 3. კვლევაზე დაფუძნებული განათლების იმპლემენტაცია: გამოწვევები და შესაძლებლობები - შემთხვევის ანალიზი (case study) და პრაქტიკული სავარჯიშო

წარმოდგენილ იქნა ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის „ბოლონიის ლაბორატორიის“ საქმიანობა, რომლის ამოცანებია: სკოლის ტიპის სასწავლო პროცესიდან აქტიურ, დამოუკიდებელ

სწავლებაზე გადასვლა; სწავლებისა და სწავლის ახალი მეთოდების განვითარება, პილოტირება და დანერგვა; სივრცის შექმნა დამოუკიდებელი, სიღრმისეული და კვლევაზე ორიენტირებული განათლებისათვის.

გარდა ამისა, გაანალიზებულ იქნა ის ნაბიჯები, რომელთა გადადგმა აუცილებელია კვლევაზე დაფუძნებული განათლების დასანერგად. ესენია: აკადემიური პერსონალის დარწმუნება კოლეგიალური კულტურის გამოყენებით, მაგალითებისა და მტკიცებულებების ჩვენებით.

წარმოდგენილ იქნა კვლევაზე დაფუძნებული სწავლა-სწავლების ოთხი მოდელი: კვლევითი პროექტი, რომელსაც ხელმძღვანელობს სტუდენტი; სტუდენტი მონაწილეობს უკვე არსებულ სამეცნიერო პროექტში, რომელსაც ხელმძღვანელობს ახალგაზრდა მეცნიერი; უცხოელ სტუდენტთა კვლევითი თანამშრომლობა; მოდული დამოუკიდებელი სწავლისათვის.

ძირითადი დასკვნები:

- კვლევაზე დაფუძნებული განათლება არის ეფექტური იარაღი ბაკალავრიატის სტუდენტების მოსამზადებლად შემდეგი საფეხურის კვლევითი პროგრამებისათვის;
- აუცილებელია ძალისხმევა, რათა მოხდეს კვლევაზე დაფუძნებული განათლების დანერგვა სწავლების პირველ საფეხურზე;
- კვლევაზე დაფუძნებული განათლების წარმატებულად დანერგვა დიდწილად არის დამოკიდებული სხვადასხვა სტრუქტურებს შორის თანამშრომლობაზე;
- თითოეულმა სტრუქტურამ/ელემენტმა უნდა შეასრულოს გარკვეული როლი და თავისი ფუნქციები;
- უნივერსიტეტმა უნდა გამოიჩინოს ინიციატივა, წარმართოს პროცესი, შეიმუშავოს სტრატეგია, შექმნას პოლიტიკა და უზრუნველყოს პერსონალი აუცილებელი რესურსებით, რათა განვითარდეს კვლევაზე დაფუძნებული განათლება;
- მთავარი როლის შემსრულებელი, წარმატების საწინდარი ამ პროცესში აკადემიური პერსონალია;
- აკადემიურმა პერსონალმა უნდა შეიმუშავოს ახალი კურიკულუმი და დიდი ენთუზიაზმით უნდა გასწიოს ხელმძღვანელობა;
- სტუდენტები „ცვლილებათა აგენტებია“;
- თავიანთი როლისა და ფუნქციის შესასრულებლად სტუდენტებმა უნდა გამოიჩინონ ცნობისმოყვარეობა, მონდომება და გულმოდგინება (სამივე ფაქტორი არსებითია სამეცნიერო კვლევის საწარმოებლად);
- თუ პროცესში გონივრულად იქნებიან ჩართული, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს შეუძლიათ ხელმძღვანელის და ექსპერტის როლი შეასრულონ;

- ბიზნესსა და ინდუსტრიას შეუძლია იდეების, გარკვეული პლატფორმისა და რესურსების შეთავაზება სამეცნიერო-კვლევითი პროექტებისათვის, რაც ხელს შეუწყობს დასაქმებას;
- მიუხედავად იმისა, რომ მთავრობები ძირითადად უკან იხევენ, მათ შეუძლიათ პროცესებზე პოზიტიურად ზემოქმედება წახალისებით, აღიარებით და შესაძლებლობების ფარგლებში ფინანსური დახმარებითაც.

5. ღონისძიების რელევანტურობა საქართველოსთვის.

ბუდაპეშტის შეხვედრაზე დასმული და განხილული საკითხების აბსოლუტური უმრავლესობა სავსებით ეხმიანება იმ შინაარსობრივი (კონცეპტუალური) ხასიათის პრობლემებს, რომელთა წინაშეც საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები დგანან სწავლებისა და სწავლის მეთოდების სრულყოფისა და საგანმანათლებლო პროგრამების რეფორმირების პროცესში, რასაც მოწმობს ღონისძიების დასკვნები (იხ. ანგარიშის დანართი) და ბუდაპეშტის სემინარის საფუძველზე საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის შემუშავებული რეკომენდაციები.

7. ღონისძიების საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები

დიპლომის დანართი:

1. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის მიერ ოფიციალურად ითარგმნოს ლისაბონის აღიარების კონვენციის კომიტეტის მიერ 2007 წელს დიპლომის დანართთან დაკავშირებით მიღებული განმარტებები და ოფიციალურად, შესაბამისი სამართლებრივი აქტით გაფორმდეს როგორც სარეკომენდაციო დოკუმენტი საქართველოს უსდ-ებისთვის;
2. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის მიერ მოხდეს საქართველოს უსდ-ების მიერ გაცემული დიპლომის დანართების მონიტორინგი და შესაბამისი რეკომენდაციების წარმოდგენა მათი შინაარსის სრულყოფის მიზნით;
3. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის მიერ მოხდეს აკადემიური ხარისხების ოფიციალური ინგლისური თარგმანის შემოთავაზება, რათა თავიდან იქნას აცილებული დღეისათვის ფართოდ გავრცელებული შეცდომები;
4. უსდ-ების მიერ მომზადდეს სპეციალური გზამკვლევი - დიპლომის დანართის შემუშავების სახელმძღვანელო, რომლითაც განისაზღვრება დიპლომის დანართის შინაარსობრივი დეტალები, მისი შემუშავების პროცედურა და პასუხისმგებელი პირები;

5. უსდ-ების მიერ მომზადდეს ერთიანი საუნივერსიტეტო ნიმუში (template) და აგრეთვე ნიმუშები (template) თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისათვის;
6. უსდ-ებმა იზრუნონ იმ ადმინისტრაციული პერსონალის მომზადება/გადამზადებაზე, რომლებიც მონაწილეობენ დიპლომის დანართის შემუშავების პროცესში.

ხარისხის უზრუნველყოფა:

1. ავტორიზაცია-აკრედიტაციის პროცესის სრულყოფის პროცესში გათვალისწინებულ იქნას უცხოელი ექსპერტების ჩართულობა;
2. სასურველია ხარისხის გარე უზრუნველყოფის შვედური მოდელის გაცნობა, რაც, როგორც თავად ამ ახალი მოდელის შემოქმედნი აცხადებენ, არ აყენებს დარტყმას უნივერსიტეტების ავტონომიას, არის ნაკლებ ბიუროკრატიული და უფრო მეტად ორიენტირებული შინაარსა და მის რეალურ ხარისხზე.

კვლევაზე დაფუძნებული განათლება:

1. უსდ-ებმა, თავისი მისიიდან გამომდინარე, ასახონ კვლევაზე დაფუძნებული განათლება განვითარების სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში (ანუ რეალურად მოახდინონ ბოლონიის პროცესის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანის - განათლებისა და კვლევის შერწყმა - შესრულება);
2. შემუშავებულ იქნას კვლევაზე დაფუძნებული განათლების შესაბამისი სწავლა-სწავლების მეთოდების გზამკვლევი აკადემიური პერსონალისათვის;
3. ითარგმნოს და დაინერგოს შესაბამისი მეთოდოლოგიური ხასიათის სახელმძღვანელოები (როგორც პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების, ისე კვლევაზე დაფუძნებული განათლების);
4. სასურველია უცხოელი ექსპერტების დახმარებით მომზადდეს და ჩატარდეს სპეციალური ტრენინგები აკადემიური პერსონალისთვის, დოქტორანტებისთვის მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის/პროფესიული განვითარების ფარგლებში;
5. კვლევაზე დაფუძნებული განათლების შესაბამისი მოდელები/მეთოდები იქცეს ერთ-ერთ კრიტერიუმად ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში.

8. დამატებითი ინფორმაცია ღონისძიების შესახებ – ბუდაპეშტის სემინარის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხ.: <http://budapest2012.bolognaexperts.net>.

დანართი 1

დიპლომის დანართის შესახებ მრგვალი მაგიდა/ტრენინგი

ევროპული უსდ-ების მიერ გაცემული

დიპლომის დანართებში გამოვლენილი ხარვეზები

- დიპლომის დანართი ავტომატურად გაიცემა მხოლოდ 25 ქვეყანაში. დანარჩენ 22 ქვეყანაში დიპლომის დანართი გაიცემა მოთხოვნის საფუძველზე;
- ზოგიერთ ქვეყანაში დიპლომის დანართი ფასიანია;
- მხოლოდ 7 ქვეყანაში ხდება დიპლომის დანართის მონიტორინგი დამსაქმებლების მიერ;
- მე-8 განყოფილებაში წარმოდგენილი უმაღლესი განათლების სისტემების აღწერა არ არის ამომწურავი;
- შემოწმებული ქვეყნების ნახევარზე მეტში დიპლომის დანართში მოცემულია უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სტატუსი;
- მხოლოდ დიპლომის დანართების მესამედი გვიჩვენებს მიღებულ კვალიფიკაციას;
- სწავლის შედეგები ან არ არის ნახსენები ან საერთოდ არ არსებობს;
- დიპლომის დანართები არ მიყვება ოფიციალურ მოდელს;
- პრეამბულა ან შეცვლილია, ან საერთოდ არ არსებობს;
- არ არსებობს მტკიცებულება, რომ უსდ ყველა სტუდენტს უფასოდ აძლევს დიპლომის დანართს;
- უცხოეთში გავლილი სასწავლო კურსები არ არის მითითებული მათი საკუთარი სახელწოდებით;
- არ არის მკაფიო და გასაგები, რა ტიპის კრედიტებია გამოყენებული;
- აკადემიური ხარისხის თარგმანი არის დამაბნეველი და შეცდომაში შემყვანი;

ძირითადი რეკომენდაციები დიპლომის დანართის შემუშავებისათვის

- დიპლომის დანართი უნდა მიყვებოდეს საერთო სტრუქტურას;
- კვალიფიკაცია მითითებული უნდა იყოს სწორად;
- უსდ-ს ენაზე უნდა იყოს მითითებული საკვანძო ინფორმაცია;
- თავისუფალი უნდა იყოს შეფასებითი განცხადებებისაგან;
- უსდ-ს მიერ ცენტრალიზებულად უნდა იქნას შემუშავებული;

- უნდა შეიცავდეს ინფორმაციას ლოკალური უმაღლესი განათლების სისტემის შესახებ;
- უნდა გაიცეს ავტომატურად;
- უნდა ითარგმნოს ზუსტად;
- უნდა იქნას დაკავშირებული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემასთან;
- შეფასებულ უნდა იქნას სიღრმისეულად;
- უსდ-ს სასურველია ჰქონდეს დიპლომის დანართის შემუშავების სახელმძღვანელო, რომელიც დაეფუძნება ლისაბონის აღიარების კონვენციის კომიტეტის მიერ 2007 წელს მიღებულ განმარტებებს;
- უსდ-ს უნდა ჰქონდეს დიპლომის დანართის შემუშავების ოფიციალური პროცედურა და უნდა განისაზღვროს ამ პროცედურის მონაწილე და პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურები;
- უნდა მოხდეს იმ ადმინისტრაციული პერსონალის გადამზადება, რომელიც პასუხისმგებელია დიპლომის დანართის შემუშავება-გაცემაზე;
- სასურველია არსებობდეს საერთო საუნივერსიტეტო ნიმუში და ასევე ნიმუში (template) თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისათვის;
- დიპლომის დანართის მონიტორინგი უნდა იქცეს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად.

დანართი 2

ბუდაპეშტის ბოლონიის კაფე

თემა: ხარისხის უზრუნველყოფა

მოდერატორები: კარინ იარპიდ ლინდე და ირინე დარჩია

ძირითადი დასკვნები:

- სასურველია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში არსებობდეს ნაკლები ბიუროკრატია;
- ხარისხის უზრუნველყოფა უნდა იყოს შედეგზე ორიენტირებული პროცესი;
- მნიშვნელოვანია ხარისხის როგორც შიდა, ისე გარე უზრუნველყოფა;
- უცხოელი ექსპერტები ჩართულ უნდა იქნენ გარე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში;
- საინტერესოა შვედური მოდელი: გარე ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ეფუძნება მიღწეული სწავლის შედეგების შეფასებას და არა შიდა პროცესების სიზუსტეს (სისწორეს, კორექტულობას); დიდი დრო იხარჯება სწავლის შედეგების

შეფასებაზე, მაგრამ სწავლის შედეგები გამოიყენება სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად.

დანართი 3

ბუდაპეშტის სემინარის

ძირითადი დასკვნები:

თემა 1. განხორციელებადი სტრატეგია: როგორ შევქმნათ ჰორიზონტი კვლევაზე დაფუძნებული განათლებისათვის

A. ვორკშოპზე გამოთქმული ცალკეული იდეები:

- გამოიყენეთ სტუდენტები როგორც როგორც „ცვლილებათა აგენტები“;
- თანამედროვე ტექნოლოგიებმა და სხვა ფაქტორებმა არსებითად შეცვალა მთელი საგანმანათლებლო გარემო;
- სწავლების პროცესში გუნდური მიდგომის გამოყენება პერსპექტიულია;
- არსებითია კითხვა-პასუხზე დაფუძნებული სწავლა საბაზისო კურსებში.

აკადემიურმა პერსონალმა უნდა გაიაზროს სამეცნიერო კვლევის გავლენა სწავლების პროცესზე და სწავლების გავლენა სამეცნიერო კვლევაზე. ის სტუდენტები, რომლებიც სწავლების პარალელურად სამეცნიერო კვლევით არიან დაკავებული, უკეთ სწავლობენ.

B. ზოგიერთი სტრატეგია, რომელთა ადაპტირება და/ან დანერგვა შესაძლებელია

- სტუდენტთა ჩართულობას განაპირობებს აკადემიური პერსონალის მხრიდან ენთუზიაზმი და მოტივაცია;
- სხვადასხვა ტიპის ტექნიკები მოსაბეზრებელი, მაგრამ აუცილებელია; მათმა გამოყენებამ შედარებით გვიანდელ ეტაპზე კარგი შედეგი უნდა მოგვცეს;
- სხვადასხვა დისციპლინის აკადემიური პერსონალის წახალისება (სტუდენტების გამოყენება „ცვლილებათა აგენტებად“);
- ისეთი პოლიტიკის შემუშავება, რომელიც დასაქმებას განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს: სტუდენტებს დავავალოთ იმ კვლევითი პროექტების იდენტიფიკაცია, რომლებიც შეესაბამება დამსაქმებელთა საჭიროებებს და ეს აქტივობა დავუკავშიროთ შეფასების სისტემას;

- ადამიანური რესურსების მართვის ისეთი პოლიტიკის შემუშავება, რომელიც წინსვლასა და წახალისებას დაუკავშირებს აკადემიური პერსონალის იმ საქმიანობას, რომელიც შეეხება კვლევაზე დაფუძნებულ რეფორმირებულ კურიკულუმს;
- ადამიანური რესურსების მართვის ისეთი პოლიტიკის შემუშავება, რომელიც კვლევაზე დაფუძნებული განათლებაში გუნდურ მიდგომას შეუწყობს ხელს;
- საზოგადოებისა და დაინტერესებული მხარეებისათვის საინტერესო კომპლექსური პრობლემების იდენტიფიკაცია, კვლევითი ჯგუფებისათვის კონკურენტული კვლევითი პროექტების შეთავაზება

C. საქმიანობის დაგეგმვა

როგორ შევქმნათ ისეთი გარემო, რომელშიც სტუდენტებს სამეცნიერო კვლევა-ძიების პროცესში ჩავრთავთ? საქმიანობის დასაგეგმად საჭირო იდეები სამ კატეგორიას შეიძლება დაიყოს:

- საყოველთაოდ ცნობილი და განხორციელებადი იდეები;
- ინოვაციური იდეები და განხორციელებადი იდეები;
- ინოვაციური იდეები, რომლებიც ჯერჯერობით განუხორციელებელია

ყველაზე მნიშვნელოვანი იდეები:

- საგანმანათლებლო პროგრამების და უნივერსიტეტის სტრატეგიის ფოკუსირება კვლევაზე დაფუძნებულ განათლებაზე;
- შრომის ბაზართან თანამშრომლობა, რათა საგანმანათლებლო პროგრამებში შემოტანილ იქნას „რეალური სამყაროს“ პრობლემები;
- სამეცნიერო-კვლევითი ტიპის ღონისძიებებით განვითარდეს „სამეცნიერო-კვლევითი გონება“ და სტუდენტებს ვასწავლოთ, თუ როგორ ისწავლონ აქტიურად;
- სამეცნიერო კვლევაზე დაფუძნებული განათლების ქცევა ხარისხის ერთ-ერთ კრიტერიუმად აკრედიტაციის პროცესში;
- სამეცნიერო კვლევაზე დაფუძნებული განათლების ქცევა ინსტიტუციური სტრატეგიის ნაწილად და მისი შესაბამისად დაფინანსება;
- შრომის ბაზარი და ინფორმაციის გავრცელება:
 - საბაკალავრო დონეზე სამეცნიერო კვლევაზე დაფუძნებული განათლების თვალსაზრისით წარმატებული ლექტორის გამოვლენა და მისი გამოცდილების გაზიარება კოლეგებისთვის;
 - კონკრეტული წარმატებული კვლევითი პროექტების საუკეთესო მაგალითების ასახვა სილაბუსებში ან ამ ინფორმაციის სოციალური ქსელის მეშვეობით გავრცელება;

- ინტერდისციპლინური კვლევა
- შესაბამისი გარემოს შექმნა სხვადასხვა დეპარტამენტების სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის (ინტერდისციპლინური კვლევა)
- ინტერდისციპლინური სიმპოზიუმების მოწყობა სტუდენტების მონაწილეობით

თემა 2. რა არის კვლევაზე დაფუძნებული განათლების შემადგენელი ნაწილები და როგორ უნდა მოხდეს მათი იმპლემენტაცია?

მნიშვნელოვანი ასპექტები:

- სტუდენტები ირგებენ სხვადასხვა როლს (თავმჯდომარით დაწყებული ტუტორით დამთავრებული), რაც ეხმარება თანამშრომლობით სწავლებას და სტუდენტებს უკეთ სწავლის საშუალებას აძლევს;
- პროგრამების განვითარება ხდება იმ რეალური, ცხოვრებისეული პრობლემების გარშემო, რომლებიც შესაბამისი დარგის/სფეროსთვის რელევანტურია. ხდება აღნიშნული პრობლემების გადაჭრა და მათთან დაკავშირებული კურსების (17 ECTS) შემუშავება;
- სამეცნიერო კვლევა ჩასმულია სოციალურ კონტექსტში და ითხოვს პროექტების შემუშავებას სოციალურ პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობით, ერთმანეთთან აკავშირებს ცოდნის სამკუთხედის ყველა შემადგენელ ელემენტს;
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლებისგან განსხვავებით, რომელიც ხელახლა ქმნის უკვე არსებულ ცოდნას, სამეცნიერო კვლევაზე დაფუძნებული განათლება ცდილობს, რომ თავად შექმნას ახალი ცოდნა სამეცნიერო კვლევის პროცესში;
- სტუდენტებს ეძლევათ დავალება, რომ დაწერონ თავიანთი კონკურენტული კვლევითი წინადადება (research proposal), ხოლო შემდეგ თავად დაასრულონ კვლევის ციკლი;
- სტუდენტებს აქვთ უფლება და საშუალება, რომ მიიღონ სტიპენდია თავიანთი სამეცნიერო კვლევისათვის;

პასუხები დისკუსიის პროცესში წამოჭრილ კითხვებზე:

- კვლევაზე დაფუძნებული განათლების პროცესში ჩართულია 350 სტუდენტი, რაც სტუდენტების საერთო რაოდენობის 3-3,5%-ს შეადგენს. პროექტის ბიუჯეტია 800 000

ევრო, საიდანაც 1500 ევრო არის თითოეული მონაწილე პროფესორის სახელფასო დანამატი;

- ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ჯერჯერობით ამ პროექტს არ გააჩნია. პროექტში მონაწილე სტუდენტებს აქვთ მოსწრების კარგი მაჩვენებლები.
- კვლევაზე დაფუძნებული სწავლა ნაწილობრივ მიიჩნევა კვლევაზე დაფუძნებული განათლებისათვის მზადებად;
- ჯერჯერობით უცნობია რამდენად უკეთ ისწავლიან დოქტორანტურის საფეხურზე ის სტუდენტები, რომლებიც ჩართული იყვნენ კვლევაზე დაფუძნებული განათლების პროცესში;
- აღნიშნული პროექტი ფინანსდება ჰოლანდიის მთავრობის მიერ, თანხები განკუთვნილია მასტრიხტის უნივერსიტეტისათვის და, ამდენად, ეს პროექტი არ ვრცელდება გაცვლითი პროგრამების ან ერაზმუსის სტუდენტებზე;
- კვლევაზე დაფუძნებული განათლების პროცესში ჩართული სტუდენტების აკადემიურ ხარისხზე არ აისახება ამ პროექტში მონაწილეობა. შესაბამისი ინფორმაცია მოცემულია დიპლომის დანართში, თუმცა სამომავლოდ იგეგმება მისი ასახვა აკადემიურ ხარისხზეც.
- კვლევაზე დაფუძნებული განათლების მოდელი გავლენას ახდენს სხვა საგანმანათლებლო პროგრამებზე და თანდათან, ეტაპობრივად მოხდება შესაბამისი ცვლილებების შეტანა სხვა პროგრამებშიც.

თემა 3. კვლევაზე დაფუძნებული განათლების იმპლემენტაცია: გამოწვევები და შესაძლებლობები - შემთხვევის ანალიზი (case study) და პრაქტიკული სავარჯიშო

წარმოდგენილ იქნა მიუნხენის უნივერსიტეტის „ბოლონიის ლაბორატორია“ და გაკეთდა შემდეგი დასკვნები:

ინსტიტუციური კონტექსტი:

- შედარებით დიდ უნივერსიტეტებს უფრო ნაკლები შესაძლებლობები აქვთ ფაკულტეტის-დეპარტამენტის დონეზე, რომ განავითარონ კვლევაზე დაფუძნებული განათლება;
- საშუალო ზომის უნივერსიტეტებს არ გააჩნიათ ინსტიტუციური მხარდაჭერა, მაგრამ ახდენენ მის იმპლემენტაციას ინდივიდუალურად, ცალკეული ინიციატივების ხარჯზე;
- შედარებით უფრო პატარა უნივერსიტეტები იყენებენ ინოვაციურ ჯილდოებსა და დაფინანსების სქემებს.

არსებული რესურსები:

- პერსონალის მხარდამჭერი სტრუქტურები და მრავალფეროვანი აკადემიური პერსონალი;
- პატარა უნივერსიტეტებს აკლიათ ინფრასტრუქტურა და დაფინანსება.

კვლევაზე დაფუძნებული განათლების მაგალითები:

- დიდ უნივერსიტეტები ანგარიშს არ უწევენ კვლევაზე დაფუძნებული განათლების საუკეთესო მაგალითებს;
- საშუალო ზომის უნივერსიტეტები მოიხსენიებენ გუნდური მუშაობის, ერთობლივი კვლევის შემთხვევებს.

კულტურული კონტექსტი:

- დამოკიდებულება კვლევაზე დაფუძნებული განათლების მიმართ განსხვავებულია დარგების მიხედვით და იმის მიხედვით, თუ რამდენად არის დაფასებული სწავლება კვლევასთან მიმართებაში;
- დიდი მნიშვნელობა ენიჭება კვლევაზე დაფუძნებული განათლების ცოდნას და კვლევის უკვე არსებულ, ჩამოყალიბებულ ტრადიციას;
- კვლევა მიიჩნევა ღირებულებად, რომელიც შეიძლება შექმნილ იქნას სტრუქტურირებულად.

პრობლემის გადაჭრის გზები:

- როდესაც ხდება სტრატეგიის ჩამოყალიბება ინსტიტუციურ დონეზე, აღიარებულ უნდა იქნას და უნდა დაიგეგმოს მრავალფეროვნება;
- საჭიროა გამოცდილების გაზიარება;
- უნდა შემუშავდეს შიდა რანჟირების სისტემა და სტანდარტთან საუკეთესო მიდგომები.

კვლევაზე დაფუძნებული განათლების პოპულარიზაცია და მართვა:

- დაჯილდოებისა და აღიარების სისტემის შემუშავება და მისი საჯაროობა, საზოგადოებაში ინფორმაციის გავრცელების მიზნით;
- უკვე არსებული კვლევაზე დაფუძნებული განათლების პროდუქტიულობის ზრდა;
- დასაქმების სფეროში წარმატებების დაკავშირება კვლევაზე დაფუძნებული განათლებასთან მონაცემების შეგროვების მიზნით და შედეგების გაზომვის სისტემის შემუშავება;
- ცენტრალიზებული მართვის სისტემის მქონე უნივერსიტეტში პასუხისმგებლობის დაკისრება სენატზე, ხოლო დეცენტრალიზებულში კი - დეპარტამენტზე;

- კვლევაზე დაფუძნებული განათლების პოპულარიზაციის პროცესში სტუდენტთა ჯგუფებთან, პროგრესულ აკადემიურ პერსონალთან და დამსაქმებლებთან „მოკავშირეობა“;
- ცენტრის ან კომიტეტის შექმნა, რომელშიც შევლენ სხვადასხვა დაინტერესებული მხარეები, რომლებიც იმსჯელებენ კვლევაზე დაფუძნებული განათლებაზე და მისი იმპლემენტაციის გზებზე.

სტუდენტთა მხარდამჭერი სამსახურები

სასწავლო ვიზიტი

ირინა დარჩია

28–29 იანვარი 2013, ლონდონი, დიდი ბრიტანეთი

1. ლონისძიების ორგანიზატორი. ტემპუსის პროგრამა, უნიკა (UNICA), ბრიუსელის საგანმანათლებლო სამსახურები, ლონდონის კინგს კოლეჯი (ინგლისი).

2. ლონისძიების პროგრამა.

Monday, 28 January 2013

09:30 - 09:45 Welcome and Introduction by Ian Creagh

09:45 - 09:50 Welcome by Anna Debska

09:50 - 10:00 Welcome by Klaus Haupt

10:00 - 14:00 Session 1: National and Institutional Context

10:00 - 10:30 Students as 'Customers' at the Heart of the System: Responding to Governmental Changes
& a New Funding Dynamic

10:30 - 11:00 To AAB or not to ABB: A Very English Question – Considering the Impact and Possible
Conflicts in Admissions between Recruitment and Widening Participation

11:00 - 11:40 Sharing Services across Independent Institutions

12:00 - 12:30 Careers & Employability – Supporting the Employability Agenda in an Uncertain World

12:30 - 13:00 Convergence & Super-Convergence: The Changing Nature of Student Services at King's

14:00 - 16:00 Session 2: Student Support Services

14:00 - 14:30 New to King's: The Transition and Journey from Applicant to Student

14:30 - 15:00 Personal Tutoring: Roles, Responsibilities, Academic & Pastoral Support Strategies

15:00 - 15:30 Mental Health, Learning Support Strategies – The Role of Psychological Counselling
Services in Rethinking Education and Encouraging Peer Support

15:30 - 16:00 Responsive? Knowledgeable? Friendly? Cultural, Behavioural Change & Frontline Service
Delivery

16:00 - 18:00 Session 3: Teaching and Learning

16:00 - 16:30 The King's Experience: Enriching the King's Curriculum

16:30 - 17:00 The Changing Face of Quality Assurance

17:00 - 17:30 Collaboration & Partnership: The College Interface with the Students' Union

17:30 - 18:00 Q & A

Tuesday, 29 January 2013

09:30 - 12:30 Session 4: Supporting Students from Other Perspectives

09:30 - 10:00 Digital Professionalism Lead, Centre for Technology Enhanced Learning

10:00 - 10:30 Innovations in Learning & Teaching Space at King's

10:30 - 11:00 Library as a Learning Space

11:30 - 12:00 Q & A and Wrap-up

12:00 - 12:30 Closing Remarks

3. ღონისძიების მონაწილეები.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ უმაღლესი განათლების რეფორმის ექსპერტები და ბოლონიის პროცესის პრომოუტერები ტემპუსის პროგრამის მონაწილე ქვეყნებიდან.

ტემპუსის ეროვნული ოფისის დაფინანსებით, ღონისძიებაში საქართველოდან მონაწილეობა მიიღეს უმაღლესი განათლების რეფორმის ექსპერტმა ირინე დარჩიამ (თსუ) და გიორგი ჩანტლაძემ (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი).

4. ღონისძიების მიზნები, ამოცანები და შედეგები.

უმაღლესი განათლების რეფორმის ექსპერტებისა და ბოლონიის პროცესის პრომოუტერებისთვის ორგანიზებული სასწავლო ვიზიტი მიზნად ისახავდა: სტუდენტთა მომსახურების, უფრო ზუსტად, სტუდენტთა მხარდამჭერი ეფექტური სისტემის გაცნობას, ევროპის ერთ-ერთი წამყვანი უნივერსიტეტის გამოცდილებას გაზიარებას. ღონისძიების დაიგეგმა ტემპუსის პროგრამის მონაწილე ქვეყნების სურვილების გათვალისწინებით. მათ მიერ იქნა შემოთავაზებული როგორც ღონისძიების თემა, ისე მასპინძელი უნივერსიტეტიც.

სტუდენტთა მომსახურება ხშირად მოიაზრება ვიწრო გაგებით, როგორც მათთვის გარკვეული ადმინისტრაციული სამსახურის გაწევა, თუმცა ბრიტანული გამოცდილების გაზიარებამ ცხადყო, რომ პრინციპული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს არა სტუდენტთა მომსახურებას, არამედ მათი მხარდამჭერი ადმინისტრაციული სისტემის ფორმირებასა და განვითარებას.

ღონისძიებაზე სტუდენტთა მხარდამჭერი საუნივერსიტეტო სისტემის ფარგლებში განხილულ იქნა შემდეგი პრობლემატიკა: სტუდენტთა მიღება, სტუდენტთა მხარდამჭერი სამსახურების ახალი პარადიგმა, სტუდენტთა დასაქმება, ახალჩარიცხულ სტუდენტთა ადაპტაცია, ტუტორობა, ფსიქოლოგიური დახმარება, საუნივერსიტეტო ბრენდის ფორმირება, კურიკულუმის განვითარება, ხარისხის უზრუნველყოფა, სტუდენტურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, ციფრული პროფესიონალიზმი, ინოვაციები სწავლა-სწავლების სივრცეში, საბიბლიოთეკო მხარდაჭერა.

ზემოთ აღნიშნული ცხადყოფს, რომ ლონდონის სასწავლო ვიზიტი მოიცავდა თანამედროვე უნივერსიტეტის ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის აუცილებელ, ფაქტობრივად, ყველა ასპექტს.

მოკლედ წარმოვადგენ ლონდონის სასწავლო ვიზიტის იმ ასპექტებს, რომლებიც განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.

რა შემთხვევაში და როგორ ხდება სტუდენტთა რაოდენობის კონტროლი? რა ფაქტორები შეიძლება განსაზღვრავდეს სტუდენტთა შეზღუდულ რაოდენობას? სასწავლო დანიშნულების ფართი (ლაბორატორიების, აუდიტორიების მოცულობა), სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა, სტუდენტთა საერთო, ნაციონალური გამოკითხვის შედეგები/სტუდენტთა გამოცდილება, ვაკანსიებისა და განაცხადების თანაფარდობა, დარგის სპეციფიკა (მაგ. მედიცინის, სტომატოლოგიის, საექთნო საქმის შემთხვევაში სწავლების ხარისხის შენარჩუნება) და სხვ. აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობითაც ანალოგიური შეზღუდვებია დაწესებული სასწავლო ფართთან და აკადემიურ პერსონალთან მიმართებაში.

სტუდენტთა მომსახურება უნდა იყოს რელევანტური, ხელმისაწვდომი, სტუდენტებთან თანამშრომლობით ფორმირებული, რაც სტუდენტთა პოზიტიური გამოცდილების, მაღლიერი კლიენტის დ, შესაბამისად, მომავალი კლიენტების მოზიდვის წინაპირობაა. ამგვარი მიდგომა ყველგან არ გვხვდება და მისი დანერგვა საჭიროებს ერთგვარ კულტურულ გარდატეხას. არსებობს დაკვირვება, რომ კვლევით უნივერსიტეტებში, სადაც ხდება ფოკუსირება კვლევაზე, ნაკლები ყურადღება ეთმობა სტუდენტთა მომსახურებას, რაც სასურველია შეიცვალოს. მნიშვნელოვანია სტუდენტთა კარგი ინფორმირება უსდ-ს მიერ შემოთავაზებულ სერვისებთან დაკავშირებით, სტუდენტთა გამოკითხვა სწორედ მომსახურებასთან და ადმინისტრაციასთან კომუნიკაციის თვალსაზრისით.

დასაქმება თანამედროვე უსდ-ს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევაა, რასაც განაპირობებს შემდეგი ფაქტორი: „ჩვენ ვამზადებთ სტუდენტებს იმ სამსახურებისა და ტექნოლოგიებისთვის, რომლებიც ჯერ არ არსებობს და რომლებიც შეიქმნება იმ პრობლემების გადასაჭრელად, რომელთა არსებობის შესახებაც ჩვენ ჯერ არ ვიცით“ (რიჩარდ რილი, აშშ განათლების ყოფილი მდივანი).

რატომ ირჩევენ ამა თუ იმ უნივერსიტეტს? შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით: რეპუტაცია, აკადემიურ პერსონალთან ან საკარიერო სამსახურებთან პირადი ურთიერთობები, წინა წლებში დასაქმებულთა რაოდენობა, დამოკიდებულება დასაქმებასთან, პროგრამების

შინაარსი, კურსდამთავრებულთა სპექტრი, ისტორიული ფაქტორები (ოჯახის წევრები იქ სწავლობდნენ...)

რა არის დასაქმებულობა? ყველა კურსდამთავრებული საქმდება, სტუდენტის მოლოდინები მართლდება მის მომზადებასთან დაკავშირებით, კურსდამთავრებული ფლობს იმ ცოდნას, უნარებს, გამოცდილებას, რაც მისი მომავალი სამსახურისთვის რელევანტურია.

არსებობს სხვადასხვა სტრატეგიები კურსდამთავრებულთა დასაქმების უზრუნველსაყოფად. კერძოდ: შესაბამისი კურიკულუმი, კურიკულუმის პარალელური აქტივობები, მომავალი სამსახურის შესაბამისი სწავლება და სამომავლო დასაქმების შესაძლებლობები, ინფორმაცია შესაძლო სამსახურების შესახებ. ანუ უსდ-მ უნდა უზრუნველყოს პროფესიული უნარების გამომუშავება, პოტენციურ დამსაქმებლებთან კურსდამთავრებულის დაკავშირება, სტუდენტთა პრაქტიკის ორგანიზება.

კინგ'ს კოლეჯს აქვს 10 კვირიანი პროგრამა, რომელსაც ახორციელებს პოტენციურ დამსაქმებლებთან თანამშრომლობით და რომელიც გულისხმობს შემდეგს: გუნდური მუშაობა, ეფექტური კომუნიკაცია, ლიდერობა, პრეზენტაციის უნარი, მოლაპარაკების ხელოვნება, ანალიტიკური აზროვნება, პრობლემის გადაჭრის უნარი, ინტერვიუს ტექნიკა და სხვ.

სტუდენტთა მიღება-ჩარიცხვა-ონლაინ რეგისტრაცია სტუდენტთა მომსახურების ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც ასევე მიზანმიმართული უნდა იყოს იმაზე, რომ სტუდენტმა მიიღოს მაქსიმალურად პოზიტიური გამოცდილება. ონ-ლაინ რეგისტრაციის შემდეგ (რაც კინგ'ს კოლეჯში 2008 წელს დაიწყო) კამპუსში მოსულ სტუდენტს აქვს სხვადასხვა შესაძლებლობა, რომ მიიღოს მისთვის საჭირო ინფორმაცია. ფუნქციონირებს ცენტრალური საინფორმაციო სამსახური, გარდა ამისა, ახალჩარიცხულებს დახმარებას უწევენ სპეციალურ ფორმებში გამოწყობილი ზედაკურსელები, ე.წ. სტუდენტთა ელჩები.

სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით კინგ'ს კოლეჯში ფუნქციონირებს აგრეთვე პირადი ტუტორის ინსტიტუტი, რაც გულისხმობს შემდეგს: სტუდენტის მხარდაჭერა არაკადემიურ საკითხებში, დახმარება ფაკულტეტსა და უნივერსიტეტთან კომუნიკაციაში, ოჯახური პრობლემების მოგვარებაში, ემოციური პრობლემების, დეპრესიის, სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების გადალახვაში, სამომავლო გეგმების დასახვაში და სხვ.

ამდენად, პირადი ტუტორის ფუნქციებია: სტუდენტის ნდობის მოპოვება, სტუდენტისთვის საჭირო მხარდაჭერა და წახალისება, უნივერსიტეტთან კომუნიკაციის დარეგულირება, პრობლემების გადაჭრაში დახმარება, სტუდენტის აკადემიური მოსწრების მონიტორინგი, სტუდენტის დაკავშირება იმ კოლეგებთან, რომლებსაც მათი პრობლემების მოგვარება შეუძლიათ და სხვ.

პირადმა ტუტორმა კარგად უნდა იცოდეს შემდეგი საკითხები: სტუდენტის საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა; უნივერსიტეტის აკადემიური რეგულაციები; ის პირები, რომლებთან კომუნიკაცია სტუდენტს შეიძლება დასჭირდეს (საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე, უფროსი ტუტორი და სხვ.); სტუდენტის მხარდამჭერი სამსახურები; მათი მომსახურების მიღების გზები.

კინგ'ს კოლეჯის თითოეული პროფესორი იმავდროულად არის პირადი ტუტორი, რაც განსაზღვრულია მათი სამუშაო აღწერილობით და უზრუნველყოფს მთელი პერსონალის ჩართულობას სასწავლო პროცესში.

თითოეულ ფაკულტეტს და ხანდახან ცალკეულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პასუხისმგებელი ე.წ. უფროსი ტუტორი, რომელიც რჩევებით ეხმარება პირად ტუტორებს და კოორდინაციას უწევს მათ საქმიანობას. საჭიროების შემთხვევაში მან შეიძლება ჩაანაცვლოს პირადი ტუტორი.

პირადი ტუტორი ჰყავს სამივე საფეხურის სტუდენტებს. თითოეულ სტუდენტს უნივერსიტეტში ჩარიცხვის დროს გამოეყოფა პირადი ტუტორი, რომელსაც იგი ხვდება სწავლის პირველ კვირას. ჯგუფური შეხვედრები იმართება სემესტრში 4-5 ჯერ (ბაკალავრიატში), 2-3-ჯერ მაგისტრატურაში. არსებობს ინდივიდუალური შეხვედრების შესაძლებლობაც. სტუდენტის აკადემიურ მოსწრებასთან დაკავშირებული სპეციალური შეხვედრა იმართება აკადემიური წლის დასაწყისში და წლის განმავლობაშიც. შეხვედრების ორგანიზებას ახდენს პირადი ტუტორი. სტუდენტს აქვს ტუტორის შეცვლის შესაძლებლობა. დოქტორანტურის შემთხვევაში პირადი ტუტორის ფუნქციას ასრულებს დოქტორანტების სამეცნიერო საბჭო, დოქტორანტურის კოორდინატორები, სადოქტორო სკოლის პერსონალი, თუმცა იგეგმება ამ სისტემის ცვლილება.

პირადი ტუტორის ინსტიტუტი სასარგებლოა ორივე მხარისთვის. მისი საშუალებით ხდება პრობლემების დროული იდენტიფიკაცია და გადაწყვეტა, სტუდენტის გარიცხვის პრევენცია, სტუდენტთა კმაყოფილების ზრდა, რაც პოზიტიურად აისახება უნივერსიტეტის რეიტინგზე, მის პრესტიჟზე. გარდა ამისა, საფუძველი ეყრება ურთიერთობებს, რომელიც გრძელდება მომავალშიც და შესაძლოა უნივერსიტეტისთვის შემოწირულობის საფუძველი გახდეს.

არსებობს პირადი ტუტორის გზამკვლევი, სადაც მოცემულია: მისი როლი და ფუნქცია, სტუდენტების თანამედროვე ფსიქოლოგიური კონტექსტი, ინფორმაცია სტუდენტების მხარდამჭერი სამსახურების შესახებ და სხვ. ინფორმაცია განთავსებულია ვებ-გვერდზე, აგრეთვე ტარდება ტრენინგები როგორც ახალი, ასევე გამოცდილი პირადი ტუტორებისთვის.

მომავალში იგეგმება: პირად ტუტორებთან შეხვედრების ჩაწერა ცენტრალიზებულად, პირადი ტუტორებისთვის ონ-ლაინ მხარდაჭერის პროგრამის ამუშავება, დოქტორანტების გამოყენება

პირად ტუტორად, მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტების გამოყენება თავიანთი თანატოლების მხარდამჭერებად და სხვ.

კინგ'ს კოლეჯში შექმნილია ფსიქოლოგიური დახმარების სამსახური, რის საჭიროებასაც განაპირობებს შემდეგი ფაქტორები: ასაკოვანი და ე.წ. დაუსწრებელი სწავლების სტუდენტების დიდი რაოდენობა; ის სტუდენტები, რომლებიც უნივერსიტეტში სწავლობენ გარკვეული წყვეტის შემდეგ; სპეციალური საჭიროების მქონე და უცხოელი სტუდენტების რაოდენობის ზრდა, ბოლო წლებში მზარდი ფსიქოლოგიური პრობლემები და სხვ. (არსებობს სტატისტიკა, რომ ყოველ მეოთხე სტუდენტს აქვს ფსიქოლოგიური პრობლემები).

ფსიქოლოგიური სამსახურები ინგლისის უნივერსიტეტებში პირველად 60 წლის შეიქმნა, ფინანსდება თავად უნივერსიტეტის მიერ და მათი მნიშვნელობა სულ უფრო და უფრო იზრდება. „მენტალური ჯანმრთელობა აღარ არის უმცირესობის პრობლემა“...

კინგ'ს კოლეჯში დაწესებულია სტუდენტთა მომსახურების მინიმალური სტანდარტი, რაც გულისხმობს შემდეგს: სწრაფი და პოზიტიური რეაგირება სტუდენტის მოთხოვნაზე; თითოეული სტუდენტის მიმართ ინდივიდუალური მიდგომა; სტუდენტისთვის კვალიფიციური დახმარების გაწევა, ანუ შესაბამისი ცოდნის მუდმივი განახლება და სხვებისთვის გაზიარება; მომსახურება ღიმილით ისე, რომ სტუდენტმა თავი სასიამოვნოდ იგრძნოს.

კინგ'ს კოლეჯში კურიკულუმის შემუშავების და/ან განვითარების დროს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა შემდეგ ასპექტებს: მდიდარი კვლევითი გარემო, ინტერდისციპლინურობა, გლობალური მიდგომა, საზოგადოებაში ჩართულობა, აკადემიური წიგნიერება.

აკადემიური პერსონალი ვალდებულია პასუხი გასცეს შემდეგ კითხვებს: ჩართულია თუ არა კვლევა როგორც კურიკულუმში, ისე სწავლების პროცესში? რამდენად აქვს სტუდენტებს შეხება იმ კვლევებთან, რომლებსაც აკადემიური პერსონალი ახორციელებს? როგორ სწავლობენ სტუდენტები კვლევის მეთოდებს და როგორ ივითარებენ კვლევის ტექნიკას? არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ სტუდენტმა თავისი კვლევითი პროექტი განახორციელოს? კვლევაზე დაფუძნებული სწავლება ბაკალავრიატის საფეხურსაც ეხება? და თუ არა, რა შეიძლება გაკეთდეს ვითარების გასაუმჯობესებლად?

ინტერდისციპლინურობა გულისხმობს პრობლემების გადაწყვეტას და კითხვებზე პასუხის მოძიებას სხვადასხვა დარგებისთვის დამახასიათებელი მიდგომებისა და მეთოდების გამოყენებით.

საზოგადოებაში ჩართულობა გულისხმობს შემდეგს: პიროვნების განვითარება, მისი თვალსაწიერის გაფართოება, სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობის გაღვივება, სწავლების პროცესის მნიშვნელობის ზრდა, საზოგადოებისთვის კუთვნილების განცდის გამომუშავება.

აკადემიური წიგნიერება საშუალებას უნდა აძლევდეს სტუდენტს, რომ სრულად მიიღოს მონაწილეობა თავისი დისციპლინის აკადემიური საზოგადოების საქმიანობაში როგორც უნივერსიტეტის ფარგლებში, ისე მისი დამთავრების შემდეგაც.

კურიკულუმის შემუშავების პროცესში გამოიყენება შემდეგი ფილოსოფია: „სტუდენტი არის უფრო პარტნიორი სწავლების პროცესში, ვიდრე კლიენტი... ეს კი ეწინააღმდეგება თანამედროვე რიტორიკას, რომელიც მოაზრებს განათლებას როგორც მომსახურებას ან ბიზნესს“.

კურიკულუმის ცვლილებას სჭირდება 5 წელი და ინიციატივა შეიძლება ეკუთვნოდეს როგორც აკადემიურ პერსონალს, ისე ადმინისტრაციას. ამ დროს აუცილებელია ფუნქციათა განაწილება და პროცესის მართვა. ერთ-ერთი პრობლემა არის ამა თუ იმ სტრუქტურულ ერთეულში აკადემიურ პერსონალთან კომუნიკაციის დამყარება, თუმცა ღიაობა და კომუნიკაცია აუცილებელია.

კინგ'ს კოლეჯში ხარისხის შიდა უზრუნველყოფას აქვს შემდეგი ძირითადი მახასიათებლები:

ა) ხარისხის შიდა უზრუნველყოფის წარმატებული ფუნქციონირების ერთ-ერთი ინდიკატორი ამ ინსტიტუციის და/ან მისი საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გარე შეფასების შედეგებია. ამდენად, ხარისხის შიდა უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მექანიზმები და პროცედურები უშუალო კავშირშია ხარისხის გარე უზრუნველყოფის სისტემასთან;

ბ) ხარისხის უზრუნველყოფა უსდ-ს ყოველდღიური საქმიანობა და ყველას პასუხისმგებლობაა;

გ) ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცესი უნდა ხორციელდებოდეს თითოეული მიმართულების თავისებურებების გათვალისწინებითა და მისი ავტონომიურობის დაცვით, თუმცა ავტონომიურობა გულისხმობს დამოუკიდებლობას შეთანხმებულ ფარგლებში;

დ) ხარისხის შიდა უზრუნველყოფა გულისხმობს შემდეგს: საგანმანათლებლო პოლიტიკისა და მარეგულირებელი დოკუმენტების არსებობა; ახალი საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების პროცედურები; აკადემიური ხარისხის მინიჭების რეგულაციები და პროცედურები; გარე შემფასებლების ჩართვა შეფასების პროცესში და მათი დასკვნების გათვალისწინება; საგანმანათლებლო პროგრამების პერიოდული შეფასება და ყოველწლიური ანგარიშები; სტუდენტთა მოსაზრებების გათვალისწინება სწავლების პროცესის და აკადემიური პერსონალის შესახებ (სტუდენტთა გამოკითხვა); აკადემიური პერსონალის განვითარებაზე ზრუნვა; სასწავლო რესურსების, საინფორმაციო ტექნოლოგიების და სტუდენტთა მომსახურების მექანიზმების არსებობა და სხვ.

სტუდენტური ორგანიზაცია „ლონდონის კინგ'ს კოლეჯის სტუდენტური გაერთიანება“ აერთიანებს უნივერსიტეტის ყველა სტუდენტს და მისი მიზანია სტუდენტების უფლებების

დაცვა და მათ გართობაზე ზრუნვა. ორგანიზაციის ხედვა კი ამგვარია: „კინგ'ს კოლეჯის თითოეულმა სტუდენტმა უნდა შეიძინოს დიდი გამოცდილება“. სტუდენტებთან კომუნიკაცია ხდება როგორც ოფიციალური გზებით (ოფიცრებისა და მრჩევლების საშუალებით), ისე არაოფიციალური არხებით.

კინგ'ს კოლეჯში საგანგებო ყურადღება ეთმობა სტუდენტების მომზადებას მომავალი სამსახურებისთვის ციფრული პროფესიონალიზმის თვალსაზრისითაც, რაც გულისხმობს ციფრული და სოციალური მედიის სწორად, პროფესიულად გამოყენებას პროფესიული მიზნებისათვის, პირადი ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფას (ამ მიზნით კინგ'ს კოლეჯში შიდა სოციალური ქსელიც არსებობს).

დაბოლოს, სტუდენტთა მხარდაჭერა გულისხმობს საბიბლიოთეკო ქსელის სრულყოფილად განვითარებას, რაც მოიცავს პერსონალის გადამზადებას, მომსახურებისა და სივრცის გაუმჯობესებას. სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება ე.წ. დარგობრივი ბიბლიოთეკარების ინსტიტუტი, მათ ევალებათ ზრუნვა აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მომსახურების გაუმჯობესებასა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვაზე ზრუნვა, კოლექციების მუდმივი განახლება, რომ ბიბლიოთეკა შეესაბამებოდეს კვლევითი უნივერსიტეტის პროფილს.

დღეისათვის კინგ'ს კოლეჯის 6 ბიბლიოთეკაში, სპეციალური კოლექციებისა და არქივის დარბაზებში ხელმისაწვდომია 2 მილიონი წიგნი, 50 000 ჟურნალი (ელექტრონულ ლიტერატურაზე მოთხოვნა იზრდება, თუმცა დარბაზში კითხვაზე კვლავ დიდი მოთხოვნაა). ბიბლიოთეკებს ყოველწლიურად 1,5 მილიონი მომხმარებელი სტუმრობს.

ბიბლიოთეკები შემდეგი გამოწვევების წინაშე დგანან: იზრდება სტუდენტთა რაოდენობა, ხოლო ბიბლიოთეკების სივრცე საკმარისი არ არის; იზრდება მოთხოვნა საინფორმაციო ტექნოლოგიებზე და ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება ყოველთვის ადვილი არ არის; დარბაზებში ყოველთვის არ არის დაცული სიჩუმე; არ არსებობს ცენტრალურ ლონდონში გაფართოების შესაძლებლობა; გასაკეთებელია სპეციალური ოთახები ჯგუფური მუშაობისთვის; მომავალში უნდა გაკეთდეს ლეპტოპის თხოვების სერვისი.

5. ღონისძიების რელევანტურობა საქართველოსთვის.

უმაღლესი განათლების რეფორმის ექსპერტებისა და ბოლონიის პროცესის პრომოუტერებისთვის ორგანიზებული სასწავლო ვიზიტი ლონდონის კინგ'ს კოლეჯში მნიშვნელოვანი იყო საქართველოს უსდ-ებისთვის, რადგან წარმოდგენილი იქნა ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ ევროპულ უნივერსიტეტში სტუდენტთა მხარდაჭერი სამსახურები როგორც უნივერსიტეტის ხარისხის განმსაზღვრელი ერთიანი სისტემა.

6. ღონისძიების საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები.

1. სტუდენტთა მომსახურება უნდა გავიაზროთ როგორც სტუდენტთა მხარდამჭერი სამსახურების ერთიანი სისტემა, უნივერსიტეტის რეპუტაციისა და ხარისხის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ფაქტორი;
2. უსდ ვალდებულია იზრუნოს არა მხოლოდ სწავლებისა და კვლევის, არამედ სტუდენტთა მომსახურების ხარისხზე, სტუდენტთათვის კომფორტული გარემოს შექმნაზე;
3. უსდ-მ უნდა შექმნას სტუდენტთათვის აკადემიური და ადმინისტრაციული კონსულტაციის მოქნილი მექანიზმები, სტუდენტთა დასაქმებაზე ორიენტირებული სამსახურები;
4. კურიკულუმის შემუშავების და განვითარების პროცესში უნდა გადაიღახოს აკადემიურ პერსონალთან კომუნიკაციის პრობლემა;
5. ხარისხის უზრუნველყოფა უსდ-ს ყოველდღიური საქმიანობა და ყველას პასუხისმგებლობა უნდა გახდეს.

8. დამატებითი ინფორმაცია ღონისძიების შესახებ

– უმაღლესი განათლების რეფორმის ექსპერტებისა და ბოლონიის პროცესის პრომოუტერებისთვის ორგანიზებული სასწავლო ვიზიტის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხ.: <http://london2013.bolognaexperts.net/>.

ტრანსნაციონალური უმაღლესი განათლება
ღალი ბაქრაძე
23-24 აპრილი 2013, მადრიდი, ესპანეთი

1. პროგრამა

Monday 22 April 2013

14.00 – 14.45

Opening Plenary, chaired by Arthur Mettinger, Rector Campus Wien University of Applied Sciences and President of UNICA 2004 – 2007; Welcome by José Maria Sanz Martínez, Rector, Universidad Autónoma de Madrid Introduction by Frank Petrikowski, Directorate General for Education & Culture, European Commission Introduction by María Luisa García Mínguez, Erasmus and Jean Monnet programmes – Education, Audiovisual & Culture Executive Agency Introduction by Jacques Kemp, Tempus and Bilateral Cooperation with Industrialised Countries – Education, Audiovisual & Culture Executive Agency

14.45 – 15.30 Keynote by Vincenzo Raimo, Director International Office, University of Nottingham, Followed by Q&As: 'Do transactional education developments take us beyond the rhetoric of internationalization

15.30 – 16.15 Quality Assurance and Cross Border Education, by Rafael LLavori, Board Member ENQA

16.45 – 17.30 Presentation of the EC Study on Cross Border Education, Andrew McCoshan, Consultant:
'Franchising, Validation and Branch Campuses in the EU: mapping provision, regulation and quality assurance'

17.30 – 18.00 Panel Discussion: 'The Challenges of Cross Border Education', chaired by Arthur Mettinger with the participation of Vincenzo Raimo, Rafael LLavori and Andrew McCoshan

Tuesday 23 April 2013

09.30 – 13.00 Parallel meeting for students

09.30 – 11.00 Training Groups

1. Topic # 1: Dual and Joint Degrees, with the contribution of Matthias Kuder, Freie Universität Berlin
2. Topic # 2: Branch Campuses/Educational Franchising, with the contribution of Thomas Buerman,

Project Manager Ghent University Korea

3. Topic # 3: New methods, new pedagogies, virtual and online education, with the contribution of Timothy Read, Director Open UNED (National Distance Education University, Spain) and Jack Barokas, Educational Digital Media Applications, Tel Aviv University Computing Division

11.30 – 13.00 Training Groups – Continued

- 14.15 – 15.30 Case Study Presentations, with the participation of :- Juan José Ramos, Dept of Telecommunication and Engineering Universidad Autónoma de Barcelona - EU funded Joint Master Logistics & Supply Chain Management - Miguel Gea, Director Centro Enseñanzas Virtuales Universidad de Granada -EU funded European Weblog Platform for Mobile Students - Vincenzo Raimo, Director International Office, University of Nottingham - Nadezhda Kamynina, Russian Higher Education Reform Expert – Educational Franchising and Branch Campuses in Russia - Jack Barokas, Israeli Higher Education Reform Expert, ‘Building online courses for Master’s Degree studies on Nano Technologies within the framework the Leonardo da Vinci and Erasmus EU projects’

16.00 – 17.30 Training Groups – Final session

Wednesday 24 April 2013

09.30 – 10.15 Feedback on the Training Groups (Day 2)

10.15 – 11.00 Contribution by Ricardo Amils, Professor of Microbiology, Universidad Autónoma de Madrid: ‘Río Tinto, a terrestrial analogue of Mars’

11.30 – 12.00 Feedback on the parallel meeting for students by Konstantinos Rachianiotis, Natasha Kozłowska and Kristin Meyer, Student Representatives

12.30 – 13.00 Closing Plenary with the contribution of Frank Petrikowski, European Commission, Directorate General for Education & Culture

2. კონფერენციის მონაწილეები

სემინარის მასპინძელი - მადრიდის უნივერსიტეტი, -მონაწილეობას ღებულობდა 52 ქვეყნის წარმომადგენელი (ევროკავშირის წევრები, კავკასია, ცენტრალური აზია, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები), ასევე EACEA და UNICA -ს წარმომადგენლები.

3.კონფერენციების მთავარი მესიჯი

გლობალიზაციის პირობებში უმაღლესი განათლება სცდება ეროვნულ საზღვრებს. ტრანსნაციონალური განათლება გვხვდება სხვადასხვა ფორმით და ხარისხის უზრუნველყოფა თამაშობს მნიშვნელოვან როლს ტრანსნაციონალური განათლების მიმართ ნდობის ჩამოყალიბებაში.

სემინარზე წარმოდგენილ იქნა სამი მთავარი მოხსენება. დამატებით მცირე ჯგუფებში განიხილებოდა ინტერნაციონალიზაციის სხვადასხვა მიმართულებები.

სემინარის მთავარი მოხსენება შეეხებოდა ნოტინგემის უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის საკითხს, რომელიც ძირითადად განხილულ იქნა ჩინეთსა და მალაიზიაში დაფუძნებული ორი ფილიალის მაგალითზე.

მეორე მოხსენება შეეხებოდა ტრანსნაციონალური განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მნიშვნელობას. განხილულ იქნა იუნესკოს ახალი სახელმძღვანელო პრინციპები ტრანსნაციონალური განათლების ხარისხის უზრუნველყოფისათვის. ასევე ევროპული სტანდარტები. პრეზენტაციის ერთ-ერთი რეკომენდაციაა, რომ ქვეყნებმა უნდა შეძლონ ბარიერების დაძლევა ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით და ხარისხის უზრუნველყოფა უნდა გახდეს ტრანსნაციონალური განათლების ნდობის საფუძველი.

მესამე მოხსენება წარმოადგენს ევროპაში განხორციელებულ კვლევის შედეგებს, რომელიც შეეხებოდა ფრანჩაიზინგს და ფილიალებს ევროპაში. კვლევაში მონაწილეობა მიიღო ევროკავშირის 27 წევრი ქვეყნის 91 წარმომადგენელმა.

არჩევითი ტრენინგებიდან განსაკუთრებით საინტერესო და საყურადღებო იყო გენტის უნივერსიტეტის მიერ სამხრეთ კორეის მთავრობის ხელშეწყობით კორეაში ფილიალის დაფუძნების საკითხი.

ტრენინგები შეეხო ასევე ინტერნაციონალიზაციის ისეთ ფორმას, როგორცაა დისტანციური კურსები და სადღეისოდ ყველაზე გავრცელებულ ფორმას ერთობლივ პროგრამებსა და ერთობლივ ხარისხებს.

4.სემინარის მასალების რელევანტურობა საქართველოსათვის

სემინარის ძირითადი მოხსენება შეეხებოდა ტრანსნაციონალური განათლების ისეთ ფორმას, როგორცაა ფილიალები და მათი ფუნქციონირება საზღვარგარეთ, რაც ძალიან საინტერესოა, მაგრამ ნაკლებად რელევანტურია ქართული სინამდვილისათვის. თუმცა, ტრანსნაციონალური ხარისხის უზრუნველყოფა, ისევე როგორც ტრენინგ-ჯგუფებში განხილული ერთობლივი პროგრამების საკითხები აქტუალურია საქართველოსათვის და მათი აქტუალობა კიდევ უფრო გაიზრდება.

5. ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით საქართველოში გასატარებელი ღონისძიებები

5.1. სამთავრობო დონე

ტრანსნაციონალური განათლების მიმართულებით საქართველოსთვის პრიორიტეტია ერთობლივი პროგრამები და ხარისხები უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში. ამ მიმართულებით აუცილებელია ყველა დაბრკოლების მოხსნა:

- კანონდებლობით ზუსტად უნდა განისაზღვროს ერთობლივი პროგრამისა და გაცვლითი პროგრამის მახასიათებლები;
- სტუდენტთა მობილობის ხელშეწყობა, საერთაშორისო მობილობაში ჩართული სტუდენტისათვის შესაბამისი სტატუსების მინიჭების მეშვეობით;
- ერთობლივ/გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტების საზღვარგარეთ გატარებული სწავლის პერიოდის (მიღებული კრედიტების) ავტომატური აღიარების ხელშეწყობი მექანიზმების ჩამოყალიბება.

ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული სტანდარტებთან ადაპტირება და ENQA -ს წევრობის უზრუნველყოფა. ევროპულის სტანდარტების ადაპტირება და ევროპული ქსელის წევრობა ხელს შეუწყობს ქართულ უნივერსიტეტებს ერთობლივი პროგრამების შემუშავება - განხორციელების პროცესში. აამაღლებს ქართული უმაღლესი განათლების ნდობის ხარისხს.

საერთაშორისო აკრედიტაციის აღიარების პროცედურების შემუშავება, საერთაშორისო სააკრედიტაციო ორგანოს მიერ აკრედიტებული პროგრამის ჩათვლა აკრედიტაციის მიზნებისათვის. მსოფლიოში ცნობილი სააკრედიტაციო სააგენტოს აკრედიტაციის მიღების მიზანია საერთაშორისო დონეზე პროგრამის ცნობადობის ამაღლება, რაც მნიშვნელოვანია საერთაშორისო მობილობის ასამაღლებლად და ერთობლივი პროგრამების ჩამოსაყალიბებლად.

5.2. საუნივერსიტეტო დონე

ქართულ უნივერსიტეტებში არსებობს თანამშრომლობის სხადასხვა დონეზე განვითარებული მაგალითები, თუმცა სტაბილური განვითარება ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით დამოკიდებულია უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიაზე. ამდენად, სტრატეგიის არსებობას დიდი მნიშვნელობა აქვს.

სტუდენტთან მკვლევარამდე

*მე 6 ყოველწლიური შეხვედრა EUA-CDE
ქეთევან გურჩიანი*

18-19 ივნისი 2013, ვარშავა, პოლონეთი

1. Schedule

Tuesday 18 June

10.00 – 10.30 welcome address - Old library, Aula

Welcome by the host

- Marcin Jakub Pałys, University of Warsaw, Poland
- Melita Kovacevic, University of Zagreb, Croatia, and EUA-CDE Steering Committee Chair
- Marta Kicińska-Habior, University of Warsaw, Poland: Doctoral education at the University of Warsaw

10.30 – 12.00 Plenary Session I: Are we on the right track?

Old Library, Aula Chair: Melita Kovacevic, University of Zagreb, Croatia, and EUA-CDE Steering Committee - Francesc Xavier Grau Vidal, Rovira i Virgili University Spain, Erno Keszei -Eötvös Loránd University, Hungary

13.15 – 14.45 Working Groups I

Working Group I.a: Assuring Quality – room 211

Chair: Berit Rokne, University of Bergen, Norway, and EUA-CDE Steering Committee

- Saskia Ebeling, Utrecht University, the Netherlands: Quality assurance of doctoral education in an interfaculty Graduate School.

Agnieszka Wenninger, Free University Berlin, Germany: Dahlem Research School - an institutional example of a framework for structured graduate education at Free University of Berlin

Working Group I.b: Coaching and Courses – room 215

Chair: Mary McNamara, Dublin Institute of Technology, Ireland, and EUA-CDE Steering Committee

- Horia Iovu, Polytechnic University Bucharest, Romania: Keeping the right balance between taught courses and research activity
- Mirjam Godskesen & Jens Larsen, Aalborg University, Denmark: PhD coaching: a way to develop doctoral candidates' ownership and independence

Working group I.c: Cultivating the Research Mindset – room 216

Chair: Lucienne Blessing, University of Luxembourg and EUA-CDE Steering Committee

- Galina Cimova, University of Economics, Prague, Czech Republic: Internal grants – one tool in making PhD students into researchers
- Hanna Kauhaus, Friedrich Schiller University Jena, Germany: Developing a professional academic identity and a research mindset: The role of science studies in doctoral education

Working Group I.d: An Introduction to Doctoral Education I (for participants new to doctoral education management, first of two sessions) – room 213

- Alexandra Bitusikova & Thomas Ekman Jorgensen, EUA-CDE: European Doctoral Education – an overview

Working Group I: Training for Trainers of Supervisors (special training session for experienced participants) – room 214

Old Library, Foyer

15.15 – 16.30 Plenary II: Quality and Internationalisation – Two Projects on Doctoral Education

Wednesday 19 June

09.00 – 10:00 Plenary III: Supervision and personal development

Old Library, Aula

Chair: Maria Teresa Anguera, University of Barcelona, Spain, and EUA-CDE Steering Committee

- Anne Lee, Independent Academic Development Advisor, United Kingdom
- Klaudia Proniewska, National Representation of Doctoral Candidates, Poland

Old Library, Foyer

10.30 – 12.00 Working Groups II:

Working Group II.a: Programme Development – room 215

Chair: Frank Bremmer, University of Marburg, Germany, and EUA-CDE Steering Committee

- Ian Frame, Anglia Ruskin University, UK: An Alternative Professional Doctoral Education
- Annamaria Silvana de Rosa, University of Rome Sapienza, Italy: Combining structured and networked training approach in international doctoral education

Working Group II. b: Developing Structures – room 216

Chair: Lucienne Blessing, University of Luxembourg and EUA-CDE Steering Committee

Ingrid Rügge, University of Bremen, Germany: Doctoral Training in Logistics: A Multi-disciplinary, Cross-cultural and Integrative Approach

Hasan Jashari, South East European University, FYR of Macedonia: New PhD programs in Macedonia

Working Group II. c: Skills Provision – 211

Chair: Mary McNamara, Dublin Institute of Technology, Ireland, and EUA-CDE Steering Committee

Monika Janfelt, University of Southern Denmark: Career development programme for PhD students and early-stage researchers

Working Group II. d: An Introduction to Doctoral Education II (for participants new to doctoral education, second of two sessions) – room 213

Alexandra Bitusikova & Thomas Ekman Jørgensen, EUA-CDE: What is Professional Management of Doctoral Education?

Working Group II. e: Training for Trainers of Supervisors (special training session for experienced participants. NB same content as Working Group I. e) – room 214

Helmut Brentel, Goethe University Frankfurt, Germany

Old Library, Foyer 13.15 – 14.15 Speakers' Corner

14.15 – 15.45 Plenary IV – Stakeholder panel: Are we on the right track?

Chair: Melita Kovacevic, University of Zagreb, Croatia and EUA-CDE Steering Committee

- Peter van der Hijden, Directorate-General for Research and Innovation, European Commission
- Stephan Kuster, Science Europe
- Nicola Vittorio, Chair of the Bologna Follow-Up Group, Working Group on the Third Cycle
- Slobodan Radicev, Eurodoc

15.45 – 16.15 Closing Plenary - Old Library, Aula

2. კონფერენციის მონაწილეები

კონფერენციაში მონაწილეობას იღებდნენ 27 ევროპული ქვეყნის უნივერსიტეტების რექტორები, კანცლერები, დეკანები: საუნივერსიტეტო დონეზე გადწყვეტილების მიმღები პირები.

3. კონფერენციის მთავარი თემა


2013 წლის 18-19 ივნისს ვარშავაში გაიმართა EUA-CDE წლიური შეხვედრა. შეხვედროს მთავარი თემა იყო დოქტორანტი: *მკვლევარი თუ სტუდენტი. ვადგავართ სწორ გზას?*

სხვადასხვა მოხსენებებში ნათლად გამოიკვეთა, რამდენად გლობალური გახდა დისკურსი სადოქტორო განათლებისაზე და მის აუცილებლობაზე. ქვეყნები, რომლებიც ეკონომიკური აღმსავლით გამოირჩევიან ბოლო წლებში (ჩინეთი, ბრაზილია, ინდოეთი), თავიანთ პრიორიტეტად ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების შექმნას ასახელებენ. ამ გზისკენ ერთ-

ერთი პირველი ნაბიჯი არის სადოქტორო განათლების განვითარება, რადგან დოქტორანტურა სწორედ ის საფეხურია, სადაც იქმნება ახალი ცოდნა, ინოვაციები. ბრაზილიამ 2000 – 2009 წლებში დოქტორანტების რაოდენობა 100%-ით გაზარდა, ხოლო ჩინეთმა 1998 – 2008 წლებში 400% - ით! ცხადია, ეს არ იყო რაოდენობის მექანიკური ზრდა. ამ ზრდას თან ახლდა შესაბამისი დაფინანსებაც. ცოდნის საზოგადოებაზე მსჯელობისას დისკურსიც ძირითადად სადოქტორო განათლების ირგვლივ ტრიალებს: ითვლება, რომ სადოქტორო კვლევები გადამწყვეტ როლს ასრულებს საზოგადოების პრობლემების მოგვარებაში, რადგან ის წარმოადგენს ინოვაციის საფუძველს და ძირითადი ძალაა საზოგადოებრივი და ეკონომიკური განვითარებისთვის. შესაბამისად, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მაღალი დონის სადოქტორო საფეხურის ჩამოყალიბებას და დოქტორანტებში აკადემიური იდენტობის გაღვივებას.

ევროპული უნივერსიტეტების ასოციაციამ შეისწავლა სადოქტორო განათლება აღმოსავლეთ აზიაში, ევროპაში, სამხრეთ ამერიკასა და აფრიკაში პროექტით CODOC – Cooperation on Doctoral Education between Africa, Asia, Latin America and Europe (შემდგომში CODOC). კვლევის მიხედვით მინიჭებული დოქტორის ხარისხის რაოდენობა როგორც ევროპასა და შეერთებული შტატებში, ისე სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში იზრდება (იხ. 2004 – 2010 წლების სტატისტიკა). სადოქტორო სწავლების მნიშვნელობაზე როგორც განვითარებული ისე განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნები თანხმდებიან.

Growth in doctorates awarded in the EU, USA and Latin America 2004=100



წყარო: Thomas Ekman Jørgensen, პრეზენტაცია CODOC პროექტის შესახებ.
<http://www.eua.be/events/past/2013/EUA-CDE-Annual-Meeting-2013/Presentations.aspx>

აქტუალური პრობლემაა ევროპული უნივერსიტეტებისთვის, როგორ ვაქციოთ სტუდენტი დოქტორანტი მკვლევრად, რომ მასში ჩადებული ინვესტიცია: ინტელექტუალური თუ ფინანსური ისევ ცოდნის შექმნას და აკადემიურ სივრცეს მოხმარდეს ყველაზე ეფექტურად. ვარშავაში ივნისის ბოლოს ევროპული უნივერსიტეტების ასოციაციის მიერ შეკრებილი 27 ევროპული ქვეყნის უნივერსიტეტების რექტორები, კანცლერები, პროფესორები სხვადასხვა სქემებს და გამოცდილებას გთავაზობდნენ, რისი გაკეთება შეიძლება ამ გზაზე: იქნება ეს სტატუსი, რომლითაც იამაყებენ, გრანტები სპეციალურად დოქტორანტებისთვის საუნივერსიტეტო თუ სახელმწიფო დონეზე, კონფერენციები, შეკრებები, საზაფხულო სკოლები, საუნივერსიტეტო ცხოვრებაში მრავალმხრივი ჩართვის შესაძლებლობები.

იყო რამდენიმე საინტერესო მაგალითი. მათ შორის ერთი-ერთი ჩეხეთიდან. სახელმწიფო უნივერსიტეტებს აძლევს მოჭრილ დაფინანსებას იმისთვის, რომ შესაბამისმა უნივერსიტეტმა გამოაცხადოს კონკურსი სადოქტორო კვლევითი პროექტების დაფინანსებისთვის. ამით, ისინი ერთი მხრივ, აღრმავებენ დოქტორანტების მოტივაციას, აყალიბებენ მათში მკვლევარს, რომელიც ადრიდანვე სწავლობს, როგორ მოიპოვოს გრანტი, როგრო წარადგინოს თავისი პროექტი, ხოლო მეორე მხრივ, ავსებენ იმ ჰიატუსს, რაც გამოწვეულია სამეცნიერო ფონდის პრინციპით, მხოლოდ უკვე ჩამოყალიბებულ მეცნიერებზე მისცეს სამეცნიერო გრანტები (წამყვანი მეცნიერის სტატუსით).

უნივერსიტეტების ნაწილი დოქტორანტების მჭიდრო ინკორპორაციას ცდილობს სადოქტორო სკოლების უკეთ მოწყობის, დოქტორანტების სტატუსზე გარანტიების მიზმისა და საერთო ინტერდისციპლინური კურსების სწავლებით, რომლებიც დოქტორანტებში მკვლევარს ჩამოაყალიბებს და იდენტობას გაამყარებს.

კონფერენციაზე რამდენიმე მოხსენება მიემდვნა სადოქტორო სკოლების აგებისა და მათი ხარისხის შემოწმების პრინციპს. სადოქტორო სკოლები სულ უფრო მეტად ესმით როგორც ზერგოლი, რომელიც ეხმარება დოქტორანტებს ეფექტურ სწავლაში. ხარისხის შემოწმება დოქტორანტურის საფეხურზე ხდება სამი აქტორის მიერ: 1. ხარისხს ამოწმებს ხოლმე საუნივერსიტეტო ერთხეული, ხარისხის სამსახური. 2. ხარისხს ამოწმებს გარე ორგანო, როდესაც მოწმდება უნივერსიტეტის კვლევითი დონე და 3. ხარისხს ამოწმებს დაფინანსების გამცემი. ამგვარი შემოწმებისას ყველაზე დიდი ყურადღება ექცევა საერთაშორისო პუბლიკაციების რაოდენობას, რადგან ის ითვლება წარმატების ძირითად ინდიკატორად. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია, რამდენი ახერხებს იმ პირველი ინდიკატორის დაცვით (ანუ გამოქვეყნების შემდეგ) დოქტორის ხარისხის მოპოვებას.

4. რელევანტურობა საქართველოსთვის:

დოქტორანტურამ საქართველოში ბოლო წლებში ძირეული ცვლილება განიცადა. 2004 წლიდან საქართველოში გაუქმდა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები, და ბოლონის პროცესის კვალდაკვალ, დოქტორის ხარისხი გახდა არა სამეცნიერო, არამედ აკადემიური ხარისხი, ხოლო მისი მინიჭების უფლება გადაეცათ უნივერსიტეტებს. ასევე უნივერსიტეტებს მიეცათ უფლება, ის დოქტორანტები, რომლებიც მათი აზრით შესაბამის მოთხოვნებს აკმაყოფილებენ, არჩეულები ყოფილიყვნენ ასისტენტ პროფესორებად. მათი რიცხვი არასდროს არ ყოფილა ძალიან დიდი, მაგრამ მათი მნიშვნელობა და წვლილი ბევრი უნივერსიტეტისთვის ძალიან მაღალია. თავდაპირველი ზრდის შემდეგ, ბოლო ორი წლის მანძილზე დოქტორანტების რაოდენობა საქართველოში მცირდება (კვლევის ანგარიში, სადოქტორო განათლება საქართველოში, გვ. 5).

დოქტორანტურას ზოგადად მრავალი პრობლემა ახლავს თან და ბევრი რამ დასახვეწია: უნივერსიტეტების აბსოლუტურ უმრავლესობაში ამ საფეხურზე სწავლა არის (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი და საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი არის გამონაკლისი), არ არსებობს სახელმწიფო სტიპენდიები ან გრანტები, რომლებიც საშუალებას მისცემს, აქტიურად აწარმოონ თავიანთი კვლევა. პრობლემურია კვლევა ინტელექტუალური რესურსების სიმწირის გამოც. ამგვარ ვითარებაში დოქტორანტების ჩართვა სწავლებაში, თუ ზომიერება დაცულია და არ გამოიყენებენ იაფ მუშა ხელად, მათთვის ცოდნის შეძენის საშუალებაც არის და ფინანსური უზრუნველყოფაც. ამასთან ერთად, ისინი ადრეულ ეტაპზევე ხდებიან აკადემიური სივრცის წევრები პროფესორების რანგში და მათი აკადემიური წინსვლაც მათთვის უფრო განჭვრეტადია.


მას შემდეგ, რაც დოქტორანტები ვეღარ იქნებიან ასისტენტ-პროფესორები, მათი ჩართულობა საუნივერსიტეტო ცხოვრებაში დაიკლებს. მათ აღარ შეეძლება მართვაში მონაწილეობა. ეს ცვლილება არაფერს არ გამოასწორებს, მდგომარეობას მხოლოდ გააუარესებს, აღარც საამაყო სტატუსი ექნებათ, აღარც ჩართულობის განცდა და აკადემიური იდენტობა.

თავის დროზე შესაძლებლობა, რომ დოქტორანტი გამხდარიყო ასისტენტ-პროფესორი, კანონში ჩაიწერა რეალობის გათვალისწინებით: სულ უფრო რთული ხდებოდა და არის ახალგაზრდების მოზიდვა აკადემიურ სივრცეში დასაქმებისთვის და მათი შენარჩუნება. ასევე ძალიან რთულია მათი მიყვანა დისერტაციის დაცვამდე, რადგან შესაბამისი ინტელექტუალური გარემო, დაფინანსება, მოტივაცია არ არსებობს. შესაბამისად, ეს გზა იყო და არის ძალიან ხანგრძლივი. დოქტორანტისთვის მინიჭებული უფლება, ყოფილიყო ასისტენტ

პროფესორი, იყო მოტივაციის ამაღლების, დასაქმების და საუნივერსიტეტო იდენტობის განვითარების საუკეთესო საშუალება.

ზოგადად ის, რომ ჯობია, ყველა პროფესორს დაცული ჰქონდეს დისერტაცია და ძალიან მაგარი მკვლევარიც იყოს, სადავო არ არის. მაგრამ ეს სურვილი არ შეესაბამება რეალობას საქართველოში. თავისთავად მოსაზრება, რომ აუცილებლად მხოლოდ დაცულს ჰქონდეს პროფესორის სტატუსი, რამე ბუნებრივი კანონზომიერებიდან კი არ მოდის, არამედ სიტუაციის გათვალისწინებით შეიძლება იყოს მიღებული. არც ერთი მოდელის ბრმად გადმოტანა არ ივარგებს: ჩვენ გვაქვს სპეციფიკური ვითარება, რომელსაც სპეციფიკური მიდგომა და მხარდაჭერა სჭირდება.

ვითარება, როცა უნივერსიტეტები სავსეა "დაცული", ხარისხის მქონე პროფესორებით, არ არის დამახასიათებელი განვითარებადი ქვეყნებისთვის. CODOC კვლევის მიხედვით, ბოლო სამი წლის მანძილზე აზიაში, ლათინურ ამერიკასა და აფრიკაში იზრდება პროფესორების რაოდენობა, რომლებსაც დაცული აქვთ დისერტაცია. აზიის ქვეყნებში 5 წლის წინ პროფესორების 42% ჰქონდა დისერტაცია დაცული, ახლა დაცული აქვს 49%-ს, ხოლო სამი წლის მერე მათი რაოდენობა 62%-მდე გაიზრდება. უფრო რთულად იყო ვითარება სამხრეთ ამერიკაში, სადაც პროფესორების მხოლოდ 28%-ს ჰქონდა დისერტაცია დაცული, ახლა დაცული აქვს 31 %-ს და ელიან, რომ სამ წელიწადში პროფესორების 40%-მდე ექნება დისერტაცია დაცული.



წყარო: Thomas Ekman Jørgensen, პრეზენტაცია CODOC პროექტის შესახებ.

<http://www.eua.be/events/past/2013/EUA-CDE-Annual-Meeting-2013/Presentations.aspx>

საქართველოში უნივერსიტეტების დიდ ნაწილში ასისტენტ პროფესორები შეადგენენ თანამედროვე, ტექნოლოგიებზე თუ ახალ ცოდნაზე დაფუძნებული სასწავლო პროგრამების ძირითად ძალას. მათთვის გაურკვეველი “ასისტენტის” სტატუსის მინიჭება და პროფესორობის წართმევა ერთმნიშვნელოვნად უკან გადადგმული ნაბიჯი იქნება ქვეყანაში აკადემიური დონის ამაღლებისთვის, დოქტორანტურაში მაღალი სტანდარტის განვითარებისთვის, საბოლოოდ კი ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების შექმნისთვის.

პირველი სწრაფი შედეგი, რაც შეიძლება კანონის ცვლილებამ გამოიწვიოს, იქნება დოქტორის ხარისხის მოპოვების გაიოლება, რათა უნივერსიტეტები არ დარჩნენ აკრედიტაციისთვის საჭირო პროფესორების ჯამური რაოდენობს გარეშე (სახელმწიფოს მიერ დადგენილია სტუდენტის და პროფესორის შეფარდება). ჯობია, დაცვის სტანდარტი შევინარჩუნოთ მაღალი და უფრო ნელა მივაღწიოთ მიზანს, ვიდრე მოვითხოვოთ ხარისხი ყველასგან, რამაც შეიძლება ხარისხის მოთხოვნების დაწვეისკენ უბიძგოს უნივერსიტეტებს.

სადოქტორო ხარისხს უნივერსიტეტები სხვადასხვა კრიტერიუმებზე დაყრდნობით გასცემენ. შემოთავაზებული ცვლილება იმათ სასარგებლოდ იმოქმედებს, ვისაც ისედაც იოლი გზა ჰქონდა არჩეული და ახლაც შეუძლია, დოქტორანტები მასიურად აქციოს პროფესორებად იოლი დაცვით. ხოლო მათ, ვისაც მაღალი სტანდარტი ჰქონდა, უბიძგებს, გააიოლოს კრიტერიუმები და უფრო იოლად დააცვევინოს, თუ უნდა, რომ არ დაკარგოს დოქტორანტი ასისტენტ-პროფესორები. მაგალითად, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედებს ვალდებულება, დოქტორანტმა ორი საერთაშორისო რეფერირებადი (მხოლოდ აღიარებული ნუსხების ჟურნალებში) სტატია გამოაქვეყნოს დაცვამდე. ამ მიზეზის გამო და ალბათ, იმის გამოც, რომ ინტელექტუალური მხარდაჭერა რთულია და დოქტორანტების უმეტესობა მუშაობს სხვაგან, დაცული დოქტორანტების რაოდენობა მცირეა, მაგრამ ხარისხიანი. 500 დოქტორანტიდან მხოლოდ 25 არის ასისტენტ პროფესორი, რადგან მათი შერჩევის კრიტერიუმებიც მაღალია. დაცული დოქტორანტების უმეტესობა ისევ უნივერსიტეტში აგრძელებს მუშაობს.

რატომ გვჭირდება ჩვენ სწორედ ამგვარად, რთული გზით დაცული დისერტაციები და ასეთი პროფესორები? საერთაშორისო პუბლიკაციები, ერთი მხრივ, ხარისხის დაცვასა და ამაღლებას უწყობს ხელს მწირი რესურსების და ინტელექტუალური გარემოს სიმცირის ფონზე (მიმდინარე კვლევა მოწმდება ანონიმური რეცენზენტების მიერ), ხოლო მეორე მხრივ, თვითონ პუბლიკაციის შექმნის პროცესი არის საერთაშორისო სივრცეში ჩართვისთვის აუცილებელი უნარების გამომუშავების მექანიზმი. გამოქვეყნებული ნაშრომიც არ არის შემოფარგლული მხოლოდ ვიწრო სივრცით და უფრო ფართო აკადემიური საზოგადოების წევრად აქცევს

დოქტორანტს. ეს გზა ძალიან გრძელია და დაცვაც ჭიანჭურდება, მაგრამ ხარისხზე ორიენტირებული უნივერსიტეტების არჩევანია. ხარისხის დაცემა ყველაზე უარესი მოსალოდნელი შედეგი იქნება.

სტატუსის და ჩართულობის დონის შეცვლა უარყოფითად იმოქმედებს ახალგაზრდების მოზიდვაზეც უნივერსიტეტებში და ინტელექტუალური გადინების პრობლემის წინაშე უფრო მწვავედ დავდგებით.

გამოსავალი ამ სიტუაციიდან იქნებოდა არა სტატუსის შეცვლა და ფუნქციების დაკნინება, არამედ პირიქით, წახალისება და ხელშეწყობა. წახალისება და ხელშეწყობა შესაძლებელია, მრავალგვარად განხორციელდეს. მსგავს სიტუაციაში მყოფი სხვა ქვეყნები დოქტორანტების დასახმარებლად და კვლევის ხარისხის უზრუნველსაყოფად, მაგალითად, ამოქმედებენ გრანტების სისტემას, რომლითაც ფინანსდება როგორც სადოქტორო სკოლები, ისე ცალკეული დოქტორანტების პროექტები. ქვეყნების გარკვეული რიგისთვის საუკეთესო გამოსავალია ერთობლივი ხარისხების, ორმაგი ხარისხის შემოღება. ერთ-ერთი ყველაზე იოლი და ეფექტური გამოსავალია თანახელმძღვანელობის აწყობა სხვა კვლევით უნივერსიტეტებთან და ამისთვის ონლაინ სწავლების ხელშეწყობა. დიდი მნიშვნელობა ექნება ქვეყნის შიგნით საუნივერსიტეტო კვლევითი ქსელების განვითარებასა და ხელშეწყობას, რადგან გარკვეულ სფეროებში ერთი ინსტიტუციის ფარგლებში ინტელექტუალური რესურსი, პროფესორების კრიტიკული რაოდენობა, რომელიც აუცილებელია საერთაშორისო დონის კვლევის საწარმოებლად, თითქმის არ არსებობს. ქსელის ერთ-ერთი ფუნქცია ასევე შეიძლება, იყოს აკადემიური თანამშრომლობის წახალისება, კონფერენციების ორგანიზება, რეცენზირების განვითარება.

საქართველოს ძალიან სჭირდება აქტიური მეცნიერები, მკვლევრები, რომლებიც თავიანთი კვლევით არიან საერთაშორისო სივრცეში ჩართული და თან აქტიურად ქმნიან აკადემიურ სივრცეს საქართველოში. ყველა ცვლილება, რომელიც დაიგეგმება, ამ მიზნებს უნდა უწყობდეს ხელს.

5. სემინარის პრეზენტაციები

<http://www.eua.be/events/past/2013/EUA-CDE-Annual-Meeting-2013/>

ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ფორუმი

ორინე დარჩია

21–23 ნოემბერი, 2013, გიოტებორგი, შვედეთი

1. **ღონისძიების ორგანიზატორი.** ევროპის უნივერსიტეტების ასოციაცია (EUA), ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ქსელი (ENQA), უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ევროპული ასოციაცია (EURASHE), ევროპის სტუდენტთა კავშირი (ESU) - ე.წ. 4E.

სრული ინფორმაციისათვის გადადით ბმულზე

click http://www.eua.be/Libraries/EQAF_2013/EQAF_2013_final_programme.sflb.ashx

2. ღონისძიების პროგრამა.

Thursday 21 November

17.00 Official Opening

17.15 Plenary Session I: "Quality" in Higher Education: Window-dressing activities, bureaucratic rituals and the struggle for qualifying individuals

Friday 22 November

09.00 Plenary Session II: Working together in QA - stakeholders' view and expectations

10.45 Papers and Workshops – Session I

14.00 Parallel Plenary Session I: Updates on new developments in quality assurance

15.30 Parallel Plenary Session II: Updates on new developments in quality assurance

Saturday 23 November

09.30 Papers and Workshops – Session II

11.45 Plenary Session III: Internationalization as a vehicle for quality

3. ღონისძიების მონაწილეები.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირები, რექტორები, პრორექტორები, ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტები, სტუდენტები, ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების წარმომადგენლები და მკვლევარები ბოლონიის პროცესის მონაწილე ქვეყნებიდან.

ტემპუსის ეროვნული ოფისის დაფინანსებით, ღონისძიებაში საქართველოდან მონაწილეობა მიიღო უმაღლესი განათლების რეფორმის ექსპერტმა ირინე დარჩიამ (თსუ, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი).

4. ღონისძიების მიზნები, ამოცანები და შედეგები.

ბოლო ათ წელიწადში მთელი ევროპის მასშტაბით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ევროპული ხარისხის უზრუნველყოფის განვითარების კუთხით. როგორც უსდ-ებს, ისე ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოებს აქვთ ჩამოყალიბებული პროცედურები ხარისხის უზრუნველყოფისა და მისი განვითარების მიზნით. მიუხედავად ამისა, ერთ-ერთ ძირითად გამოწვევად რჩება მთელი აკადემიური საზოგადოების ჩართულობა, კომუნიკაცია და თანამშრომლობა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან. ხარისხის უზრუნველყოფის მერვე ევროპული ფორუმი ძირითადად დაეთმო შემდეგ საკითხებს: როგორ უნდა გავიაზროთ ცალკეულმა ინდივიდებმა და მთელმა ორგანიზაციებმა ხარისხის უზრუნველყოფის როლი ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში; როგორ უნდა ვიყოთ ჩართულები ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში; როგორ უნდა ვიმუშაოთ ერთად ხარისხის განვითარების მიზნით.

ხარისხის უზრუნველყოფის მერვე ფორუმზე წარმოდგენილ და განხილულ იქნა შემდეგი საკითხები: ინტერნაციონალიზაცია როგორც ხარისხის მამოძრავებელი (საფრანგეთის, ბელგიის, პორტუგალიის, რუმინეთის, ავსტრიის, სომხეთის, სერბეთის, მაკედონიის, ბოსნია-ჰერცეგოვინას, აფრიკული ქვეყნების მაგალითზე), დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობა (მათი ჩართულობა) ხარისხის განვითარების მიზნით (ფინეთის, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, ჰოლანდიის, ბელგიის, ესპანეთის, შვედეთის, ავსტრიის, პორტუგალიის, ფინეთის მაგალითზე), ხარისხის უზრუნველყოფის უახლესი ტენდენციები ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში, არაკადემიური პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა, ხარისხის კულტურის განვითარება (გერმანიის, ბელგიის, დიდი ბრიტანეთის მაგალითზე).

ხარისხის უზრუნველყოფის უახლესი ტენდენციები ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ძირითადად გულისხმობს შემდეგს: ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების რევიზია (BFUG-ის ფარგლებში), “ევროპული სააკრედიტაციო სქემის შემოღება ერთობლივი ხარისხებისთვის“ (მალე გამოქვეყნდება), ეროვნული კანონმდებლობის გადახედვა რათა გაიხსნას „ბაზარი“ უცხოური ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოებისთვის.

ხარისხის კულტურა

„ხარისხის კულტურა გულისხმობს ორგანიზაციულ-ფსიქოლოგიურ პერსპექტივას, რომელიც ფოკუსირებულია უსდ-ს თანამშრომლების საერთო ღირებულებებსა და ვალდებულებებზე“. ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის პროექტის ფარგლებში (Quality Cultures Project) სპეციალიზებული ლიტერატურის ანალიზის (786 ერთეულიდან შეირჩა 17) და 41 ექსპერტთან ინტერვიუს საფუძველზე გაკეთდა ხარისხის კულტურის შესაძლო კომპონენტების ჩამონათვალი. აღნიშნული კვლევის საფუძველზე დაგეგმილია შეფასების სპეციალური მოდელის შემუშავება უსდ-ს ხარისხის კულტურის დასადგენად. კვლევის პირველადი შედეგების საფუძველზე ამგვარია:

ხარისხის კულტურის შემადგენელი ელემენტები ექსპერტთა აზრით: ხელმძღვანელობა - 95.1 %, კომუნიკაცია - 95.1 %, მონაწილეობა (ჩართულობა) - 78 %, მიზნები - 73.2 %, ვალდებულებები - 70.7 %, ნდობა - 68.3 %, პასუხისმგებლობა - 65.9 %, აღიარება - 65.9 %, ინფორმაცია - 65.9 %.

Dimension	N (%)
Leadership	39 (95.1)
Communication	39 (95.1)
Participation	32 (78.0)
Objectives	30 (73.2)
Commitment	29 (70.7)
Values	28 (68.3)
Trust	28 (68.3)
Responsibility	27 (65.9)
Recognition	27 (65.9)
Information	27 (65.9)

ხარისხის კულტურის შემადგენელი ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტები ექსპერტთა აზრით: კომუნიკაცია - 58.5 %, ხელმძღვანელობა - 46.3 %, ნდობა - 29.3 %, ინფორმაცია - 26.8 %, ვალდებულებები - 24.4 %, პასუხისმგებლობა - 24.4 %, მონაწილეობა - 24.4 %.

Dimension	N (%)
Communication	24 (58.5)
Leadership	19 (46.3)
Trust	12 (29.3)
Information	11 (26.8)
Commitment	10 (24.4)
Responsibility	10 (24.4)
Participation	10 (24.4)

ხარისხის კულტურის შეფასების მოდელი:



ხარისხის კულტურის სხვაგვარი განმარტება: საერთო (გაზიარებული) ღირებულებები და სტრუქტურები ხარისხის განსავითარებლად.

დაინტერესებული მხარის ჩართულობა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ხარისხის გასაუმჯობესებლად, არამედ იმიტომ, რომ მათ უჩნდებათ „კუთვნილების“ განცდა ინსტიტუციის ხარისხის მიმართ, რაც ზრდის როგორც მათ პასუხისმგებლობას, ისე ნდობას იმ პროცესებთან მიმართებით, რომლებსაც ისინი უკავშირდებიან. აქცენტების შეცვლა პრობლემის სხვა განზომილებას წარმოაჩენს: ხარისხი არა დაინტერესებული მხარეებისთვის, არამედ მათი საშუალებით უნდა იქნას მიღწეული. რაც შეეხება სტუდენტებს, მათი მოტივაციის გასაძლიერებლად მნიშვნელოვანია ასევე აქცენტების გადასმა: სტუდენტის გააზრება პარტნიორად და არა „მომხმარებლად“...

ხარისხი უკავშირდება უპირველეს ყოვლისა სწავლისა და სწავლების გამოცდილებას და მასთან დაკავშირებულ შემდეგ ასპექტებს: სტუდენტისა და ლექტორის მჭიდრო, ახლო

ურთიერთობები, მათი მუდმივი უკუკავშირი, რაც ზრდის ორმხრივ მოტივაციას; სწავლების მეთოდოლოგიის მრავალფეროვნება და მოქნილობა ცვალებად მოთხოვნებთან ადაპტაციის მიზნით; უახლესი ცოდნისა და პროფესიული გამოცდილების გადაცემა; პროგრამების კავშირი შრომის ბაზართან, რაც მათ კონკურენტუნარიანობას ზრდის; ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსების მდგომარეობა; სტუდენტთა მხარდამჭერი სერვისები; გამჭვირვალე და ეფექტური კომუნიკაცია და სხვ. ეს ფაქტორები ზემოქმედებას ახდენს უსდ-ს იმიჯზე და დაინტერესებული მხარეების მხრიდან მათ აღქმაზე. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა სწორედ ამ აკადემიური გარემოს შეფასებას უნდა ემსახურებოდეს.

ბრიტანული გამოცდილება: „სტუდენტს ხშირად აინტერესებს ის, რომ ადვილად მიაგნოს აუდიტორიას, კამპუსში ჰქონდეს კვების საშუალება და ბიბლიოთეკაში საკმარისი რაოდენობით იყოს იმ სახელმძღვანელოს ეგზემპლარები, რომლებიც მას სჭირდება... ლექტორს უფრო მეტად აწუხებს სტუდენტებისა და ლექტორების თანაფარდობა, ანუ სტუდენტების რაოდენობა აუდიტორიაში, მისი ინფრასტრუქტურა, ის მეთოდები, რომლითაც სტუდენტები მას აფასებენ და მისი აკადემიური მიღწევების არასაკმარისი დაფასება...“

იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას დაინტერესებული მხარეების რეალური ჩართულობა ხარისხის განვითარების პროცესში საკვანძო მნიშვნელობა ენიჭება ინტენსიურ და სწორ კომუნიკაციას, მიღებული უკუკავშირის გათვალისწინებას და ამის შესახებ დაინტერესებული მხარის ინფორმირებას, რაც გაზრდის მის მოტივაციას, რომ შემდგომში იყოს უფრო მეტად იყოს ჩართული პროცესებში.

ევროპაში სადოქტორო განათლების განვითარების ძირითადი ტენდენცია არის სადოქტორო სკოლების ფორმირება და დოქტორანტურის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შემოღება, თუმცა ის საკმაოდ განსხვავდება პირველი და მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების პროცესისგან. 2005 წლიდან ხდება „ჩუმი რევოლუცია“ სადოქტორო განათლების სფეროში. 2007 წელს უსდ-ების 30 %-ს აქვს სადოქტორო სკოლები, 2009 წელს - 65 %-ს, ხოლო 2013 წელს 85 %-ს. სადოქტორო პროგრამების ფარგლებში ხდება ტრანსფერული უნარების განვითარება, მობილობის ელემენტის გაძლიერება, ხარისხის უზრუნველყოფის ელემენტების შემოღება (ყველაზე მეტად გავრცელებულია ანგარიშვალდებულება და ხარისხის განვითარება).

ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის სადოქტორო განათლების საბჭოს პროექტი „ანგარიშვალდებულებული კვლევითი გარემო სადოქტორო განათლებისთვის“ (ARDE – Accountable Research Environments for Doctoral Education) წარმოადგენს სადოქტორო განათლების ხარისხის უზრუნველყოფის კვლევის ყველაზე სრულყოფილ ცდას ევროპის მასშტაბით (რომლის

შედეგებიც დაემთხვა ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის უფრო მასშტაბური კვლევის შედეგებს).

აღნიშნული კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ დოქტორანტურის ხარისხის შეფასება ხდება შემდეგი ინდიკატორების გამოყენებით: სტუდენტთა მიღება, ჩარიცხვა, დოქტორანტის წინსვლის (პროგრესის) მონიტორინგი, სამეცნიერო ხელმძღვანელობა, დოქტორანტების ჩართულობა პროცესებში, პერსონალის მიმართ არსებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები, დისერტაციის შეფასება, გამჭვირვალობა (წესები და გზამკვლევები: დოკუმენტები, რომლებიც განსაზღვრავს მოთხოვნებსა და მოლოდინებს), ხელშეკრულებები უსდ-ს, დოქტორანტსა და მის სამეცნიერო ხელმძღვანელს შორის და სხვ.

ლონისძიებაზე წარმოდგენილი იქნა მასშტაბური პროექტის შედეგები, რომელიც მიზნად ისახავდა ექსპერტთა დასკვნების (ხარისხის გარე უზრუნველყოფის ანგარიშის) მნიშვნელობის კვლევას თანამშრომლობის განსავითარებლად და ნდობის ასამაღლებლად. პროექტში მონაწილეობა მიიღეს შემდეგმა ქვეყნებმა: ირლანდია, ესტონეთი, შვეიცარია, ხორვატია, რუმინეთი, იტალია, საფრანგეთი. პროექტი მიზნად ისახავდა ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში ხარისხის გარე უზრუნველყოფასთან დაკავშირებული დოკუმენტების (დასკვნების) გამოქვეყნებასთან დაკავშირებული საკითხების ანალიზს; სხვადასხვა დაინტერესებული მხარის საჭიროებების კვლევას ინფორმაციის გამჭვირვალობისა და შედარებადობის თვალსაზრისით; გზამკვლევის შემუშავებას ხარისხის უზრუნველყოფის დასკვნების ფორმატთან და შინაარსთან დაკავშირებით.

კვლევის შედეგად დადგინდა შემდეგი: უსდ-ები, სტუდენტები და ხელისუფლების წარმომადგენლები უფრო მეტად არიან დაინტერესებული ხარისხის გარე უზრუნველყოფის შედეგებით (დასკვნებით), ვიდრე დამსაქმებლები. დაინტერესებული მხარეების მიერ უსდ-ს შესახებ ინფორმაციის ძირითადი წყაროა ვებ-გვერდი, მეგობრები და კოლეგები. მხოლოდ მესამე ადგილზეა ხარისხის გარე უზრუნველყოფის ექსპერტთა დასკვნები. საზოგადოება არასაკმარისად იცნობს აღნიშნულ დასკვნებს. ისინი სასარგებლოა, თუმცა უფრო შედარებადი და გამოყენებადი უნდა იყოს. დასკვნებში მოცემული უნდა იყოს სხვა უსდ-ებთან შედარებითი მაჩვენებელი მოკლე რეზიუმესა და ცხრილების, გრაფიკების სახით. დასკვნები ხელმისაწვდომი უნდა იყოს როგორც უსდ-ს, ისე ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების ვებ-გვერდზე (უმჯობესია თუ ისინი ერთმანეთთან დაკავშირებული იქნება). ინსტიტუციური და პროგრამული აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნები უნდა განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან. უნდა არსებობდეს როგორც სრული დასკვნა, ისე მისი შემოკლებული ვერსია (რეზიუმე).

დასკვნას სასურველია ჰქონდეს შემდეგი ძირითადი მახასიათებლები: მკაფიო სტრუქტურა; შესავალი სტანდარტებთან დაკავშირებით; ინფორმაცია პროცედურის, სააკრედიტაციო ჯგუფის, დასკვნის ავტორის შესახებ; დეტალური ინფორმაცია პროგრამის შესახებ; ზომიერი სირთულე (აღსაქმელად არც მეტისმეტად რთული, არც ზედმეტად მარტივი); ენის/ტერმინოლოგიის ფრთხილი გამოყენება; ვიზუალურად კარგად (სასიამოვნოდ) აღქმადი; ადვილად ხელმისაწვდომი.

დაბოლოს, ხომ არ უნდა ვიფიქროთ დასკვნის საერთო ევროპულ მოდელზე (თარგზე)?

5. ღონისძიების რელევანტურობა საქართველოსთვის.

ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფა 2005 წლიდან მოყოლებული არის საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის განუყოფელი ნაწილი, მისი ხარისხის შეფასებისა და განვითარების ძირითადი ინსტრუმენტი. დღეისათვის ქვეყანაში არსებული საგანმანათლებლო რეფორმების ახალი ეტაპის მომზადების და ევროპულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, კულტურულ და საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ხარისხის უზრუნველყოფის სფეროში ევროპული ტენდენციებისა და პრიორიტეტების გაცნობასა და გაზიარებას.

7. ღონისძიების საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები.

1. ევროპის ქვეყნების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემებისთვის აქტუალური პრობლემა „კრიტერიუმების დაკმაყოფილება VS ხარისხის კულტურა“ სასურველია გავაცნობიეროთ როგორც ჩვენი სისტემის ერთ-ერთი ძირითადი გამოწვევა. ავტორიზაცია-აკრედიტაციის სტანდარტების რევიზიის პროცესში სასურველია სწორედ ხარისხის კულტურასთან დაკავშირებული ასპექტების აქცენტირება;
2. სასურველია შემუშავდეს უცხოური სააკრედიტაციო სააგენტოების მიერ მინიჭებული აკრედიტაციის აღიარების საკანონმდებლო მექანიზმი;
3. აუცილებელია დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გარე უზრუნველყოფის განსხვავებული სისტემის დანერგვა, რომელშიც მაქსიმალურად აისახება სადოქტორო განათლების სპეციფიკა. საფუძვლად შეიძლება გამოყენებულ იქნას ევროპის სადოქტორო განათლების საბჭოს დოკუმენტი „სადოქტორო განათლების ხარისხი: არდეს პროექტის შედეგები“ (http://www.eua.be/Libraries/Publications_homepage_list/EUA_ARDE_Publication.sflb.ashx) და ინოვაციებისა და ტექნოლოგიის ევროპული ინსტიტუტის (European Institute of Innovation and Technology - EIT) „დაგეგმვის, მარკირებისა და შეფასების სახელმძღვანელო“

[http://eit.europa.eu/fileadmin/Content/Downloads/PDF/Education/EIT-Handbook-Planning-
Labelling-Reviewing.pdf](http://eit.europa.eu/fileadmin/Content/Downloads/PDF/Education/EIT-Handbook-Planning-
Labelling-Reviewing.pdf));

4. საქართველოს ხარისხის გარე უზრუნველყოფის რეფორმირების პროცესში სასურველია ყურადღება დაეთმოს ექსპერტთა დასკვნების ეფექტურობის ზრდის მექანიზმების შემუშავებასა და ამოქმედებას.

8. დამატებითი ინფორმაცია ღონისძიების შესახებ – ხარისხის უზრუნველყოფის მერვე ევროპული ფორუმის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხ.:

<http://www.eua.be/eqaf-göthenburg.aspx>